

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

ეკატერინე ლოსაბერიძე

გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე

პედაგოგიური ტექნოლოგიები

დისერტაცია განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

პროფესორი იმერი ბასილაძე

ქუთაისი

2018

## ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	3
<b>თავი I . გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის განვითარების ეტაპები და მახასიათებლები</b>	
§ 1. სწავლების ორგანიზაციის ტექნოლოგიის წარმოშობა და განვითარება.....	13
§ 2. სწავლებისა და სწავლის მიდგომა ტრადიციულ განათლებაში.....	24
§3. ტრადიციული გაკვეთილის დიდაქტიკური მოდელი.....	36
§ 4. ახალი პედაგოგიური იდეების გავრცელება და სწავლების ორგანიზაციის ფორმების ძიება XX საუკუნის ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში.....	49
<b>თავი II გაკვეთილი და თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები</b>	
§ 1. აქტიური სწავლების დანერგვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები სწავლა/სწავლების პროცესში.....	67
§ 2. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები გაკვეთილზე.....	86
§3. სწავლების ინტერაქტიული სტრატეგიები გაკვეთილზე.....	104
§ 4. თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვის ტექნოლოგია.....	125
§ 5. ინოვაციებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიების როლი გაკვეთილზე.....	149
<b>დასკვნები.....</b>	<b>166</b>
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>170</b>
<b>დანართები.....</b>	<b>180</b>

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** საქართველოს განათლების სისტემაში ძირფესვიანი ცვლილებები ხორციელდება. ძირითად მიმართულებას დასავლური გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს. ქვეყანამ გაატარა რიგი რეფორმები, რომლებიც მიმართული იყო პოსტ-საბჭოთა განათლების სისტემის გარდაქმნისა და ახალი სისტემის შექმნისკენ, რაც შესაბამისობაში მოვიდოდა სწრაფად ცვლად მსოფლიო მოთხოვნებთან და საერთაშორისო სარბიელზე კონკურენტუნარიანი იქნებოდა.

სწავლების დასავლური მოდელით, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, მრავალი ქვეყანა ხელმძღვანელობს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ავსტრალია, კანადა და სხვა). 2004 წლიდან, საქართველოში, ზოგადი განათლების სისტემამ თვალსაჩინო ცვლილებები განიცადა და რეფორმის განსახორციელებლად მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერაც მიიღო. მიმდინარე რეფორმამ ასახვა ჰპოვა განათლების კონცეფციის მოდერნიზაციაში და ახალი სტანდარტების შემუშავებაში.

სწავლების დასავლურ მოდელზე გადასვლამ ძირეული ცვლილებები გამოიწვია გაკვეთილზე, სწავლების მიზნების, ამოცანების, პრინციპებისა და მეთოდოლოგიის მიმართულებით. გაკვეთილზე განათლების მიზნების ერთ-ერთი ფუნდამენტალური მიმართულება არის მოსწავლეზე ორიენტირებული კონსტრუქტივისტული, აქტიური და თანამშრომლობითი სწავლების დანერგვა.

მიგვაჩნია, რომ მასწავლებლის პროფესიული მზაობა წარმატების საწინდარია, რაც მოითხოვს არა მხოლოდ საგნობრივ და პროფესიულ ღრმა ცოდნას, არამედ, მისი პიროვნული დამოკიდებულების ცვლილებას საგანმანათლებლო პოლიტიკისა და სიახლეების მიმართ, რადგანაც სიახლის გაკვეთილზე დანერგვა მასწავლებლის მიერ ხდება.

უახლესი ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, საბჭოთა განათლების სისტემის გავლენა საგრძნობლად გამოკვეთილია. რაც გაკვეთილზე გამოიხატება ტრადიციული სწავლებისათვის დამახასიათებელი მასწავლებლის წამყვანი როლითა და სწავლების მეთოდებით. ამ თვალსაზრისით ქართულ პედაგოგიკურ

აზროვნებაში, ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, შეიქმნა ისეთი მნიშვნელოვანი გამოკვლევები, როგორებიცაა: დ. ლორთქიფანიძის „გაკვეთილის აგების ძირითადი საფუძვლები“, „სწავლების ორგანიზაციის ფორმები და სწავლების მეთოდები“, „დიდაქტიკა“ და სხვა. აღნიშნულ გამოკვლევებში განხილულია ტრადიციული გაკვეთილი. ოთხმოცი წლის განმავლობაში, სწორედ დ. ლორთქიფანიძის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით მიმდინარეობდა ქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაკვეთილის ჩატარების ორგანიზაცია. ავტორიტარული პედაგოგიკა ხასიათდება გაკვეთილზე მასწავლებლის წამყვანი პოზიციითა და მზა მეცნიერული ცოდნის გადაცემით.

XXI საუკუნის დასაწყისიდან ქართულ პედაგოგიკაში ტრადიციულ გაკვეთილს დაუპირისპირდა ინოვაციური, სწავლების ახალი მეთოდებით და ტექნოლოგიებით აღჭურვილი გაკვეთილი, რომელიც მოითხოვს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საგაკვეთილო პროცესში, აქტიური სწავლება მოსწავლეს სწავლების სუბიექტად აქცევს, სწავლების აქტიურ მონაწილეს-გაცნობიერებული სწავლის საჭიროებითა და მნიშვნელობით, მოსწავლე ეყრდნობა მასწავლებელს, როგორც ინსტრუქტორს. სწავლების ეს მიდგომა მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული საგაკვეთილო პროცესის შეცვლას, მოსწავლეზე ორიენტირებული საგაკვეთილო პროცესით. სწავლებას გაკვეთილზე საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, ინტერესები, შესაძლებლობები, ცოდნა. აქტიური სწავლება ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის მიმართ, ააქტიურებს მის ჩართულობას სასწავლო პროცესში და ზრდის მოტივაციას.

ამ თვალსაზრისით, XXI საუკუნის დასაწყისში გამოქვეყნდა: კ. დ. მურის, დ. მიუჯსის, დ. რეინოლდსის, ჯ. ლ. სთილის, ქ. ს. მერედითის, ჩ. თემფლის, ც. გორდეზიანის, ჯ. ჯინჯიხაძის, ი. ბასილაძის, ა. ნარგიზიშვილის, ს. ლობჯანიძის, კ. მელაშვილის, ზ. ცუცქერიძის, ს. გორგოდის, ს. ჯანაშიას, ნ. იმედაძის შრომები, რომლებშიც საუბარია სწავლების პროცესში ინოვაციური ფორმების შემოტანისა და დანერგვის შესახებ. განხილულია, სხვადასხვა სწავლების მეთოდების დანერგვის აუცილებლობა საგაკვეთილო პროცესში.

მიგვაჩნია, რომ სწავლების ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და ტექნოლოგიების ძიება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან იმაზე, თუ როგორ არის ორგანიზებული სასწავლო პროცესი, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ერთიანი სასწავლო პროცესის წარმატება და ხარისხი.

პრობლემურია საკითხი, რა დავიტოვოთ და რა გავუშვათ ისტორიულ სანაგვეზე. საბჭოთა სივრციდან გამოსვლის პროცესებს საბჭოთა ხატის ნიშნით ყველაფერზე უარის თქმაც მოჰყვა. რაც, ჩვენი აზრით, არ არის სწორი მიდგომა, საჭიროა ობიექტური შეფასება, რადგან გაკვეთილი, როგორც სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა, ჯერ კიდევ ინარჩუნებს თავის აღიარებულ უპირატესობას სასწავლო პროცესის მოწყობის ყველა სხვა ფორმასთან შედარებით. შერჩევის შედეგად, შესაძლებელია დავამკვიდროთ ტრადიციული და თანამედროვე სწავლების კარგად აპრობირებული მეთოდების კომბინირებულად გამოყენება.

განათლების ეროვნული მიზნებიდან გამომდინარე, სწავლა-სწავლება უნდა ეყრდნობოდეს შემდეგ პრინციპებს:

- მოსწავლეთა შინაგანი ძალების გააქტიურება და განვითარება;
- ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით;
- სხვადასხვათა საგანში მიღებული ცოდნის ურთიერთდაკავშირება, ორგანიზება და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება;
- მეტაკოგნიტური სტრატეგიების დაუფლება (სწავლება-სწავლა).

გაკვეთილზე თანამედროვე სწავლება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორცაა: აქტიური სწავლება, მოსწავლეთა მოტივაცია და მისი ამაღლების საშუალებები, სწავლების ინტერაქტიული სტრატეგიების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, სიახლეებისა და ინოვაციების დანერგვა სწავლებაში, სწავლის სტრატეგიების დაუფლება მოსწავლეთა მიერ.

მიგვაჩნია, რომ თანამედროვე პედაგოგიურ საზოგადოებას კარგად აქვს გაცნობიერებული ამ ახლებური საგანმანათლებლო პარადიგმების აუცილებლობა, რომლებიც თანამედროვე პიროვნების განვითარებასა და რეალიზებას უწყობს ხელს. ინერგება კარგად აპრობირებული, პედაგოგიური, საგანმანათლებლო და სწავლების მრავალი ტექნოლოგია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მიერ სადისერტაციო თემად არჩეული - „გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები“, უცხოური და ქართულენოვანი მასალების შესწავლისა და განაალიზების საფუძველზე, აქტუალურია სასკოლო საგანმანათლებლო სივრცისათვის და მისი გამოკვლევა, ჩვენი აზრით, დაეხმარება საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას. გააღრმავებს დადებით დამოკიდებულებას თანამედროვე სწავლების ტექნოლოგიების მიმართ, რომელთა საგაკვეთილო პროცესში გამოყენება მოსწავლეს აძლევს თანამედროვე სამყაროში დამკვიდრებისა და რეალიზებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. რომელსაც გაკვეთილზე გამოავლენს, როგორც სწავლების ორგანიზაციის ფორმით, ასევე თანამედროვე სწავლების უპირატესობებს ტრადიციული სწავლების ძირითად მახასიათებლებთან მიმართებაში.

**კვლევის მიზანს** შეადგენს სასწავლო პროცესში გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვის უპირატესობების გამოვლენა ტრადიციული სწავლების ძირითად მახასიათებლებთან მიმართებაში და ტრადიციული სწავლების კარგად აპრობირებული მეთოდების თანამედროვე სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან კომბინირებული გამოყენება.

**კვლევის საგანს** წარმოადგენს ტრადიციული სწავლების, გაკვეთილის მოდელისა და მისი მახასიათებლების, აქტიური სწავლების თეორიული საფუძვლების, პედაგოგიური ტექნოლოგიების, გაკვეთილის დაგეგმვისა და განხორციელების თავისებურებების გამოვლენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის ობიექტი.** გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების მეთოდოლოგიის, კვლევის პრობლემასთან დაკავშირებული სამეცნიერო-პედაგოგიური და მეთოდოლოგიური ლიტერატურის დამუშავება. გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა თანამედროვე საგაკვეთილო პროცესში.

**სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაა** სწავლების პროცესში გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვის

პედაგოგიკური და დიდაქტიკური მიდგომების სპეციფიკის გამოკვლევა, სწავლების ტრადიციული მოდელის მახასიათებლებისა და სწავლების დასავლური მოდელის პედაგოგიური და მეთოდოლოგიური საუბველების ანალიზი. კერძოდ:

1. გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის განვითარების ტენდენციები და მისი ანალიზი თანამედროვეობასთან კავშირში;
2. ტრადიციული სწავლებისა და ტრადიციული გაკვეთილის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა;
3. გაკვეთილის განვითარების სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენა;
4. მასწავლებელთა დამოკიდებულების განსაზღვრა ყოველდღიურად გაკვეთილის დეტალური დაგეგმვისა და საგაკვეთილო პროცესში თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების შესახებ;
5. საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის დეფიციტის გამომწვევი მიზეზების კვლევა და დადგენა; მოტივაციის ამაღლების შესაბამისი რეკომენდაციების შეთავაზება;
6. მოსწავლეთა განწყობის გარკვევა ურთიერთდამოკიდებულების, აქტიური თვითკონსტრუირებული სწავლისა და თვითშეფასებისადმი;
7. თუ როგორ არის დანერგილი კვლევის ეტაპისათვის სწავლების ახალი ტექნოლოგიები სკოლაში და რამდენად აუცილებელია თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების დანერგვის აუცილებლობა თანამედროვე საგაკვეთილო პროცესში;
8. გაკვეთილის არა მხოლოდ, როგორც სწავლების ორგანიზაციის ფორმის, არამედ მოსწავლეთა კოგნიტური, ინტელექტუალური, მოტივაციური და სოციალური განვითარების საშუალების წარმოჩენა;
9. გაკვეთილის დაგეგმვა ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების დადებითი ასპექტების კომბინირებით და მისი დანერგვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში.

**კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს:**

- კლასიკოს პედაგოგთა იდეები;
- განათლების ჰუმანიზაციისა და დემოკრატიზაციის იდეები;
- გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის დიდაქტიკური პრინციპები;

- შემოქმედებითი და ინტერაქტიული სწავლების მეთოდები;
- მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების კონცეფციები.

**კვლევის მეთოდოლოგია.** დისერტაციაზე მუშაობისას გამოვიყენეთ კვლევის სხვადასხვა მეთოდები: ისტორიული, ორიგინალური და ნათარგმნი. წყაროების აქტუალიზაციის, შერჩევის, სისტემატიზაციისა და განზოგადების, შედარებითი, შეპირისპირებითი, აღწერილობითი, შეფასებითი, კვლევის თვისობრივი, ანკეტირების მეთოდი, შედეგების ანალიზი, კვლევები სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საფუძველზე და სხვ.

**კვლევის ძირითადი ეტაპი.**

**კვლევა რამდენიმე ეტაპად იყოფა:**

- **პირველი ეტაპი.** იგი მოიცავს კვლევის პრობლემების არჩევის აუცილებლობას, მათი აქტუალურობის ჩვენებისა და მოცემულ სფეროში არსებული ვითარების წარმოჩენის საფუძვლიანობის დადასტურებას. საჭირო სამეცნიერო ლიტერატურის მოძიებას. მონოგრაფიებისა და სამეცნიერო სტატიების (ორიგინალი, ნათარგმნი) შესწავლა-განზოგადებას. პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის განზოგადებას. საკვლევი მუშაობის მიმართულებების განსაზღვრას;

- **მეორე ეტაპი.** ტრადიციული გაკვეთილის დიდაქტიკურ-მეთოდური საფუძვლების მოძიება;

- **მესამე ეტაპი.** ტრადიციული გაკვეთილის დიდაქტიკური მოდელის შესწავლა-განაალიზება;

- **მეოთხე ეტაპი.** კვლევის მეთოდების შერჩევა. კვლევის მიზნებთან კვლევებისათვის საჭირო ინსტრუმენტთა ადაპტირება. კვლევის სტრატეგიის განსაზღვრა. საკვლევი ჯგუფების შერჩევა. მოსწავლეებზე სწავლების თანამედროვე ინოვაციური მეთოდების გავლენა (კოგნიტურობა, ემოცია, მოტივაცია, ურთიერთდამოკიდებულება). აუცილებელია თუ არა თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვა და თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში; მოსწავლეთა მოტივაციის დეფიციტის გამომწვევი მიზეზების დადგენა;

- **მეხუთე ეტაპი.** გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების რეალიზაციის გამოვლენა. განხორციელდა კვლევის



მეთოდების რეალიზაცია. კვლევის შედეგად დაგროვებული მასალის პედაგოგიკურ-დიდაქტიკური ანალიზი. დისერტაციის გაფორმება.

**კვლევის ჰიპოთეზა** და მისი არსი გამოიხატება, იმაში რომ, თუ საფუძვლიანად იქნება შესწავლილი გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების მნიშვნელობა საგაკვეთილო პროცესში, თუ ობიექტური შეფასება და ანალიზი გაუკეთდება გაკვეთილზე ინტერაქტიული სწავლების დანერგვის საშუალებებს, გამოვლინდება მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება საგაკვეთილო პროცესში, ტრადიციული სწავლების კარგად აპრობირებული მეთოდების თანამედროვე სწავლების ინოვაციურ მეთოდებთან კომბინირებული გამოყენების თვალსაზრისით, რაც გამოიწვევს თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, საგაკვეთილო პროცესში სწავლების ხარისხის ამაღლებას.

#### **კვლევის მეცნიერული სიახლე**

1. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში შედარებით სრულყოფილად წარმოჩინდა იეზუიტური სკოლების მართვის, სწავლების, საკლასო-საგაკვეთილო სისტემის, მასწავლებელთა შერჩევის, მოსწავლეთა განათლებისა და აღზრდის მიზნების პედაგოგიური ტექნოლოგიები;
2. გამოკვლეულია გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების მნიშვნელობა სწავლების ხარისხის ასამაღლებლად საგაკვეთილო პროცესში;
3. პედაგოგიური და ფსიქოლოგიური კანონზომიერებების ანალიზის საფუძველზე გაკვეთილზე შემუშავებულია სწავლების მეთოდების, გაკვეთილის დაგეგმვის, მოსწავლეთა მოტივაციის პრობლემური საკითხების გამოვლენისა და პრობლემის გადაჭრის შესაბამისი გზები და რეკომენდაციები;
4. ტრადიციული სწავლებისა და სწავლების ინოვაციური მეთოდების დადებითი ასპექტების კომბინირებით გაკვეთილის დაგეგმვა და მისი მნიშვნელობა მოსწავლის მიერ ცოდნისა და უნარ-ჩვევების ეფექტურად დაუფლებისათვის;
5. გაკვეთილზე მოსწავლეთა კოგნიტური, ინტელექტუალური, მოტივაციური და სოციალური განვითარების საშუალება.

**ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა:** გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების შესწავლა შესაძლებელს გახდის:

- ტრადიციული გაკვეთილისა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით დაგეგმილი გაკვეთილის დადებითი ასპექტების კომბინირებას თანამედროვე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სივრცეში;

- მრავალფეროვანი ინტერაქტიული სწავლების მეთოდებითა და პედაგოგიური ტექნოლოგიებით დაგეგმილი გაკვეთილი ხელს შეუწყობს გაკვეთილზე მოსწავლის აქტიურობასა და მოტივაციის ამაღლებას, რაც სწავლის ხარისხს გააუმჯობესებს;

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ დისერტაციაში მოცემული თეორიული დებულებები და დასკვნები შეიძლება გამოყენებულ იქნას მასწავლებლების მიერ პრაქტიკულ და თეორიულ საქმიანობაში (ინოვაციური, ინტეგრირებული, პრობლემაზე ორიენტირებული და გამჭოლი კომპეტენციების განვითარებისაკენ მიმართული გაკვეთილების ჩატარება).

#### **დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები**

- გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარების პედაგოგიური ტექნოლოგიების ჩამოყალიბებისა და განვითარების ეტაპები;
- სწავლებისა და სწავლის მიდგომა ტრადიციულ განათლებაში;
- აქტიური სწავლების დანერგვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები სწავლა/სწავლების პროცესში;
- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები გაკვეთილზე;
- სწავლების ინტერაქტიული სტრატეგიების გამოყენების მიზანმიმართულობა გაკვეთილზე და თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვის ტექნოლოგია;
- ინოვაციებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების როლი საგაკვეთილო პროცესში.

#### **თეორიული კვლევის პროცესში მიღებული იქნა შემდეგი შედეგები:**

- დადგინდა, რომ სწავლების ორგანიზაციის ტექნოლოგიის სრულყოფაში, დიდი წვლილი მიუძღვის იეზუიტურ განათლების სისტემას, მათ მისცეს, თანმიმდევრული, იერარქიული, სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სახე საკლასო-საგაკვეთილო სისტემას. სწავლება /სწავლების ტექნოლოგიები, მეთოდოლოგიური და

ორგანიზაციული ასპექტები იმ დონეზე აიყვანეს, რომ ტოლს არ უდებს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს;

- გაანალიზდა გაკვეთილის ტრადიციული სწავლების მოდელი და გამოკვლეული იქნა, რომ ტრადიციული განათლების კონცეფცია მხარს უჭერს მემკვიდრეობით დატოვებული მეცნიერული ცოდნის გადაცემას, ფაქტების დამახსოვრებას, მასწავლებლის წამყვან როლს და ფორმალური სწავლების მეთოდებს;
- გამოვიკვლიეთ ტრადიციული განათლების გავლენა თანამედროვე განათლებაზე და დადგინდა ცვლილებებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება;
- გაანალიზებულია აქტიური სწავლების პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური საფუძვლები და მათი როლი გაკვეთილზე მასწავლებლის წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში;
- განისაზღვრა გაკვეთილზე მოტივაციის როლი მოსწავლის წარმატებით სწავლისათვის;
- გამოვიკვლიეთ გაკვეთილზე მოსწავლეთა მოტივაციის დეფიციტის მიზეზები და მივედით დასკვნამდე, რომ საჭიროა მასწავლებელმა წარმატებული სწავლებისათვის დაადგინოს დაბალი მოტივაციის მიზეზი და იზრუნოს მის გამოსწორებაზე;
- დამუშავდა და გაანალიზდა თანამედროვე საგაკვეთილო პროცესში მასწავლებლის მიერ სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვის აუცილებლობა;
- გამოკვლეული იქნა გაკვეთილზე თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენების ზოგადი და კონკრეტული მიმართულებები და მასწავლებლის მიერ საგაკვეთილო პროცესში მათი გამოყენების აუცილებლობა;
- დადგინდა, გაკვეთილის დაგეგმვის საჭიროება;
- დადგინდა, რომ ტრადიციული გაკვეთილისა და სწავლების ინოვაციური მეთოდებით დაგეგმილი გაკვეთილის დადებითი ასპექტების კომბინირება იწვევს სწავლების ხარისხის ამაღლებას გაკვეთილზე;
- გამოკვლეული იქნა, რომ ოპერანტული განპირობებულობის, ქცევის დასწავლის თეორიის ცოდნა მასწავლებლებს გამოადგებათ გაკვეთილზე სწავლა/სწავლების ხარისხისა და მოტივაციის ამაღლების კუთხით;

- ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ XX საუკუნეში საქართველოში გაკვეთილზე სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან დაკავშირებით არსებობდა რამდენიმე ეტაპი, რომელიც გამოირჩეოდა განვითარების სპეციფიკური მახასიათებლებით;
- განისაზღვრა თანამედროვე გაკვეთილზე სწავლების პრინციპები: სწავლების დადებითი მოტივაციისა და კეთილგანწყობის ემოციონალური ატმოსფეროს პრინციპი, სწავლების ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმის შეთავსების პრინციპი, სწავლების მეტაკოგნიტური პრინციპი;
- დადგინდა, რომ გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებლის მიერ მოსწავლეებთან თანამშრომლობა, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება იწვევს მოსწავლეთა დადებით დამოკიდებულებებს მასწავლებლისა და საგნის მიმართ, დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე;
- დადგინდა, რომ გაკვეთილი არის, არა მხოლოდ, სწავლების ორგანიზაციის ფორმა, არამედ, მოსწავლეთა კოგნიტური, ინტელექტუალური, მოტივაციური და სოციალური განვითარების საშუალება.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.** ნაშრომი მოიცავს კომპიუტერული წესით ნაბეჭდ 185 გვერდს. იგი შედგება შესავლის, ორ თავის, დასკვნების, რეკომენდაციების და ოთხი დანართისაგან. ციტირებული ლიტერატურის სია შეიცავს 138 წყაროს.

## თავი I

### გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის ძირითადი ფორმის განვითარების ეტაპები და მახასიათებლები

#### § 1. სწავლების ორგანიზაციის ტექნოლოგიის წარმოშობა და განვითარება

სკოლამ და განათლების სისტემამ განვითარების დიდი გზა განვლო. მისი განვითარება დამოკიდებული იყო საზოგადოების ისტორიულ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებასთან.

პირველი საგანმანათლებლო კერები დაარსდა შუმერული და ეგვიპტური ცივილიზაციების მიერ ძვ. წ. IV-III სს. სწორედ აქედან იწყება განათლების ისტორიის ათვლა. ამ პერიოდში სკოლა ასწავლიდა სამართალს, მწიგნობრობასა და წვრთნიდა რელიგიურ მოღვაწეებს. სწავლების მეთოდს დამახსოვრება წარმოადგენდა. სკოლაში გამეფებული იყო მკაცრი დისციპლინა და ფიზიკური დასჯა.

ძვ. ჩინეთში სკოლები X-IX სს. ჩამოყალიბდა და უკავშირდება ცნობილი პედაგოგისა და ფილოსოფოსის თჩუ ლის სახელს. ჩინეთში გვხვდება აღზრდის კერძო და სახელმწიფო სასკოლო სისტემები.

განათლების კერძო და სახელმწიფო სისტემები იყო ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. ანტიკურმა საბერძნეთმა, განსაკუთრებით კი, ათენის სახელმწიფომ შექმნა სასკოლო სისტემა. როგორც წყაროებიდან ირკვევა, მეცადინეობა ეწყობოდა ინდივიდუალური წესით. მასწავლებლს ჰყავდა ოცი და მეტი მოსწავლე ერთდროულად, მაგრამ თითოეულს სხვადასხვა საკითხებზე ამეცადინებდა, რადგან ერთსა და იმავე ჯგუფში გაერთიანებული მოსწავლეები იყვნენ სხვადასხვა ასაკის, ცოდნის და სხვადასხვა დროს მიღებულნი სკოლაში. სწავლა მიმდინარეობდა მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე. სასწავლო დღე არ იყო დაყოფილი სამეცადინო საგნების მიხედვით. მზის ამოსვლა ითვლებოდა სწავლების დასაწყისისად და ჩასვლა - დამთავრებად (47, გვ. 89).

არც სპარტულ და რომაულ სკოლებში დასტურდება სწავლების ისეთი მახასიათებლების არსებობა, როგორცაა: სწავლების ორგანიზაციის საგაკვეთილო

ფორმა, კლასის განსაზღვრული შემადგენლობა, გაკვეთილის მონაწილეთა მომზადების ერთნაირი დონე, სწავლების დაწყებისა და დასრულების დრო და მრავალი სხვ.

აღნიშნულ სკოლებში, მიმდინარე განათლების პროცესი მოკლებული იყო ისეთ საგანმანათლებლო ცნებებს, როგორცაა: სასწავლო გეგმა, სასწავლო წელი, გაკვეთილი, სწავლების მეთოდთა კლასი, სამეცადინო განრიგი, მოსწავლეთა ასაკობრივი დაყოფა და ა. შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცესები, რაც ასე განუყოფელია სასწავლო პროცესისათვის, ისტორიული განვითარების მონაპოვარია.

ჩვენთვის საინტერესოა, სწავლების პროცესის მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული განვითარება. ვინ და როდის მოახდინა საუკუნეების გამოცდილების გაერთიანება და პრაქტიკაში გამოყენება.

რომაულ საგანმანათლებლო თეორიაში საუკეთესო კომპოზიციად ითვლება მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს (35-100 წწ.) „Institutes of Oratory-ორატორის დარიგებანი“. მ. ფ. კვინტილიანეს 12 წიგნი აღწერს განათლების ყველა საფეხურს, დაწყებული ჩვილობიდან, დამთავრებული პროფესიონალი ორატორის ჩამოყალიბებით. კვინტილიანემ დააყენა საკითხი კლასის შემადგენლობის სტაბილურობის, შესასწავლი საგნების მონაცვლეობის, მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ჯგუფთან ერთ საკითხზე მუშაობისა და სწავლების მეთოდოლოგიური საკითხების შესახებ. კვინტილიანეს აუცილებლობლად მიაჩნდა სწავლების მეთოდების ხშირი ჩანაცვლება, რომელიც მოსწავლეს სწავლის ინტერესს და სურვილს შეუნარჩუნებდა. რათა მოსწავლის ინტერესი და სწავლის სურვილი შეუნარჩუნებინათ (118, გვ.58).

მიუხედავად კვინტილიანეს ასეთი ჩამოყალიბებული შეხედულებებისა სწავლების პროცესისადმი, სასკოლო საგაკვეთილო სისტემა ამ ფორმით კიდევ დიდ ხანს არ გამოჩენილა განათლების ისტორიაში.

სწავლების საგაკვეთილო ფორმის ავტორად მიჩნეულია იან ამოს კომენსკი (1592-1670). კომენსკიმ განსაზღვრა სასკოლო გაკვეთილის ორგანიზაციის სწორი მიმართულებები:

- მოსწავლეთა სკოლაში მიღება ერთდროულად წლის დასაწყისში;

- მოსწავლეთა დაყოფა კლასებად;
- თითოეული კლასის ერთნაირი მომზადების მქონე მოსწავლეებით დაკომპლექტება;
- თითოეული კლასის საკლასო ოთახით უზრუნველყოფა;
- საკლასო მეცადინეობა ყოველდღიურად 4 საათს უნდა გაგრძელებულიყო;
- ყოველი საათი ემსახურებოდა გარკვეული ამოცანის გადაჭრას;
- დასვენება უნდა ყოფილიყო ყოველი საათის შემდეგ.

ი. კომენსკის მიერ სასკოლო-საგაკვეთილო სწავლების ფორმულირებამდე, XVI საუკუნის ბოლოს, ევროპაში ერთ-ერთი პირველი და მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო სისტემა შექმნა იეზუიტურმა ორდენმა.

მათ შექმნეს უმნიშვნელოვანესი განათლების სისტემა, რომელიც წინა პერიოდი იყო თანამედროვე განათლების სისტემისა. იეზუიტები ასწავლიდნენ, აძლევდნენ განათლებას და გავლენას ახდენდნენ საზოგადოებაზე მათი განათლებით.

იეზუიტების წვლილის შესახებ, საკლასო-საგაკვეთილო და ზოგადად, განათლების სისტემის ფორმირების მიმართულებით, ქართულ საგანმანათლებლო ისტორიაში თითქმის არაფერია ცნობილი.

ჩვენი ინტერესი იეზუიტური განათლების სისტემის მიმართ გამოწვეულია, მათი უდიდესი წვლილით სასკოლო, საკლასო და საგაკვეთილო სწავლების დამკვიდრებაში. იეზუიტებმა პედაგოგიური და მეთოდოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით სწავლება გაკვეთილის ფორმატში მოაქციეს, მათ ჰქონდათ უნიკალური სასწავლო გეგმა, სასწავლებლების მართვის მენეჯმენტი და დახვეწილი პედაგოგიური მეთოდიკა, რომელიც დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას.

იეზუიტური საგანმანათლებლო სისტემის ფუძემდებელია იგნატიუს ლოიოლა, რომელიც იყო იეზუიტური ორდენის დამაარსებელი. მან პირველი იეზუიტური კოლეჯი დააარსა მესინაში, რომლის ხელმძღვანელად, 1548 წელს, ლოიოლამ გაგზავნა მამა ჯერომე ნადალი. მანვე დაწერა სწავლების გეგმა: „იეზუიტური ორდენის კონსტიტუცია (Constitutionn of the Society of Jesuit)“. 1547-1550 წლებში გამოქვეყნდა მისი პირველი ვერსია, რომელიც ოფიციალურად იქნა მიღებული მთელი საზოგადოების მიერ (107).

პირველი სასწავლო გეგმა ითვალისწინებდა ჰუმანისტი განმანათლებლებისა და პარიზის უნივერსიტეტის გამოცდილებას. პარიზის უნივერსიტეტი აღმა მატერი იყო იგნატიუსისათვის, ვინაიდან, იქ სწავლობდა და მოღვაწეობდა თავად. კონსტიტუციის პრინციპები შეიცავდა კლასიკოსების: არისტოტელეს, კვინტილიანეს, ერასმუს როტერდამელის ნააზრევს, წმ. თომას თეოლოგიას და პარიზის უნივერსიტეტის პრაქტიკულ გამოცდილებას. ი. ლოიოლამ და მისმა მემკვიდრეებმა მოახდინეს კლასიკოსთა მთავარი იდეების გადატანა და განვითარება, შექმნეს უნივერსალური პედაგოგიური სისტემა, რომელიც ინერგებოდა იეზუიტურ კოლეჯებში.

1410 წელს აღმოჩენილი იქნა რომაელი განმანათლებლის მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს ნაშრომები. XVს ბოლოსა და XVI ს. დასაწყისში ბევრი სასწავლო პროგრამისათვის გახდა მ. ფ. კვინტილიანეს პრინციპები პრიორიტეტი. მკვლევარი ჯ. რ. კოხი ხაზგასმით აღნიშნავს, მ. ფ. კვინტილიანეს გავლენას რენესანსის განათლებასა და პარიზის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პოლიტიკაზე, შესაბამისად, ის გავლენას მოახდენდა იგნატიუს ლოიოლაზეც, ვინაიდან ის თავისი სისტემის საფუძვლად სწორედ რენესანსის განათლებასა და პარიზის უნივერსიტეტის გამოცდილებას იყენებდა (113, გვ.16).

ვფიქრობთ, რომ იეზუიტებისათვის კვინტილიანეს პრინციპები გახდა პრიორიტეტი და მან დიდი გავლენა მოახდინა კონსტიტუციის ჩამოყალიბებაზე, როგორც სწავლების მეთოდოლოგიურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში. ი. ლოიოლას გარდაცვალების შემდეგ, მისი იდეების გამგრძელებელი და განმახორციელებელი გახდა მამა კლაუდიოს აქვავივა (1581-1615 წწ.). სწორედ მის მიერ იქნა მომზადებული ოფიციალური გეგმა „The Jesuit Ratio Studiorum“.

იეზუიტების მნიშვნელოვანი მიღწევა იყო, ის, რომ მათ თანმიმდევრული, იერარქიული, სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სახე მისცეს განათლებას. საზოგადოებამ მიზნად დაისახა საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბება, შეკრიბეს სხვადასხვა დოკუმენტები: De Studiis Societas, The Ordo studio, Suma Sapienti და სხვ. 1581 წელს კლაუდიუს აქვავივამ გამოიკვლია და ყველა ეს დოკუმენტი ერთ სახელმძღვანელოში გააერთიანა. 1584 წელს შეიქმნა კომიტეტი, რომელიც ექვსი



პიროვნებისაგან შედგებოდა, ისინი სხვადასხვა პროვინციებიდან მოიწვიეს და დაიწყო კონსულტაციები. 1599 წელს 15 წლიანი განხილვებისა და ექსპერიმენტების შემდეგ, გამოჩნდა საბოლოო სასწავლო გეგმა, რომელსაც ეწოდა „The Jesuit Ratio Studiorum - იეზუიტური საზოგადოების სწავლების მეთოდები და სისტემა“. გამოცემიდან 15 წლის გასვლის შემდეგ, იეზუიტურ სკოლებში სავალდებულო გახდა „Ratio Studiorum“-ის გამოყენება (117).

აღნიშნული დოკუმენტი ფუნდამენტური მნიშვნელობის იყო იეზუიტური საგანმანათლებლო სისტემის სტრუქტურულ ჩამოყალიბებაში და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო განათლების ისტორიაში.

1970 წელს გამოქვეყნდა ალან ფარელის მიერ რედაქტირებული და ნათარგმნი სახელმძღვანელო: „The Jesuit Ratio Studiorum 1599“. ა. ფარელი გამოყოფდა Ratio Studiorum-ის ოთხ პრინციპს:

1. ადმინისტრაციული ფუნქციების განსაზღვრა ყველა პროვინციისათვის, რექტორისა და პრეფექტის უფლება-მოვალეობანი სწავლებაში;
2. სწავლების დაგეგმვა კურიკულუმით თეოლოგიაში, ფილოსოფიაში და ჰუმანიტარულ მიმართულებებში;
3. მეთოდები. ოთხივე პრინციპი შეიცავს მეთოდებს, გაკვეთილებისა და სავარჯიშოებისათვის საკლასო ოთახში;
4. განსაზღვრულია დისციპლინის, სტუდენტების ქცევის ნორმები და რეგულაციები ორდენში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 39-ე თავი: „Rules for the academies of rhetoricians and humanities students“, სადაც მოცემულია მეთოდები გაკვეთილისათვის და სავარჯიშოებისათვის საკლასო ოთახში. „Ratio Studiorum“-ი მაქსიმალურად ტვირთავს სტუდენტს აქტიური მუშაობით საკლასო ოთახში, ყოველი აქტივობა გამოირჩევა განსაკუთრებული სულისკვეთებითა და მიზნებით (103, გვ. X).

„Ratio Studiorum“ არის პრაქტიკული ხასიათის დოკუმენტი სკოლებში სახელმძღვანელოდ. სახელმძღვანელოში განხილულია საგანმანათლებლო მიზნები, სკოლის განრიგი, სილაბუსი, რექტორის, პრეფექტისა და მასწავლებლის მოქმედების

მანერა, სასწავლო საგნები, სწავლის იერარქია დაბალ და მაღალ სკოლებად, მეთოდოლოგია, მასწავლებლის გადამზადება, სასწავლო წელი, დასვენება.

კოლეჯის ხელმძღვანელს-რექტორს დახმარებას უწევდა მოადგილე სასწავლო დარგში და დისციპლინის საკითხებში. მას ევალებოდა კლასების მეთვალყურეობა. ის უნდა გაჰყოლოდა მისთვის შექმნილ კანონებს და რეგულარული კონსულტაციები გაემართა საბჭოსთან. პროვინციის ხელმძღვანელი სტუმრობდა კოლეჯს, სულ მცირე წელიწადში ერთხელ. მასწავლებლები მას ხვდებოდნენ პირადად. მათ ინდივიდუალურად უნდა განეხილათ ის პრობლემები და სირთულეები, რაც ჰქონდათ რექტორთან. მოადგილე სასწავლო დარგში, პასუხისმგებელი იყო სწავლების ხარისხზე. ის ესწრებოდა გაკვეთილს ორ კვირაში ერთხელ და მასწავლებლებს ნებისმიერ დროს შეეძლოთ მასთან კონსულტაციების გამართვა. იგივე ევალებოდა მოადგილესაც, დისციპლინის დარგში (103, გვ.15).

სასწავლო გეგმა, გარდა უნივერსიტეტისა და პროფესიული სწავლებისა, მოიცავდა *Studia inferior*, დაბალ კლასებსა და ხელოვნების კურსს ან ფილოსოფიას. ჰუმანიტარულ მიმართულებაში იყო ხუთი კლასი, ზოგჯერ ექვსიც, რომელთა განსაზღვრული მიზანი იყო წინსვლა და პროგრესი კლასიკურ სწავლებაში. სასწავლო კურსი ძირითადად ჰუმანიტარული მიმართულების იყო, სხვა დარგები მასში შედიოდნენ, როგორც დამატებითი და შემავსებელი. სასწავლო დარგში ხელმძღვანელს მითითება ჰქონდა, დაენაწილებინა ისტორია, გეოგრაფია და მათემატიკის ელემენტები ისე, რომ თითოეულ მოსწავლეს დამაკმაყოფილებლად გაერთმია თავი მისთვის მიცემული დავალებისათვის. რაც სწავლებაში ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინების პრინციპს ნიშნავს.

სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლე აბარებდა გამოცდებს. მაგალითად: თეოლოგიის ოთხწლიანი სწავლების დასრულების შემდეგ „პროფესიის“ მინიჭებისათვის, თითოეული სტუდენტი 12 გამოცდას აბარებდა სპეციალური ექსპერტების წინაშე. საგამოცდო კომისია შედგებოდა გამოცდილი ექსპერტებისაგან, რომლებიც საიდუმლოდ აძლევენ ხმას სტუდენტს.

სასწავლო პროგრამა გადანაწილებული იყო კლასების მიხედვით საფეხურებრივად:

1. გრამატიკის დაბალი საფეხური, სადაც ისწავლებოდა ლათინურისა და ბერძნულის ელემენტარული პრინციპები. კითხვის მარტივი წესები;
2. შუა საფეხურის გრამატიკა, სადაც მიზანს გრამატიკის შესწავლა წარმოადგენდა, მაგრამ არა მთელი გრამატიკისა. ამ საფეხურზე მიმდინარეობდა სელექციური კითხვა - ციცერონის, ცეზარის კომენტარებისა და ოვიდიუსის შედარებით მარტივი პოემებისა;
3. ზედა საფეხური გრამატიკისა, ეს საფეხური სრულდება ლათინური გრამატიკით და ბერძნული გრამატიკის ყველა ელემენტარული პრინციპის შესწავლით;
4. ჰუმანიტარების კლასში მოსწავლეებს ამზადებდნენ რიტორიკისათვის, ყოველ-დღიურად ასწავლიდნენ ციცერონს, ასევე ისტორიკოსებს: ცეზარი, სალუსტი, ლივი და სხვები;
5. რიტორიკა, ჰუმანიტარული სწავლება სრულდება, ფილოსოფიის შესავალის შესწავლით. ბერძნულში სრულყოფილ ცოდნას იღებდნენ ორატორების, ისტორიკოსებისა და პოეტების მეშვეობით.

პრიორიტეტი იყო ლათინური ყველა სხვა საგნებთან შედარებით. მშობლიურ ენას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, თუმცა არ შეიძლება დავასკვნათ, რომ სრულიად უარყოფილი იყო მისი სწავლება. ფილოსოფიის კურსი მოიცავდა სამ წელს და მასში შედიოდა მათემატიკა და ბუნებრივი მეცნიერებები.

დისციპლინა არ იყო მკაცრი იეზუიტურ სკოლაში, ფიზიკურ სასჯელს არ იყენებდნენ მასწავლებლები. ამის გამოყენება მხოლოდ პრეფექტს შეეძლო დისციპლინის დარგში. შედარებით სუსტმა სიმკაცრემ განაპირობა და გავლენა მოახდინა გაკვეთილის დისციპლინის ფორმირებაზე.

აღსანიშნავია იეზუიტური სისტემის შემდეგი მახასიათებლები:

1. ხანგრძლივად და დიდი სიფრთხილით ხდებოდა მასწავლებელთა წვრთნა. კვალიფიკაციის მიხედვით, პირველ ადგილზე იდგა პროფესიული განათლება, სწავლის დასრულების შემდეგ მოსწავლე გადიოდა რელიგიის ორწლიან კურსს. მას უკვე ჰქონდა კვალიფიკაცია, რომ შესულიყო გაკვეთილზე და ესწავლებინა გრამატიკა და ლიტერატურა, ეს პერიოდი იწოდებოდა „მმართველობად“ და გრძელდებოდა დაახლოებით ხუთი წელი;

2. იეზუიტთა სკოლა იყო უფასო. ღარიბი ოჯახის შვილებისათვის მათი კარი ღია იყო;
3. განათლების ძირითადი მიზანი იყო მოემზადებინათ ახალგაზრდები პროფესიულად.

მათი მეთოდის ძირითადი მახასიათებლები მდგომარეობდა შემდეგში:

- ა) praelectio, რაც ნიშნავდა დაბალ კლასებში ამა თუ იმ ნაწყვეტის ახსნას, განმარტებების მიცემას, მაღალ კლასებში კი გამოიყენებოდა - ლექცია;
- ბ) დისკუსიები, განხილვა, შეჯიბრი, მეტოქეობა - ყველაფერი ეს გამოიყენებული იყო, როგორც სტიმულისა და ინტერესის განმავითარებელი საშუალებები;
- გ) მეხსიერების ძალების გულმოდგინე დამუშავება.
- დ) იეზუიტური განათლების სისტემის ძლიერი ორგანიზება და ერთიანობა. ეს არ იყო აღებული არც ერთი სხვა სისტემიდან, ეს იყო კონსტიტუციის ჩარჩოებში და Ratio Studiorum -ის ფარგლებში.

იეზუიტების საგანმანათლებლო მიზნები იყო სხეულისა და სულის განვითარება. „სტუდენტის ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარება არის სკოლის უმთავრესი მახასიათებელი. თუმცა, ეს განვითარება შესაძლოა გახდეს სახიფათო, თუ არ გავაძლიერებთ მას პიროვნების ხასიათის ფორმირებით. ჩვენ ვმართავთ მათ ინტელექტს, ვწვრთნით სურვილს და ვუყალიბებთ ხასიათს. ეს ის ძირითადი პრინციპებია, რომელითაც ყალიბდება პიროვნება (117).

იეზუიტები დიდ ყურადღებას უთმობდნენ მასწავლებელს და სწავლების მეთოდებს. მასწავლებელი მიაჩნდათ საგანმანათლებლო პროცესის ცენტრად. ის იყო მიმართულების მიმცემი, ის შთაბერავდა სულს სკოლას. „მასწავლებელი არის პიროვნება თიხით ხელში, რომელიც გამუდმებით იღებს მონაწილეობას მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში“. ამიტომაც თვლიდნენ, რომ ცუდმა მასწავლებელმა, რომელსაც აკლდა ცოდნა და დისციპლინა შესაძლოა უბედურებამდე მიიყვანოს მოსწავლე, ჩაუქროს სწავლის სურვილი. რის გამოც, ძალიან დიდი სიფრთხილე მართებდათ მასწავლებლებს. მოსაწყენი, მოუმზადებელი მასწავლებელი სკოლისათვის საზიანოდ მიაჩნდათ.

იეზუიტური განათლების მეთოდოლოგია მიმართული იყო იქითკენ, რომ გაეწვრთნა ადამიანი ფიქრისათვის, აზროვნებისათვის, რათა მას შეძლებოდა მოვლენების გაანალიზება, რომელიც დაეხმარებოდა რეალობის გააზრებაში და სწორად აღქმაში.

იეზუიტური სასწავლო გეგმის პრინციპით სწავლა უნდა ყოფილიყო ინტენსიური, უპირატესობას ანიჭებდნენ საგნების მცირე რაოდენობის სიღრმისეულად შესწავლას, ვიდრე, ზედაპირულად შეესწავლათ ბევრი საგანი.

იეზუიტები თვლიდნენ, რომ ლიტერატურა, ენა და ისტორია ყველაზე მნიშვნელოვანი რამ იყო უმაღლესი სკოლის დონისთვის. ძირითადი ყურადღება ამ საგნებზე იყო გადატანილი, თუმცა, ეს არ გულისხმობდა სხვა საგნების აბსოლუტურ გამორიცხვას. ისწავლებოდა უდიდესი კლასიკოსები, მოსწავლის სულის ფორმირების მიზნით. იეზუიტების სასწავლო გეგმა თანმიმდევრული იყო კლასიკოსების, ფილოსოფიისა და თეოლოგიის შესასწავლად.

იეზუიტები იყენებდნენ ლათინური ენის სწავლებისას „პირდაპირ მეთოდს“, რომელიც მიმართული იყო სხვა ენაზე საუბრის თავიდან აცილების მიზნით. ეს მეთოდი, უკავშირდება ენის სწავლის ბუნებრივ მეთოდს, რომელსაც ასევე წარმატებით იყენებდნენ სხვა კოლეჯებშიც.

იეზუიტები თავიანთ სწავლების მეთოდოლოგიას ეძახდნენ - „ცოდნის ფორმულას“. რომელიც გულისხმობდა თვითაქტივობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება ფიქრისა. სტუდენტთა ნაწილისათვის აქტიური ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში იწვევდა კრიტიკას. მასწავლებლების მოვალეობა არ იყო მხოლოდ ის, რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია და ესაუბრათ. მათ უნდა შეექმნათ სიტუაცია, რათა მოსწავლეებს ეფიქრათ და მასწავლებლები უნდა დაეხმარებოდნენ მათ ისე, რომ დამოუკიდებლად შეძლებოდათ აზროვნება.

საგნის ცოდნა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რომ გაკვეთილები მასწავლებლის მიერ საინტერესოდ იყოს დაგეგმილი და არა მოსაწყენად და მონოტონურად. ამიტომაც, იეზუიტები სწავლებას უწოდებენ „ინტერესის ხელოვნებას“. რთული საგნის სწავლების პროცესში იეზუიტი მასწავლებლები იყენებდნენ გაგებისა და ცოდნის პროგრესირების განცალკავებას.

იეზუიტური განათლების სისტემა იყენებდა დამატებით აქტივობებს სწავლაში. ერთ-ერთო აქტივობა იყო თამაში. ის ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იეზუიტურ სისტემაში, რომელიც ხელს უწყობდა რეალურ ცხოვრებასთან დაახლოვებას. იეზუიტების განათლება ზრუნავდა ფიზიკურ განათლებაზე. ფიზიკური განათლება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია კარგი საგანმანათლებლო სისტემისა. ღია ცის ქვეშ სპორტული აქტივობები დიდ როლს ასრულებს მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებაში, ეს ხელს უწყობდა მოსწავლეებში თვით-კონტროლის, სიმტკიცის, თვითდარწმუნების, სუბორდი-ნაციული და ინდივიდუალური იმპულსების განვითარებას. ფიზიკურ განათლებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იეზუიტურ საგანმანათლებლო სისტემაში (117).

მათ მნიშვნელოვანად მიაჩნდათ მოსწავლეების პიროვნების შესწავლა არა ზედაპირულად, არამედ საფუძვლიანად. მნიშვნელოვანი იყო დისციპლინა, ზედამხედველობა უნდა ყოფილიყო მუდმივი, მაგრამ ამავე დროს ფრთხილი. ფიზიკური სასჯელი კი მიუღებლად ითვლებოდა. მთლიანად არ უარყოფდნენ, მაგრამ ძალზედ იშვიათად მიმართავდნენ სასჯელის ამ ფორმას. კათოლიკური განათლების წარმატების გასაღები იყო ქრისტეს მსგავსად სიყვარული და არა შიში. მაკგუკენის წიგნში - „იეზუიტები და განათლება“, ვკითხულობთ, რომ დანაშაულის პრევენციას ანიჭებდნენ მეტ მნიშვნელობას, ვიდრე, შემდეგ მისაღებ ზომებს. ზოგადად, ისინი ცდილობდნენ მოსწავლეებზე გაემარჯვათ სიყვარულით და არა შიშით. მათი მიზანი იყო ამ გზით მოეხდინათ მოსწავლეთა მოტივაცია (117).

განსაკუთრებით, აღსანიშნავია კავშირი თანამედროვე პედაგოგიკასა და The Ratio Studiorum-ს შორის. ისეთი ცნობილი ფსიქოლოგები, როგორცაა ვიგოტსკი, პიაჟე, დიუი, და სხვ. მიუთითებენ მოსწავლის აქტიურ და თვით-მართულ, გამოცდილებით სწავლების მნიშვნელობაზე. სტუდენტთა წარმოდგენები და მონაწილეობა საკლასო ოთახში, ჯგუფური აქტივობები, იდეების გაცვლა, დასკვნის გამოტანა ფიქრის მეშვეობით, უმნიშვნელოვანესია თანამედროვე სწავლებაში. რასაც იეზუიტები ჯერ კიდევ ოთხი საუკუნის წინ აქტიურად იყენებდნენ თავიანთ პრაქტიკაში (93).

თამამად შეიძლება ითქვას, რომ იეზუიტები არიან ავტორები სტრუქტურულად, მეთოდოლოგიურად, შინაარსობრივად გამართული სწავლებისა, რომელიც მიმართული იყო სტუდენტის გონებებრივი, სულიერი და ფიზიკური განვითარებისაკენ.

როგორც უკვე ითქვა, პარიზის უნივერსიტეტის პრაქტიკულ გამოცდილებას დიდი ადგილი უკავია იეზუიტურ განათლებაში. სწორედ აქედან აიღო ი. ლოიოლამ და მისმა მიმდევრებმა **კლასის ფენომენი**, რომელიც დღეს ასე ახლობელი და ნაცნობია ჩვენთვის. პირველად, კლასი მოხსენიებულია პარიზის უნივერსიტეტის ნარატიულ წყაროებში 1539 წელს (107, გვ. 88). იეზუიტებმა კი ის გარდაქმნეს და მისცეს მას საფეხურებრივი დატვირთვა, რომელიც ხაზს უსვამდა სწავლისა და აკადემიური თვალსაზრისით მოსწავლეთა განსხვავებას.

ყველა კლასისათვის დადგენილი იყო კურიკულუმი, რომელიც განსაზღვრავდა შესასწავლ საკითხებს შესაბამის საფეხურზე მყოფი მოსწავლეებისათვის.

Ratio Studiorum-ში განსაზღვრული იყო სასწავლო დროები სეზონების მიხედვით. პროვინციებში სწავლება წლის ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე საათზე უნდა დაწყებულიყო და დამთავრებულიყო. სასწავლო კალენდარით მეცადინეობა და დასვენებები მკაცრად უნდა დაცულიყო. დასვენებებს, რელიგიურ დღესასწაულებსაც ამთხვევდნენ (103, გვ. 11).

თეოლოგიის კურსის სტუდენტებისათვის ლექციის დრო განსაზღვრული იყო ორმოცდახუთი წუთით, თუ კურსი იყოფოდა და ორი ლექტორი ასწავლიდათ, ხოლო თუ ერთი კითხულობდა, მაშინ ერთი საათი. შესვენება იყო ყოველი ლექციის შემდეგ.

სასწავლო გეგმის ერთ-ერთი თავი „ნორმა პროვინციებისათვის/Rules of The Provincial“ არეგულირებდა საკლასო ოთახის მოწესრიგებას ავეჯით და სხვა საჭირო ინვენტარით. ასევე, უზრუნველყოფილი იყო საჭირო სასწავლო ლიტერატურით სასწავლებლის ბიბლიოთეკები.

იეზუიტურ კოლეჯებში, იტალიასა და გერმანიაში, ასობით ათასი, ათიდან თექვსმეტ წლამდე ბიჭი სწავლობდა.

ამრიგად, 1599 წელს იეზუიტებმა შექმნეს უნიკალური სასწავლო გეგმა, სადაც გაწერილი იყო კოლეჯების მართვის, მასწავლებლის უფლება-მოვალეობების,

სწავლების შინაარსის, სწავლების მეთოდების, მიზნების, ლექციის/გაკვეთილის დროის, სწავლის დაწყების, დასრულების, დასვენებების და სხვათა შესახებ.

იეზუიტური მეთოდოლოგია მიმართული იყო იმისაკენ, რომ მოსწავლეებს ესწავლათ თვითაქტივობა, ფიქრისა და აზროვნების საფუძველზე დაწყვეტილებების მიღება, სწავლებაში გამოიყენებოდა თამაშის ელემენტები.

იეზუიტებმა პარიზის უნივერსიტეტიდან გადმოიღეს საკლასო სისტემა, რომელიც დღეს ასე ახლობელი და ნაცნობია ჩვენთვის. პირველად კლასი მოხსენიებულია პარიზის უნივერსიტეტის ნარატიულ წყაროებში 1539 წელს, იეზუიტებმა კი ის გარდაქმნეს და მისცეს მას საფეხურებრივი დატვირთვა, რომელიც ხაზს უსვამდა სწავლისა და აკადემიური თვალსაზრისით მოსწავლეთა განსხვავებას.

საკმაო მასალა არსებობს იმისა, რომ სასწავლო პროცესი იეზუიტურ სკოლებში სასკლასო-საგაკვეთილო ფორმით მიმდინარეობდა.

იეზუიტების საგანმანათლებლო გეგმა, უნიკალურია. მათ სწავლება-სწავლების ტექნოლოგიები, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტები იმ დონეზე აიყვანეს, რომ დღეს ის ტოლს არ უდებს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს.

სწავლების ორგანიზაციის ტექნოლოგიის სრულყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის იეზუიტურ განათლების სისტემას, მათ თანმიმდევრული, იერარქიული, სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სახე მისცეს განათლებას.

## **§ 2. სწავლებისა და სწავლის მიდგომა ტრადიციულ განათლებაში**

სწავლების ტრადიციული მოდელი საკმაოდ გავრცელებული და ძველი მიმართულებაა. მან გამოხატულება ჰპოვა კლასიკურ გერმანულ სკოლაში და მისი ანალოგიით შექმნილ, ჯერ მეფის რუსეთის, მერე კი საბჭოთა სკოლაში. ხოლო განვითარების აპოგეას საბჭოთა კავშირის განათლების ისტორიაში მიაღწია.

გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის საყოველთაო ფორმად ჩამოყალიბების ფუძემდებელია ჩეხი პედაგოგი იან ამოს კომენსკი (1592-1670). მან



პირველმა მოგვცა ბავშვთა სწავლების თანმიმდევრული პრინციპები და წესები. კომენსკის დიდაქტიკა, როგორც მეცნიერება, ეყრდნობოდა სწავლების ბუნების შესაბამისობის პრინციპს, რომელიც გულისხმობდა გარკვეულიყო სწავლებაში „საგნების ბუნებრივი ხასიათი“, რათა სწავლება წარმართულიყო არა წიგნების საშუალებით, არამედ ბუნებასთან და გარე სამყაროსთან უშუალო კავშირით, საგნებზე დაკვირვებით, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შესწავლით, მოსწავლეთა უნარების შესაბამისი სწავლების ხერხების გამოყენებით“ (48, გვ. 321).

კომენსკიმ აღმოაჩინა სწავლების ორი მხარე - ობიექტური (სწავლების კანონები) და სუბიექტური (ამ კანონების ოსტატურად გამოყენება). მან სწავლების ხელოვნებას ჩაუყარა საფუძველი.

კომენსკის ერთ-ერთ დამსახურებად ითვლება სწავლების ბუნების ახსნა. მან სწავლებაში სინამდვილის ასახვის თავისებურებებიდან გამოყო სწავლების პროცესი და მისი კანონზომიერება დააფუძნა, შემეცნების პროცესის კანონზომიერებაზე, კერძოდ, მატერიალისტური ემპირიზმის გნოსეოლოგიურ საწყისებზე და ბუნების შესაბამისობის პრინციპზე დაყრდნობით. კომენსკის მოძღვრებიდან, სწავლების ბუნებასა და კანონზომიერებაზე, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი შეხედულებანი სწავლების საფეხურების შესახებ, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სწავლების პროცესის არსთან და მისი კანონზომიერების საკითხთან. კომენსკიმ მოგვცა ამ საფეხურების ანალიზი. მან ყოველ სწავლებაში სამი საფეხური გამოყო: დასაწყისი, გაგრძელება და დასასრული. კომენსკი ამტკიცებდა, რომ სწავლის პროცესში გადამწყვეტ როლს გრძნობადი აღქმა ასრულებდა, რომელიც მატერიალისტურ ემპირიზმს ეფუძნება, და რომ ადამიანის ცნობიერებამდე ჯერ შეგრძნება არის.

გრძნობადი აღქმა შეესაბამება პირველ საფეხურს. ამ საფეხურს თანმიმდევრულად მოსდევს აღქმულის შესახებ მასწავლებლის სიტყვიერი ახსნა-განმარტება, შედარებები, განზოგადებები, აბსტრაქტები. ამ საფეხურზე მუშავდება ის, რაც გრძნობადი ორგანოების საშუალებით აისახა მოსწავლეთა ცნობიერებაში. ამ საფეხურს კომენსკი გაგრძელების ან განმარტების, მეორე საფეხურს უწოდებს.

კომენსკის მიხედვით, ცოდნა მაშინაა სრული, როცა ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად მტკიცეა. სწავლების ამ საფეხურს კომენსკი ვარჯიშობის საფეხურს - მესამე საფეხურს უწოდებს.

კომენსკის მიხედვით, სწავლების პირველ საფეხურს ემსახურება გარეგანი გრძნობები (მხედველობა, სმენა, გემოვნება, ყნოსვა და შეხება); მეორე საფეხურს გონება; მესამე საფეხურს მეხსიერება (48, გვ.262).

იან ამოს კომენსკიმ წამოაყენა სწავლების თვალსაჩინოების პრინციპი, რაზედაც დააფუძნა მთელი სწავლების პრინციპი. კომენსკის აზრით, შემეცნების დასაწყისი ყოველთვის შეგრძნებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, სწავლება უნდა იწყებოდეს არა სიტყვიერი განმარტებებით - საგნების შესახებ, არამედ, თვით საგნებზე რეალური დაკვირვებით.

კომენსკი მოითხოვდა, რომ სწავლება წარმართულიყო სისტემატურად, ცოდნის შეგნებულად და მტკიცედ დაუფლებით. შესასწავლი მასალა უნდა ყოფილიყო მოსწავლესათვის მისაწვდომი. სწავლების მისაწვდომობა კი მოითხოვდა მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებებისა და ასაკის გათვალისწინებას. სწავლება უნდა წარმართულიყო მარტივიდან რთულისაკენ, კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ.

კომენსკი ასევე მოითხოვდა ცოდნის მტკიცედ დაუფლებას, რაც გულისხმობდა შესასწავლი მასალის შეგნებულად, გააზრებულად და მტკიცედ შეთვისებას.

იან ამოს კომენსკის მიერ ფორმულირებული სწავლების დიდაქტიკური პრინციპები დღესაც მნიშვნელოვანია განათლებაში.

ი. ა. კომენსკის იდეები და შეხეულებები, მოგვიანებით რუსეთში განავრცო და ახალი ძალა მისცა ცნობილმა რუსმა პედაგოგმა კ. დ. უშინსკიმ (1824-1870).

კ. უშინსკიმ სწავლება გამოაცხადა აღზრდისა და განვითარების უმთავრეს საშუალებად. სწავლება „აღზრდის მთავარ ორგანოდ“ მისი აზრით, მაშინ გადაიქცევა, თუ სწავლების შინაარსი აღზრდისა და განვითარების მიზნის შესაბამისად იქნება შერჩეული. კლასიკური საგნების სწავლებასთან ერთად, ის დიდ ადგილს უთმობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგებს, რომელთა შესწავლა ხელს შეუწყობს მოზარდი თაობის ცხოვრებისათვის მომზადებას.

კ. უშინსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აღმზრდელით სწავლებას. სწავლება მას მიაჩნდა ცოდნის, ზნეობრივი და დადებითი პიროვნული თვისებების ჩამოყალიბების საშუალებად. ერთ-ერთი მნიშვნელოვან პრინციპად, ის თვლიდა ბუნების შესაბამისობას, რომელიც გულისხმობს სწავლების წარმართვას ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ბუნების შესაბამისად. სწავლების პროცესში უნდა ხდებოდეს ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება. სწავლა უნდა იწყებოდეს ისეთ ასაკში, როცა ბავშვი საამისოდ არის მომწიფებული. მან პედაგოგიური თვალსაზრისით განიხილა სწავლების პროცესის ისეთი ფსიქოლოგიური ფაქტორები, როგორცაა: ყურადღება, მეხსიერება, აზროვნება, ნებისყოფა, ემოციები და სხვ. იგი ღრმა მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრავს თითოეულის როლსა და მნიშვნელობას სწავლებისა და სწავლის საქმეში.

კ. უშინსკიმ შეიმუშავა სწავლების ახალი პრინციპები: შეგნებულობისა და აქტიურობის, თანმიმდევრობისა და სისტემატიურობის, თვალსაჩინოების, მისაწვდომლობისა და დასაძლევობის პრინციპები. მისი შეხედულებები სწავლების პრინციპების შესახებ გაფანტულია მის ნაშრომებში. უშინსკიმ განავითარა და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანა კომენსკის მოძღვრება სწავლების საკლასო - საგაკვეთილო სისტემის შესახებ. მისი აზრით, გაკვეთილი საშუალებას იძლევა, მასწავლებელმა გამოიყენოს სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები და ერთმანეთს შეუთანხმოს სასწავლო მუშაობის სახეები: ახალი მასალის ახსნა, მისი განმტკიცება ვარჯიშის გზით, განვლილი მასალის განმეორება, წერითი სამუშაოების შესრულება, ცოდნა-ჩვევების შემოწმება-შეფასება. იმის მიხედვით, თუ რა ძირითადი დიდაქტიკური ამოცანა დგას გაკვეთილზე, უშინსკი ახდენდა გაკვეთილების კლასიფიკაციას (30, გვ.40).

კ. უშინსკი, ფორმალური და მატერიალისტური თეორიის შესწავლის შედეგად მივიდა დასკვნამდე, ფორმალური და მატერიალური განათლება განაპირობებს ერთმანეთს, რომ სწავლება ხდება ფაქტების მრავალფეროვნებითა და მათი გადამუშავებით. რაც გულისხმობს კავშირს შესასწავლი მასალის შეგნებასა და შეგნების შედეგად გამოწვეულ ცვლილებებს (განვითარებას) შორის (49, გვ. 114).

ტრადიციულ განათლებაში სწავლების არსისა და კანონზომიერების განმარტება ეყრდნობა მატერიალისტურ დიალექტიკას, შემეცნების-გნოსეოლოგიურ თეორიას, რომლის მიხედვით, შემეცნების პროცესი ობიექტური რეალობის ასახვაა ადამიანის ცნობიერებაში. უშუალო კავშირს ობიექტურ სინამდვილესა და ადამიანის ცნობიერებას შორის, შეგრძნება წარმოადგენს. სწავლა, ისე როგორც შემეცნება, ობიექტურ რეალობას-მატერიას, ბუნებას, ყოფიერებას ასახავს, იმის ცნობიერებაში, ვინც მას სწავლობს, ოღონდ თავისებური სახით. სწავლების მიზნად შემეცნების შედეგად დაგროვებული ცოდნის გადაცემა ითვლება (47, გვ. 15).

გაკვეთილზე, მოსწავლის მიერ ცოდნის ათვისებას სპეციფიკური ხასიათი აქვს და გამოიხატება არა ახალი იდეებისა და ცოდნის აღმოჩენაში, არამედ, უკვე მიღწეულის გაგებაში, დამახსოვრებასა და პრაქტიკულად გამოყენებაში.

ტრადიციული პედაგოგიკის სისტემა ორიენტირებულია ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთქმედებაზე: მოსწავლე - გავლენის ობიექტი, მასწავლებელი - მმართველი. პედაგოგიური პროცესი გამოირჩევა როლების ურთიერთქმედებით, ერთ მხარეს მასწავლებელია, რომელიც გადმოსცემს პროგრამულ მასალას, მეორე მხარეს კი მოსწავლე, რომელიც ასრულებს მასწავლებლის მითითებას, ისმენს ყურადღებით, იმახსოვრებს მასწავლებლის ნათქვამს.

დ. ლორთქიფანიძის აზრით, სწავლება არის: „მოსწავლეზე მასწავლებლის ზემოქმედების მიზნობრივად მიმართული ორგანიზებული პროცესი. ეს პროცესი ძირითადად მიმდინარეობს გაკვეთილზე და მას პედაგოგიური პროცესი ეწოდება. ამ პროცესის ცოცხალი კომპონენტები არიან მასწავლებელი და მოსწავლეები, ხოლო მათ შორის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი მასწავლებელს ეკუთვნის. ის ამ პროცესის გულსა და სულს წარმოადგენს“ (47, გვ. 7).

პედაგოგიურ პროცესში მასწავლებელი გადასცემს გარკვეულ ცოდნა-ჩვევათა ჯამს, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ. სწავლება არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის გარკვეულ ცოდნა-ჩვევათა გადაცემისა და მოსწავლეთა მიერ მასწავლებლისაგან გადაცემულის შეთვისების ორგანიზებული, ერთიანი პროცესი.

„გადაცემა“ და „შეთვისება“, ერთიანი აქტიური პროცესია და მისი აღმნიშვნელი ცნება არის სწავლება. სწავლა ამ ერთიანი პროცესის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს

და იგი გადაცემულის შეთვისების პროცესია, დასწავლა კი სწავლის კონკრეტული მხარეა, მიმართული გაგებულის, გააზრებულის მტკიცედ შეთვისებისკენ. ასე განმარტავდა საბჭოთა პედაგოგიკა სწავლების არსს.

- ტრადიციულ განათლების მოდელში სწავლება-სწავლის პროცესის ამოცანები ასეა წარმოდგენილი:
- მოსწავლის სასწავლო აქტიურობის სტიმულირება;
- შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზება;
- მოსწავლეთა აზროვნებისა და შემეცნების განვითარება;
- მეცნიერული მსოფლმხედველობისა და ზნეობრივ-ესთეტიკური კულტურის გამომუშავება;
- სასწავლო უნარებისა და ჩვევების სრულყოფა (136, გვ. 87).

მოსწავლეთა წარმატების საფუძვლად, სწავლასა და შემოქმედებით საქმიანობაში, მიჩნეულია ინდივიდუალური მახასიათებლები. ეს მახასიათებლები შეიძლება იყოს საერთო და სპეციალური. საერთო მახასიათებლებს მიაკუთვნებენ ბავშვის ისეთ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებს, როგორცაა: შრომისმოყვარეობა, მონდომება, მიზანდასახულობა სირთულეების დაძლევისას და ა. შ. სპეციალური მახასიათებლები კი ვლინდება სხვადასხვა სახის საქმიანობისას. მიუხედავად იმისა, რომ საერთო და სპეციალურ მონაცემებს სხვადასხვა სპეციფიკა აქვს, ისინი მაინც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან (136, გვ. 88).

სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის აუცილებელია შიდა სტრუქტურული კომპონენტების გათვალისწინება. გამოყოფენ შემდეგ კომპონენტებს: მიზნის, ინტერესის, ოპერატიულ-სამოქმედო, ემოციურ-ნებელობითი, საკონტროლო-მარეგულირებელს, შეფასებით-შედეგობრივს.

მასწავლებელმა სწავლების პროცესში უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდური ხერხები და საშუალებები, რომლებიც კავშირშია სასწავლო მასალასთან და მიზანთან.

- მასწავლებლის სასწავლო საქმიანობა ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს:
- მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა;
- მოსწავლეთა ცოდნისა და სასწავლო საქმიანობის მოტივების ფორმირება;
- შესასწავლი მასალის შინაარსის განსაზღვრა;

- მოსწავლეში სასკოლო-შემოქმედებითი საქმიანობის ორგანიზება;
- სასწავლო პროცესისადმი ემოციურ-ნებელობითი ხასიათის მიცემა;
- მოსწავლეთა საქმიანობის რეგულირება და კონტროლი;
- მოსწავლეთა სასწავლო საქმიანობის შედეგების შეფასება;
- მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი საქმიანობა კი შემდეგი მიმართულებით მიმდინარეობს:
- სასწავლო საქმიანობის მიზნებისა და ამოცანების გაგება-გათვითცნობიერება;
- ცოდნისა და უფლებისა და სასწავლო საქმიანობის გაღრმავება;
- ახალი მასალის თემის გააზრება, მასალის ათვისებასთან დაკავშირებული კითხვების დასმა;
- სასწავლო მასალის აღქმა, გააზრება, დამახსოვრება, პრაქტიკაში ცოდნის გამოყენება;
- სასწავლო საქმიანობისადმი დადებითი ემოციური დამოკიდებულება, ნებელობითი დამოკიდებულების ჩამოყალიბება (136, გვ. 89).
- თვითკონტროლი და კორექტივების შეტანა სასწავლო საქმიანობის გაუმჯობესებაში.

სასწავლო პროცესის ორგანიზება დაკავშირებულია მიზნის ჩამოყალიბებაზე. მოსწავლემ მიზანი უნდა გაითავისოს და მიიღოს.

სწავლების მიზნის პრაქტიკული განსაზღვრა პედაგოგისაგან საფუძვლიან გააზრებას მოითხოვს. მიზნები შეიძლება იყოს საგანმანათლებლო (ცოდნის დაუფლება, უნარ-ჩვევები), განმავითარებელი (გონების განვითარება, მეხსიერება, შემოქმედებითი უნარები) და აღმზრდელობითი (ზნეობრივი და ესთეტიკური კულტურა). აქედან გამომდინარე, როცა მასწავლებელი განსაზღვრავს სასწავლო მიზანს, მან დეტალურად უნდა განიხილოს, რა კონკრეტული მიზანი/მიზნები აქვს და შეუთანხმოს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

შესასწავლი მასალის ათვისება და მოსწავლეთა გონებრივი განვითარება მოსწავლის აქტიური სასწავლო შემოქმედებითი საქმიანობისას ხდება. იმისათვის, რომ მოსწავლეს გაუჩნდეს სწავლისადმი მოთხოვნა, საჭიროა ინტერესი შესასწავლი მასალისადმი.

მოსწავლეთა მოთხოვნების, ინტერესის ჩამოყალიბებაზე ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და მეთოდური საშუალებების ერთობლიობა მოქმედებს. მათი საშუალებით მოსწავლეებს უჩნდებათ შინაგანი დაპირისპირებულობის განცდა შესწავლილისა და შესასწავლის, ანუ ცოდნასა და არცოდნას შორის, რაც მოსწავლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სწავლაში.

ი. ხარლამოვი მოსწავლეში სწავლების მოთხოვნების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ფაქტორად მასწავლებლის პიროვნებას, მის ერუდირებულობასა და სწავლების ოსტატობას მიიჩნევს. როცა მასწავლებელი ღრმად და კარგად ფლობს საგანს, სწავლებისას იყენებს საინტერესო დეტალებსა და ფაქტებს, ეს მოსწავლეთა აღფრთოვანებას იწვევს. ამ დროს მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ მიბადვის ფსიქოლოგიური მექანიზმი და ისინი განიცდიან შინაგან წინააღმდეგობას მიღწეულსა და ცოდნის აუცილებელ (მისაღწევ) დონეს შორის, ეს უბიძგებს მათ აქტიური სწავლისკენ.

სწავლის მოთხოვნების ჩამოყალიბებაში გარკვეული ადგილი უჭირავს მასწავლებლის კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას მოსწავლისადმი, რაც ემყარება პატივისცემასა და მომთხოვნელობას. მასწავლებლის კეთილგანწყობა იგივე დამოკიდებულებებს იწვევს მოსწავლეში, როგორც მასწავლებლის, ისე საგნის მიმართ. მასწავლებლის მომთხოვნი დამოკიდებულება მოსწავლეს უბიძგებს სირთულეების დაძლევისაკენ. თუ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ყალიბდება ნეგატიური ურთიერთობები, მაშინ შეემცნებთი საქმიანობა უშედეგოა.

მოსწავლის მიერ სწავლის მოთხოვნების ჩამოყალიბებაში, მნიშვნელოვანია მეთოდური ხერხები და საშუალებები, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. მაგ.: თვალსაჩინოება, ტექნიკური საშუალებები და ა.შ. (136. გვ. 91).

მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს სასწავლო მასალის შინაარსი. ახალი მასალის გადაცემისას უნდა გამოიყოს შეკითხვები, რომლებიც დააკავშირებს ახალ მასალას უკვე ნასწავლთან. ის ხელს უწყობს მოსწავლის მომზადებას ახალი მასალის ასათვისებლად. ამისათვის მასწავლებელმა საფუძვლიანად და დამაჯერებლად უნდა წარმოადგინოს შესასწავლ მასალაში არსებული მსოფლმედველობა, ზნეობრივ-

ესთეტიკური იდეები; აჩვენოს შესასწავლი მასალის მნიშვნელობა და კავშირი ყოფით პირობებთან. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა დაიყვანოს თემა მოსწავლემდე.

ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული მასალიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესის წარმატებისათვის აუცილებელია, სწავლების პრინციპებისა და კანონზომიერებების გათვალისწინება, რომლის საფუძველზეც ხორციელდება სწავლის პროცესი, ესენია:

- სწავლების მიმართვა პიროვნების ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარებისკენ;
- მოსწავლეთა მოტივაციისა და სასწავლო-შემეცნებითი აქტივობების ერთობლიობა;
- მოსწავლისადმი პატივისცემისა და მომთხოვნელობის გამოხატვა;
- შესაძლებლობებისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება;
- ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება;
- სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მხარდაჭერა.

სწავლების სპეციფიკურ კანონზომიერებებიდან გამოიყოფა შემდეგი:

- **სწავლების სამეცნიერო და ფილოსოფიური საფუძვლები.** სკოლაში სწავლებას უნდა ჰქონდეს მეცნიერული საფუძვლები. მასწავლებელმა უნდა წარმოაჩინოს საგნისა და თითოეული გაკვეთილისათვის შერჩეული სასწავლო მასალის მეცნიერული მსოფლმხედველობა;
- **სწავლების პრობლემურობა.** სწავლისას მოსწავლეები აწყდებიან პრობლემებს, კითხვებს, ამოცანებს, რომლებიც მათ უნდა გადაჭრან. ამის გამო, მათ უჩნდებათ მოთხოვნილება, რაღაც გადაწყვიტონ, უპასუხონ შეკითხვებს. ისინი ისწრაფვიან ძიებისაკენ, აღმოჩენისაკენ, გააზრებისა და ახალი მასალის ათვისებისაკენ;
- დაკვირვებითი/თვალსაჩინო სწავლება წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც მოსწავლე აღივამს გარე სამყაროს. ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, თუ კი ის ეფუძნება საგნისა და მოვლენის უშუალო დაკვირვებას (47). დაკვირვებით/თვალსაჩინო სწავლება ემყარება ბავშვის აზროვნების განსაკუთრებულობას, რომელიც ვითარდება კონკრეტულიდან აბსტრაქტულისაკენ. განვითარების მაღალ საფეხურზე აზროვნების განვითარება



არ შეიძლება მოწყდეს კონკრეტულ ფაქტებს. თვალსაჩინოება ამაღლებს მოსწავლეთა ინტერესს ცოდნისადმი და აადვილებს სწავლის პროცესს. ბევრი რთული თეორიული მტკიცებულება უფრო მარტივად გასაგები გახდება მოსწავლისათვის. ტრადიციული განათლება აქტიურად იყენებს დაკვირვებით/თვალსაჩინოებით სწავლებას. მით უფრო, თანამედროვე პირობებში თვალსაჩინოება უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილია, ვიდრე წინა წლებში იყო. თვალსაჩინოებას მიეკუთვნება რეალური საგნები, სხვადასხვა საგნების მოდელები, ილუსტრირებული საშუალებები (სურათები, ნახატები, ფოტოსურათები); გრაფიკული სქემები, დიაგრამები, ცხრილები; სასწავლო კინოფილმები, პრეზენტაცია და სხვ. ტექნიკური საშუალებები დიდ როლს თამაშობს თვალსაჩინო სწავლების მრავალფეროვნებაში. ტექნიკური საშუალებებით თვალსაჩინოების გამოყენება ორმაგ დატვირთვას ატარებს სწავლების თვალსაზრისით. ერთის მხრივ, ისინი ახალი ცოდნის წყაროს წარმადგენენ, ხოლო, მეორეს მხრივ მოსწავლეთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას უწყობენ ხელს;

- **მოსწავლეთა აქტიურობა.** მოსწავლეთა აქტიურობა, სასწავლო პროცესში, დაკავშირებულია დიდაქტიკურ კანონზომიერებასთან. ამ კუთხით ყურადღება ექცევა სწავლების სხვადასხვა მეთოდების სწორ შერჩევასა და გამოყენებას. რადგან, მათ უნდა გაუღვივონ მოსწავლეს ინტერესი და მოთხოვნილება სწავლისადმი. მოსწავლემ უნდა შეძლოს დამოუკიდებლად ახსნას ესა თუ ის ბუნებრივი მოვლენა, დაუსვას კითხვები მასწავლებელსა და საკუთარ თავს და დამოუკიდებლად გასცეს პასუხი (136, გვ. 107).
- **სწავლების მისაწდომობა.** ეს კანონზომიერება ითვალისწინებს სწავლების პროცესში მოსწავლის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. ინფორმაცია, რომელიც მიეწოდება მათ, არ უნდა იყოს რთული. ყურადღება უნდა მიექცეს მასალის რაოდენობას, რადგან, დიდი მოცულობის მასალაზე მუშაობა იწვევს გადაღლას და ართულებს ათვისების პროცესს. შესასწავლი მასალა თანდათან უნდა რთულდებოდეს. სწავლების მისაწდომობა უკავშირდება სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, რომლებიც უნდა იყოს

პრაქტიკული და გარკვეული ცოდნის მომცემი. შესასწავლი მასალის მისაწვდომობაზე საუბრისას, ყურადღების გარეშე არ რჩება მოსწავლეთა აზროვნება და მეხსიერება. თუ კი მოსწავლეს უჭირს მასალის ათვისება, საჭიროა ხელახლა დაუბრუნდეს მასწავლებელი მასალას, აღმოუჩინოს მოსწავლეს ინდივიდუალური დახმარება. არიან ისეთებიც, რომლებიც ნელა ითვისებენ. ასეთ დროს, პროცესის აჩქარება საჭირო არ არის. მასწავლებელმა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სუსტი მეხსიერება აქვთ, ხშირად უნდა გაამეორებინონ ნასწავლი მასალა;

- **სწავლების თანმიმდევრობა და სისტემატურობა.** ტრადიციული სწავლება, ამ კანონზომიერებას, ისე როგორც თითქმის ყველა სხვა შემთხვევაში, ი. კომენსკისა და კ. უშინსკის სწავლების პრინციპებზე ამყარებს. ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის მომზადება მოითხოვს ისეთ სწავლებას, რომელიც უზრუნველყოფს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში მოსწავლეთათვის ცოდნის თანმიმდევრულ მიცემას (47);
- **სწავლების მდგრადობა.** ცოდნა-ჩვევების სრულფასოვნების მაჩვენებელია არა მარტო ის, თუ რამდენად გააზრებული და გაცნობიერებულია ეს ცოდნა-ჩვევა მოსწავლის მიერ, არამედ ისიც, თუ რამდენად ღრმად, საფუძვლიანად და მტკიცედ აქვს შეთვისებული ის მოსწავლეს;
- **სწავლებაში საგანმანათლებლო, განმავითარებელი და აღმზრდელობითი ფუნქციების ერთობლიობა:** სწავლების საგანმანათლებლო ფუნქცია გულისხმობს სწავლების პროცესის წარმართვას ისე, რომ უზრუნველყოფილი იქნას მოსწავლეთა მიერ იმ მოცულობის ცოდნისა და ჩვევების შეთვისება, რაც აუცილებელია ყოველმხრივ განათლებული ადამიანისათვის. სწავლების განმავითარებელი ფუნქცია გულისხმობდა სწავლების საშუალებით ადამიანის თანდაყოლილი ფიზიკურ-ბიოლოგიური და ფსიქიკური უნარების განვითარებას სასურველი მიმართულებით. ამ მხრივ, განსაკუთრებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ისეთი უნარების განვითარებას, როგორცაა: მეხსიერების, აზროვნების, წარმოსახვის, ემოციის, ინტერესის, განსაკუთრებული ნიჭის და სხვა უნარები. სწავლების აღმზრდელობითი ფუნქცია მდგომარეობს მოსწავლის მეცნიერული

მსოფლმხედველობის ფორმირებაში, მორალური, ესთეტიკური და ფიზიკური განვითარებისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებაში (47).

სწავლებაში მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური ფაქტორები: ყურადღება, ინტერესი, შემეცნება, აღქმა.

ინტერესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტია, რომელიც განსაზღვრავს რაიმეს გაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილს. შესაბამისად, სწავლებაში ინტერესი განაპირობებს კონკრეტული საგნის გაცნობისა და შესწავლის სურვილს. როგორც კი ინტერესი შეიქმნება, იწყება ახალი ეტაპი-სწავლის პროცესი.

სწავლების პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ყურადღებას. მოსწავლეზე მუდმივად მოქმედებს მრავალი სხვადასხვა სტიმული, რის გამოც, მისი ცნობიერება ვერ შეძლებს საკმარისი სიღრმადით აითვისოს ყველა ეს ობიექტი. ამ ობიექტებიდან მოსწავლემ უნდა ამოარჩიოს ისეთები, რომელიც მისთვის საინტერესოა, მის მოთხოვნებსა და ცხოვრების გეგმებს შეესაბამება. ყურადღება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქიკური ფუნქციაა, რომელიც მოიცავს მოსწავლის შემეცნებითი საქმიანობის ფოკუსსა და მასზე კონცენტრაციას, აღქმასა და მეხსიერებას, აზროვნების გააქტიურებას. ამიტომ, მნიშვნელოვანია გაკვეთილზე შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს მის შენარჩუნებასა და განვითარებას. ყურადღების საშუალებით ხდება მოსწავლის მიერ გაკვეთილზე პრიორიტეტების განსაზღვრა: მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი. ყურადღება არის რთული მრავალმხრივი ფსიქიკური პროცესი, რომელიც გონებრივი საქმიანობის დაუფლების წინაპირობაა (135).

შემეცნებითი პროცესი მოითხოვს აღქმის ორგანოების ჩართვას. კ. უშინსკი ამბობდა, რომ „ცოდნა მით უფრო სრულყოფილი და მყარია, რაც უფრო მეტი გრძნობათა ორგანოების საშუალებით აღიქმება ის“. აღქმა ადამიანის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა, ამიტომ, როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, აღქმაშიც თვითაღმქმელი პიროვნების შინაგანი მდგომარეობა, მისი გამოცდილება, მისი მისწრაფებები, მისი მოთხოვნილებები და ინტერესები ვლინდება და გარკვეულ გავლენას ახდენს აღქმაზე. აღქმა არ არის საგნის სარკისებური, პასიური და სრულიად ობიექტური, უცვლელი ასახვა. გარკვეულ ფარგლებში იგი

პიროვნებისეულ ხასიათს ატარებს. ერთსა და იმავე მოვლენას სუბიექტი გარკვეულ ფარგლებში განსხვავებულად აღიქვამს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გამოცდილება ამ მოვლენის მიმართ, რა იცის მის შესახებ, რა აინტერესებს მას ამ მოვლენაში, როგორ არის ამ მომენტში განწყობილი (33, გვ. 77).

ასე რომ, ტრადიციული განათლების კონცეფცია მხარს უჭერს მემკვიდრეობით დატოვებული მეცნიერული ცოდნის გადაცემას, ფაქტების დამახსოვრებას, მასწავლებლის ავტორიტეტსა და ფორმალური სწავლების მეთოდებს.

### **§ 3. ტრადიციული გაკვეთილის დიდაქტიკური მოდელი**

ტრადიციულ პედაგოგიკაში მიჩნეულია, რომ გაკვეთილი ყველაზე ხელსაყრელი ფორმაა სწავლებისათვის, ის ხელს უწყობს მოსწავლის შესაძლებლობების განვითარებასა და გამოყენებას, უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კლასგარეშე სამუშაოს სრულფასოვან შესრულებას. საგაკვეთილო დროს ხდება მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობა, მასწავლებელი ხელმძღვანელობს და აკონტროლებს კლასის ყველა წევრის საქმიანობას, მათ შორის ურთიერთობებსა და დისციპლინას. ტრადიციულ პედაგოგიკაში გაკვეთილის, როგორც სწავლების ორგანიზაციის ფორმის მკაფიო კრიტიკა გამოიწვია XX საუკუნის დასავლურ და ამერიკულ განათლებაში მიმდინარე რევოლუციურმა განწყობამ ტრადიციული განათლების წინააღმდეგ. კონკრეტულად ე. პარკხესტრის, ჯ. დიუის, მ. მონტესორისა და სხვათა მიერ სწავლების ორგანიზაციის ფორმების, მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული ტრადიციების უაყოფით, ახალი გზების ძიებითა და სიახლეების დანერგვით. ამ ფონზე ტრადიციული პედაგოგიკა განსაკუთრებით ცდილობს გაკვეთილის როლის ხაზგასმას.

ტრადიციულ განათლებაში გაკვეთილი მხოლოდ სწავლების გარეგან ფორმად არ არის მიჩნეული. სპეციალისტების აზრით, აქ ხდება მოსწავლის შინაგანი და გარეგანი მოტივირების პროცესი, ყურადღებისა და ინტერესის გამოწვევა,

შენარჩუნება, სწავლისადმი განწყობის შექმნა. სწავლების ფსიქოლოგიური და მეთოდოლოგიური, ტექნიკური და პრაქტიკული მახასიათებლები გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე ნაწილდება.

ი. ა. კომენსკის მოძღვრებები საფუძვლად უდევს გაკვეთილის ფუნქციურ და მეთოდოლოგიურ კანონზომიერებებს. ი. კომენსკის მიერ განსაზღვრული მახასიათებლები დღეს, ისე ბუნებრივად არის დამკვიდრებული, ალბათ ძნელი წარმოსადგენია, რომ ჯერ კიდევ XVII საუკუნეში სწავლების საგაკვეთილო ფორმა რომ არ არსებობდა და სწავლებას ძირითადად ინდივიდუალური მეცადინეობის ფორმა ჰქონდა.

მასწავლებელი სწავლების პროცესს ახორციელებს გაკვეთილზე, წარმატებული გაკვეთილის წინაპირობად, სწავლების დაგეგმვა ითვლება. მასწავლებლის მიერ სწავლების დაგეგმვა უზრუნველყოფს ცოდნის გააზრებულად ათვისებას, ცოდნის სისტემურობასა და თანმიმდევრულობას, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული ჩვევების ერთიანობას, მოსწავლეთა კოლექტიური და ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზაციას.

დიდაქტიკის მიერ, გაკვეთილის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ასე გამოიყურება:

- გაკვეთილი გამართული უნდა იყოს მეცნიერულად.
  - ა) მასწავლებელი ფლობდეს მის საგანსა და სწავლობდეს სიახლეებს;
  - ბ) სწავლების შინაარსი და მასალა იყოს თანმიმდევრული სასწავლო გეგმებისა და მეცნიერული თვალსაზრისით.
- გაკვეთილის შინაარსი უნდა იყოს ზუსტად მოხაზული და ეყრდნობოდეს საგნის პროგრამას.
  - ა) პროგრამით გათვალისწინებული თემების დაყოფა ცალკეული გაკვეთილის თავებად და მათი კალენდარული განაწილება;
  - ბ) თითოეული გაკვეთილის თემის ამოცანის ზუსტი განსაზღვრა;
  - გ) გაკვეთილის შინაარსი უნდა წარმოადგენდეს წინა გაკვეთილების სასწავლო მასალის გაგრძელებას.

- გაკვეთილზე მთელი კლასი უნდა მუშაობდეს სასწავლო მასალაზე, ამისათვის აუცილებელია:
  - ა) მოსწავლეთა აქტიური ჩაბმა სასწავლო მუშაობის მთელ პროცესში;
  - ბ) მასწავლებლის მუშაობა ერთდროულად, ერთსა და იმავე საკითხზე მთელ კლასთან.
- მოსწავლეთა მუდმივ შემადგენლობას კლასში, გაკვეთილის ორგანიზაციის თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა აქვს. კლასის დაკომპლექტება ხდება ერთი ასაკის მოსწავლეებით სასწავლო წლის დასაწყისში, რომელიც ხელს უწყობს მასწავლებელს, გაიცნოს ყველა მოსწავლე და მთლიანობაში კლასი, რაც აუცილებელია დისციპლინის დამყარების, სწავლების პროცესის დაგეგმვისა და განათლების მიზნების მისაღწევად. კლასი საკუთარი საკლასო ოთახით არის აღჭურვილი, სადაც მოსწავლეები სასწავლო დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ (47).
- გაკვეთილების განაწილება ცხრილის მიხედვით უზრუნველყოფს სასწავლო საგნების გეგმიურ და ზუსტ განრიგს. ყოველი საგნისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათები გადანაწილებულია სასწავლო ცხრილში დღეების მიხედვით. დიდი პედაგოგიური მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ყოველდღიური ცხრილის განრიგს, პირველი გაკვეთილები რთულ საგნებს აქვს დათმობილი ხოლო ბოლო გაკვეთილები კი დამხმარეს, როგორებიცაა: შრომა, მუსიკა, ფიზკულტურა, ხატვა და ა.შ.
- მასწავლებლის წამყვანი როლი, უზრუნველყოფს ცოდნითა და უნარ-ჩვევებით მოსწავლის აღჭურვას, მასწავლებელი არის სასწავლო პროცესის წარმმართველი.
- მასწავლებელი ვალდებულია, ყოველი გაკვეთილისათვის მოემზადოს, რაც გაკვეთილის დაგეგმვაში გამოიხატება (47).

გაკვეთილის მზადებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რამდენიმე ფაქტორი:

- სასწავლო პროგრამის მოთხოვნები. რაც გულისხმობს სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სასწავლო მასალებს, სასწავლო მასალის შესაფერისი სწავლების მეთოდებს, სწავლების საშუალებებს.
- მოსწავლეთა მომზადების საწყისი დონე;

მასწავლებელი წინასწარ ადგენს გაკვეთილის თემატურ გეგმას, რომელიც ზუსტად ითვალისწინებს გაკვეთილის მიზნებს, გაკვეთილის შინაარსს, ორგანიზაციულ მხარეს, სასწავლო მეთოდებს, გაკვეთილის სტრუქტურასა და გაკვეთილის ტიპს. გაკვეთილის ყველა კომპონენტი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან.

გაკვეთილის გეგმა ხელს უწყობს მასწავლებლის სისტემატურ და დაგეგმილ საქმიანობას, სწავლების მიზნის შესრულებას, მიღებული შედეგების შემოწმებას, შეცდომის გამოსწორებას.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებელი იყენებს სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს, როგორცაა:

- ცოდნის სისტემატიურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი;
- მოსწავლეთა შეგნებულობისა და აქტიურობის პრინციპი;
- თვალსაჩინოების პრინციპი;
- ცოდნა-ჩვევების მტკიცედ შეთვისების პრინციპი.

სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანის სპეციფიკურობა განაპირობებს სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების ჩატარებას, რომელიც კონკრეტული ამოცანის გადაჭრას ემსახურება.

გაკვეთილის კლასიფიკაცია ემყარება ძირითადად პედაგოგიურ-დიდაქტიკურ პრინციპებს, იმის მიხედვით, რა კონკრეტული დანიშნულება აქვს თითოეულ გაკვეთილს, რა სასწავლო მიზნები და ამოცანები არის გადასაჭრელი.

თანამედროვე ტრადიციულ პედაგოგიკას შენარჩუნებული აქვს კ. დ. უშინსკისეული გაკვეთილის კლასიფიკაცია:

- ა. შერეული ტიპის გაკვეთილები;
- ბ. ზეპირი სავარჯიშოების გაკვეთილი;
- გ. წერითი სავარჯიშოების გაკვეთილები;
- დ. ცოდნის შემოწმება/შეფასების გაკვეთილი (136, გვ. 149).

დ. ლორთქიფანიძე გამოყოფს გაკვეთილების შემდეგ კლასიფიკაციას:

- შერეული ან კომბინირებული გაკვეთილი;
- ახალი მასალის პრეზენტაციის-ცოდნის გადაცემის გაკვეთილი;

- განმეორების გაკვეთილი;
- შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილი.

თითოეული გაკვეთილი გამოხატავს სწავლების შინაარსს, საჭიროებებს, მეთოდებს, იმის მიხედვით, თუ რა სასწავლო ამოცანა აქვს გადასაჭრელი მასწავლებელს.

ყველაზე გავრცელებულია კომბინირებული/შერეული გაკვეთილის ტიპი, რომელიც მიზნად ისახავს განვლილი მასალის გამოკითხვასა და ახალი საკითხის ახსნას. კომბინირებულ გაკვეთილში გამოიყოფა შემდეგი სტრუქტურული ელემენტები:

- კლასში მოსწავლეთა ორგანიზება;
- განვლილი მასალის განმეორება;
- ახალი მასალის ახსნა;
- გადაცემულის განმტკიცება;
- საშინაო დავალება;
- შეფასება.

ახალი მასალის პრეზენტაციის-ცოდნის გადაცემის გაკვეთილი. ასეთი გაკვეთილის სტრუქტურა განისაზღვრება მისი ძირითადი დიდაქტიკური მიზნის მიხედვით: ახალი ცოდნის გადაცემა, ფაქტების, მოვლენების აღწერა, შედარება, წესების, ფორმულების ახსნა და სხვ.

მისი ძირითადი ეტაპებია:

- შესასწავლი თემის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობა;
- ახალი მასალის შესწავლისათვის საბაზისო ცოდნის განმეორება;
- ახალი მასალის ახსნა-გადაცემა;
- საშინაო დავალება;
- გაკვეთილის შეჯამება, ორგანიზება.

**განმეორების გაკვეთილი.** ამ ტიპის გაკვეთილზე განვლილი მასალის განმეორებაა ძირითადი სასწავლო ამოცანა.



**შემოწმებისა და შეფასების გაკვეთილი.** ამ ტიპის გაკვეთილზე ხდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება. გაკვეთილის ეს ტიპი გამოიყენება სემესტრისა და წლის ბოლოს.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ტრადიციული პედაგოგიკის წიაღში იწყება ახალი მოძრაობა, რომელიც ქმნის ახალ პიროვნულ-თანამშრომლობით - ჰუმანურ პედაგოგიკას, რომელიც იყენებდა ე. წ. განმავითარებელ გაკვეთილს. რადგან, ის ორგანიზებას უკეთებდა მოსწავლის პიროვნულ, სოციალურ და გონებრივ განვითარებას, სწავლების გზით.

განმავითარებელი გაკვეთილი ეყრდნობოდა ბავშვის ბუნებით ბოძებულ შესაძლებლობათა განვითარების გამოყენებას. მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები მომდინარეობდა ლ. ვიგოტსკისა და დ. უზნაძის კონცეფციებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს, მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებას სასწავლო მასალის სირთულესთან კავშირში და მეორე მხრივ, უნდა აღმატებოდა მის ძალებს. შ. ამონაშვილი განმავითარებელი სწავლების პრინციპად ასახელებს:

- სწავლება სიძნელეთა დონეზე, ძნელიდან ძნელზე და არა ადვილიდან ძნელისაკენ;
- სწავლებაში თავისუფალი არჩევანის განცდა;
- ბავშვში დამოუკიდებლობის განცდის ხელშეწყობა და აღიარება;
- ბავშვის პიროვნების მთლიანობის გათვალისწინება, ბავშვის პატივისცემა და სიყვარული;
- სწავლებაში თანამშრომლობის პრინციპი;
- მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობა;
- მშობლების-ბავშვის- მასწავლებლის თანამშრომლობა.

პიროვნულ-თანამშრომლობითი ჰუმანური პედაგოგიკის ავტორები გაკვეთილზე იყენებდნენ სწავლების მეთოდებს, რომელიც მოსწავლისაგან ფიქრსა და აზროვნებას მოითხოვდა:

**სირთულეთან დაპირისპირების მეთოდი.** ეს მეთოდი მოსწავლეს ავალებდა შედარებით რთული ამოცანის გადაჭრას. გამოიყენებოდა ე. წ. „გადასვლის“ ხერხი: მაგ.: მოსწავლეებს სთავაზობდნენ, დროებით ერთი საფეხურით მაღალ კლასში

წარმოედგინათ თავი და შესაბამისი სირთულის დავალების ამოხსნას ავალებდნენ, მოსწავლე დავალების დამთავრების შემდეგ გამოყოფდა დავალების რთულ და მარტივ მხარეებს.

მოსწავლეებს აძლევდნენ დავალებას, შეედგინათ განხილულ საკითხთან მიმართებაში უფრო რთული დავალება ( 2, გვ. 65).

**შეცდომის აღმოჩენა და გასწორება.** ეს მეთოდი ხელს უწყობდა:

- შეცდომის აღმოჩენას;
- შეცდომის არსებობის დამტკიცების, მსჯელობის, შედარების, ინფორმაციის შეჯერების, არგუმენტების მოყვანის, დასკვნის გაკეთების უნარების ჩამოყალიბებას.

**თამაშით სწავლების მეთოდი.** ეს მეთოდი უზრუნველყოფდა მოსწავლის ნებელობით სწავლას. თამაშის ელემენტების გამოყენება პედაგოგიკაში ბავშვს თავისუფალი არჩევანის გაცდას უყალიბებდა (66).

**პრობლემის გადაჭრა სიტუაციური ამოცანის გამოყენებით.** მოთხრობაში მოცემული იყო სიტუაცია, სადაც ჩანდა პრობლემა, მაგრამ არ ჩანდა ამ პრობლემის დაძლევისა და გადაჭრის გზები. მოსწავლეს ევალებოდა წაეკითხა მოთხრობა და საკუთარი თვალთახედვით გადაეჭრა პრობლემა; ამ მეთოდის გამოყენება, ხელს უწყობდა მოსწავლის კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას.

**წერითი მეთოდების გამოყენება რეალურ შემთხვევებზე.** ეს მეთოდი ეხმარებოდა მოსწავლეს შემოქმედებითი უნარებისა და ემოციური დამოკიდებულებების გამოხატვაში (2, გვ.71).

შემდეგი მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც **არჩევის მეთოდი**. ამ მეთოდის თავისებურება შემდეგში მდგომარეობს: მაგ.: მოსწავლეებს ურიგებენ ფურცლებზე დაბეჭდილ ოთხ ლექსს. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩაიკითხონ სწრაფად ლექსები და აირჩიონ ერთი სასწავლად. ლექსების წაკითხვის შემდეგ იმართება კამათი, ყველას მისი არჩევანი აქვს, მასწავლებელი ირჩევს იმ ლექსს, რომელსაც ცოტა ხმა აქვს. მოსწავლემ უნდა დაამტკიცოს მის მიერ არჩეული ლექსის უპირატესობა, რაც კიდევ ერთხელ ითხოვს, ამა თუ იმ ლექსის ჩაღრმავებას. ეს მეთოდი ხელს უწყობს:

- დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავებას;
- საკუთარი პოზიციის დასაბუთებას;
- საკითხის ღრმა წვდომის გააზრებას;
- კამათისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას (2, გვ. 72).

განმავითარებელი სწავლების მომხრენი უარს აცხადებდნენ მოსწავლეთა ნიშნებით შეფასებაზე, რომელსაც იმ ფაქტით ხსნიდნენ, რომ ნიშნები მასწავლებელსა და მოსწავლეს ავიწყებდა სწავლების ძირითად ფუნქციას.

შ. ამონაშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იუმორს, ბავშვის სიცილს საკლასო ოთახში, რის გამოც, საგანგებოდ დგამდა სცენებს ბავშვთა გასამხიარულებლად.

ტრადიციული პედაგოგიკა სწავლების სწორად დაგეგმვისათვის მოითხოვს დიდაქტიკური გაკვეთილის სტრუქტურის გათვალისწინებას. გაკვეთილის სტრუქტურული დაყოფა ერთ-ერთმა პირველმა ი. ა. კომენსკიმ მოგვცა. კომენსკის მიხედვით: „სწავლებაში სამი ზუსტად განსაზღვრული საფეხურია: დასაწყისი, გაგრძელება და დასასრული“. გაკვეთილის დანაწევრებას, სტრუქტურულ ერთეულებად, საფუძვლად ედება გაკვეთილზე მიმდინარე პედაგოგიური პროცესის ზოგადდიდაქტიკური და მეთოდური დანიშნულება. ამის მიხედვით, გაკვეთილი შედგება სამი ნაწილისაგან: შესავალი, ძირითადი და დასკვნითი ნაწილები. გაკვეთილის ნაწილები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თავიანთი დანიშნულების, ისე პედაგოგიური თვალსაზრისით. ამავე დროს, ეს ნაწილები ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ და განპირობებულ ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენენ (47, გვ.132).

**გაკვეთილის შესავალი ნაწილი.** იწყება ორგანიზაციული საკითხების მოგვარებითა და მთავრდება ახალ მასალაზე გადასვლისათვის მოსწავლეთა მომზადებით. ეს ნაწილი მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორცაა: სწავლებისათვის საჭირო ორგანიზაციული მხარეების მოგვარება, ყურადღების მობილიზაცია და განწყობის შექმნა, განვლილი მასალის განმეორება, საერთო საკლასო-ფრონტალური გამოკითხვა, ინდივიდუალურად მოსწავლეთა შემოწმება, თითოეული მოსწავლის საშინაო დავალების შემოწმება.

**გაკვეთილის ძირითადი ნაწილი.** გაკვეთილის ამ ეტაპზე მასწავლებელი ზეპირსიტყვიერი მეთოდებითა და ახსნა-განმარტებებით გადასცემს მოსწავლეებს ახალ მასალას. მოსწავლეების მიერ ხდება ცოდნა-ჩვევების დაუფლება. ძირითადი ნაწილი მოიცავს ისეთი საკითხების თანმიმდევრობას, როგორცაა: ა. გაკვეთილის თემისა და მისი ამოცანის გაცნობა; ბ. გაკვეთილის გეგმის ძირითადი საკითხების მიმოხილვა და ამ გეგმის შესრულებისათვის საჭირო სასწავლო მუშაობის სახეებზე მითითება; გ. ახალი მასალის თანმიმდევრულად ახსნა-გადაცემა და დასკვნა.

**გაკვეთილის მესამე - დასკვნითი ნაწილი.** გაკვეთილის ამ ნაწილზე ხდება ცოდნის სისტემატიზაცია, დახარისხება, დამოუკიდებელი სამუშაოს მიცემა მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა გაგებისა და ათვისების შემოწმება, შეფასება, საშინაო დავალების მიცემა (47, გვ.119).

გაკვეთილის ყოველ ეტაპს განსაზღვრული დიდაქტიკური, სასწავლო ამოცანების გადაჭრა ევალება. ამგვარი სტრუქტურა ძირითადად ახასიათებს კომბინირებულ გაკვეთილს, დანარჩენი გაკვეთილის ტიპები მეტ-ნაკლებად ემორჩილებიან ამ მოცემულობას.

ტრადიციული დიდაქტიკა, სწავლების მეთოდოლოგიის მხრივ, უპირატესობას ანიჭებს ისეთ ხერხებს, რაც გაუადვილებს მასწავლებელს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

გაკვეთილზე გამოიყენება სწავლების ის მეთოდები, რომლებიც განაპირობებენ, თუ როგორ უნდა გადავცეთ სასწავლო მასალა მოსწავლეებს. სწავლების მეთოდების დახასიათებისას ძირითადად გამოვიყენეთ დ. ლორთქიფანიძის მეთოდთა კლასიფიკაცია. სწავლების მიზნებისა და შინაარსის განსახორციელებლად, ძირითადად გამოიყენებოდა ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

1. თხრობის მეთოდი;
2. წიგნით მუშაობის მეთოდები;
3. უშუალო დაკვირვებითი მეთოდები;
4. ახსნითი და დამოუკიდებელი კითხვის მეთოდები;
5. ლაბორატორიული მეთოდი;
6. დემონსტრირების მეთოდი;

7. პრაქტიკულ-ვარჯიშობითი მეთოდი;

8. მიმდინარე და საკონტროლო წერა (47, გვ.182).

თითოეული მეთოდის მიზანს წარმოადგენს, მასწავლებლის მიერ მზა ცოდნის გადაცემა მოსწავლეებისათვის.

სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ერთ-ერთ დამხმარე ფორმაა ექსკურსია-გაკვეთილი, რომელიც გაკვეთილის ფუნქციას ატარებს. ექსკურსია ტარდება ბუნებაში, საწარმოში, მუზეუმში. გამოიყენება სასწავლო-დაკვირვებითი ექსკურსია და საილუსტრაციო ექსკურსია. ექსკურსია სამი ნაწილისაგან შედება:

- შესავალი ნაწილი: მოსწავლეთათვის ექსკურსიის თემის, მიზნისა და გეგმის გაცნობა;
- ძირითადი ნაწილი: ობიექტის შესწავლა-დათვალიერება;
- დასკვნითი ნაწილი: მიღებული შთაბეჭდილებების სისტემაში მოყვანა, ძირითადისა და მეორეხარისხოვანის დახარისხება, ჩაწერა, დახაზვა (47, გვ. 143).

გაკვეთილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება და შეფასება. იყენებენ შეფასების შემდეგ პრინციპებს:

- ინდივიდუალური;
- დიფერენცირებული;
- ცოდნის ერთი და იგივე დონე ყველა სკოლაში ერთნაირად ფასდებოდეს;
- ობიექტურობა;
- სისტემატურობა.

მასწავლებლის მიერ გამოიყენება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების შემდეგი სახეები:

- მიმდინარე შემოწმება და შეფასება (ყოველ გაკვეთილზე);
- სემესტრული შემოწმება და შეფასება;
- წლიური შემოწმება და შეფასება (47, გვ. 246).

ცოდნის შემოწმება-შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი ძირითადი მეთოდები: მიმდინარე ყოველდღიური დაკვირვება, ზეპირი გამოკითხვა, საკონტროლო წერითი შემოწმება. შემოწმება და შეფასება მნიშვნელოვანია,

ვინაიდან, ის განსაზღვრავს არა მარტო მოსწავლის მიღწევის, არამედ, სკოლის შემდგომი მუშაობის მიმართულებებს.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული დიდაქტიკური გაკვეთილის მახასიათებლები მეტ-ნაკლებად მეორდება თანამედროვე გაკვეთილის პრინციპებში.

თანამედროვე პედაგოგიაში ფრონტალური გაკვეთილი ტრადიციული გაკვეთილების გავრცელებული ფორმაა, რომელსაც ყველზე ხშირად ლექციური ხასიათი აქვს, ის კითხვა-პასუხზეა აგებული, ან დემონსტრირებით წარმართება. ასეთი ტიპის გაკვეთილები მასწავლებლის როლზე აკეთებს აქცენტს და პირდაპირი სწავლების სახელითაა ცნობილი.

თანამედროვე მკვლევარები განასხვავებენ სწავლების ორ ტიპს: პირდაპირ და არაპირდაპირდაპირ სწავლებას. პირდაპირი სწავლება, სწავლების უფრო ტრადიციული ფორმაა, ვიდრე არაპირდაპირი. პირდაპირი სწავლებისას ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეებს, ხოლო არაპირდაპირი სწავლებისას, მოსწავლეებს ეძლევათ ინფორმაცია, ან მითითება და მასზე დაყრდნობით თავად აგებენ ცოდნას (26, გვ. 40)

თანამედროვე მკვლევარების მიერ, პირდაპირი სწავლების დადებით მხარედ მიჩნეულია, ის, რომ ძალიან ეფექტურია დიდი ოდენობის ინფორმაციის სწრაფად გადაცემის თვალსაზრისით. ამიტომ კარგად გამოიყენება ფაქტობრივი ცოდნის გადაცემისას. პირდაპირი სწავლება ნაკლებად ეფექტურია მაღალი სააზროვნო უნარების განსავითარებლად. პირდაპირი სწავლების მეთოდს ხშირად კლასის ერთობლივი სწავლების მეთოდსაც უწოდებენ.

პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების მეთოდებს შორის მკაცრი ხაზის გავლება მიზანშეწონილი არ არის. შესაძლებელია ორივე სტრატეგია ერთი და იმავე გაკვეთილის განმავლობაში გამოიყენოს მასწავლებელმა. მაგალითად, გაკვეთილი ლექციის მეთოდით დაიწყო და ამ გზით მიაწოდოს ინფორმაცია მოსწავლეებს, ხოლო, გაკვეთილის შემდეგ ეტაპზე გამოიყენოს მცირე ჯგუფებში მუშაობა (26, გვ. 40).

პირდაპირი სწავლება კლასის ერთობლივი სწავლების მეთოდის სახელითაც არის ცნობილი. პირდაპირი სწავლების მრავალი სახეებიდან გავრცელებულია

ლექცია, რომელსაც ყველა მასწავლებელი იყენებს. ეს მეთოდი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დიდი მოცულობის ინფორმაცია ერთდროულად მიაწოდოს მოსწავლეებს და ეფექტურად შეაჯამოს გაკვეთილი. ლექციის მეთოდის უარყოფითი მხარე ის არის, რომ ამ მიდგომით მოსწავლეები პასიურად სწავლობენ, ასევე დაბალია, მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი. მოსწავლეებს მოეთხოვებათ ისხდნენ მშვიდად, უხმაუროდ და ჩაინიშნონ ინფორმაცია. მიჩნეულია, რომ ამ ტიპის გაკვეთილს ახასიათებს მოსწავლეთა დაბალი მოტივაცია (26, გვ. 41).

არსებობს რამდენიმე ფაქტორი, რომელიც უზრუნველყოფს პირდაპირი სწავლების მეთოდით გაკვეთილის ჩატარების ეფექტურობას. მასწავლებელმა ხაზი უნდა გაუსვას ძირითად საკითხებს და გაკვეთილის ბოლოს შეაჯამოს მთავარი მასალა. ლექციური ტიპის გაკვეთილზე განსაკუთრებით ეფექტურია დამხმარე ვიზუალური მასალა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში. თანამედროვე ფრონტალური გაკვეთილი მიჰყვება ტრადიციული გაკვეთილის ძირითად პრინციპებს, როგორცაა, ახალი მასალის კავშირი უკვე ნასწავლთან, გაკვეთილის მიზნისა და ამოცანის დაკონკრეტება მოსწავლეებისათვის. ტრადიციულ ფრონტალურ გაკვეთილზე გამოიყენება მასალის მიწოდების ორი ტრადიციული მოდგომა: დედუქციური და ინდუქციური (26, გვ. 43).

დედუქციური მსჯელობა ეფუძნება სილოგიზმს, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში არისტოტელეს მიერაა დამკვიდრებული. სილოგიზმს საფუძვლად უდევს დაშვება, რომ ლოგიკის ფორმალური ნაბიჯების გავლით - ზოგადიდან კერძოსკენ შესაძლებელია სანდო დასკვნის გამოტანა.

წარმოვიდგინოთ დედუქციური მსჯელობის მაგალითი გაკვეთილზე:

- ყველა პლანეტა მზის ირგვლივ ბრუნავს;
- დედამიწა პლანეტაა;
- მაშასადამე, დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს.

ინდუქციური მიდგომით მასწავლებელი განიხილავს კონკრეტულ მაგალითებსა და შემდეგ განაზოგადებს მათ.

ინდუქციური მსჯელობის მაგალითი გაკვეთილზე:

- დედამიწა მზის ირგვლივ ბრუნავს;

- დედამიწა პლანეტაა.
- მამასადამე, ყველა პლანეტა მზის ირგვლივ ბრუნავს (40, გვ. 43).

კლასში ორივე ტიპის, დედუქციური და ინდუქციური მეთოდები, კარგად მუშაობს. თუმცა, უმეტესად დედუქციური მეთოდი გამოიყენება.

ფრონტალურ გაკვეთილზე კიდევ რამდენიმე სტრატეგია გამოიყენება:

- **მიმდევრობითი წყობა.** ამ სტრატეგიის თანახმად, შინაარსის/წესების ახსნა ხდება იმ რიგითობის მიხედვით, რომლითაც ისინი რეალობაშია. ეს მეთოდი განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში გამოიყენება. მაგ. ლითონის დამზადების ტექნოლოგიის თანმიმდევრული განხილვა;
- **შედარებით კავშირები.** ამ სტრატეგიის გამოყენებისას ხდება მასალის ნაწილების ისე წარმოდგენა, რომ მოსწავლეებს მიეცეთ მათი ერთმანეთთან შედარებისა და შეპირისპირების საშუალება. მაგალითად, ისტორიის სწავლებისას ხდება ორი ისტორიული პერსონაჟის ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირება (26, გვ. 45).
- **მოდელირება.** გარკვეული ტიპის მასალის ახსნისას მნიშვნელოვანია მასალის ან პროცედურის თვალსაჩინო წარმოდგენა, ანუ მოდელირება. მოდელირება ითვალისწინებს შემდეგ ეტაპებს: მასწავლებელი ახდენს კონკრეტული საკითხისათვის შესაფერის მოდელის, თვალსაჩინოების დემონსტრირებას. შემდეგ ამ კონკრეტულ აქტივობას უკავშირებს იმ ცოდნას, რომელსაც მოსწავლეები უკვე ფლობენ.

პირდაპირი სწავლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია დამოუკიდებელი მუშაობა. დამოუკიდებელი სამუშაო მჭიდრო კავშირში უნდა იყოს გაკვეთილის მიზანთან და მიმდინარე გაკვეთილზე ასათვისებელ მასალასთან. მოსწავლეებმა დამოუკიდებელი მუშაობა უნდა დაიწყონ გამოკითხვის შემდეგ. დამოუკიდებელი მუშაობის დროს ძირითადად სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების შესრულება უწევთ (26, გვ. 48). დამოუკიდებელი მუშაობის დროს მასწავლებელი დადის მერხებს შორის და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება მოსწავლეს. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულების შემდეგ შეიძლება მასწავლებელმა ჩამოიაროს ჯგუფში და შეფასებები დაუწეროს მოსწავლეებს.

ამრიგად, ტრადიციული გაკვეთილი წარმოადგენს:



- მასწავლებელზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს;
- ლექციური ტიპის, კითხვა-პასუხზე აგებულ გაკვეთილს, დემონსტრირებით წარმართულ გაკვეთილს;
- ტრადიციულ გაკვეთილს, უმეტესწილად ავტორიტარულს და დირექტიულს;
- ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლეები პასიურები არიან და მცირეა მათი ჩართულობა;
- ტრადიციული გაკვეთილი ხელს არ უწყობს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციის განვითარებას;
- ტრადიციული გაკვეთილი საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს სწრაფად გადავცეთ დიდი მოცულობის ინფორმაცია;
- ტრადიციული გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგია მრავალჯერ ნაცადა.

#### **§ 4. ახალი პედაგოგიური იდეების გავრცელება და სწავლების ორგანიზაციის ფორმების ძიება XX საუკუნის ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში**

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში ერთგვარი გავრცელება ჰქონდა თავისუფალი აღზრდის თეორიას, შრომის სკოლასა და ექსპერიმენტულ პედაგოგიკას.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორია ფართოდ გავრცელდა რუსეთში XX საუკუნის დასაწყისიდან. მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ კ. ვენტცელი და ი. გორბუნოვ-პოსადოვი. მათ 1909 წელს დაარსეს ჟურნალი "Свободное воспитание", გახსნეს მოსკოვში „თავისუფალი აღზრდის“ სახლი, სადაც ყრილობები ტარდებოდა „თავისუფალი აღზრდის“ საკითხებზე.

„თავისუფალი აღზრდის“ თეორიის მომხრეთა შორის, აღზრდის სისტემის საკითხებში აზრთა მნიშვნელოვან განსხვავებასაც ჰქონდა ადგილი. თვით ჟან ჟაკ რუსო, რომელიც ამ თეორიის ფუძემდებლად ითვლება, თავისუფალი ბუნებრივი აღზრდის იდეას იცავდა. მაგრამ სრულებითაც არ უარყოფდა აღმზრდელის ხელმძღვანელ როლს. კ. ვენტცელმა და მისმა მიმდევრებმა ეს თეორია სულ

სხვაგვარად განავითარეს. ისინი თავიანთი აღზრდის სისტემას საფუძვლად უდებდნენ ბავშვის თვითგანვითარებასა და თვითაღზრდას, უარყოფდნენ ყოველგვარ პროგრამას, სასწავლო გეგმას, მასწავლებლის ხელმძღვანელ როლს. მათი აზრით, სკოლის ნაცვლად „თავისუფალი აღზრდის სახლი“ უნდა შექმნილიყო, სადაც ბავშვები სრული თავისუფლებით ისარგებლებდნენ. აღზრდის მიზნად ვენტცელი თვლიდა ბავშვის განთავისუფლებას ყოველგვარი ძალდატანებისგან. მისთვის ისეთი გარემო პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფდა მისი ინდივიდუალურობის თავისუფალ განვითარებას.

ლუარსაბ ბოცვაძე, გამომდინარე „თავისუფალი აღზრდის“ თეორიიდან, აღმზრდელის ავტორიტეტისადმი მორჩილების პრინციპს უპირისპირებს ბავშვის ყოველმხრივ თავისუფალ, ინდივიდუალურ განვითარებას. ამ პრინციპის არსი, ლ. ბოცვაძის აზრით, ბავშვის ბუნების, მისი ზოგადსაკაცობრიო და ინდივიდუალური თავისებურებების პატივისცემაში მდგომარეობს. ბავშვს, თავისი ბუნების თანახმად, უნდა ასწავლონ ისეთი საგნები, რომელიც არ არის მოსაწყენი ბავშვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის გრძნობათა ორგანოებისა და კუნთების მუშაობას, თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარებას. ბავშვს უნდა აღუძრათ მოთხოვნილება იმისათვის, რომ ყველაფერი საკუთარი თვალთ დაინახოს, არ დაკმაყოფილდეს სხვისი ცდით, მოძებნოს, საკუთარი ღონისძიებით, პასუხი ყველა საკითხზე (11, გვ. 439).

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში შრომითი აღზრდის იდეამ ფართო გავრცელება ჰპოვა საქართველოში. საკმაოდ პოპულარული გახდა გეორგ კერშენშტაინერის (1854-1932), ვ. ლაის (1862 – 1926), ჯ. დიუის (1859 – 1952) შეხედულებები შრომითი აღზრდის საკითხებთან დაკავშირებით. შრომითი აღზრდა იქცა განსაკუთრებულ პროგრესულ მოვლენად, რომელიც ემსახურებოდა სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ჭეშმარიტ პედაგოგიურ საფუძველზე გარდაქმნის საქმეს.

მათი აზრით, „შრომა თავის თავში უნდა წარმოადგენდეს თავის თავშივე დახშულ სწავლების დარგს“. შრომითმა სწავლებამ ადამიანი უნდა მოამზადოს მხოლოდ ამა თუ იმ შრომითი პროფესიისათვის. მათი შრომის სკოლა მერყეობდა

თეორიასა და პრაქტიკას შორის. ისინი გამოდიოდნენ ადამიანების კლასიფიკაციიდან, ყოფდნენ ადამიანებს ნიჭიერებად - თეორიასა და პრაქტიკაში.

მათ მთელი ყურადღება გადაჰქონდათ პრაქტიკულ მომზადებასა და საქმიანობაზე, პროფესიონალიზმზე. ამ შეხედულებებმა პრაქტიკული გამოხატულება ჰპოვა „პროექტთა სისტემით“ მუშაობის შემოღებაში, სავალდებულო პროგრამისა და საკლასო-საგაკვეთილო სისტემის უარყოფაში, მოსწავლეთა საკუთარი მოქმედების გააქტიურებასა და მასწავლებლის როლის შემცირებაში.

მათ თავისი თეორიებით ზომიერად შეცვალეს სასკოლო განათლების სისტემა ამერიკასა და გერმანიაში. მათი ნაშრომები გამოიცა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც და ეს შეხედულებები, პოპულარული გახდა XX საუკუნის ათიანი წლების საქართველოში.

შრომითი აღზრდის საკითხებს საქართველოში XX საუკუნის ათიან წლებიდან მრავალი წერილი და სტატია მიეძღვნა. სწავლებაში შრომითი ელემენტების შეტანის აუცილებლობას იცავდნენ და ასაბუთებდნენ ცნობილი ქართველი პედაგოგები: ლ. ბოცვაძე, ა. ჭიჭინაძე, დ. უზნაძე და სხვები.

ექსპერიმენტული პედაგოგიკის გაგების, მისი მიზნებისა და ამოცანების და, რაც მთავარია, აღზრდის პროცესში არსებულ პრინციპულ სირთულეთა „ნორმალიზაციაში“, ბავშვის შესაძლებლობების გარკვევისათვის, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანია, დიმიტრი უზნაძის წერილი - „აღზრდის ძირითადი სტრატეგია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა“. ეს წერილი დაიბეჭდა ჟურნალ „განათლებაში“ 1912 წელს. მასში, ექსპერიმენტული პედაგოგიკის მნიშვნელობის გარდა, საუბარია აღზრდის პრობლემებზეც.

სტატიაში ხაზგასმითაა აღნიშნული აღზრდის რთული ბუნება, რომ იგი არაა ერთგვაროვანი, არამედ, აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მიმდინარე პროცესია; აღზრდა აუცილებლად გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს, რომელიმე მათგანის გამორიცხვით წყდება აღზრდის პროცესი. აქ დიმიტრი უზნაძე სავსებით სწორად მიუთითებს და აღნიშნავს აღზრდის, როგორც სოციალური პროცესის რთულ ბუნებაზე.

დიდი ფსიქოლოგი მსჯელობს რა აღზრდის რთულ ბუნებაზე, წარმოგვიდგენს მისგან გამომდინარე ერთ-ერთ ძირითად წინააღმდეგობრივ მომენტს, რაც „პედაგოგიური პრაქტიკის“ თვით შუაგულშია ამოთხრილი“, და მას „აღზრდის ტრაგედიას“ უწოდებს. რა არის აღზრდის რთული ბუნების ერთ-ერთი გამომხატველი ეს ტრაგედია? დიმიტრი უზნაძის აზრით, ის აღმზრდელისა და აღსაზრდელის მისწრაფებათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს. ბავშვი იოლად არ ემორჩილება აღმზრდელით ღონისძიებებს, რადგან ისინი თავიანთი სოციალური მიზანდასახულობით გაუგებარია მისთვის. ეს, მართლაც, სიძნელეს ბადებს აღზრდის პროცესში: „ის, რაც აღმზრდელის შეხედულებით კეთილდღეობასა და ბედნიერებას წარმოადგენს, აღსაზრდელის რწმენით ხშირად უბედურება და წამება იქნება.... აღმზრდელი სოციალური თვალსაზრისით ჭკრეტს ამ კეთილდღეობას. აღსაზრდელი კი თავისი საკუთარი ინტერესების მხრით, ინდივიდუალურად. გონიერება მოითხოვს, მცირე სიამოვნება დიდსა და ხანგრძლივ კეთილდღეობას ანაცვალოს. მაგრამ მოზარდი სულ სხვაგვარად ფიქრობს და სულ სხვას მოითხოვს. მას მომავალი არა სწამს და მას აწმყოს ვერასდროს და ვერაგზით ვერ ანაცვალავს. იგი მომენტით ცხოვრობს და მომენტის მონაა. ამიტომ იგი ერთი წუთითაც კი არავის დაუთმობს თავის აწმყოს“ (80, გვ. 429-431).

უზნაძის აზრით, ეს წარმოქმნის აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის „მტრულ“ დამოკიდებულებას, რომელიც აღზრდის მთელ პროცესს გასდევს. მაშასადამე, - დაასკვნის დ. უზნაძე, ეს წინააღმდეგობა მუდმივი ხასიათის ყოფილა, იგი გარდაუვალი სიძნელეა, თვით აღზრდის შუაგულში წამოჭრილი“ (80, გვ. 437).

მიგვაჩნია, რომ დიმიტრი უზნაძის მოსაზრებებში, მართლაც, საფუძვლიანადაა ხაზგასმული აღმზრდელითი ამოცანებისადმი ბავშვის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების მომენტი.

მთლიანობაში აღზრდა წარმოდგენილია, როგორც საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სოციალური პროცესი. აღზრდა მხოლოდ სოციალურ მოვლენადაა აღიარებული. დიმიტრი უზნაძის მიერ ამავე წერილში აღზრდის რთული ბუნება სწორედ მისი საზოგადოებრივი ხასიათითაა ახსნილი. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „აღზრდა რთულ საზოგადოებრივ ერთეულს გულისხმობს, სადაც არ არსებობს

საზოგადოება იქ არც აღზრდა იქნება“ (80.გვ.428). აქვე ასაბუთებს ამ აზრს და გვიჩვენებს აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ადამიანის განვითარების ადრეულ სტადიაზე, თვით ოჯახური აღზრდის პირობებშიც კი. ბოლოს იგი დაასკვნის, რომ „განვითარებულ საზოგადოებაში ადამიანი ოჯახის კედლებს გადალახავს და შემადგენელ ნაწილებად უფრო რთული ერთეულის სხეულს ედულება. იგი წევრი ხდება საზოგადოებისა, სახელმწიფოსი და მისი აღზრდა ოჯახის ფარგლებს უსხლტდება და საზოგადოების ან სახელმწიფოს სპეციალურ პედაგოგიურ დაწესებულებებში, სკოლებში სრულდება. ამით აღზრდის მიზნებიც თავის ოჯახურ ელფერს კარგავს და სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ემორჩილება“ (80. გვ. 429).

ამრიგად, დიმიტრი უზნაძე აღზრდის საზოგადოებრივ ხასიათს ხსნის თვით მისი ბუნებით, კერძოდ, იმით, რომ აღზრდა არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური პროცესი, არამედ, აუცილებლობით გულისხმობს აღმზრდელსა და აღსაზრდელს. ჩვენი აზრით, აღზრდის ასეთი გაგება ლოგიკურად უკავშირდება აღზრდის რთულ ბუნებას. აღზრდის საზოგადოებრივი ხასიათის დასამტკიცებლად ისიც საკმარისია, რომ აღზრდის ცნება ორ მომენტს გულისხმობს, რომელთა ურთიერთგავლენაც ჰქმნის მას. პირველი არის აღმზრდელი და მეორე აღსაზრდელი.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ამ ამოცანის გადაჭრის საქმეში დიდი როლი შეუძლია შეასრულოს ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ, მას არ შეუძლია სამუდამოდ მოსპოს აღზრდის ძირითადი წინააღმდეგობა, მაგრამ „ბავშვის სულიერი ცხოვრების გაცნობა, განსაკუთრებით კი, მისი ბუნებრივ ინტერესთა განვითარება, ფართო გზას მისცემს ყოვლის აღმზრდელობით გავლენას მისი სულის წიაღში და მით საგრძნობლად შესუსტებას იმ ტრაგიკულ ნაკადის სიმშაგეს, რომელიც აღზრდის ნიადაგზე იბადება და მიქროლავს. ექსპერიმენტული პედაგოგიკა კი საშუალებას მოგვცემს უტკივილოდ და შეუგრძნობლად შეუფარდოთ ჩვენი სოციალური ხასიათის მიზნები ბავშვის სულიერი საუნჯის მასალას, მისს ბუნებრივი განვითარების გზას“ (80, გვ. 430).

დიმიტრი უზნაძე ბავშვის თავისებურებების, განვითარების კანონზომიერებების შესწავლას მოითხოვს იმ მიზნით, რათა სწავლა-აღზრდის

პროცესში „შეგუებულ, შეკავშირებულ, შეტყუებულ“ იქნას ერთიმეორესთან, ინდივიდუალური და სოციალური მოტივები და მისწრაფებანი. მეცნიერის აზრით, ეს პრობლემა უნდა გადაჭრას ექსპერიმენტულმა პედაგოგიკამ და ამ გზით შეანელოს აღზრდის ტრაგედია.

„ნამდვილ პედაგოგიკას, - წერს დიმიტრი უზნაძე, - მხოლოდ ერთი გზა გააჩნია, რომელზე სრბოლაც მას თავისი მიზნის განხორციელებამდე მიიყვანს. ეს გზა თვით ბავშვის ბუნების ნათელყოფაა, მისი ფსიქოლოგიის ცოდნა. მხოლოდ ასეთ შემეცნებას, ასეთ ცოდნას შეუძლია იმ კანონთა და ნორმათა ნათელყოფა, რომელთაც უნდა ექვემდებარებოდეს აღმზრდელი, თუ გსურს რომ, მისი მოქმედება გონიერს ნიადაგზე იყოს დამდგარი. ამრიგად, ნამდვილი პედაგოგიკის ნიადაგსა და საფუძველს ბავშვის ფსიქოლოგიის შემეცნება უნდა შეადგენდეს“ (80, გვ. 435).

„აღზრდის ტრაგედიის“ გადალახვაში, უეჭველია, გადამწყვეტ როლს უნდა ასრულებდეს მასწავლებელი, რომელსაც ძალუმს „ემპირიული ზედაპირიდან ადამიანის არსში შეღწევა“. პედაგოგიური პროცესის ძირითად პირობას წარმოადგენს, სწორედ, ბავშვის ბუნების უშუალო წვდომა, მისი გრძნობებისადმი „სულიერი მღელვარებისადმი“ თანაგრძნობა, ის, რასაც ახლა ემპათიურ უნარებს ეძახიან.

თავისი პედაგოგიკური შეხედულებების დანერგვა დიმიტრი უზნაძემ თავისივე დაარსებულ „სინათლის“ სკოლაში განახორციელა, სადაც შეეცადა გაკვეთილზე სწავლების პროცესში დაემკვიდრებინა ინოვაციური მეთოდები და სტრატეგიები, რათა აღმოეფხვრა არსებული წინააღმდეგობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. დიმიტრი უზნაძემ, ფაქტიურად, ქართულ პედაგოგიკურ აზროვნებაში უარყო ავტორიტარული პედაგოგიკის პრინციპები გაკვეთილის ორგანიზაციის პროცესში. მაგრამ, მისმა იდეებმა ვერ ჰპოვა განვითარება, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო.

1921 წელს გასაბჭოებიდან 1991 წლამდე, საბჭოთა კავშირის დაშლამდე, განათლება საქართველოში გახდა საბჭოთა განათლების სისტემის ნაწილი, ყველა რეფორმა და ცვლილება ბუნებრივად აისახებოდა საქართველოში არსებულ საგანმანათლებლო სისტემაზე.

XX საუკუნის 20-30-იანი წლების საბჭოთა განათლების სისტემა გამოირჩეოდა პროგრესული განათლების ხაზით. დაიწყო ზრუნვა სწავლების გადახალისებისათვის. ცდილობდნენ დაენერგათ სწავლებაში მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა, სწავლება ყოფილიყო არა მხოლოდ მასწავლების ახსნისა და წიგნის საშუალებით, არამედ, ბუნებასთან უშუალო კავშირითა და რეალურ მოვლენებზე დაკვირვებით. გაკვეთილი-სწავლების ორგანიზების ფორმა უარყოფილი იქნა. იმ მიზეზით, რომ გაკვეთილი თრგუნავდა ბავშვის აქტივობას, ინიციატივასა და ზეპირობას აჩვევდა მოსწავლეს.

განათლების კომისარიატის მიერ დაისვა საკითხი, ტრადიციული გაკვეთილის ჩანაცვლება მომხდარიყო სწავლების ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმებით. უშანგი ობოლაძეს მოჰყავს ამონარიდი 1921 წლის მთლიანი რვაწლიანი შრომის სკოლის პროგრამებიდან: „პარტა, ზარი და ზარიდან-ზარამდის დროს დანიშნული გაკვეთილები უკვალოდ განდევნილი უნდა იყოს ახალი სკოლიდან. უნდა არსებობდეს მთლიანი სასწავლო დრო და მთლიანი სასწავლო თანწყობა; სავარჯიშო მასალისა და საგნების განაწილების განრიგება და ერთმანეთთან შეფარდება თვით მასწავლებელს ენდობა“ (60, გვ. 209).

ჩვენ შევეცდებით საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნებული სხვადასხვა ნაშრომების ანალიზზე დაყრდნობით ქრონოლოგიურად გავყვეთ, თუ როგორ ხორციელდებოდა ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში სწავლების ორგანიზაციის ახალი ფორმებისა და მიდგომების დამკვიდრება.

1921-1924 წწ. საქართველოს განათლების კომისარიატი საყვედურებს გამოთქვამდა საგნობრივი გაკვეთილების წინააღმდეგ, მაგრამ საკლასო-საგაკვეთილო სისტემას არსებითად უცვლელად სტოვებდა. სწავლების გადახალისების მიზნით მოითხოვდა სწავლებაში აქტიურად დაენერგათ კვლევითი ექსკურსიები. კვლევითი ექსკურსიების დანერგვის მიზანი იყო მოსწავლის გააქტიურება, თეორიული ცოდნის დაკავშირება ბუნებასთან. მოსწავლე პატარა მკვლევარად უნდა ქცეულიყო, ესწავლა მასალის დამოუკიდებლად მოპოვება, დამოუკიდებლად შესწავლა და სათანადო დასკვნების გამოტანა.

ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდი სწავლების ცენტრში მოსწავლის პიროვნებას აყენებდა. ხელს უწყობდა მოსწავლის აქტიურობას, ინიციატივას, თვითსწავლას. მასწავლებლის წამყვანი როლი მინიმუმამდე დაიყვანებოდა. მოსწავლეებს ეძლეოდათ დავალება და ექსკურსიის საშუალებით თვითონვე უნდა მოეხდინათ დაკვირვება ან გამოკვლევა, შეეკრიბათ მასალები და ამ მასალების საფუძველზე შეესრულებინათ დავალება.

თითოეული საკითხი, რომელსაც ექსკურსიულ-კვლევითი მეთოდით შეისწავლიდნენ, სამ ნაწილად მუშავდებოდა. პირველი, მოსამზადებელი ნაწილი-ამოცანის დასახვა, მოსწავლეთა დაყოფა და კითხვების/დავალებების დანაწილება მათ შორის; მეორე ნაწილი-ექსკურსიის ჩატარება. აქ ეძლეოდათ მოსწავლეებს საშუალება თვითაქტივობისა და ძიებისათვის; მესამე ნაწილი-ექსკურსიის მასალის გადამუშავება, სისტემატიზირება, გარკვევა, დასკვნების გამოტანა წიგნებისა და მასწავლებელთან საუბრის საშუალებით, შეჯამება დასმული ამოცანის გადასაწყვეტად.

ხელმძღვანელი მეთოდური ორგანოები სასკოლო ექსკურსიებიდან გამოყოფენ ორ ტიპს- შორეულსა და უახლოესს. სკოლას ურჩევენ ტექნიკური მოსაზრებების გამო, უახლოესი ექსკურსიები მოაწყონ. ექსკურსიები, როგორც აღზრდა-განათლების ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი, უნდა მოეწყოს სასკოლო მეცადინეობის გეგმის მიხედვით. ექსკურსიები ეხებოდა არა ერთ რომელიმე საგანს არამედ ყველა სასკოლო საგანს, რომელიც შეიძლება დაქვემდებარებოდა ექსკურსიის დანიშნულებას (60, გვ. 213).

ექსკურსია შეიძლება მოწყობილიყო: საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიული მასალის შეგროვების, ძეგლების გაცნობის, წარმოების გაცნობის, ბუნების სხვადასხვა მოვლენებზე დაკვირვების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ექსკურსიებს, მათი ორგანიზაციის კონკრეტული საკითხების დამუშავების მიმართულებითა და მასწავლებელთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით, ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა.



განათლების სახალხო კომისარიატმა კვლევითი ექსკურსიების დანერგვისაგან თავი შეიკავა. უ. ობოლაძე მიზეზს ექსკურსიული მეთოდის სკოლაში დანერგვის, მოსწავლეთა მიერ თანმიმდევრული საცდელი მუშაობის პირობების არქონის პრობლემაში ხედავს. მასწავლებელთა პოზიციაც არ იყო მთლად სახარბიელო, ქიმიის, ფიზიკის მასწავლებელთა განწყობა უარყოფითი იყო ექსკურსიის, როგორც სწავლების უნივერსალური ფორმის მიმართ. როგორც, ჩანს თავად განათლების ორგანოებიც ხვდებოდნენ, რომ მთლიანი სასწავლო პროცესის გადაყვანა ექსკურსიულ რეჟიმში შეუძლებელი იქნებოდა, გასათვალისწინებელი იყო მასწავლებელთა პოზიციებიც, რის გამოც მიიღეს გადაწყვეტილება ექსკურსიის მოქმედების ფარგლების რეგლამენტირება მოეხდინათ.

ამჯერად, გადაწყვიტეს სხვადასხვა გაკვეთილების გაერთიანება ერთ გაკვეთილად და კომპლექსური სწავლების დანერგვა.

1924 წელს ქართულ ენაზე ითარგმნა კრებული „კომპლექსური სწავლება“. მასში გაშუქებულია ის სიახლეები, რომელიც იმდროინდელ ქართულ სკოლაში ინერგებოდა. მოცემულია კომპლექსური სისტემით სწავლების არსი, მისი მნიშვნელობა, მისი მეთოდოლოგიური და ზოგადპედაგოგიური საფუძვლები. კრებულში წარმოდგენილია საბჭოთა პედაგოგიკის ცნობილი წარმომადგენლების პ. ბლონსკის, კ. მედინსკისა და სხვათა წერილები.

კომპლექსური სისტემით სწავლებას უნდა შეეცვალა საგნობრივი სისტემით სწავლება. კ. ნ. სოკოლოვი, როდესაც ახასითებს პროგრესული განათლების წარმომადგენელთა აზრს კომპლექსური სისტემით სწავლის შესახებ, აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება, ბავშვს ვასწავლოთ ქიმია ან ფიზიკა, როგორც დამოუკიდებელი საგანი. ქიმიას ისწავლიან მაშინ, როცა ის დაკავშირებული იქნება რეალურ საქმიანობასთან-პურის ცხობა, კვასის გაკეთება, წვისა და ლპობის პროცესების თვალყურის დევნება და სხვ. საგნობრივ სისტემას კი ის ნაკლი აქვს, რომ არ არსებობს ბუნებრივი კავშირი გაკვეთილებს შორის“ (5, გვ. 29).

კომპლექსური სისტემით სწავლების მომხრეთა აზრით, კომპლექსური მეთოდი იძლევა საშუალებას, რომ სკოლებში მუშაობა მოეწყოს იმ სახით, როდესაც შესაძლებელია შესაბამისი შრომის გამოყენება. კრებულში კომპლექსური სწავლება

ასეა განმრტებული: „კომპლექსური-ეს არის კონკრეტული სირთულე სინამდვილიდან აღებული და განსაზღვრული ცენტრალური თემის ან იდეის გარშემო. კომპლექსური მეთოდით სარგებლობა ნიშნავს, რომელიმე მოვლენის შესწავლას სხვა მოვლენებთან დაკავშირებისა და შეერთების გზით (5).

კომპლექსური სწავლების დროს პ. ბლონსკი იძლევა რეკომენდაციებს: „1. ბავშვთა დაკვირვებისა და გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობა; 2. ბავშვის მიერ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ ცხოვრებაში გადატანა; 3. სინთეტური მეთოდის გაგება, როგორც სასკოლო სასწავლო პრაქტიკულ სამუშაოთა მეთოდის, ანუ იმ სამუშაოებისა, რაც ბავშვებს მოეთხოვებოდა სწავლების ამა თუ იმ საფეხურზე, თავიანთ ასაკობრივი ან ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე ან აუცილებლ საჭიროებად იქნებოდა მიჩნეული“ (5, გვ 29).

პროგრამების შედგენის მთავარ თემად აღებული იყო შრომა, საზოგადოება და ბუნება. 1922-1923 წლებში თბილისის მეორე საცდელ-საჩვენებელ სკოლას დაევალა V კლასში სხვადასხვა საგნების გაერთიანებული სწავლების მიზნით საცდელი მუშაობა ჩატარებინა. როგორც ანგარიშიდან ირკვევა ამ ტიპის სწავლებამ მოითხოვა რამდენიმე მასწავლებლის მონაწილეობა, აქედან ერთი უშუალოდ უძღვებოდა გაკვეთილს, დანარჩენი კი თვალყურს ადევნებდა. შეიქმნა ყოველკვირეული საკლასო კომისიები, ჯგუფის ყველა მასწავლებლის მონაწილეობით. საცდელმა მუშაობამ, როგორც ჩანს დამაკმაყოფილებელი შედეგი ვერ აჩვენა.

მეთოდურმა ორგანოებმა გამოყვეს რამდენიმე საგანი, რომლის გაერთიანება და შერწყმა შეიძლებოდა, საბოლოოდ კი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ყველა საგანი მოითხოვდა დამოუკიდებელ სწავლებას მისი სპეციალურ-ტექნიკური თუ თეორიული ამოცანების გადასაწყვეტად. სახელმწიფო სამეცნიერო საბჭომ კომპლექსური სწავლების დანერგვისაგან თავი შეიკავა (60, გვ. 215).

განათლების ორგანოების მიერ სწავლების ფორმების ძიების შემდგომი ეტაპი იყო დალტონ გეგმის შემოღება. დალტონ გეგმა ეკუთვნოდა ამერიკელ მასწავლებელს ელენ პარკერს, რომელმაც ყოველი მოზარდის ინდივიდუალური ნიჭიერებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებით შეიმუშავა განათლების მოდელი. დალტონ გეგმის მიზანი იყო მოსწავლის საჭიროებების, ინტერესებისა და შესაძლებლობების

შესაბამისი პროგრამის მომზადება, დამოუკიდებლობისათვის ხელშეწყობა: გაემლიერებინა მოსწავლის სოციალური უნარები და პასუხისმგებლობის გრძნობა სხვების მიმართ. ელენ პარკერი მუშაობდა მასაჩუსეტის ქალაქ დალტონში მასწავლებლად, გეგმის სახელწოდებაც აქედან მოდის. მას უნდოდა, რომ დაემსხვრია მასწავლებელზე ორიენტირებული სასწავლო გარემო.

დალტონ გეგმით სწავლების დროს ყოველ საგანს საკუთარი მასწავლებელი და საკლასო ოთახი ჰქონდა. საგნის მასწავლებლები მოსწავლეებს აძლევდნენ დავალებებს. სწავლა გახდა მოსწავლეთა პირადი საქმიანობა. ისინი დამოუკიდებლად ზრუნავდნენ თავიანთი დავალების შესრულებაზე და თავად გეგმავდნენ საკუთარ მუშაობას. საკლასო ოთახი გადაიქცა ლაბორატორიად. ადგილი სადაც მოსწავლეები მუშაობდნენ აღჭურვილი იყო სხვადასხვა მოწყობილობებით. ჰელენმა შეიმუშავა კონტრაქტების სისტემა, სწავლების ინდივიდუალიზაციის გზაზე. დალტონ გეგმა პასუხისმგებლობას აკისრებდა მოსწავლეს (99).

დალტონურ-ლაბორატორიული გეგმის შესახებ პირველ ცნობებს ქართველ მკითხველს აწვდიდა ცნობილი პედაგოგი გ. გებტმანი, რომლის წერილიც 1924 წელს იქნა გამოქვეყნებული.

საქართველოს სსრ განათლების კომისარიატმა გადაწყვიტა სკოლებში მოეწყოთ დალტონ ლაბორატორიული გეგმის საცდელი სწავლება. 1926-28 წლებში თბილისის ზოგიერთი სკოლა მუშაობდა ლაბორატორიული (დალტონ) გეგმით აწარმოებდა. ჩამოყალიბებული იყო კლას-ლაბორატორიები. დილით ტარდებოდა მასწავლებლთა ხელმძღვანელობით ძირითადი მუშაობა და საღამოს დამატებითი მეცადინეობა, ეს მეცადინეობა წარმოადგენდა პირველის გაგრძელებას, რათა ლაბორატორიული მუშაობის შედეგი ყოფილიყო შემოწმებული, დაჯამებული და განზოგადებული. ახალი დავალებების დაგეგმვისათვის, ყოველი კვირის ბოლოს ე.წ. ხელმძღვანელობის გაკვეთილებზე ტარდებოდა საგანგებო ახსნა-განმარტებითი ღონისძიებები. ლაბორატორიების ტექნიკური გაუმართაობის გამო მოსწავლეთა ლაბორატორიული მუშაობა მხოლოდ გაკვეთილის კითხვით შემოიფარგლებოდა.

დალტონ გეგმის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა იყო საბჭოთა პედაგოგებში. ძირითადად გამოიყენებოდა ლაბორატორიული გაკვეთილები, პრაქტიკული მეცადინეობები და დალტონ ლაბორატორიული გეგმა.

ქართულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიის ავტორები გ. ნათაძე და დ. დონდუა ლაბორატორიული მეთოდის შესახებ იუწყებოდნენ, რომ ლაბორატორიული მეთოდი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ცალკეული თემების შესასწავლად საშუალო სკოლის მაღალ კლასებში. ასევე ხაზს უსვამდნენ, რომ მასწავლებლის დამხმარე ფუნქცია არ იყო საკმარისი.

ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სწავლების ლაბორატორიული მეთოდის გამოყენების კონკრეტული გზები ვერ მოიძებნა. მიუხედავად ამისა, განათლების სახალხო კომისარიატი მოითხოვდა, რომ ლაბორატორიული კვლევითი მეთოდი ფართოდ ყოფილიყო დანერგილი ყველა კლასში. თითოეული კლასის მოსწავლეთგან რამდენიმე ბრიგადა ყალიბდებოდა, სასწავლო კურსი რამდენიმე ნაწილად იყოფოდა (60).

როგორც ჩანს, საბოლოოდ განათლების კომისრიატმა და მეთოდურმა ორგანოებმა გაითვალისწინეს არსებული პრობლემები და ხარვეზები, და ლაბორატორიული გეგმა სკოლებში აღარ გამოიყენებოდა.

1930-1931 წლებში სასკოლო გაკვეთილის შეცვლის მცდელობის შემდეგი ეტაპი იყო პროექტული სწავლება, სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის ძირითად მიმართულებად აცხადებდნენ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას წარმოებაში და კოლმეურნეობაში. „პროექტული სწავლების დანერგვით იმედოვნებდნენ, რომ სასკოლო სწავლებასა და ცხოვრებას დააკავშირებდნენ ერთმანეთს, ყველა კავშირი გაწყდებოდა საკლასო-საგაკვეთილო ცხოვრებასთან. ეს მეთოდი უზრუნველყოფდა ცოდნის სასარგებლო ხასიათს შეფარდებულს საინტერესო და სახალისო საქმიანობასთან. იქმნებოდა მოძრავი ჯგუფები, ე. წ. ბრიგადები, სასწავლო საგნები ექვემდებარებოდნენ თემა-პროექტს. მასწავლებელი სასწავლო პროცესს აძლევდა მიმართულებას. თუმცა პროექტული მეთოდის დამცველები კონკრეტულ პასუხს ვერ იძლეოდნენ კითხვაზე, თუ სად, როდის და როგორ მომხდარიყო ცოდნის შერწყმა პრაქტიკულ საქმიანობასთან საგაკვეთილო პროცესის მთლიანად უგულვებელყოფის

შემთხვევაში. რამაც გამოიწვია სასწავლო გაკვეთილის დარჩენა და გამოყენება სასწავლო პროცესში“ (60, გვ. 234).

XX საუკუნის 20-იანი წლები ქართულ საბჭოთა სკოლაში სწავლების მეთოდთა მიების თვალსაზრისით თავისებური ნიშნებით ხასიათდება. სწავლების მეთოდთა აკვარგაინობას ორი ძირითადი კრიტერიუმით ზომავდნენ: 1. რამდენად ემყარება მეთოდი შრომას და იმსჭვალება შრომითი საქმიანობით და 2. რამდენად ფართოდ იყენებს იგი ბავშვთა თვითმოქმედებას, მათ დამოუკიდებლობას. ამის შესაბამისად სწავლების აქტიურ მეთოდებად მხოლოდ ის მეთოდები ითვლებოდა, რომლებიც უშუალო ბაზად იყენებდნენ სწავლების პროცესში ბავშვის შრომა-აქტივობას. აქტიურად იწერება „შრომის სკოლა“, მის საფუძვლს წარმოადგენდა სახალხო განათლების, სწავლებისა და აღზრდის პრინციპები.

ახალი სკოლა სწავლების მეთოდთა შერჩევისას პრინციპულად ემიჯნებოდა ძველ სკოლასა და გადადიოდა პროგრესული პედაგოგიკის მიმართულებაზე.

1931-1932 წლები გამოირჩევა უკუპროცესებით „შრომის სკოლის“ ჩანაცვლება მოხდა „სწავლების სკოლით“. განათლების სისტემაში დარუნდა ტრადიციული გაკვეთილი, ტრადიციული სწავლების მეთოდებით. ცკ-მა 1931 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით დაგმო პროექტული სწავლება და გაკვეთილი აღიარა სწავლების ორგანიზების ფორმად, რომელსაც უნდა უზრუნველყო მენიერული ცოდნის დაუფლება“ (47, გვ. 111).

როგორ განმარტავს სწავლებას საბჭოთა პედაგოგიკა? დ. ლორთქიფანიძე სწავლებას განსაზღვრავს, როგორც „მოსწავლეზე მასწავლებლის ზემოქმედების მიზნობრივად მიმართული ორგანიზებული პროცესი. ეს პროცესი ძირითადად მიმდინარეობს გაკვეთილზე და მას პედაგოგიური პროცესი ეწოდება. ამ პროცესის ცოცხალი კომპონენტები არიან მასწავლებელი და მოსწავლეები, ხოლო მათ შორის ხელმძღვანელი, წარმმართველი როლი მასწავლებელს ეკუთვნის. ის ამ პროცესის გულსა და სულს წარმოადგენს“ (47, გვ. 7).

პედაგოგიურ პროცესში მასწავლებელი გადასცემს გარკვეულ ცოდნა-ჩვევათა ჯამს, ხოლო მოსწავლეები ითვისებენ. სწავლება არის მასწავლებლის მიერ

მოსწავლეთათვის გარკვეულ ცოდნა-ჩვევათა გადაცემისა და მოსწავლეთა მიერ მასწავლებლსაგან გადაცემულის შეთვისების ორგანიზებული, ერთიანი პროცესი.

ამრიგად, XX საუკუნის 30-50-იანი წლები ქართული საბჭოთა პედაგოგიკის პირველი ათწლიანი პოლიტიკისაგან განსხვავებით, გამოირჩეოდა სწავლების ორგანიზაციის ფორმების მიმართ ურყევი პოზიციით. ეს პოზიცია სწავლების ორგანიზების შეუცვლელ ფორმად „გაკვეთილს“ აღიარებდა.

XX საუკუნის 60-80-ან წლებში, როცა საბჭოთა სივრცეში გაბატონებული იყო ავტორიტარული პედაგოგიკა, 60-იანი წლებიდან პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგების მიერ საინტერესო მოვლენები დაიწყო საბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ჩამოყალიბდა რამდენიმე ექსპერიმენტული პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება სწავლების პროცესში უმცროსკლასელთა შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით. აქედან გამოიკვეთა ორი ძირითადი მეცნიერული სკოლა: ერთს სათავეში ედგა ლ. ვ. ზანკოვი, მეორეს ხელმძღვანელობდნენ დ. ბ. ელკონინი და ვ. ვ. დავიდოვი.

1964 წელს ქართველმა მეცნიერებმა და პედაგოგებმა ჩამოაყალიბეს ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია. ლაბორატორიის მუშაობას მხარს უჭერდა პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გრიგოლ ფოფხაძე.

მოგვიანებით ლაბორატორიის ხელმძღვანელი გახდა შალვა ამონაშვილი. ის ხელმძღვანელობდა მასობრივ ექსპერიმენტებს დაწყებითი განათლების პრობლემებზე. ექსპერიმენტი მიმდინარეობდა აკადემიკოს ლ. ზანკოვის შეხედულებების მიხედვით. ექსპერიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია მდებარეობდა კ. დ. უშინსკის სახელობის პირველ ექსპერიმენტულ სკოლაში. ექსპერიმენტულ ლაბორატორიასა და მის მუშაობას თავდაპირველად მფარველობდა მამინდელი განათლების მინისტრი თამარ ლაშქარაშვილი (1960-1976).

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან შ. ამონაშვილის პედაგოგიურმა ძიებამ სწავლის მოტივებზე გადაინაცვლა. 80-იანი წლების დასაწყისიდან შ. ამონაშვილის პედაგოგიური აზროვნების ცენტრში ბავშვი და მისი პიროვნება დგება. მეცნიერმა

ახალი თვალთ დაინახა ბავშვი, როგორც პიროვნება, სწავლების თანასწორუფლებიანი წევრი, როგორც განუმეორებელი ინდივიდი.

დაფიქრდა ბავშვთან მასწავლებლისა და მშობლის ურთიერთობაზე და მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ურთიერთობა უნდა ყოფილიყო პიროვნულ-ჰუმანური ანუ თანამშრომლობითი. თანამშრომლობითი პედაგოგიკა, გულისხმობდა ჰუმანურ მიდგომებსა და ბავშვის პიროვნების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში (2, გვ. 8.).

აქედან ეყრება საფუძველი პიროვნულ თანამშრომლობით ჰუმანურ პედაგოგიკას, რომლის ფუძემდებლად მიჩნეულია ქართველი პედაგოგი და მეცნიერი შალვა ამონაშვილი.

შ. ამონაშვილის პედაგოგიკა ეფუძნება კ.დ. უშინსკის, ბ. ა. სუხომლინსკის, ი. კორჩაკის, ა.ს. მაკარენკოს პედაგოგიურ აზრებს. უაღრესად საინტერესოა მისი წიგნი „გარდაქმნის მთავარი პირი“, რომელიც 1989 წელს დაიბეჭდა. იქ არა მარტო საჭირობო საკითხებზე სწერს, არამედ განმარტავს პიროვნულ-თანამშრომლობით პედაგოგიკის არსს, სწავლების მიზნებს, პრინციპებსა და მეთოდებს.

პიროვნულ-თანამშრომლობით პედაგოგიკის ძირითადი პრინციპებია: რწმენა ბავშვის შესაძლებლობებისადმი, ბავშვის შინაგანი ბუნების შესწავლა და გათვალისწინება, ბავშვის პიროვნების პატივისცემა, ფოკუსირება სიკეთესა და სამართლიანობაზე, ყველა ბავშვის სიყვარული მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა. ამონაშვილი ყოველ ბავშვში ავლენს იმ უნიკალურ და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ თვისებებს რასაც ფლობს და მოითხოვს მის განვითარებას, ისე, რომ მან მოგვიანებით შეასრულოს მისი ფუნქცია. ბავშვის მიმართ ადამიანური პიროვნული მიდგომა ხასიათდება მისი ბუნების მთლიანობის გააზრებით, ნებისმიერ ბავშვში არსებობს „ბუნებრივი მამოძრავებელი ძალები“ რომლებიც გავლენას ახდენენ მის მისწარაფებებსა და ქმედებებზე (131).

შალვა ამონაშვილი სწავლებისა და აღზრდის ახალ, პიროვნულ-ჰუმანურ პედაგოგიურ კონცეფციაზე დაყრდნობით, თანამოაზრეებთან ერთად ატარებდა შესაბამის ექსპერიმენტებს. ქართველ ექსპერიმენტ-პედაგოგებს კავშირები ჰქონდათ საბჭოთა კავშირის პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგებთან. ახალ პედაგოგიურ მიმდინარეობას მომხრეებიც გამოუჩნდნენ და მოწინააღმდეგეებიც. ექსპერიმენტის

შედეგები საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა განათლების მიზნებსა და ამოცანებს, რის გამოც ლაბორატორიას განათლების მინისტრის თამარ ლაშქარაშვილის შეცვლის შემდეგ პარტიული ბოსებისაგან არაერთხელ დაემუქრა დახურვა (2).

შალვა ამონაშვილი წერს: „ბედნიერება იყო ჩვენთვის, რომ ოცდაჩვიდმეტი წლის მოვლენებს განვითარება არ ეძლეოდა, თორემ განა ძნელი იყო მეცნიერ მუშაკთა მცირე ჯგუფის იზოლაცია იმ საბაბით, რომ ისინი ბურჟუაზიულ თეორიებს ავითარებენ ც. კ. დადგენილებების საწინააღმდეგოდ“ (2, გვ. 59). მართლაცდა ძალიან რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა ლაბორატორიის მკვლევარებს.

თანამშრომლობითი პედაგოგიკა გულისხმობდა ჰუმანურ მიდგომებსა და ბავშვის პიროვნების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში;

მოსწავლე სწავლების პროცესის სრულყოფილებიანი წევრი იყო; მასწავლებელი ვალდებული იყო ხელი შეეწყო მოსწავლის თავისუფლად მოაზროვნე და შემოქმედი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის; ბავშვის სიყვარული და პატივისცემა მასწავლებლის უპირველესი მოვალეობა იყო;

პიროვნულ ჰუმანური პედაგოგიკა სწავლებას განმავითარებელ ფუნქციას აკისრებდა. სკოლისა და სწავლების ფუნქციად მოსწავლის განვითარება მიიჩნეოდა. ბავშვის შესაძლებლობებს უსაზღვროდ მიიჩნევდა და მათ განვითარებაზე პასუხისმგებლობას მასწავლებელს აკისრებდა.

შალვა ამონაშვილის ჰუმანურ-პიროვნული პედაგოგიკის ძირითადი პრინციპებია:

- რწმენა ბავშვის შესაძლებლობებისადმი;
- ბავშვის შინაგანი ბუნების შესწავლა და გათვალისწინება;
- ბავშვის პიროვნების პატივისცემა;
- ფოკუსირება სიკეთესა და სამართლიანობაზე;
- ყველა ბავშვის სიყვარული მიუხედავად მისი შესაძლებლობებისა (132).

**ექსპერიმენტის შედეგად საფუძველი ჩაეყარა:**

- ხუთდღიან სწავლებას;
- დაწყებით კლასებში მოსწავლეთა ცოდნის უნიშნო შეფასებას;
- ოცდათხუთმეტწუთიან გაკვეთილების სისტემას;



- ექვსწლიანთა სწავლების სისტემას;
- კლასგარეშე მუშაობის შინაარსისა და მის ორგანიზებას დაწყებით კლასებში;
- ზნეობრივ -ეთიკური აღზრდას, საგაკვეთილო ფორმით (2, გვ. 65).

შალვა ამონაშვილმა მოგვიანებით, უარი თქვა დისერტაციაზე, რომელიც მან 1960 წელს დაიცვა. რამდენადაც მისი შეხედულებები წინააღმდეგობაში მოვიდა დისერტაციის თემასთან.

ჩვენი აზრით, პიროვნულ-თანამშრომლობითი ჰუმანური პედაგოგიკა მისი მნიშვნელობითა და შინაარსით უაღრესად მნიშვნელოვანია თანამედროვე განათლებისათვის. ეს პედაგოგიური კონცეფცია არა მარტო პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, არამედ უფრო მეტიც, ის აერთიანებს ახალსა და უძველესს, მოითხოვს ჰუმანური ღირებულებებით ბავშვის აღზრდასა და მისი პიროვნების განვითარებას. მისი მთვარი პრინციპი ემყარება თითოეული ბავშვის სიყვარულს, პატივისცემასა და აღიარებას.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში დღის წესრიგში დადგა სკოლის რეფორმის საკითხი. წინ წამოიწია ჰუმანური პედაგოგიკის საკითხებმა. სწავლება გახდა თერთმეტწლიანი, გადაიხედა პროგრამები და სახელმძღვანელოები, გაიზარდა პედაგოგთა ანაზღაურება. თუმცა არ შეცვლილა განათლების მართვის ცენტრალიზებული სტრუქტურა. მასწავლებელი ისე, როგორც ადრე იყო დამოკიდებული, ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების გარეშე. 1988 წლიდან დაიწყო რეალურად გზების მოძიება სკლაში დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის დამკვიდრებისათვის. მოხდა სკოლის დე იდეოლოგია. რეფორმა მიზნად ისახავდა განათლების ჰუმანიზაციას, შინაარსის, ფორმების, სწავლებისა და აღზრდის მეთოდების შეცვლას. მოხდა განათლების დეცენტრალიზაცია.

1986 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადებულმა „პერესტროიკის“ (გარდაქმნა) კურსმა განათლებაზეც მოახდინა გავლენა და სასკოლო რეფორმაც პერესტროიკის გამოძახილი იყო.

1991 წელს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებიდან მოყოლებული, საქართველოს განათლების სისტემა მუდმივ ცვლილებებსა და რეორგანიზაციულ - სარეფორმო ციებ - ცხელებაშია. ხოლო 2004 წლიდან რეალურად ჩამოყალიბდა

სისტემის რეფორმისა და განვითარების სტრატეგიული ხედვა. სახელმწიფოში შემუშავდა ერთიანი საგანმანათლებლო პოლიტიკა, შეიქმნა პირველი განათლების პოლიტიკის დოკუმენტი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, ასევე შეიცვალა სისტემის მართვის, დაფინანსებისა და ხარისხის მართვის მოდელები და განათლების სისტემის სტრუქტურა (84, გვ. 20).

ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მეოცე საუკუნეში გაკვეთილზე სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან დაკავშირებით საქართველოში არსებობდა რამდენიმე ეტაპი, რომელიც გამოირჩეოდა განვითარების სპეციფიკური მახასიათებლებით:

- 1910-1920 წლები თავისუფალი აღზრდისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის დამკვიდრების პერიოდი;
- 1920-1930 წლები-პროგრესული განათლების დამკვიდრების პერიოდი „შრომის სკოლა“;
- 1931-1960 წლები -ტრადიციული, ავტორიტარული სწავლება-„სწავლების სკოლა“.
- 1960-1990 წლები - განმავითარებელი სწავლების, ჰუმანური პედაგოგიკისა და რეფორმის პერიოდი;
- 1990 წლიდან დღემდე-აქტიური ცვლილებებისა და რეფორმის პერიოდი;

ამრიგად, სამი ათეული წელია გასული მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა. შესაბამისად, ჩვენ არა მხოლოდ სისტემურად, არამედ საკადრო თვალსაზრისითაც, ცხოვრების ყველა სფეროში, ჯერ კიდევ განვიცდით საბჭოური საგანმანათლებლო სისტემის გავლენას.

## თავი II


### გაკვეთილი და თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები

#### § 1. აქტიური სწავლების დანერგვის პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური

#### საფუძვლები სწავლა/სწავლების პროცესში

აქტიური სწავლება აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლების სუბიექტს, სწავლების აქტიურ მონაწილეს-გაცნობიერებული სწავლის საჭიროებითა და მნიშვნელობით. მოსწავლე ეყრდნობა მასწავლებელს, როგორც ინსტრუქტორს. სწავლების ეს მიდგომა მიზნად ისახავს მასწავლებელზე ორიენტირებული ავტორიტარული სასწავლო პროცესის შეცვლას, მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესით. სწავლებას საფუძვლად ედება მოსწავლის პირადი გამოცდილება, ინტერესები, შესაძლებლობები. აქტიური სწავლება ზრდის მოსწავლის პასუხისმგებლობას საკუთარი სწავლის მიმართ, მოსწავლის ჩართულობას სასწავლო პროცესში და მოტივაციას. აქტიური სწავლება აერთიანებს სწავლების ყველა სტილს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ, კონსტრუქტივისტულ, თანამშრომლობით და სოციალურ ურთიერთქმედებას. აქტიური სწავლება საგანმანათლებლო ლიტერატურაში ხშირად ინტერაქტიული სწავლებით მოიხსენიება.

ინტერაქციის თავისებურება მდგომარეობს დამატებით მის სოციალურ ხასიათში. კონსტრუქტივისტული სწავლება ძირითადად მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთქმედებაა. ინტერაქტიული სწავლება კი გულისხმობს კიდევ ერთი რგოლის დამატებას მასწავლებელი=მოსწავლე+მოსწავლე=მოსწავლეებს, რაც გულისხმობს აქტიურ თანამშრომლობით სწავლებას მოსწავლეთა შორის



ინტერაქტიული სწავლების სტარტეგიები უზრუნველყოფს ჯგუფურ ჩართვასა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების განვითარებასთან ერთად განავითაროს სოციალური და კომუნიკაციისათვის საჭირო უნარები.

აქტიურ სწავლებას საფუძვლად უდევს განვითარებისა და სწავლების თეორიები, რომლებიც სწავლება/სწავლაში პიროვნების ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გავლენას უსვამენ ხაზს.

XX საუკუნეში ახალი ეტაპი იწყება განათლების ისტორიაში-კერძოდ კი ფსიქოლოგიისა და სწავლის თავისებურებების დაკავშირება. ამ დროს იწყება ფსიქოლოგიაში პიროვნების ფსიქოლოგიური შესწავლა, პიროვნების ქცევათა გაგების მიზნით.

მას შემდეგ, რაც 1890 წელს, ამერიკაში ჰარვარდის პროფესორმა, უილიამ ჯეიმსმა დაარსა ფსიქოლოგიური ლაბორატორია, ფსიქოლოგიური დისციპლინა სწრაფად განვითარდა. თავი იჩინა მთელმა რიგმა მეცნიერულმა პარადიგმებმა.

პიროვნების ფსიქოლოგიის ძირითადი მიმართულებები განსაკუთრებით აქცენტს აკეთებს განვითარების ფაქტორებზე. რაც გულისხმობს იმის დაშვებას, რომ პიროვნება თანდათან ვითარდება დროში და ეს განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ხდება ფაქტორთა ინტეგრირება(ანუ რა კომბინაციას ქმნის ზეგავლენის მქონე ფაქტორები) (87, გვ.14).

სწორედ ამ პერიოდში დაიწყო ახალი ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, როგორც ახალი მეცნიერული პარადიგმის სწავლება, რომელიც ბიჰევიორიზმის სახელით არის ცნობილი. **ბიჰევიორიზმი** არის ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელშიც დაკვირვებად ქცევას გარემო აყალიბებს და დაასწავლის ადამიანს. ბიჰევიორიზმი ყველაზე გავლენიანი მიმდინარეობა გახდა ამერიკული აკადემიური ფსიქოლოგიის 1920-1950 წლებში.

ჯონ ბ. უიტსონი ითვლება ბიჰევიორისტული თეორიის მამამთავრად. 1913 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „ფსიქოლოგია ბიჰევიორისტის თვალთ“.

ჯონ უიტსონის თეორია ეყრდნობოდა ბრიტანელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის ნააზრევს, რომელმაც 1690 წელს წამოაყენა „ტაბულა რაზას“ ანუ „სუფთა დაფის“

ლოქტრინა. ლოკს მიაჩნდა, რომ ადამიანის გონება სუფთა დაფას წააგავს, რომელზეც თავდაპირველად არაფერია დაწერილი. დროთა განმავლობაში გამოცდილება წერს მასზე და გონებას სხვადასხვა ცოდნით ავსებს. ლოკი უარყოფდა მოსაზრებას შინაგანი იდეების შესახებ და ამტკიცებდა, რომ პიროვნებას გარემო აყალიბებს (87, გვ. 95).

უიტსონს მიაჩნდა, რომ ფსიქოლოგია ქცევის მეცნიერებაა და არა გონების. ის ამტკიცებდა, რომ ისეთი ცნება, როგორცაა ცნობიერება საერთოდ არ არსებობს. მთელი ცოდნა გარეგან პირობებზეა დამოკიდებული, ხოლო ადამიანთა მთელი ქმედება ამ პირობით არის განპირობებული და განსაზღვრული და სრულიად არ არის დამოკიდებული გენეტიკურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებებზე (87, გვ.137).

ბიჰევიორიზმის კლასიკური განპირობების თეორია ეკუთვნის რუს ფიზიოლოგს ივან პეტრეს ძე პავლოვს (1849-1936). რომელმაც, საჭმლის მონელების პროცესის კვლევისას შეიმუშავა ქცევის შესწავლის მეთოდი და დასწავლის პრინციპები, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაზე.

XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში პავლოვი ძაღლებში კუჭის სეკრეციას სწავლობდა. სეკრეციის გამოსაწვევად პავლოვის ასისტენტი ძაღლს პირში დამუშავებულ ხორცს უდებდა. ეს პროცედურა გარკვეული რაოდენობით მეორდებოდა.

პავლოვმა შემთხვევით მიაქცია ყურადღება, რომ საკვების რამდენჯერმე მიწოდების შემდეგ ძაღლს ნერწყვი გარკვეულ სტიმულებზე ჯერ კიდევ მანამ გამოეყოფოდა, სანამ საკვები მის პირში მოხდებოდა. ნერწყვი გამოეყოფოდა ისეთ სტიმულებზე, როგორც იყო საკვებით სავსე ჯამის გამოჩენა, ჩანგლის ახმაურება, ანდა ის ადამიანი, რომელსაც მიჰქონდა საჭმელი. მეტიც, გარკვეული დროის შემდეგ ძაღლმა მის ფეხის ხმაზეც დაიწყო ნერწყვის გამოყოფა. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი სტიმული, რომელიც სისტემატურად უსწრებდა წინ საკვების მიღებას, თავდაპირველად არ იწვევდა არანაირ რეაქციას, შემდგომში ნერწყვის გამოყოფას იწვევდა მხოლოდ იმის გამო, რომ ასოცირდებოდა საკვებთან, რომელიც

ავტომატურად აიძულებდა ძალს ნერწყვის გამოყოფას. ამ შემთხვევაში საკვები განპირობებული სტიმული გახდა. ხოლო რეაქცია ფეხის ხმაზე, ჩანგლის ხმაზე - განპირობებული საპასუხო რეაქცია.

პავლოვმა მიატოვა თავისი კვლევა სეკრეციისა და საჭმლის მონელების შესახებ და ამით საბოლოოდ შეცვალა ფსიქოლოგიური აზროვნების მიმართულება. მან აღმოაჩინა პროცესი, რომელსაც კლასიკური პირობითი რეფლექსის გამომუშავება, ანუ კლასიკური განპირობება უწოდა.

ესაა დასწავლის მარტივი ფორმა, რომლის საფუძვლად რეფლექსები უნდა ჩაითვალოს. რეფლექსი არის დაუსწავლელი, უნებლიე პასუხი ანუ რეაქცია, მაგ. ნერწყვის გამოყოფა, თვალების ხამხამი და ა. შ. ყველა რეფლექსს ბუნებრივად იწვევს სპეციფიკური სტიმული, რომელიც ბიოლოგიურად აქტუალურია ორგანიზმისთვის. ნებისმიერ სტიმულს, რომელიც ბუნებრივად იწვევს რეფლექსურ ქცევას უპირობო ანუ განუპირობებული სტიმული ეწოდება, ვინაიდან სწავლა არ არის სტიმულის კონტროლისთვის აუცილებელი პირობა. ქცევა, რომელიც გამოწვეულია უპირობო ანუ განუპირობებული სტიმულით, უპირობო ანუ განუპირობებული ქცევაა. პავლოვის კლასიკურ განპირობებულ ექსპერიმენტში ზარი, ფეხის ხმა **ნეიტრალური სტიმულია**, რომელიც რამდენჯერმე მეორდება უშუალოდ საკვების მიღების წინ. შედეგად ამ მანამდე ნეიტრალურმა სტიმულმა გამოიწვია ნერყვის გამოყოფის რეაქცია უპირობო სტიმულის (ამ შემთხვევაში საკვების) წარდგენის გარეშე. ნეიტრალურ სტიმულს დაწყვილებულს განუპირობებულ სტიმულთან პირობითი ანუ განპირობებული სტიმული ეწოდება (87, გვ. 98-100).

როგორ დავაკავშიროთ პავლოვის თეორია სწავლების პროცესთან? ემოციები და დამოკიდებულება, ისევე როგორც ფაქტები და იდეები საკლასო ოთახში ისწავლება. ამ ემოციურმა სწავლამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს აკადემიურ სწავლაზე. კლასიკურ პირობით რეფლექსზე დამყარებული პროცედურები შეიძლება იმისთვისაც იქნეს გამოყენებული, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს ადაპტაციის ხელშემწყობი, საპასუხო რეაქციების სწავლასა და გამომუშავებაში.

გაკვეთილზე, სწავლების პროცესში კლასიკური პირობითი რეფლექსის გამოყენების რეკომენდაციებში ხაზგასმულია:

- სასწავლო დავალებების დაკავშირება პოზიტიურ, სასიამოვნო მოვლენებთან. ხაზი გაუსვით ჯგუფურ შეჯიბრს და თანამშრომლობას. ბევრ მოსწავლეს ინდივიდუალურ შეჯიბრსა და კონკურენციაზე ნეგატიური დამოკიდებულება აქვს, რომელიც შეიძლება სწავლაზეც განზოგადდეს.
- დაეხმარეთ მოსწავლეებს ნებაყოფლობით გარისკონ და მიაღწიონ წარმატებას შფოთვის გამომწვევ სიტუაციებში.

ეს რეკომენდაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მორცხვი ბავშვების სოციალურობის თვალსაზრისით. წავახალისოთ ჩაერთონ და ითანამშრომლონ თანაკლასელებთან.

- დაეხმარეთ მოსწავლეებს, გაარჩიონ სიტუაციათა მსგავსებები და განსხვავებები ისე, რომ შეეძლოთ შესაბამისად მოვლენების განზოგადება და განსხვავება (32, გვ. 292).

ბიჰევიორიზმის ყველაზე გავლენიანი წარმომადგენელი ბ. ფ. სკინერია. სკინერს აქტიური ორგანიზმი და მისი ქცევა აინტერესებდა. მის თეორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოზიცია უკავია ოპერანტული ქცევის ცნებას და მის სისტემას ოპერანტული განპირობების თეორიასაც უწოდებენ.

ოპერანტული ქცევა, შეგვიძლია დავახასიათოთ იმ კონკრეტული გავლენით, რომელსაც გარემოზე ახდენს. ქცევათა უმრავლესობა არ წარმოადგენს უნებლიე საპასუხო რეაქციას. ადამიანები აქტიურად ზემოქმედებენ თავიანთ გარემოსა და გარემოცვაზე სასურველი შედეგების მისაღებად. ამ განზრახ ჩადენილ ქმედებებს ოპერანტები(სპეციფიკური საპასუხო რეაქციები) ეწოდება. რაიმე ქმედების განპირობება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ხდება ამ ქმედების დასრულების შემდეგ (87, გვ. 144).

სკინერის ქცევის ანალიზში ყველაზე მნიშვნელოვანია განმტკიცება. შედეგები მნიშვნელოვნად განაპირობებს იმას გაიმეორებენ თუ არა ადამიანები ამ შედეგების გამომწვევ ქცევას. თუ ქცევა განმტკიცდა ის გაძლიერდება ანუ გაიზრდება.

სკინერი წერს, რომ რაღაც მაშინ არის განმამტკიცებელი, როდესაც ის რეალურად აძლიერებს იმ ქცევას, რომელიც წარმოქმნის მას. მოვლენებს რომლებსაც განმამტკიცებელი ეფექტი აქვთ სკინერის მიხედვით ორგვარია: დადებითი და უარყოფითი.

პროცესს, როდესაც ქცევას სასარგებლო სტიმულის მიწოდება მოყვება დადებითი განმამტკიცებელი ეწოდება. პროცესს, როდესაც ქცევას უსიამოვნო სტიმულის ჩამოშორება მოჰყვება, უარყოფითი განმამტკიცება ეწოდება (87, გვ. 147).

გაკვეთილზე დადებითი განმამტკიცებელი სტიმული ზოგიერთი მოსწავლისათვის შეიძლება მასწავლებლის შექება იყოს (ცდილობს დავალება კარგად დაწეროს რათა მასწავლებლის შექება დაიმსახუროს). სხვა მოსწავლისათვის კი შეიძლება მასწავლებლის დატუქსვა აღმოჩნდეს პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმული (მაგალითად მოსწავლე მასწავლებლის ყურადღება მიჰყრობას დატუქსვის სახით ცდილობს). ორივე შემთხვევაში მასწავლებელი თავისი ქმედებით სტიმულს აძლევს მოსწავლეებს. მასწავლებლის ქმედება ზრდის მოსწავლის ქცევის სიხშირეს.

უარყოფითი განმამტკიცებელი სტიმული, ნიშნავს, რომ მოსწავლეს სტიმულს კი არ ვაწვდით არამედ ვაშორებთ მას სტიმულს. მაგალითად: მშობელმა გაათავისუფლა ბავშვი მისი ოთახის დალაგებისაგან, თუ იგი საშინაო დავალებას დაწერს. თუ ბავშვს არ მოსწონს ოთახის დალაგება, მაშინ ის დავალების დაწერით აიცილებს ამ საქმეს (32, გვ. 296).

ბიჰევიორისტული თეორიის გაკვეთილზე გადატანას ხელს უწყობს დ. პრემარკის (ამერიკელი ფსიქოლოგი) პრინციპი, რაც ნიშნავს წავახალისოთ ნაკლებად სასურველი ქცევა, თუ კი მას უფრო სასურველ ქცევებს დავუკავშირებთ. მაგალითად თუ ვამბობთ „როგორც კი მოვრჩებით ამ დავალების წერას, შეგიძლიათ დაისვენოთ“ .

განმამტკიცებელი სტიმულების გაკვეთილზე გამოყენებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ სხვადასხვა სტრატეგიები:

- წინასწარ განსაზღვრეთ რა არის სასურველი ქცევა. ავუხსნათ მოსწავლეებს რა ქცევები გვინდა, რომ მათ ისწავლონ და დამოამყდნონ;
- განსაზღვრეთ რა კონკრეტული შედეგი წარმოადგენს განმამტკიცებელ სტიმულს თითოეული მოსწავლისათვის. განმამტკიცებელი სტიმულების გამოყენება



განსაკუთრებით ეფექტურია, როცა ისინი მოსწავლეებზე ინდივიდუალურად არის მორგებული;

- გარეგან განმამტკიცებელ სტიმულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიყენებთ, როცა მოსწავლეები მათ გარეშე სასურველ ქცევებს არ ამჟღავნებენ. ბევრი განმამტკიცებელი სტიმული ხშირი გამოყენების შემთხვევაში ეფექტურობას კარგავს. ყველაზე ეფექტური განმამტკიცებელი სტიმულებია შინაგანი სტიმულები, როგორც არის სიამოვნება, რომელის ახლავს საქმიანობას;
- ნათლად დაუკავშირეთ ერთმანეთს საპასუხო ქცევა და შედეგი. განმამტკიცებელი სტიმულები განსაკუთრებით მაშინ არის ეფექტური, როცა მასწავლებელმა ზუსტად იცის თუ რომელი ქცევა რა შედეგს იწვევს;
- განმამტკიცებელი სტიმული გამოიყენეთ მანამ, სანამ სასურველ შედეგს არ მიაღწევთ;
- გაუკეთეთ მონიტორინგი მოსწავლეთა პროგრესს;
- ბიჰევიორისტები გვირჩევენ პერიოდულად შევაფასოთ, მოაქვს თუ არა სასურველი შედეგი ჩვენ მიერ გამოყენებულ განმამტკიცებელ სტიმულებს. ამისათვის საჭიროა შევაფასოთ მოქმედების სიხშირე, როგორც ოპერანტული განპირობებულობის სტრატეგიის გამოყენების დაწყებამდე, აგრეთვე მისი გამოყენების დროს. სანამ ჩვენ განმამტკიცებელი სტიმულების განზრახ გამოყენებას დავიწყებთ, მოქმედების სიხშირე მის საწყის დონეზე იმყოფება. როცა ვადარებთ ქცევის სიხშირის დონეებს საწყისსა და განმამტკიცებელი სტიმულების გამოყენების შემდგომ, შეგვიძლია განვსაზღვროთ, იწვევს თუ არა განმტკიცების პროცედურა ქცევის ცვლილებას.

სკინერის ოპერანტული განპირობებულობა მასწავლებელს აძლევს შესაძლებლობას მართოს მოსწავლის ქცევები გაკვთილზე. ჩამოუყალიბდეს საჭირო ან არასაჭირო უნარ-ჩვევები, თუ ჩვენ გვინდა რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ჩართულობის, კვლევითი საქმიანობის, თანამშრომლობითი უნარები, იყვნენ აქტიურები სხვადასხვა ღონისძიებებში და ა. შ. ჩვენ ეს ქცევები მაშინვე განვამტკიცოთ, როგორც კი გამოამჟღავნებენ.

XX საუკუნის სამოციანი წლებიდან კოგნიტივისტურმა რევოლუციამ საკუთარი პარადიგმით ჩაანაცვლა ბიჰევიორიზმი. კოგნიტივისტური პარადიგმა ამტკიცებს, რომ აუცილებელია გავხსნათ და გავიგოთ რა არის გონების „შავ ყუთში“, რათა გავიგოთ როგორ სწავლობენ ადამიანები, მენტალური პროცესები როგორიანა: აზროვნება, მეხსიერება, პრობლემის გადაჭრა, შესწავლას საჭიროებს. ცოდნა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სქემა ან სიმბოლური კონსტრუქცია, სწავლა განიმარტება, როგორც მოსწავლის არსებული სქემების ცვლილება.

ბიჰევიორიზმის საპირისპიროდ ადამიანები არ განიხილებიან „დაპროგრამებულ არსებებად“ რომლებიც მხოლოდ გარე სტიმულებზე რეაგირებენ. ადამიანები რაციონალური არსებები არიან, რომლებსაც აქტიური მონაწილეობა სწირდებათ იმისათვის, რომ ისწავლონ. მოქმედებები აზროვნების შედეგია. ქცევითი ცვლილებები დაკვირვებადი მოვლენებია, მაგრამ ქცევითი ცვლილება მხოლოდ გონებაში მიმდინარე პროცესების ინდიკატორად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

თითქმის 50 წლის განმავლობაში ჟან პიაჟე (Jan Piaget, 1929, 1954, 1977) ავითარებდა თეორიებს იმის შესახებ, თუ როგორ აზროვნებენ, ფიქრობენ და წყვეტენ ამოცანებს ბავშვები.

გონებრივ სტრუქტურებს, რომელთა საშუალებითაც ადამიანი სამყაროს ინტერპრეტირებას ახდენს, პიაჟემ სქემები უწოდა. სქემები ასაკობრივი ცვლილებების ელემენტები-„სამშენებლო აგურებია“. პიაჟეს მიხედვით კოგნიტური ზრდისთვის აუცილებელია ორი ბაზისური პროცესის ერთობლივი მუშაობა-ასიმილაცია და აკომოდაცია. **ასიმილაციით** ხდება გარემოდან მომდინარე ახალი ინფორმაციის მოდიფიცირება, რათა ეს უკანასკნელი შესაბამისობაში მოვიდეს უკვე ნაცნობ გამოცდილებასთან. შემოსული სენსორული ინფორმაციის სტრუქტურისადაცისათვის ბავშვი მიმართავს არსებულ სქემებს. **აკომოდაციის** შემთხვევაში კი პირიქით, ახალი ინფორმაციის უფრო სრულად ასახსნელად გადასტრუქტურდება ან მოდიფიცირდება ბავშვის უკვე არსებული სქემები (83 გვ. 412).

პიაჟე არსებული სქემების საშუალებით ახალი მოვლენების ახსნას ექვილიბრიუმს ანუ შემეცნებით წონასწორობას უწოდებდა, მაგრამ ექვილიბრიუმი

განუსაზღვრელად არ გრძელდება. როცა ბავშვები იზრდებიან აწყდებიან ისეთ სიტუაციებს, რომელთა ახსნა არსებული ცოდნის საფუძველზე არ შეუძლიათ. ასეთი სიტუაცია ქმნის დისექვილიბრიუმს: გონებრივ დისკომფორტს, დისბალანსს ბავშვის არსებულ ცოდნასა და ახალ მოვლენას შორის. ბავშვები ცდილობენ შეამცირონ ეს დისბალანსი, თავიანთი არსებული სქემების შეცვლით, ინტეგრირებით, ან ახალი სქემების შენაცვლებით. ექვილიბრიუმიდან დისექვილიბრიუმში და მერე უკანვე, ექვილიბრიუმში გადასვლის პროცესს ექვილიბრაცია ეწოდება. პიჟეს მიაჩნდა, რომ სწავლა დამოკიდებულია ექვილიბრაციაზე (105, გვ. 17-18).

პიჟეს მიაჩნდა, რომ ბავშვის კოგნიტური განვითარება შეიძლება ოთხ თანმიმდევრულ, ცალკეულ სტადიად დაიყოს: **სენსომოტორული სტადია, წინაოპერაციული სტადია, კონკრეტული ოპერაციების სტადია, ფორმალური ოპერაციების სტადია.**

პედაგოგები და ფსიქოლოგები გვთავაზობენ თუ, როგორ უნდა გამოვიყენოთ პიჟეს თეორია გაკვეთილზე, სწავლების პროცესში:

- ყურადღება გაამახვილეთ მოსწავლეთა აზროვნების პროცესებზე და არა მხოლოდ მის შედეგებზე. მასწავლებლებმა მხოლოდ მოსწავლეების პასუხები კი არ უნდა შეამოწმონ, არამედ უნდა განსაზღვრონ, თუ რა გონებრივი პროცესები გამოიყენეს ბავშვებმა ამ პასუხების მისაღებად. მასწავლებლებს, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ, შესაფერისი სასწავლო სიტუაციები და გამოცდილებები შეუქმნან ბავშვებს, როცა ესმით, თუ რა მეთოდებს იყენებენ ბავშვები კონკრეტული დასკვნების გამოსატანად;
- გააცნობიერეთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინიციატივა და აქტიური ჩართულობა სასწავლო პროცესში. მიეცით ბავშვებს შესაძლებლობა, თვითონ გააკეთონ აღმოჩენები გარემოსთან უშუალო ურთიერთობის საშუალებით;
- გააცნობიერეთ, რომ მოსწავლეთა განვითარების ტემპები განსხვავებულია და გაითვალისწინეთ ეს განსხვავება საგაკვეთილო პროცესში (32).

სოციალური კონსტრუქტივიზმის წარმომადგენელია ლევ ვიგოტსკი. იგი თვლიდა, რომ ბავშვების **ინტერნალიზაციის** პროცესით ვითარდებიან. ისინი ცოდნას

სოციალური გარემოდან ისრუტავენ, რომელიც სერიოზულად აისახება მათი კოგნიტური უნარების განვითარებაზე (83 გვ. 415). ახალ ცნებებს ყველაზე კარგად მაშინ სწავლობენ, როცა ისინი, ბავშვის განვითარების უახლოესი ზონის (The zone of proximal development) ფარგლებში არიან (105, გვ. 24-25).

კონსტრუქტივისტული თეორიები ძირითადად ორ თვალსაზრისს იზიარებენ: ცოდნის აგება მოსწავლის აქტიურობითა და სოციალური ინტერაქციის მეშვეობით.

კონსტრუქტივისტების მიერ სწავლა აღიქმება, როგორც ცოდნის კონსტრუირება ინდივიდის მიერ, გარკვეულ სიტუაციებში მიღებული გამოცდილების გადამუშავების შედეგი.

კოგნიტური მიდგომა გულისხმობს, რომ სწავლის პროცესის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი ის ცოდნაა, რომელიც მოსწავლეს აქვს სასწავლო სიტუაციაში. ის რაც უკვე იცის მოსწავლემ განსაზღვრავს იმას, რას მიაქცევს ყურადღებას, აღიქვამს, ისწავლის, დაიმახსოვრებს და დაივიწყებს.

პროგრესული განათლების ავტორია ჯონ დიუი. ჯონ დიუის კონცეფცია გულისხმობდა გამოცდილებით სწავლებას, სოციალური ინტერაქციითა და გარემოსთან ინტერაქციით. პროგრესული განათლება ბავშვის ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას მოითხოვდა. მასწავლებელს ევალებოდა სწავლების იმდაგვარად წარმართვა, რომ მოსწავლის მიერ მიღებული გამოცდილება გამოიწვევდა მის სურვილსა და ინტერესს სიამოვნებით ჩართულიყო სწავლების პროცესში.

ჯონ დიუიმ სწავლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტად პრობლემის გადაჭრა დაასახელა. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს მოქნილი ცოდნის განვითარებაში, რომელიც ინერტული ცოდნისაგან განსხვავებით, მრავალ სიტუაციაში გამოიყენება.

აქტიური სწავლების არსი გამომდინარეობს სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიიდან. ეს თეორია ჩამოაყალიბა მორტონ დოიჩმა (Morton Deutsch) 1949 წელს. მ.დოიჩმა დაადგინა, რომ საერთო მიზნის მისაღწევად, ინდივიდთა შინაგანი წინააღმდეგობათა სისტემა ურთიერთქმედებაშია (111, გვ. 285).

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორია დოიჩისა და ჯონსონების მიხედვით განმარტებულია, როგორც მოსწავლის ინდივიდუალური ქცევის შეთანხმება ჯგუფის წევრთა ანუ სხვა მოსწავლეთა აქტივობასთან.

დოიჩის მიხედვით, არსებობს ორი სახის სოციალური ურთიერთქმედება-პოზიტიური და ნეგატიური.

პოზიტიურია, როცა ურთიერთქმედება დამყარებულია მიზანსა და მიღწევაზე. ამ დროს ჯგუფის წევრებს გაცნობიერებული აქვთ თანამშრომლობის მნიშვნელობა მიზნის მისაღწევად.

ნეგატიური ურთიერთთანამშრომლობა გამოიხატება მონაწილეთა ინდივიდუალურ ქმედებებში, რომელიც არ არის მიმართული საერთო მიზანზე, რაც აისახება ჯგუფის წარმატებაზე. რისი მიზეზი სუსტი ურთიერთქმედება არის (111, გვ. 288).

ინტერაქციის ფარგლებში შესაძლებელია: ინდივიდმა საკუთარი ქმედებით ხელი შეუწყოს მიზნის მიღწევას სხვებთან ერთად ან დააბრკოლოს მიზნის მიღწევა.

ინტერაქცია შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი. პირდაპირი ინტერაქცია გულისხმობს ვერბალურ, წერილობით და ელექტრონულ კომუნიკაციას. ირიბი კი ინდივიდის უშუალო ქმედებაა, რომლის შედეგად იზრდება ან მცირდება ჯგუფის მიღწევის ნიშნული. თანამშრომლობითი სწავლების დროს ჯგუფის წევრები წარმატებას და წარუმატებლობას ერთნაირად იზიარებენ. შედეგები უშუალო კავშირშია მონაწილეთა ინტერაქციის სახეობაზე. მიზნისაკენ მიმავალი გზა სტრუქტურირებულია პირდაპირი და ირიბი ინტერაქციის მოდელებით.

მ. დოიჩი მიიჩნევდა, რომ პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება განაპირობებდა ინტერაქციის მასტიმულირებელ პროცესს, მაშინ როდესაც, ნეგატიური ურთიერთდამოკიდებულება იწვევდა საპირისპირო, დაბალ ინტერაქტიულობას. ინტერაქციაში ჩართული მოზარდების ქმედითობის შედეგად განისაზღვრება წარმატება და წარუმატებლობა; თუ რამდენად მჭიდროდ თანამშრომლობენ და ეხმარებიან ერთმანეთს სასწავლო პროცესში. ამასთანავე, როგორ არის გამოყენებული საჭირო რესურსები, ეფექტური კომუნიკაცია, ნდობა, ურთიერთგავლენა და კონფლიქტების მართვა (111, გვ. 292).

ზოგჯერ სხვადასხვა საქმიანობა ამცირებს საერთო წარმატებას. ამ შემთხვევაში გუნდის თითოეული წევრი დაინტერესებულია პირადი მიღწევებით და ცდილობს ხელი შეუშალოს თანაგუნდელთა წარმატებას. ასეთი სახის ურთიერთდამოკიდებულება ახშობს მიზნის მიღწევის სურვილის ხარისხს და წარმოშობს უნდობლობას.

მ. დოიჩი ურთიერთდამოკიდებულების თეორიის სამ ძირითად ასპექტს გამოყოფს:

- თანამშრომლობა და კონკურენცია, რომელიც მოზარდთა ქმედებებში ვლინდება, როგორც კი ჩაერთვებიან საერთო საქმიანობაში;
- შესაბამისი აქტიურობა დამოკიდებულია აღქმისა და მიზნის ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც მოზარდის კოგნიტური წარმოსახვა გარკვეულ სიტუაციაში, მოზარდი შესაბამისად საპასუხო რეაქციით გამოხატავს არსებული ვითარების მისეულ აღქმას. აღქმითი პროცესები ცვალებადია, მიმდინარე მოვლენების მიხედვით;
- მიზეზი და შედეგი. დოიჩეს თეორიის შესაბამისად სახასიათო პროცესები იმ ურთიერთდამოკიდებულების ტენდენციას ავლენს, რომელიც სოციალურ პროცესებში იკვეთება. თანამშრომლობა იწვევს სტიმულირებას, რომელიც ურთიერთშეთანხმებით, დახმარებით, გავლენითა და ნდობით მოიპოვება. ჯგუფში კონკურენცია წარმოშობს წარმატების ხელისშემშლელ დაბრკოლებას, როგორცაა ფუჭი კომუნიკაცია და კონფლიქტები (111, გვ. 293).

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის გამოყენება განათლებაში სოციალური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულ და ფართოდ გავრცელებულ პროგრამად ითვლება.

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიიდან, მკვლევარებმა შეიმუშავეს პრაქტიკული პროცედურები, როგორც კოოპერატიული, კონკურენტული და ინდივიდუალური ძალისხმევისა გაკვეთილზე საკლასო გარემოში, თუმცა ეს თეორია განსაკუთრებით თანამშრომლობითი სწავლების ხასიათს გამოხატავს.

გაკვეთილზე ინდივიდუალური სწავლების დროს მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად. მოსწავლის ურთიერთობა შემოიფარგლება მასწავლებელთან

ინტერაქციით, მას არ აქვს კონკურენციის გრძნობა ან მოსწავლეთა მცირე ჯგუფის წინაშე არ გრძნობს პასუხისმგებლობას საერთო მიზნის მიღწევის საქმეში შეტანილი წვლილის გამო.

გაკვეთილზე კონკურენტული სწავლების დროს ატმოსფერო კონკურენციით არის გაჯღენთილი, თითოეული მოსწავლე ცდილობს პირველობას სხვისი გადასწრების ხარჯზე. ამ ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეთა ინტერაქცია მოკლებულია თანამშრომლობით ხასიათს და პოზიტიურ ინტერაქციას. სანაცვლოდ თვალში საცემია მოსწავლეთა შორის არაჯანსაღი შეჯიბრი, ეგოიზმი და სტრესული მდგომარეობა.

კოოპერატიული/თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება გაკვეთილზე იწვევს მოსწავლეთა შორის ინტერაქციას. ჯგუფური მუშაობა მოითხოვს მოსწავლისაგან პასუხისმგებლობას საერთო საქმიანობის წინაშე, თუ ინდივიდუალური სწავლების დროს ცოდნის კონსტრუირება ხდება მოსწავლის მიერ დამოუკიდებლად, თანამშრომლობითი სწავლების დროს ცოდნის კონსტრუირება სოციალური ხასიათისაა და ჯგუფის წევრთა ურთიერთქმედებით ხდება.

XX საუკუნის 60-იანი წლებიდან კოოპერატიული/თანამშრომლობითი სწავლების გამოყენება ფართოდ გავრცელდა გაკვეთილზე, სწავლების სხვადასხვა საფეხურზე.

სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიის, საგანმანათლებლო პრაქტიკაზე გავლენის გასაგებად აუცილებელია კოოპერაციული სწავლების განმარტება და იმის განსაზღვრა თუ როგორ უწყობს ხელს კოოპერაციული სწავლება, სოციალური ურთიერთდამოკიდებულების თეორიას.

კოოპერაციული სწავლება (თანამშრომლობითი სწავლება, კოლაბორაციული სწავლება) თანამედროვე ლიტერატურაში ძირითადად მოიხსენიება თანამშრომლობითი სწავლების სახელით. ის საგანმანათლებლო პრაქტიკაში აქტიურად დაინერგა 1960 წლიდან და დღემდე დიდი აქტუალობით სარგებლობს ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში.

თანამშრომლობითი სწავლება არის სასწავლო სტარატეგია, რომელიც ხელს უწყობს გაკვეთილზე მოსწავლეთა კოოპერაციულ მუშაობას მცირე ზომის ჯგუფებში.

გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლების დროს ცოდნა იქმნება მოსწავლეთა მიერ, ჯგუფში მუშაობის დროს, სოციალური ინტერაქციით მიღებულ ცოდნას ჯგუფები ცვლიან ერთმანეთში.

გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლება უზრუნველყოფს ინფორმაციის მოძიებას, გაცვლას, დახმარებასა და ურთიერთწახალისებას. ცოდნა ყალიბდება მოსწავლეთა ინტერაქციით (ურთიერთქმედებით), სიტუაციისა და გარემოს ანალიზით. გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლება გულისხმობს საერთო მიზნისათვის მოსწავლეთა გარჯას.

ჯონსონების მიხედვით თანამშრომლობითი სწავლების წარმატება გაკვეთილზე ჯგუფების დაკომპლექტებაზეა დამოკიდებული. მასწავლებელი აკომპლექტებს ჯგუფს, 2-4 მოსწავლით, ჯგუფი უნდა იყოს დაკომპლექტებული სუსტი და ძლიერი მოსწავლეებით.

მათ მიხედვით ჯგუფის წარმატებისათვის საჭიროა:

- დამატებითი რესურსი;
- სამუშაოს მცირე დროში გადანაწილება ეფექტიანობის თვალსაზრისით;
- მცირე ჯგუფში მაღალია მოსწავლის ინტერაქციის ხარისხი;
- მცირე ჯგუფში იოლია მონიტორინგის მართვა.

გვთავაზობენ ჯგუფის მუშაობის ოთხ დონეს: ფორმირება, ფუნქციონირება, ფორმულირება და დასრულება.

თანამშრომლობითი სწავლების საჭირო მახასიათებლებია:

- დადებითი ურთიერთდამოკიდებულება;
- ინდივიდუალური პასუხისმგებლობა;
- თანამონაწილეობა;
- თანაბარუფლებიანობა;
- ურთიერთქმედება/ინტერაქცია.

გაკვეთილზე, მოსწავლეთა ინტერაქცია თანამშრომლობით გარემოში ვითარდება. იმისათვის, რომ გამოვიწვიოთ მოსწავლეთა ინტერაქცია საჭიროა მივმართოთ თანამშრომლობით სწავლებას, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა



პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებას, საერთო მიზნის მისაღწევად მოსწავლეები ერთიანდებიან და ეხმარებიან ერთმანეთს.

პიაჟეს მიმდევრები ფიქრობენ, რომ ინტერაქცია ჯგუფის შიგნით ქმნის კოგნიტურ კონფლიქტებს, რაც მოსწავლეს უბიძგებს კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს საკუთარი შეხედულება და დაიწყოს ახალი იდეის ძებნა. ან, როგორც პიაჟემ განაცხადა „გამოვიდეს არსებული სქემიდან და ახალის შექმნა დაიწყოს“. ვიგოცკის მომხრეები კი ამბობენ, რომ სოციალურ ინტერაქციას დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლისთვის, რამდენადაც მაღალი ფსიქიკური ფუნქციები, როგორცაა განსჯა, გაგება, კრიტიკული აზროვნება სოციალურ ინტერაქციაში აღმოცენდება და შემდეგ მოსწავლის მიერ მათი ინტერნალიზება ხდება. ბავშვები სხვებთან ერთად უფრო მალე შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, ვიდრე ინდივიდუალურად (10).

აქტიურ/ინტერაქტიულ სწავლებას დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია სამ დონეზე, როგორცაა, აკადემიური მიღწევა, ინტერპესონალური ქცევები და სოციალური განვითარება. ანუ თანამშრომლობითი სწავლებით მიიღწევა, როგორც ეფექტიანობა და პროდუქტიულობა სწავლებაში, ასევე უმჯობესდება ახალი იდეების, კრეატიული განვითარების, მოტივაციის უნარი, ურთიერთ-დამოკიდებულება, თვითშეფასება, პასუხისმგებლობა და სოციალური კომპეტენციები. ასევე დასაბუთებულია, რომ მასწავლებელი, რომელიც თანამშრომლობითი სწავლების მეთოდებს იყენებს გაკვეთილზე აღწევს რამდენიმე მიზანს ერთდროულად. პირველი თანამშრომლობითი სწავლება ყველასთვის ხელმისაწვდომი და მარტივი ფორმულაა; მეორე იგი ეხმარება პედაგოგს შექმნას პოზიტიური სასწავლო გარემო გაკვეთილზე; მესამე თანამშრომლობითი სწავლება უზრუნველყოფს ერთობლივი გამოცდილების დახვეწას, რომელიც აუცილებელი პირობაა სოციალური, ფსიქოლოგიური და კოგნიტური განვითარებისათვის (31, გვ. 40).

ამდენად, თანამშრომლობითი ინტერაქცია, მოსწავლისათვის ხდება სოციალური მხარდაჭერა, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობის, სწავლის მოტივაციის, კოგნიტურობის, სოციალური განვითარების მხრივ.

ბევრი მნიშვნელოვანი აქტივობა, რომელიც ხელს უწყობს საგაკვეთილო პროცესში აქტიურ სწავლა-სწავლებას, შეიძლება განხილულ იქნეს ერთი სათაური ქვეშ და ესაა „მეტაკოგნიტიურობა“. „მეტაკოგნიცია არის აზროვნება აზროვნების შესახებ. მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი გულისხმობს მოსწავლის აქტიურ ჩართვას საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვაში, მართვაში, მონიტორინგსა და შეფასებაში. მოსწავლის უნარი, გამოიტანოს დასკვნა იმის თაობაზე, რა და როგორ ისწავლა და დაგეგმოს საკუთარი თვითგანვითარება, მეტაკოგნიტური სტრატეგიაა. რაც უფრო მაღალია მოსწავლის მეტაკოგნიტური აზროვნება, მით უფრო ადეკვატურად იყენებს იგი სწავლის ეფექტიან სტრატეგიებს“ (44, გვ. 9).

მეტაკოგნიტიურობა მიმართულია ადამიანის უნარებისადმი, რათა წინასწარ განისაზღვროს თუ ვის რა დონეზე შეუძლია გაართვას თავი სხვადასხვა დავალებას და გაკოტროლდეს მათი შემეცნებისა და ცოდნის არსებული დონე. სწავლების პრაქტიკა შესაბამისობაშია სწავლებისადმი მეტაკოგნიტურ მიდგომასთან იმის გათვალისწინებით, რომ ორივე შემთხვევაში ყურადღება გამახვილდება თვითშეფასებაზე. ასევე მუშაობის პროცესში უნდა აისახოს, თუ რა მიმართულებითაა საჭირო გაუმჯობესება.

მეტაკოგნიცია მოიცავს:

1. დეკლარირებულ ცოდნას საკუთარი თავის, როგორც მსწავლელის შესახებ, იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს შენს სწავლასა და მეხსიერებაზე და გარკვეული დავალების შესრულებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებზე, სტრატეგიებსა და რესურსებზე;

2. პროცედრულ ცოდნას, როგორ გამოიყენო სტრატეგიები;

3. განპირობებული ცოდნა, დავალების დასრულების უზრუნველსაყოფად იმის ცოდნა, როდის და რატომ გამოიყენო სტრატეგიები და პროცედურები (32, გვ. 369).

მკვლევარები გვთავაზობენ უნარების ჩამონათვალს, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება აზროვნებისა და უნარების რეგულირება: დაგეგმვა, მონიტორინგი, შეფასება.

დაგეგმვა გულისხმობს იმის გადაწყვეტას, რა დრო უნდა დაეთმოს დავალებას, რა სტრატეგიები უნდა გამოვიყენოთ, როგორ უნდა დავიწყოთ დავალების შესრულება, რა რესურსები უნდა შევავროვოთ, რა თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ, რაზე არ დავკარგოთ დიდი დრო, რას მივაპყროთ განსაკუთრებული ყურადღება და ა.შ.

მონიტორინგი არის მოცემული მომენტის აღქმა, გაცნობიერება იმისა „რას ვაკეთებ“. მონიტორინგის დროს ვსვამთ კითხვებს: “რა მნიშვნელობა აქვს ამას?“, „საკმარისად ვისწავლე?“

შეფასება მოიცავს აზროვნების სწავლის პროცესებისა და შედეგების შესახებ შეფასების გაკეთებას: „სტრატეგია ხომ არ შევცვალე? დახმარება ხომ არ ვითხოვე? გავაგრძელო თუ შევწყვიტო? არის თუ არა ნაშრომი დასრულებული?“

ამერიკელი ფსიქოლოგი დევიდ პერკინსი მის წიგნში „გონივრული სკოლა“ აქტიური სწავლებისა და მეტაკოგნიტური უნარების გაუმჯობესებისათვის გვთავაზობს „თეორია ერთის“ პრინციპს.

1. მოსწავლეებმა უნდა შეინარჩუნონ მიღებული ცოდნა;
2. მათ უნდა ესმოდეთ მიღებული ცოდნის საჭიროება;
3. მათ უნდა შეძლონ მიღებული ცოდნის გამოყენება.

ამ საკითხების შესრულებაში პასუხისმგებლობას ანიჭებს მასწავლებელს და მოსწავლეს.

„თეორია ერთის“ მიხედვით რაიმეს კარგად შესამეცნებლად საჭიროა შემდეგი აქტივობები:

1. მკაფიო ინფორმაცია; მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა;
2. შემეცნებითი პრაქტიკა: აქტიური და სააზროვნო პროცესებით დატვირთული პრაქტიკა იმაში, რასაც მოსწავლეები სწავლობენ;
3. გამოხმაურება; რჩევები და შეფასება. რათა მოსწავლემ უკეთესი შედეგი მიიღოს.
4. ძლიერი შინაგანი და გარეგანი მოტივაცია.

მოსწავლე უნდა დააკვირდეს და გაანალიზოს, როგორ მიდის საკუთარი სწავლის პროცესი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით (64, გვ. 57).

მეტაკოგნიციას ძირითადად შინაგანი დიალოგის ფორმა აქვს. ბევრი სტრატეგია, რომლებსაც ფიქრისას ვიყენებთ, ასახავს გამოკითხვის კულტურულ ნორმებსა და მეთოდებს. ბევრებს შესაძლოა ვასწავლოთ ეს სტრატეგიები, თუ როგორ გათვალონ წინასწარ შედეგები, აუხსნან სხვას, გაიუმჯობესონ გაგების უნარი, ჩაინიშნონ უარყოფითი მხარეებიც, რომ ჩაწვდნენ, გააქტიურონ ძირეული ცოდნა, დაგეგმონ წინასწარ და გაანაწილონ დრო.

მეტაკოგნიცია მოიცავს ფიქრს საკუთარი კოგნიტური პროცესების ირგვლივ: ფიქრი აზროვნების, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის შესახებ. ეს არის აუცილებელი და ეფექტური რთულ სასწავლო სიტუაციებში(გონივრული სკოლები).

მეტაკოგნიტური სტრატეგიების განვითარება და ამ სტრატეგიების სწავლება მოსწავლეთათვის მასწავლებლის მოვალეობაა. რა სტრატეგიები უნდა იცოდნენ მოსწავლეებმა?

- **მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა**-მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოცნობა წაკითხულის დახარისხება მეორეულ და პირველად ინფორმაციად, გაკვეთილზე უამრავი ახალი ინფორმაცია მიეწოდება და ყველაფრის დამახსოვრება შეუძლებელია;
- **არსებული ცოდნის გახსენება** მოსწავლეებს დაეხმარებათ ძველი და ახალი ცოდნის დაკავშირებაში. ეს შეიძლება იყოს წინა მასალა და მოხდეს მისი დაკავშირება გაკვეთილის ახალ მასალასთან ან მოსწავლის ზოგადი ცოდნა შესასწავლი საკითხის ირგვლივ;
- **ჩანაწერების გაკეთება**-კარგი გაკეთებული ჩანაწერი ასახავს გაკვეთილის ძირითად და მნიშვნელოვან პუნქტებს;
- **ინფორმაციის ორგანიზება**-მოსწავლეები ეფექტურად სწავლობენ, როცა ისინი ორგანიზებას უკეთებენ იმ ინფორმაციას, რომელსაც სწავლობენ. მაგალითად მასალის მონახაზის გაკეთება, რაც ინფორმაციის ძირითადი იდეების იერარქიულად ორგანიზებას გულისხმობს;
- **ცნებათა რუკების დახატვა**- ცნებათა რუკა არის დიაგრამა, რომელიც ცნებებს შორის ურთიერთკავშირს ასახავს, ანუ ვიზუალურად გვიჩვენებს თუ როგორ არის დაკავშირებული ცნებები ერთმანეთს;

- ინფორმაციის გადამუშავება-რაც გულისხმობს დასკვნების გაკეთებას, მაგალითის მოყვანას, ცნებებისა და იდეების ერთმანეთთან დაკავშირებას. ინფორმაციის გადამუშავებას მოსწავლეები მოზრდილ ასაკში იწყებენ და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეები აკეთებენ;
- მასალის მოკლედ გადმოცემა/შეჯამება-ეს საკმაოდ რთული პროცესია და მოიცავს ინფორმაციის დახარისხების უნარის ფლობას. ინფორმაციის ანალიზს, სინთეზსა და შეჯამებას;
- გაგება-გააზრების შემოწმება და მონიტორინგი-მოიცავს პერიოდულ შემოწმებას; რა გავიგე, რა დავიმახსოვრე და რამდენად კარგად. ამ დროს შეიძლება მოსწავლემ კითხოს საკუთარ თავს რა გავიგე, რა დავიმახსოვრე და ჩამოწეროს ფურცელზე;
- თვითშეფასება-მოსწავლეები განსაზღვრავენ, რამდენად კარგად ისწავლეს საკითხი და რა აქვთ ხელახლა დასამუშავებელი, რომელი უნარები განუვითარდათ და რას მიაქციონ ყურადღება;

შეიძლება ვთქვათ, რომ მეტაკოგნიტური და ეფექტური სწავლის სტრატეგიების ცოდნა არის პროდუქტიული სასწავლო პროცესში. უპირატესობაა იცოდე, როგორ ისწავლო, როგორ დაძლიო სირთულეები და ებრძოლო საკუთარ სისუსტეებს (32).

ამდენად:

- პავლოვის თეორიის მიხედვით მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილზე მოსწავლის ქცევის წარმართვა საჭიროებისამებრ;
- ბიჰევიორიზმის ტექნოლოგია გაკვეთილზე, რომელსაც სკინერი გთავაზობს გულისხმობს მიზნების განსაზღვრას, სტიმულების გამოყენებას, რაც გააძლიერებს სასურველ ქცევას, სტიმულთა ეფექტის შეფასებით შესაძლებელია განმამტკიცებელი სტიმულის შეცვლა;
- ოპერანტული განპირობებულობის, ქცევის დასწავლის თეორიის ცოდნა მასწავლებლებს გამოადგებათ აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობაში. რათა წავახალისოთ მათი სოციალურობა, ხელი შევუწყოთ დავალებების შესრულებისათვის საჭირო თუნდაც მინიმალური ქცევის დასწავლას;

- კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო სწავლება ზეპირობის საპირისპიროდ ხაზს უსვამდეს ისეთ ელემენტებს, როგორცაა მოსწავლის მიერ სწავლის სტრატეგიების ფლობა, სოციალური უნარები, პრობლემის გადაწყვეტა, კრიტიკული და შემოქმედებით აზროვნების ჩამოყალიბება;
- კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე მასწავლებელი ცდილობს სწავლებაში და მოსწავლეთა სწავლის პროცესში ცოდნისა და შემეცნების სხვადასხვა გზების ჩართვას;
- გაკვეთილზე აქტიური სწავლებისა და მოსწავლეთა ინტერაქციის სახეებია: ინდივიდუალური, კონკურენტული და თანამშრომლობითი, რასაც განაპირობებს მასწავლებლის მიერ არჩეული სწავლების სტილი;
- გაკვეთილზე მოსწავლის აქტიურობა განსაკუთრებით ვლინდება თანამშრომლობითი სწავლების დროს;
- თანამშრომლობითი ინტერაქცია, მოსწავლისათვის ხდება სოციალური მხარდაჭერა, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობის, სწავლის მოტივაციის, კოგნიტურობის, სოციალური განვითარების მხრივ.
- გაკვეთილზე აქტიური სწავლების წარმატების საფუძველი მოსწავლეთა შორის პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებაში მდგომარეობს;
- აქტიური სწავლების ერთ-ერთ პირობას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ცოდნა და მისი მეტაკოგნიტური უნარები წარმოადგენს.

## **§ 2. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები გაკვეთილზე**

გაკვეთილზე სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და წარმატებისათვის მოსწავლის მოტივაცია არის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი. მასწავლებლის ქცევა და სწავლების სტილი, ძირითადი წყაროა, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა მოტივაციის ხარისხზე, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. მოტივაციის საყრდენს წარმოადგენს მოტივი და მიზანი. მოტივი ზოგადი საჭიროებები ან სურვილებია, რაც გავლენას ახდენს მოსწავლის მოქმედების მიზანმიმართულობაზე.

მოტივაციაზე საუბრისას, როგორც წესი, რაღაცის კეთების სურვილს ვგულისხმობთ. მოსწავლეებთან მიმართებაში კი, ძირითადად სწავლის სურვილზეა საუბარი. მასთან დაკავშირებულია მოსწავლის დამოკიდებულება სწავლისადმი, შემეცნებითი ჩართულობა გაკვეთილზე და აკადემიური მიღწევები. მოტივაცია წარმატების გასაღებია ყველა სფეროში და განსაკუთრებით განათლების სფეროში.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ არსებობს ორი ტიპის მოტივაცია შინაგანი და გარეგანი.

**შინაგანი მოტივაცია**-მოსწავლის ქცევა განპირობებულია შიდა პიროვნული ფაქტორით, კონკრეტული ქცევის/მისი შედეგების მიმართ შინაგანი ინტერესით. როდესაც მოსწავლე შინაგანად არის მოტივირებული მას არ ჭირდება წახალისება ან დასჯა, რამდენადაც თვითონ აქტივობა და მიღებული შედეგი თავისთავად წარმოადგენს ჯილდოს.

ამის საპირისპირო შემთხვევაა, როცა რაღაცას კარგი შეფასებისთვის, დასჯის თავიდან აცილების მიზნით, მასწავლებლის სიამოვნებისთვის ან ამოცანასთან ნაკლებად დაკავშირებული რაიმე სხვა მიზეზებით აკეთებს. ეს **გარეგანი მოტივაციაა**. რეალურად ქცევას იმიტომ არ ახორციელებს, რომ თავად იგი აინტერესებს. მას ის აინტერესებს, რას მოუტანს ეს ქცევა. ამ შემთხვევაში მოსწავლის ქცევა განპირობებულია გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით (98, გვ. 22).

მ. ქოვინგტონი მიიჩნევს, რომ ადამიანი გარეგანი მიზეზებით მოქმედებს, როდესაც იღებს ისეთ ანაზღაურებას, როგორცაა კარგი ნიშნები, აღიარება ან ჯილდო. ეს ჯილდოები გარეგანია. შინაგანი მოტივაციის დროს ადამიანი შინაგანად არის მოტივირებული, ამ შემთხვევაში ჯილდო თვით ქმედებაშია, მოქმედება არის თავად განმამტკიცებელი, სხვაგვარად, რომ ვთქვათ შინაგანი მოტივაციის დროს მოქმედების განმეორება დამოკიდებულია არა რაიმე სახის გარეგან სტიმულზე, არამედ იმ კმაყოფილებაზე რასაც ადამიანი მიიღებს მას შემდეგ რაც გადალახავს პირად გამოწვევას, ისწავლის რაიმე ახალს, აღმოაჩენს პირადი ინტერესებიდან გამომდინარე. როგორი კავშირია შინაგან და გარეგან მოტივაციას შორის სკოლაში? სურვილი, რომ ისწავლოს სწავლისთვის ჩანაცვლებულია ან უარესიც, განადგურებულია გარეგანი ჯილდოებისა და წამქეზებელი მიზეზებით, მაგ.

როგორცაა ნიშნები. ჯილდო ყოველთვის არ უშლის ხელს სწავლის სურვილს, პირიქით ზოგჯერ რაიმეს შეთავაზება ზრდის სწავლის სურვილს, მით უმეტეს თუ დავალება არის რუტინული და მოსაწყენი. მაგრამ ჯილდოს ხშირი შეთავაზება იწვევს გადაჭარბებულ ყურადღებას ანაზღაურებაზე, ამის გამო მცირდება მოსწავლის მიერ აღქმა თუ რას სწავლობს (98, გვ. 22).

ჯილდოს შესაძლო გამანადგურებელი ზეგავლენა სწავლის სურვილზე დადასტურებულია სხვადასხვა გზით. პირველი არის პერსპექტივა იმისა, რომ როდესაც ეს ჯილდო აღარ იქნება ხელმისაწვდომი მოსწავლე ნაკლებ სურვილს გამოთქვამს გააგრძელოს სწავლა. ჯილდოს შეთავაზებამ იმაში, რაც უკვე აინტერესებს მას, შეიძლება გააქროს გაკვეთილში ჩართულობა. მაგ. თუ მასწავლებელი ცდილობს წახალისოს შინაგანი ღირებულებები პირდაპირ(მაგ.აქებს მოსწავლეს ჰობის მოყოლისას) ეს ინტერესი შეიძლება გაქრეს. ეს ფენომენი არის ე.წ. “ზედმეტი გამართლების” ეფექტი. ქოვინგტონის ინტერპრეტაციის თანახმად ასეთი რამ ხდება იმის გამო, რომ უკვე მისაღები საქციელის ღირებულება საექვო ხდება დამატებითი ჯილდოს შეპირებით (98, გვ. 22).

ხშირად გაკვეთილზე ჯილდოები არაადეკვატურად გამოიყენება. ბევრს მიაჩნია, რომ წარმატება იზრდება, როდესაც მოსწავლეები კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ჯილდოების მცირე რაოდენობის დროს. ამ დროს შეიძლება მოტივაცია გაიზარდოს, მაგრამ მოსწავლეები წახალისებული არიან მცდარი მიზეზებით, რომ მოიგონ(აჯობონ სხვებს, თავიდან აირიდონ მარცხი და ა.შ.). ამ კონკურენტულ გარემოში ქულა არის ღირსების ნიშანი.

მოსწავლის შიდა მოტივირებულობა გრძელდება სწავლების დაწყებით საფეხურზე. ამის შემდეგ მოსწავლეს უჩნდება სხვადასვა ინტერესები(მეგობრები, სხვადასხვა გასართობი საშუალებები) ამავე დროს რთულდება მასალა, სასწავლო პროგრამაში ადგილს იკავებს სხვადასხვა საგნები და საგაკვეთილო პროცესი მოსაწყენი ხდება. ამ დროს გარე სამოტივაციო საშუალებებიც კი ზოგჯერ არაეფექტურია (სასწავლო და პროფესიული გარემო).



გაკვეთილზე მასწავლებელი არის მიმართულების განმსაზღვრელი, მეთოდები და სწავლების სტილი ძირითადი წყაროა და გავლენას ახდენს მოტივაციის ხარისხზე, როგორც დადებითად, ისე უარყოფითად.

მოსწავლის მოტივაცია გაკვეთილზე საკმაოდ ფართო, კომპლექსური საკითხია და მრავალ თეორიას მოიცავს. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი ერთმანეთთან.

დ. უზნაძის მიხედვით, ადამიანს ახასიათებს ქცევისადმი მზაობა, რასაც მან განწყობა უწოდებდა. განწყობის თეორია ძალიან მნიშვნელოვანია განათლების მეცნიერებაში და პრაქტიკულ პედაგოგიკაში, რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მოსწავლის ქცევა გაკვეთილზე. მეცნიერები სხვადასხვაგვარად ხსნიან ადამიანის ქცევას, განწყობის თეორიის მიხედვით, ქცევას წინ უნდა უსწრებდეს ქცევისადმი მზადყოფნა-განწყობა. ყოველ ქცევას მოთხოვნილება უდევს საფუძვლად, ინდივიდს თუ უნდა, რომ მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, უნდა განახორციელოს შესაბამისი ქცევა. მოთხოვნილების გაჩენას განაპირობებს გარემოსთან ინდივიდის ურთიერთობა. გარემო მისთვის ხდება მოთხოვნილების სიტუაციური გამოვლინება და ის მყარებს კავშირს არსებულ სინამდვილესთან, როგორც მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების პირობას. ინდივიდი მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით იწყებს გარემოზე ზემოქმედებას(ქცევა). ამ ქცევის განხორციელება წინასწარ არის ინდივიდის მიერ შემზადებული.

განწყობის გარკვეული მიმართულებით გამოვლენის აუცილებელ პირობას, გარდა მოთხოვნილებისა, მისი შესატყვისი სიტუაციის არსებობაც წარმოადგენს. დ. უზნაძე განწყობის განმსაზღვრელ, ობიექტურ ფაქტორად სიტუაციას მიიჩნევს. დ. უზნაძემ წარმოადგინა სქემა: გარემო - სუბიექტი (განწყობა) - ქცევა (77, გვ.78).

დ. უზნაძე ადამიანის მოთხოვნილებებს ყოფს ვიტალურ (სასიცოცხლო) და უმაღლეს (ინტელექტუალურ, მორალურ და ესთეტიკურ) მოთხოვნილებებად. საბოლოოდ კი დაბალი, ვიტალური მოთხოვნილებებიც მჭიდროდ უკავშირდებიან მაღალს. ადამიანისთვის დამახასიათებელია, რომ იგი ყველა თავის მოთხოვნილებას, რომელიც გარკვეულ მომენტში და გარკვეულ პირობებში უჩნდება, თავისი მე-

მუდმივ, მაღალ, გარდუვალ მოთხოვნილებებს უკავშირებს და მათ დაკმაყოფილებაზე ამისდა მიხედვით ზრუნავს (77, გვ. 179).

განწყობის ცნების შინაარსს უზნაძე ინდივიდის მიზანშეწონილ ქცევის ანალიზიდან გამომდინარე ხსნის. რა განსაზღვრავს ადამიანის ქცევას? მოთხოვნილება, რომელიც რაღაცის დეფიციტს გულისხმობს. მოთხოვნილება არის ის სუბიექტური, მაგრამ არასაკმარისი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია ქცევის განსახორციელებლად. თუ ადამიანს შემეცნებითი მოთხოვნილება აქვს, ის სათანადო სიტუაციას ეძებს მის დასაკმაყოფილებლად. მაშასადამე, სიტუაცია, გარემო წარმოადგენს ობიექტურ, აუცილებელს ფაქტორს ქცევის განხორციელებისთვის. მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ესწრაფვის, სიტუაციის შესატყვისად იცვლება.

დიმიტრი უზნაძის აზრით, ეს ყველაფერი უნდა იცოდეს მასწავლებელმა, რაც დაეხმარება მას გაკვეთილების, აქტივობების წარმატებით ჩატარებაში. რადგან მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. სასწავლო პროცესი იმაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რომ მოსწავლეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი მოთხოვნილება, ინტელექტუალური მოთხოვნილება (ცნობისმოყვარეობა) ე.წ. ცოდნის წყურვილში გადაეზარდოს.

აქედან გამომდინარე, გაკვეთილზე მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩართვისათვის სჭირდება სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც აამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებს და უნარ ჩვევებს. განწყობის თეორია ხომ არსებითად ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

გაკვეთილზე სასწავლო პროცესის ეფექტიანობა, პირველ რიგში, სწავლისადმი დადებითი განწყობის შექმნას გულისხმობს, ანუ მთლიან პიროვნულ მზაობას, რომელიც განსაზღვრავს აქტივობაში მოსწავლის ჩართვას. თუ ახალი აქტივობის მიმართ (დისკუსია, ახალი ტიპის ტესტები) მოსწავლეებს დადებით ემოციურ დამოკიდებულებას შევუქმნით, შედეგი აუცილებლად დადებითი იქნება.

როგორც მ. ბოჭორიშვილის წერს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ მოვარგებთ სასწავლო მასალას მოსწავლის განწყობას, მის სამოქმედოდ განწყობილ ძალებს. როგორი უნდა იყოს ეს მასალა?

„მასალა ერთი მხრივ, შესაფერისი უნდა იყოს მოსწავლის ძალთა განვითარების აქტუალური დონისათვის, მეორე მხრივ, იგი დაშორებული უნდა იყოს მას საკმარისად. წინააღმდეგ შემთხვევაში წინსვლა შეუძლებელი იქნება. მოსწავლის ჩარევა სწორედ ამ პირობის რეალიზაციას ახდენს, მასწავლებელი მასალას ისე აწვდის მოწაფეს, რომ იგი მისაწვდომი გახდეს. მასწავლებლის როლი სასწავლო მასალისა და მოწაფის ძალთა შორის შუამავლობასა და მისი ნამდვილი განვითარების შესაძლებლობის აუცილებელი პირობის შექმნაში მდგომარეობს“ (12 გვ. 21). საკლასო ოთახში შექმენით ბავშვის განვითარების შესატყვისი გარემო. გახსოვდეთ, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს.

თანამედროვე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში თანდათანობით მიმდინარეობს დ. უზნაძის განწყობის თეორიის იმპლემენტაცია და იგი ემსახურება საქართველოში განათლების სისტემის განვითარების ევროპულ ხედვას. კერძოდ, მასწავლებელი სასწავლო პროცესში:

- გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს და უქმნის მოსწავლეს დადებითი განწყობას;
- არგებს მასალას მოსწავლის განწყობას/აქტუალური დონე + წინსვლა/;
- ქმნის მოსწავლის სწავლაზე ორიენტირებულ საკლასო გარემოს, რაც მოსწავლეების ინტერესებისა და სურვილების გათვალისწინებას გულისხმობს;
- არ აკეთებს აქცენტს მხოლოდ ბავშვის ინტელექტუალურ განვითარებაზე. მოჰყავს მთელი მისი ბუნება მოქმედებაში;
- ახდენს ბავშვის პიროვნების მთელი ძალების გახსნას.

ბიჰევიორისტული მიდგომის მიხედვით, მოსწავლის მოტივაციის გაგება უნდა დავიწყოთ წამახალისებელი სტიმულებისა და ჯილდოების დაკვირვებული ანალიზით. **ჯილდო** ის მიმზიდველი ობიექტი ან მოვლენაა, რომელიც შედეგად მოსდევს გარკვეულ ქცევას. **იმპულსი** ის მოვლენაა, რომელიც აღძრავს ან პირიქით, ახშობს ქცევას. თუ ჩვენ მუდმივად მოგვცემენ განმტკიცებას გარკვეული ქცევის გამო,

ჩვენ გამოგვიმუშავდება გარკვეული ჩვევა ან ტენდენცია, განვახორციელოთ გარკვეული ტიპის ქცევა. მაგალითად,თუ მოსწავლე ფეხბურთის თამაშის გამო ჯილდოდ მიიღებს ხან ფულს, ხან საჩუქრებსა და პრივილეგიებს, ხოლო მის სწავლას ნაკლები ყურადღება მიექცევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი დიდ დროს დაუთმობს ფეხბურთზე ვარჯიშს და არა გეომეტრიის სწავლას. გაკვეთილზე კარგი ნიშნები, ვარსკვლავები, სტიკერები და სხვა საშუალებები განმტკიცებისათვის ან გარკვეული დამსჯელი ღონისძიებები ცუდი საქციელისათვის-ეს ყველაფერი არის მცდელობა მოსწავლეთა მოტივირებისათვის გარეგანი იმპულსის, ჯილდოების ან დასჯის გამოყენებით (87, გვ. 116).

მოტივაციის **ჰუმანისტური ინტერპრეტაცია** ხაზს უსვამს მოტივაციის ისეთ შინაგან წყაროებს, როგორცაა პიროვნების “თვითაქტუალიზაციის” მოთხოვნილება(მასლოუ), თანდაყოლილი „აქტუალიზაციის ტენდენცია“(როჯერსი და ფრაიბერგი, 1994) ან „თვითგანსაზღვრის მოთხოვნილობა“. ასე, რომ ჰუმანისტურ ჭრილში, მოტივირება ნიშნავს ადამიანის რესურსების-მათი კომპეტენტურობის, თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას. მასლოუს თეორია მოტივაციის ცნობილი ჰუმანისტური ახსნაა (32. გვ. 514).

აბრაჰამ მასლოუ ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ მოთხოვნილებათა იერარქია მთელი დიაპაზონით-დაბალიდან(მაგ.უსაფრთხოება) მაღალი რანგის მოთხოვნილებებამდე(თვითაქტუალიზაცია). თვითაქტუალიზაცია მასლოუს მიერ შემოტანილი ტერმინია, რითაც იგი აღნიშნავდა პიროვნების სრულ თვითრეალიზაციას, მისი პოტენციალის სრულ რეალიზებას. სანამ მოთხოვნილებათა შემდეგ საფეხურზე გადავიდოდეთ, უნდა დაკმაყოფილდეს უფრო დაბალი რანგის მოთხოვნილებები.

მასლოუ ოთხ შედარებით დაბალი რანგის მოთხოვნილებას: ფიზიოლოგიურს, უსაფრთხოების, მიკუთვნებულობისა და თვითშეფასების მოთხოვნილებებს უწოდებდა დეფიციტურ მოთხოვნილებებს. როდესაც ეს მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია, მათი რეალიზების მოტივაცია იკლებს. ის სამ ზედა, მაღალი რანგის მოთხოვნილებას-ინტელექტუალური მიღწევების, ესთეტიკურ და თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილებებს უწოდებდა **ზრდის მოთხოვნილებებს**.

როდესაც ეს მოთხოვნები დაკმაყოფილებულია პიროვნების მოტივაცია არ იკარგება პირიქით, იგი იზრდება და დაკმაყოფილების მორიგი საშუალებების ძებნას იწყებს. დეფიციტური მოთხოვნებისგან განსხვავებით, ეს მოთხოვნები ბოლომდე არასოდეს კმაყოფილდება (32, გვ. 514).

მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს საგაკვეთილო პროცესში მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნები ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან.

**მოტივაციისადმი კოგნიტური და სოციალურ-კოგნიტური მიდგომა.** კოგნიტურ თეორიებში ადამიანი განხილულია როგორც ცნობისმოყვარე, აქტიური, ინფორმაციის მამიებელი არსება, რომელიც ცდილობს გადაჭრას პიროვნული პრობლემები. ამდენად, კოგნიტური თეორეტიკოსები აქცენტს შინაგან მოტივაციაზე აკეთებენ. კოგნიტივისტებს სჯერათ, რომ ჩვენი ქცევა აზროვნებით არის განპირობებული და არა უბრალოდ იმით, რომ წარსულში ამასთან დაკავშირებით დაგვაჯილდოვეს ან დაგვსაჯეს. ქცევა წამოწყებული და რეგულირებულია, გეგმების, მიზნების, სქემების, მოლოდინისა და ატრიბუციების მიერ (32, გვ. 515).

**მოლოდინი და ღირებულების თეორია.** თეორიებს, რომლებიც ითვალისწინებენ, როგორც ბიჰევიორისტების აქცენტებს ქცევის გავლენებსა და შედეგებზე, ასევე კოგნიტივისტების ინტერესს ინდივიდის აზროვნების გავლენის მიმართ, შეიძლება ვუწოდოთ **მოლოდინის/ღირებულების თეორია**. ეს იმას ნიშნავს, რომ ქცევა აღქმულია, როგორც ორი მთავარი ფაქტორის პროდუქტი: მიზნის მიღწევის მოლოდინისა და ამ მიზნის ღირებულების პროდუქტი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ მნიშვნელოვანი საკითხებია „მივალწევდი თუ არა წარმატებას, რომ მეცადა?“ და იქნება თუ არა შედეგი ღირებული და ჩემთვის რაიმე ჯილდოს მომტანი, თუ წარმატებას მივალწევ? მოტივაცია სწორედ ამ ორი ფაქტორის პროდუქტია, რამდენადაც, თუ ორივე ფაქტორი ნულის ტოლი იქნება, მოტივაციაც, მუყაითად იმუშაო მიზნის მისაღწევად, არ იარსებებს (32, გვ. 515).

**მოტივაციისადმი სოციოკულტურული შეხედულება** ხაზს უსვამს ერთობის წევრობას. ადამიანები ერთვებიან აქტივობაში, რათა განამტკიცონ თავისი იდენტობა და ინტერპერსონალური ურთიერთობები ამ ჯგუფის შიგნით. ამდენად,

მოსწავლეები მოტივირებული არიან ისწავლონ, თუ ისინი არიან წევრები იმ საკლასო ან სასკოლო ჯგუფისა, რომლისთვისაც სწავლას დიდი ღირებულება აქვს.

იდენტობის კონცეფცია ცენტრალური საკითხია მოტივაციისადმი სოციო-კულტურულ მიდგომაში. როდესაც პიროვნება თავს აღიქვამს ფეხბურთელად, მოქანდაკედ, ინჟინრად, მასწავლებლად ან ფსიქოლოგად, მას აქვს იდენტობა ამ ჯგუფთან. სოციალიზაციის ერთ-ერთი ნაწილია ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობის საფეხურიდან ჯგუფის ცენტრალური წევრის პოზიციაზე გადასვლა. ლეგიტიმური პერიფერიული მონაწილეობა ნიშნავს იმას, რომ დამწყებები ჩართულნი არიან ჯგუფის საქმიანობაში მაშინაც კი, თუ მათი შესაძლებლობები არასაკმარისად არის განვითარებული (32, გვ 516).

**მიკუთვნებულობის მოთხოვნილება.** ამ თეორიის მიხედვით მოტივაციისათვის მნიშვნელოვანია მიზანი. როდესაც არსებობს მიზანი მოსწავლის ძალისხმევა მიმართულია მიზნის მიღწევისაკენ. როდესაც მოსწავლე ისწრაფვის წაიკითხოს სახელმძღვანელოს რომელიმე თავი, ის ახორციელებს მიზანმიმართულ ქცევას.

არსებობს ოთხი რამ, რის გამოც მიზნების განსაზღვრა აუმჯობესებს მოსწავლის მიერ მიღწეულ შედეგებს:

- წარმართავს მოსწავლის ყურადღებას ამოცანისკენ;
- აძლიერებს ძალისხმევას. რაც უფრო ძნელად მისაღწევია მიზანი, მით მეტია ძალისხმევა;
- ზრდის შეუპოვრობას. როდესაც გვაქვს ნათელი მიზანი, ნაკლები შანსია, რომ საწადელის სრულად მიღწევამდე დავნებდეთ; ძლიერი მიზნები მოითხოვს დიდ ძალისხმევას და მოკლე ვადების დაწესება სწარაფი მოქმედებისკენ უბიძგებს;
- უზრუნველყოფს ახალი ცოდნისა და სტრატეგიების განვითარებას, როცა ძველი სტრატეგიები ნაკლებ გამოსადეგი აღმოჩნდება (32, გვ. 522).

მოსწავლეები უფრო მეტად ცდილობენ ნათელი, საფუძვლიანი, ზომიერი სირთულისა და დროის ხანმოკლე შუალედში შესრულებადი მიზნების მიღწევას. წაქეზებასა და მოზომილ უკუკავშირს დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ მასწავლებელი იყენებს რაიმე სახის ჯილდოს ან წამახალისებელი სტიმულების რომელიმე სისტემას, მიზანი, რომელსაც უნერგავთ მოსწავლეებს-მიღწეული იქნება.

წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტერესი, ინტერესის გაღვივება და შენარჩუნება ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად მასწავლებლისათვის.

სპეციალისტები გამოყოფენ ინტერესის ორ სახეს: პიროვნული (ინდივიდუალური) და სიტუაციური. პიროვნული ინტერესები ინდივიდის უფრო ხანგრძლივი და მყარი ასპექტებია. სიტუაციური ინტერესები ნაკლებად მყარი და უფრო ხანმოკლე ასპექტებია იმ საქმიანობისა თუ მასალისა, რომელიც იპყრობს მოსწავლის ყურადღებას. როგორც პიროვნული, ისე სიტუაციური ინტერესები დაკავშირებულია სწავლასთან. რაც უფრო დიდია ინტერესი, მით უფრო პოზიტიურია ემოციური რეაქციები, მეტია დაჟინება, უფრო ღრმაა ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, უკეთ ხდება დამახსოვრება, მაღალია მიღწევა. ინტერესი იზრდება, როდესაც მოსწავლე კომპეტენტურად გრძნობს თავს. ამდენად, მაშინაც კი, როცა საწყის ეტაპზე მოსწავლე არ არის დაინტერესებული, მას შეიძლება წარმატების მიღწევისთანავე გაუჩნდეს ინტერესი. საგანი, რომელიც თითქმის ყველა კლასში ისწავლება, რთულია ყველა მოსწავლის ინტერესზე იყოს მორგებული. აქ მხოლოდ ინტერესის აღძვრა არ არის საკმარისი, საჭიროა ინტერესის შენარჩუნება.

მოსწავლეები სხვადასვა ასაკში სხვადასხვა ადამიანების გავლენის ქვეშ ექცევიან. დაწებით საფეხურზე ავტორიტეტი მასწავლებელია და მისი ყველა სიტყვა და ქცევა კანონის ძალას იღებს, პატარასათვის. იქამდე, რომ დედაც კი ვერ ცვლის უმეტეს შემთხვევაში სიტუაციას. შემდეგ ეტაპზე ნელ-ნელა ჩანაცვლებას იწყებს თანატოლები/თანაკლასელები. მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს, თანაკლასელებთან ერთად პიროვნული გამოცდილების, ინტერესების, ფოტოების და ნახატების გაზიარების საშუალება. გამოავლინოს წარმატებული მოსწავლეები სხვადასხვა საგნებში, დისციპლინაში, პროექტებში. მასწავლებელს უშუძლია მოსწავლეთა ინტერესები, ჰობი, მათთვის საინტერესო საქმიანობები ჩართოს გაკვეთილებში.

მოტივაციაზე საუბრისას გასათვალისწინებელია კიდევ რამდენიმე ფაქტორი. თუ რა რწმენები აქვთ მოსწავლეებს საკუთარი თავის მიმართ, საკუთარი

კომპეტენტურობის, იმ მიზეზების შესახებ, რაც საფუძვლად უდევს მათ წარმატებებსა და მარცხს.

მიჩნეულია, რომ თავიანთი წარმატებისა და მარცხის მიზეზები მოსწავლეებმა შეიძლება მიაწერონ უნარს, ძალისხმევას, განწყობას, ცოდნას, იღბალს, დახმარებას, ინტერესს, სხვათა მიერ ხელის შეშლას, უსამართლობას და ა.შ. იმისათვის რომ გავიგოთ სხვათა წარმატების ან მარცხის მიზეზი, მივმართავთ ატრიბუციას. ვამბობთ, რომ სხვები არიან ჭკვიანები, ან იღბლიანები, ბევრი იშრომეს და ა.შ. მოტივაციის შესახებ ატრიბუციის თეორიები აღწერს, როგორ მოქმედებს მოტივაციაზე ინდივის ახსნა-განმარტებები და მსჯელობა საკუთარი თავისა და სხვათა შესახებ.

ბერნარდ უაინერმა დააკავშირა ატრიბუციის თეორია და სწავლა სკოლაში, რომლის მიხედვით, წარმატებისა და მარცხის განმსაზღვრელია სამი ფაქტორი.

1. ლოკუსი (მიზეზის ადგილმდებარეობა-პიროვნების შიგნით ან მის გარეთ);
2. სტაბილურობა (დარჩება თუ არა მიზეზი იგივე უახლოესი მომავლის განმავლობაში);
3. კონტროლირებადობა (შეუძლია თუ არა პიროვნებას აკონტროლოს მიზეზი).

წარმატებისა და მარცხის ყოველი მიზეზის კატეგორიზება შეიძლება მოვახდინოთ ამ სიდიდეების მიხედვით. მაგალითად იღბალი არის ექსტერნალური (ლოკუსი), არასტაბილური (სტაბილურობა) და არაკონტროლირებადი (კონტროლირებადობა) (50, გვ. 58).

ბ. უაინერის აზრით, ამ სამ სიდედეს დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივაციისათვის, რამდენადაც ისინი განლენას ახდენენ მოლოდინსა და ღირებულებაზე. მაგალითად, სტაბილურობა, როგორც ჩანს ახლო კავშირშია მომავალთან დაკავშირებულ მოლოდინთან. თუ მოსწავლეები თავიანთი მარცხის მიზეზს მიაწერენ სტაბილურ ფაქტორებს, ვთქვათ განწყობას ან იღბალს, მათ მომავალშიც მარცხის მოლოდინი ექნებათ. ლოკუსის ინტერნალობა/ექსტერნალობა, ახლო კავშირშია თვითშეფასებასთან. თუ მარცხისა და წარმატების მიზეზი მიეწერება შინაგან ფაქტორებს, წარმატება ჩვენში გამოიწვევს სიამაყის განცდას და გაზრდის მოტივაციას, მაშინ როცა მარცხი თვითშეფასებას შეამცირებს.



კონტროლირებადობა დაკავშირებულია ისეთ ემოციებთან, როგორცაა: ბრაზი, სიბრაღული, მადლიერება, სირცხვილი. თუ ჩვენ ავიღებთ პასუხისმგებლობას მარცხზე, დანაშაულის შეგრძნება შეგვაწუხებს. ხოლო პასუხისმგებლობა წარმატებაზე უფრო ამაყს გაგვხდის (50).

იმის შეგრძნება, რომ მოსწავლე აკონტროლებს მის სასწავლო პროცესს, დაკავშირებულია უფრო რთული ამოცანების არჩევასთან, საქმეში მეტი ძალისხმევის ჩადებასთან, უკეთესი სტრატეგიების გამოყენებასთან, სასკოლო საქმიანობაში მეტ ჩართულობასთან. მთავარი პრობლემა მოტივაციასთან დაკავშირებით წამოიჭრება მაშინ, როცა მოსწავლეები მარცხს მიაწერენ სტაბილურ, არაკონტროლირებად მიზეზებს. ასეთი მოსწავლეები თითქოს ეგუებიან მარცხს და უმწეოდ გრძნობენ თავს. ისინი არამოტივირებული არიან. ამ მოსწავლეების რეაქცია მარცხზე უკავშირდება მათ უუნარობას; თუ მოსწავლეს სჯერა, რომ მიზეზი სტაბილურია, ცვლილებებსა და კონტროლს არ ექვემდებარება.

მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი რწმენა საკუთარი ქმედითუნარიანობის შესახებ, თვითეფექტიანობა, ესაა რწმენა მოსწავლის კომპეტენტურობისა და ეფექტიანობის შესახებ გაკვეთილზე. ა. ბანდურას მიხედვით მოსწავლე ახდენს საკუთარი შესაძლებლობების მობილიზაციას მიზნის მისაღწევად. მოსწავლეთა თვითეფექტიანობა (თვითრწმენა) აუცილებელია, სწავლაში, საწავლო სტრატეგიების ასათვისებლად და ბევრ სხვა გამოწვევასთან გასამკლავებლად, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდება.

თვითეფექტიანობა და ატრიბუციები ერთმანეთზე მოქმედებს, თუ წარმატება მიეწერება ინტერნალურ ან კონტროლირებად მიზეზს, როგორცაა უნარი ან ძალისხმევა, თვითეფექტიანობა იზრდება. მაგრამ თუ წარმატება მიეწერება იღბალს ან სხვების ჩარევას, მოსწავლე არ განიცდის თვითეფექტიანობას. თვითეფექტიანობაც მოქმედებს ატრიბუციაზე (87, გვ. 183).

მაღალი თვითეფექტიანობის მქონე მოსწავლე მარცხს მიაწერს არასათანადო ძალისხმევას (უფრო დაკვირვებით უნდა შემემოწმებინა დავალება). მაშინ, როცა მოსწავლე თვითეფექტიანობის დაბალი მაჩვენებლით (მე არ მეხერხება მათემატიკა) თავის მარცხს მიაწერს მის უუნარობას.

მასწავლებლები კონცენტრირებულნი არიან განავითარონ სწავლის მოტივაცია.

რატომ ხდება საჭირო სწავლის მოტივაციაზე ზრუნვა?

გაკვეთილებზე დასწრება იძულებით ხასიათს ატარებს, სასკოლო გეგმები შერჩეულია საზოგადოების დაკვეთის, თანამედროვე ტექნოლოგიების და მოთხოვნების საფუძველზე და არა იმის საფუძველზე, რასაც ეს მოსწავლეები აირჩევენ, ამის საშუალება რომ ჰქონოდათ. მეორე მასწავლებლები ჩვეულებრივ მუშაობენ მრავალრიცხოვან კლასში და ყოველთვის ვერ ახერხებენ თითოეული მოსწავლის მოთხოვნილებების გათვალისწინებას. შედეგად ზოგიერთი მოსწავლე იმედგაცრუებულია. ამდენად წარუმატებლობა არა მარტო პიროვნების გულგატეხილობას იწვევს, არამედ დანარჩენებისაც და ბოლოს მოსწავლეებისა და მასწავლებლების ურთიერთობა ყოველდღიურ ერთფეროვან რუტინად იქცევა. მასალის ამოწურვა მასწავლებლისთვის, დავალებების შესრულება მოსწავლისათვის.

მასწავლებელი უნდა იყოს მომთმენი და გულშემატკივარი, რომელიც მოსწავლეებს არ სჯის შეცდომების გამო. ყოველი მოსწავლე შეცდომას უნდა განიხილავდეს, როგორც სწავლისა და განვითარების შესაძლებლობას; დავალება უნდა იყოს გამომწვევი და მართებული. თუ სამუშაო ძალიან მარტივია ან ძალიან რთული, მოსწავლეებს მცირე მოტივაცია ექნებათ. მასწავლებელმა სასწავლო მიზნები უნდა დაგეგმოს მოსწავლეთა რეალური დონის გათვალისწინებით, სასწავლო მიზნები ცხადი უნდა იყოს და ახლო მომავალში განხორციელებადი. ხოლო ხანგრძლივი პროექტის დროს მასწავლებელმა იგი ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა განახორციელოს და უახლოეს მიზნებად დაჰყოს. დაეხმაროს მოსწავლეებს შეიგრძნონ წინსვლა და პროგრესი.

მოსწავლის მოტივაციაზე, თვითფექტიანობისა და სწავლის ხარისხზე გავლენას ახდენ საკლასო კლიმატი. სოციალური კლიმატი განსაზღვრავს ჯგუფისადმი ინდივიდის კუთვნილების ხარისხს, ჯგუფის დამოკიდებულებას კონკრეტულად ინდივიდის მიმართ და ერთმანეთის მიმართ. ჯგუფის დამოკიდებულება გავლენას ახდენს პიროვნების თვითშეფასებაზე.

„საკლასო კლიმატი-მოსწავლეთა საზოგადოება, რომელიც აყალიბებს ურთიერთობებს საზოგადოების წევრებს შორის, ის განსაზღვრავს მოსწავლის

მიღებას, ჩართულობას, წევრობას, ურთიერთთანადგომას, თავდაჯერებულობას, გავლენას, კონტროლს და რისკის გაწევას. გავლენა და კონტროლი საკლასო კლიმატის პიროვნულ ქმედუნარიანობსთან დაკავშირებული საზომია და განისაზღვრება, როგორც ინდივიდის ეფექტიანობა“ (96, გვ. 4).

დაცინვა თრგუნავს ადამიანის რწმენას, რომ შეუძლია თავისუფლად იაზროვნოს და სცადოს. საკლასო კლიმატი სადაც ფასდება მცდელობა და მონდომება, მოსწავლეებს ეხმარება იმის გააზრებაში, რომ შეცდომა სწავლის ერთ-ერთი შესაძლებლობაა და არა პიროვნული ნაკლი. ისეთი საკლასო გარემო, რომელიც მხარს უჭერს მოსწავლის თვითგანსაზღვრასა და ავტონომიას, შედეგად გამოიწვევს მოსწავლეთა დაინტერესების მაღალ ხარისხს, კომპეტენტურობის გრძნობას, კრეატიულობას, კონცეპტუალურ დასწავლას.


მოსწავლეთა მოტივაციაზე და მათ პიროვნულ თვითეფექტიანობაზე გავლენას ახდენს არა მარტო საკლასო კლიმატი, არამედ მასწავლებლის დამოკიდებულებები. შეიძლება ითქვას, რომ მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლის მიმართ შეიძლება გადამდები აღმოჩნდეს საკლასო საზოგადოებაზეც, რის გამო განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა ევალება მასწავლებელს.

მოსწავლე შეიძლება იყოს მოტივირებული შინაგანად ან გარეგანი ფაქტორებით, ამავე დროს მოსწავლის მოტივაცია არამყარია. მასზე გავლენას ახდენს უამრავი შიდა და გარე ფაქტორები, სტაბილურობისა და შენარჩუნების მიზნით მასწავლებელმა უნდა აწარმოოს გაზომვადი საქმიანობა მოსწავლის მიღწევებისა და შედეგების. პედაგოგი ყოველდღიურად უნდა გაუმკლავდეს მოსწავლეთა ინერტულობას და „არ მინდა“-ს. ტელევიზია, კომერციული მედია, ინტერნეტი და უამრავი გასართობი საშუალებები ხელს უწყობს მოსწავლეთა სწავლის მიმართ გულგრილობას, მასწავლებლის გამოწვევაა მოსწავლეს ჰქონდეს და შეუნაჩუნოს სწავლის სურვილი.

აქედან გამომდინარე, მასწავლებელი ვალდებულია იზრუნოს გაკვეთილზე მოსწავლის შიდა და გარე მოტივატორული ფაქტორების შექმნაზე და შენარჩუნებაზე. მასწავლებელი ვალდებულია ყურადღების მიღმა არ დატოვოს არც ერთი მოსწავლე, ვინაიდან მოტივაციის პრობლემა შეიძლება ნიჭიერ მოსწავლესაც შეექმნას.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადაწყვეტით ჩაგვეტარებინა კვლევა, რომელიც გამოავლენდა გაკვეთილზე მოსწავლეთა მოტივაციის დეფიციტის მიზეზებს. შევადგინეთ ანკეტა.

გამოკითხეთ 15-დან 17 წლამდე ასაკის მოსწავლეები, გამოკითხული მოსწავლეთა რაოდენობა 315 შეადგენდა. რათა დაგვედგინა, რა ახდენდა უარყოფით ზეგავლენას მათ მოტივაციაზე.



გამოკითხულთა 80% მოტივაციის პრობლემის პოტენციურ წყაროდ თვლის მასწავლებლის საყვედურს, დაბალ ნიშანს, დასჯას. 17 % მოდის საკლასო გარემოს ზემოქმედებაზე, 2% მიზნის არ ქონას ასახელებს, 1% ოჯახურ/სოციალურ პრობლემას.

აღნიშნული მონაცემების საფუძველზე განვსაზღვრეთ რა სტრატეგიები გამოგვეყენებინა არა მხოლოდ მოტივაციის პრობლემის მქონე მოსწავლეებთან, არამედ ზოგადად ყველა მოსწავლესთან:

- მოსწავლეებს მივუდგეთ პატივისცემით და სიყვარულით;
- ნაკლებად გამოვიყენოთ სასჯელი;
- ხშირად გავცეთ რეკომენდაციები პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელად;
- გამოვიყენოთ თვითშეფასება და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასება;
- მკაფიოდ გამოვყოთ სწავლების მიზნები:

- დავებმრთ პირადი მიზნების ფორმირებაში;
- შევინარჩუნოთ ობიექტური დამოკიდებულება ყველა მოსწავლის მიმართ.

სწავლის მოტივაციის პრობლემა და ამალღება უკავშირღება მოსწავლის სხვადასხვა საჭიროებებს. მასწავლებელმა, რომ ზომიერი და გაზომვადი საქმიანობა აწარმოოს მოტივაციის დეფიციტის მქონე მოსწავლეებთან სასურველია გამოიყენოს ჩვენს მიერ შედგენილი ანკეტა (იხ. დანართი №1) რითაც დაახლოებით შეძლებს განსაზღვროს მოტივაციის გამომწვევი მიზეზი და შესაბამისად დაგეგმოს ამალღების სტრატეგიების გამოყენება. ამ მიზნით მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს ჩვენს მიერ შექმნილი ანკეტა.

მოსწავლეთა მოტივაცია რამდენიმე ასპექტს მოიცავს:

1. მოსწავლეთა ენერგიული ჩართვა საქმიანობაში;
2. სასწავლო საჭიროებებისა და მიზნების განსაზღვრა;
3. მოსწავლეთა საქმიანობისა და ქცევის კონტროლი, რათა მოხდეს მიზნის შესრულება;
4. თუ მიზანი არ არის მოკლე დროში შესრულებადი, საქმიანობის შენარჩუნება; მიზნის მისაღწევად. ამ ასპექტების გათვალისწინება ხელსაყრელ გარემოს შექმნის გაკვეთილზე შედეგიანი სწავლებისა და მოსწავლეთა ჩართულობის მისაღებად.
5. სწავლებაში ტემპის შენარჩუნება.

მოსწავლის მოტივაციაზე გავლენას ახდენს სასკოლო ფიზიკური გარემო, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა სკოლის მიერ აკადემიური წარმატებების აღიარებაზე, სკოლის გარემო განაპირობებს პირველ შთაბეჭდილებას, განწყობას უქმნის მოსწავლეს, დ. უზნაძის განწყობის თეორია მოქმედებას იწყებს სასწავლო გარემოდან და შემდეგ პოვებს გაგრძელებას კონკრეტულ საგანზე, მასწავლებელზე და სხვა სასწავლო პროცესებზე. სასკოლო გარემოს სწორი მოწყობა ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის სწავლასა და განვითარებას კომფორტულ, უსაფრთხო და აკადემიურ გარემოში.

ჩვენ მიერ შესწავლილი და განალიზებული მასალების საფუძველზე დადგინდა, რომ მასწავლებლებმა გაკვეთილზე სასწავლო პროცესში მოტივაციის ამალღებისათვის უნდა გამოიყენონ შემდეგი ეფექტური სტრატეგიები:

- პასუხისმგებლობის დაკისრება-მაგ.: წარმატებულ მოსწავლეს ჩააბაროს სწავლაში ჩამორჩენილი მოსწავლე, რათა დაეხმაროს მას;
- მასწავლებელი განსაზღვრავს დროს აქტივობისათვის - მაგ. ორ წუთს გაძლევთ თქვენი აზრის გამოსახატად;
- სწავლებაში შემოქმედებითი პასაჟების ჩართვა(ცნობილი პიროვნებების და მოვლენების გათამაშება);
- აქტიურობის წახალისება (მაგ.: აბა ვინ იქნება პირველი ვინც მიპასუხებს..);
- მოსწავლე აკეთებს თვითშეფასებას, სპეციალური კითხვარის საშუალებით, განსაზღვრავს მის სუსტ და ძლიერ მხარეებს;
- მასწავლებელი პატივისცემას გამოხატავს მოსწავლის პიროვნების მიმართ.

მასწავლებლის პროფესიული, მორალური, ადამიანური და პიროვნული პოზიცია გადაწყვეტია მოსწავლის მოტივირებულობის საკითხში, ხოლო მოტივირებული მოსწავლე წარმატებული სწავლებისა და მაღალი შედეგის გარანტია.

გაკვეთილზე მოსწავლის მოტივაციის საჭიროებისა და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლების განხილვიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ:

- მოსწავლის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის;
- ბიჰევიორისტების მიხედვით, თუ მასწავლებელს უნდა, რომ მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ სწავლის, გაკვეთილზე ჩართულობის, კვლევითი საქმიანობის, თანამშრომლობითი საქმიანობის, სხვადასხვა ღონისძიებებში ჩართულობის მოტივაცია, ეს ქცევები მაშინვე უნდა განამტკიცოს ჯოლდოს სახით, როგორც კი გამოამქლავებენ;
- მოსწავლეს ყოველ ახალ აქტივობაში ჩასართავად სჭირდებათ სპეციალური მზაობა, განწყობა, რომელიც ამოქმედებს მოსწავლის სათანადო ძალებსა და უნარ-ჩვევებს. მასწავლებელმა მოსწავლეს სამოქმედოდ განწყობილ ძალებზე გათვლილი სასწავლო აქტივობები უნდა მიაწოდოს. განწყობის თეორია, ქცევის ახსნითი მოდელია. როგორც მოტივია, ისეთია ქცევაც. მოტივი (ან მოთხოვნილება) განსაზღვრავს ქცევის ფსიქოლოგიურ შინაარსს.

- ჰუმანისტურ ჭრილში, მოტივირება ნიშნავს მოსწავლის რესურსების-მათი კომპეტენტურობის, თვითშეფასების, ავტონომიისა და თვითაქტუალიზაციის წაქეზებას.
- მასლოუს თეორია საშუალებას გვაძლევს საგაკვეთილო პროცესში მთლიანობაში აღვიქვათ მოსწავლე, რომლის ფიზიკური, ემოციური და ინტელექტუალური მოთხოვნილებები ურთიერთქმედებაშია ერთმანეთთან.
- **სოციოკულტურული შეხედულება** ხაზს უსვამს ერთობის წევრობასა და გავლენას. მოსწავლეები მოტივირებული არიან ისწავლონ გაკვეთილზე, თუ ისინი არიან წევრები იმ საკლასო ჯგუფისა, რომლისთვისაც სწავლას დიდი ღირებულება აქვს.
- გაკვეთილზე მოსწავლის მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ინტერესი, ინტერესის გაღვივება და შენარჩუნება მასწავლებლის ამოცანაა.
- გაკვეთილზე მოსწავლის მოტივაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია რწმენა საკუთარი **თვითეფექტიანობის** შესახებ. ესაა რწმენა მოსწავლის კომპეტენტურობისა და ეფექტიანობის შესახებ. მოსწავლეთა თვითეფექტიანობა (თვითრწმენა) აუცილებელია, სწავლაში წარმატების მისაღწევად, საწავლო სტრატეგიების ასათვისებლად და ბევრ სხვა გამოწვევასთან გასამკლავებლად, რომლებსაც ყოველდღიურად ხვდება;
- მოსწავლის მოტივაციაზე, თვითეფექტიანობისა და სწავლის ხარისხზე გავლენას ახდენს საკლასო კლიმატი და მასწავლებლის პიროვნული დამოკიდებულება.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვასკვნით:

- მოსწავლეებს მივუდგეთ პატივისცემითა და სიყვარულით;
- ნაკლებად გამოვიყენოთ სასჯელი;
- ხშირად მივმართოთ რეკომენდაციებს პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელად;
- გამოვიყენოთ თვითშეფასება და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასება;
- გამოვიყენოთ სტრატეგიები, რომელიც ნებისმიერ მოსწავლეს სწავლებისათვის საჭირო რესურსად მოიაზრებს ჯგუფურ მუშაობაში(ჯიგსოუს მეთოდი);
- მკაფიოდ გამოვყოთ სწავლების მიზნები;
- დავეხმროთ პირადი მიზნების ფორმირებაში.

### § 3. სწავლების ინტერაქტიული სტრატეგიები გაკვეთილზე

მოსწავლეთა ინტერაქცია, გაკვეთილზე გულისხმობს, ურთიერთქმედებითა და ურთიერთანამშრომლობით გარემოში სწავლება/სწავლას. იმისათვის, რომ გამოვიწვიოთ მოსწავლეთა ინტერაქცია გაკვეთილზე, საჭიროა მივმართოთ მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენებას, რაც გამოიწვევს ურთიერთქმედებით, თანამშრომლობით სწავლებას.

ინტერაქტიული სწავლების სტრატეგიები გულისხმობს ჯგუფურ ჩართვასა და გადაწყვეტილებების ერთობლივად მიღებას. ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს, გაკვეთილზე მოსწავლის ინდივიდუალური მახასიათებლების განვითარებასთან ერთად განავითაროს სოციალური და კომუნიკაციისათვის საჭირო უნარები (5, გვ. 90).

ამერიკელი სოციოლოგების მიერ ჩატარებულმა კვლევამ, თუ რა ტიპის წყაროებიდან რა მოცულობით იმახსოვრებს ადამიანი საინტერესო და საყურადღებო შედეგები აჩვენა. პროექტში მონაწილეობას იღებდა სახვადასხვა ქვეყნებიდან მიწვეული ახალგაზრდები, რომლებსაც სკოლა ახალი დამთავრებული ჰქონდათ. მათ პასუხი უნდა გაეცათ 10 კითხვაზე მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. გამოკითხულთა მხოლოდ 10% უპასუხა ყველა კითხვას.

ამ ექსპერიმენტის შემდეგ მკვლევარები მივიდნენ დასკვნამდე: მიუხედავად იმისა თუ რომელ ქვეყანაშია სკოლა, ის წარმატებით ასწავლის ათიდან მხოლოდ ერთს. რატომ? კვლევებმა აჩვენეს, რომ ადამიანი მხოლოდ:

- 10% იმახსოვრებს წაკითხულიდან;
- 20% მოსმენილიდან;
- 30% ნანახიდან;
- 50% რასაც ხედავს და ისმენს;
- 70% დისკუსიაში მონაწილეობის დროს ვარაუდების, თვალსაზრისების გამოთქმისას;



- 90% როდესაც მონაწილეობს რეალურ პროცესში, საუბრობს, იღებს გადაწყვეტილებებს, აკეთებს დასკვნებს, გეგმავს სამომავლო მოქმედებებს (34, გვ. 31).

ვფიქრობთ, რომ გამოკვლევის შედეგები გასათვალისწინებელია მასწავლებლის მიერ, გაკვეთილზე ეფექტური და წარმატებული სწავლებისათვის.

დამოუკიდებელი, კონკურენტული და თანამშრომლობითი სწავლების გზით მოსწავლეთა ინტერაქციის ორგანიზება, მათი მიზანმიმართული ვარიანტებით გაკვეთილის დაგეგმვა განაპირობებს მოტივაციის ამაღლებას, ცოდნის ათვისების ხარისხსა და სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას.

თანამედროვე სწავლების მიზანია, მოსწავლის აქტიური მონაწილეობა გაკვეთილზე საკუთარი სწავლის პროცესში, სწავლის კონსტრუირება, აღმოჩენა, თანამშრომლობითი სწავლის, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის უნარების, ჩვევებისა და საჭირო ცოდნის შეძენა.

ყოველივე ამის მიღწევა გაკვეთილზე შესაძლებელია სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით. გაკვეთილი ძალიან რთული და დინამიური პროცესია, რომელიც იმართება განათლების მიზნების, სწავლების შინაარსისა და მოთხოვნების მიხედვით. სწავლების მიზნებისა და შინაარსის შესაბამისია სწავლების მეთოდებიც, რადგან მეთოდი მიზნის მიღწევისა და შესრულების საშუალებაა. სწავლების მეთოდები აწესრიგებს სწავლების გადანაწილებას დროში, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთ-დამოკიდებულებას.

თანამედროვე პედაგოგიკაში ძირითადად, შემდეგი სახის სწავლების მეთოდები გამოიყოფა:

- კოგნიტური სტრატეგიები;
- მეტაკოგნიტური სტრატეგიები;
- თანამშრომლობითი- სწავლების სტრატეგიები;
- დამხმარე რესურსების გამოყენების სტრატეგიები;
- ემოციურ-მოტივაციური სტრატეგიები;
- თამაშის ორგანიზება(სიტუაციური მოდელირება, როლური თამაში);

- დისკუსია (დიალოგი, კომუნიკაცია).

ვფიქრობთ, რომ ინტერაქტიული გაკვეთილის საფუძველს თანამშრომლობითი, ურთიერთქმედებაზე დამყარებული სწავლება წარმოადგენს, შესაბამისად შესაძლებელია ყველა იმ სტრატეგიის გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობასა და ურთიერთქმედებას.

გაკვეთილზე თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება ჯგუფის წევრებისაგან მოითხოვს ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილებას. ჯგუფის წარმატება ამ სამი პრინციპის დაცვით არის შესაძლებელი, რაც წარმატებული სწავლის წინაპირობაა. ანუ როდესაც მოსწავლეები ინტერაქციის გზით, ერთმანეთთან ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების გაზიარებით განიხილავენ პრობლემის გადაჭრის გზებსა და კრიტიკული ანალიზის საშუალებით იღებენ გადაწყვეტილებას.

ჩვენ სხვადასხვა საგანმანათლებლო ლიტერატურის გამოყენებით შევკრიბეთ ინტერაქტიული სწავლების სხვადასხვა მეთოდები. განვიხილავთ თითოეულ მათგანს:

ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია გაკვეთილზე ინტერაქტიული გარემო. ინტერაქტიულ გარემოში მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს-ეხმარება მოსწავლეებს პრობლემების დაძლევაში, ხოლო მოსწავლეები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ინტერაქტიული სწავლების განუყოფელი ნაწილია ჯგუფური მუშაობა.

თანამშრომლობითი სწავლება/სწავლის სპეციალისტების დევიდ ჯონსონისა და როჯერ ჯონსონის მიხედვით, ამ მეთოდის განმსაზღვრელი ხუთი ელემენტი არსებობს, ესენია:

- პოზიტიური ურთიერთდამოკიდებულება;
- ურთიერთგამხნეება;
- ინდივიდუალური და ჯგუფური პასუხისმგებლობა;
- ინტერპერსონალური და პატარა ჯგუფში მუშაობის უნარები;
- ჯგუფის მუშაობაზე დაკვირვება.

სწავლების პროცესში ჯგუფური მეთოდები იმ შემთხვევაში გამოიყენება, როდესაც საჭიროა საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან შესწავლა, ახალი იდეებისა

და მიდგომების ძებნა, ასევე ჯგუფური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გამომუშავება. ჯგუფური მუშაობა განსაკუთრებით სასარგებლო მაშინაა, როდესაც პრობლემა აქტუალურია და მოსწავლეთათვის საინტერესო.

ჯგუფური მუშაობა არა მხოლოდ კონკრეტულ საკითხზე მუშაობას გულისხმობს, არამედ ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას-ინტერაქციას, ჯგუფური მუშაობისას სწორედ ინტერაქციას აქვს წამყვანი მნიშვნელობა.

ჯგუფური მუშაობის თავისებურებებია:

- კლასი იყოფა მცირე ჯგუფებად;
- დავალება ეძლევა მთლიანად ჯგუფს და არა მის ცალკეულ წევრებს;
- სამუშაოს შესასრულებლად ჯგუფს ეძლევა წინასწარ განსაზღვრული დრო;
- ჯგუფი ერთიანად წყვეტს და განიხილავს დავალებას;
- საკითხის განხილვის პროცესში ყველა წევრი ერთნაირად არის ჩართული;
- შესრულებული სამუშაოს გადატანა ხდება საერთო ფურცელზე, რომლის პრეზენტაციას ახდენს ჯგუფის რომელიმე წევრი;
- ჯგუფი ფასდება, როგორც ერთი მთლიანი, თუმცა შესაძლებელია მოსწავლეთა ინდივიდუალური შეფასება (35, გვ. 24).

ჯგუფურ მუშაობას სწავლება და გამოცდილება სჭირდება; შესაძლებელია მოსწავლე ინდივიდუალურად კარგად ართმევდეს თავს დავალებას, მაგრამ ჯგუფში მუშაობა უძნელდებოდეს; ჯგუფური მუშაობა სპეციალურ უნარებს საჭიროებს, როგორცაა: მოსმენა, ინსტრუქციის დაცვა, უკუკავშირი, თანამშრომლობა, აზრის გაზიარება. ჯგუფების შექმნის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჯგუფი დაკომპლექტდეს განსხვავებული შესაძლებლობების მოსწავლეებისაგან, ყურადღებით უნდა ადევნებდეს თვალს, რომ ჯგუფში ყველა მოსწავლე მუშაობს და ყველას აზრს ექცევა ყურადღება (63).

ვინაიდან ჯგუფი რამდენიმე მოსწავლეს აერთიანებს, ჯგუფური მუშაობის დაწყებისას საჭიროა ჯგუფის წესებისა და ნორმების ჩამოყალიბება, რომელთაც ჯგუფის წევრები დაიცავენ; ეს ნორმები უნდა არეგულირებდეს ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობას და ყველა წევრს თანაბარი მონაწილეობის საშუალებას აძლევდეს; მაგალითად, ჯგუფის ყველა წევრს ვაძლევთ აზრის გამოთქმის

საშუალებას, ყურადღებით ვუსმენთ ერთმანეთს, აზრს გამოვთქვამთ მოკლედ და ნათლად და ა.შ. ჯგუფური მუშაობა შეიძლება დაიყოს 3 ეტაპად: მოსამზადებელი ეტაპი, ჯგუფური მუშაობის ეტაპი და შემაჯამებელი ეტაპი (26, გვ. 109).

მოსამზადებელ ეტაპზე მასწავლებელი არჩევს საკითხს, შეიმუშავებს გეგმას, ამზადებს ინსტრუქციას, საჭირო მასალას. მასწავლებელი აცნობს ჯგუფს ინსტრუქციებს, რა ევალუატი მისწავლებს.

ჯგუფური მუშაობის ეტაპზე ჯგუფი მუშაობს კონკრეტულ საკითხზე და განიხილავს პრობლემას; მასწავლებელი არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ჯგუფი მოითხოვს მისგან რაიმეს განმარტებას, ან შეატყობს, რომ ჯგუფმა არასწორად გაიგო პირობა.

შემაჯამებელი ეტაპი - სამუშაოს დამთავრების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. ნამუშევრების გაცნობა შესაძლებელია პრეზენტაციისა და კითხვა-პასუხის რეჟიმში. პრეზენტაციის დროს მასწავლებელი არ სვამს კითხვებს და არ აწყვეტინებს მომხსენებელს. ნამუშევრები შეიძლება გამოიკრას დაფაზე ან კედელზე. მასწავლებელს წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ნამუშევრების შეფასების ფორმა. სასურველია მოსწავლეებმა თავად შეაფასონ ერთმანეთის ნამუშევრები. თითოეული მოსწავლე ასახელებს მისი აზრით საუკეთესო ჯგუფის ნაშრომს (გარდა საკუთარისა) და ასაბუთებს რა კრიტერიუმებით (ჩამოყალიბებული აზრი, ორიგინალური გადაწყვეტა, მხატვრული გაფორმება, შთამბეჭდავი პრეზენტაცია და ა.შ.) იხელმძღვანელა შეფასებისას. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაქოს ყველა ჯგუფი და აღნიშნოს, რომ ყველამ საინტერესოდ იმუშავა. შეფასება შეიძლება მოხდეს მცირე დისკუსიის მერე, რომლის დროსაც მასწავლებელსა და ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ შეკითხვები დაუსვან თითოეული ჯგუფის წევრს. მასწავლებელმა წინასწარ უნდა განსაზღვროს რა დრო დაეთმოს დავალების შესრულებას, პრეზენტაციებსა და ნაშრომების შესრულებას რეკომენდირებულია ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკების გამოყენება.

მაგალითი:

შეფასების კრიტერიუმები ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია	კი	არა
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ		
ჯგუფი პრეზენტაციისას წარმოადგენს მთავარ იდეას, აკეტებს დასკვნებს		
ჯგუფი პასუხობს კითხვებს ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს		

მოსწავლეთა ინტერაქციის ერთ-ერთი ეფექტური ხერხია მუშაობა წყვილებში.

წყვილებში მუშაობის წესები:

ა) პირველი ეტაპი-ეს ეტაპი ინდივიდუალურად ხორციელდება თითოეული მოსწავლის მიერ და გულისხმობს საკითხის, იდეის ზოგად მოსაზრებას. სასურველია, რომ მოსწავლეებმა მოკლედ ჩაინიშნონ თავიანთი მოსაზრებები.

ბ) მეორე ეტაპი (ვწყვილდებით)-ამ ეტაპზე მასწავლებლის დაწყვილებული მოსწავლეები ერთმანეთს ყურადღებით აცნობენ I ეტაპზე შესრულებულ სამუშაოს. შემდეგ მსჯელობის საფუძველზე საერთო მოსაზრებას აყალიბებენ.

გ) მესამე ეტაპი - მეორე ეტაპზე ჩამოყალიბებულ საერთო აზრს ყოველი წყვილი უზიარებს თანაკლასელებს, რაც საერთო დისკუსიაში გადაიზრდება. ეს ეტაპი სრულდება გამოთქმული მოსაზრებების შეჯამებით და საერთო დასკვამდე მისვლით. ამ ყველაფერს მასწავლებელი უწევს კოორდინაციას დროში განაწილების და დისციპლინის მართვის ჩათვლით (34, გვ. 24).

წყვილებსა და ჯგუფებში მუშაობა ხელს უწყობს შემდეგი უნარ-ჩვევების გამომუშავებას:

- მოსმენის;

- თანამშრომლობის;
- ინფორმაციის შეგროვებისა და დამუშავების;
- ფაქტებისა და აზრების დიფერენცირების;
- გაგების;
- საკუთარი აზრის გამოთქმის;
- ლოგიკური დასკვნების გაკეთების;
- გადაწყვეტილების მიღების;
- დროის რაციონალური გამოყენების;
- ფუნქციების დანაწილების;
- კრიტიკული აზროვნებისა და შეფასების უნარ-ჩვევებს.

**ჯიგსოუს ტექნიკა.** ჯიგსოუს ავტორია ელიოტ არინსონი, რომელმაც კლასში არსებული რასობრივი დამაბულობის დასაძლევად შეიმუშავა ეს სტრატეგია. ეს არის მეთოდი, რომელშიც მოსწავლეები მნიშვნელოვან რესურსად განიხილებოდნენ. ამ მეთოდით სწავლების დროს მოსწავლეები დაყოფილია ჯიგსოუ ჯგუფებად.

საკლასო ოთახში ჯიგსოუს წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა დავიცვათ შემდეგი ნაბიჯები:

- ნაბიჯი პირველი-მოსწავლეთა გაყოფა 5-6 კაციან ჯგუფებში. ჯგუფები დაკომპლექტებული უნდა იყოს მრავალფეროვნების თვალსაზრისით, ეთნიკური, გენდერული, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების მიხედვით;
- ნაბიჯი მეორე-თითოეული ჯგუფისგან ერთი მოსწავლის ლიდერად არჩევა. თავდაპირველად სასურველია ეს იყოს წარმატებული მოსწავლე;
- ნაბიჯი მესამე-დაკვეთილის ტემპის დაყოფა 5-6 სეგმენტად;
- ნაბიჯი მეოთხე-დაევალოს თითოეულ მოსწავლეს თითო სეგმენტის შესწავლა. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებს წვდომა აქვთ მხოლოდ საკუთარ სეგმენტზე;
- ნაბიჯი მეხუთე-მიეცით სტუდენტებს დრო, რომ წაიკითხონ თავიანთი სეგმენტი მინიმუმ ორჯერ. დამახსოვრება არ არის საჭირო;
- ნაბიჯი მეექვსე-დროებითი „ექსპერტთა ჯგუფების“ ფორმირება. მოსწავლეები, რომელთაც დაამუშავეს ერთი და იგივე სეგმენტი, ქმნიან ექსპერტთა ჯგუფებს დამუშავებული საკითხების გასაღრმავებლად და გაურკვეველი საკითხების

გასარკვევად. კომპლექტება იმდენი ჯგუფი რამდენ სეგმენტადაც იყო დაყოფილი თემა;

- ნაბიჯი მეშვიდე- დააბრუნეთ მოსწავლეები თავიანთ ჯგუფებში;
- ნაბიჯი მერვე-თითოეულმა მოსწავლემ წარმოადგინოს მისი სეგმენტი, წახალისეთ მოსწავლეები, რათა კითხვები დაუსვან მომხსენებელს;
- ნაბიჯი მეცხრე- თითოეული ჯგუფი ახდენს სეგმენტების გაერთიანებას.
- ნაბიჯი მეთექვსმეტი-თითოეული ჯიგსოუ ჯგუფი აკეთებს პრეზენტაციას (125).

თუ მასწავლებელს სურს გამოიყენოს ჯიგსოუს ტექნიკა ერთ საგაკვეთილო დროში, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში საჭიროა დაიცვას რამდენიმე წესი:

- ჯიგსოუს ტექნიკით სწავლების გამოცდილება უნდა ჰქონდეს ჯგუფს;
- გამოიყენოს ჯიგსოუს ტექნიკა ექსპერტთა ჯგუფის გარეშე;
- ამ ტექნიკის გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა კლასში სადაც ფიქსირდება არამეგობრული დამოკიდებულებები ან განსაკუთრებულად მორცხვი მოსწავლეები-ჯიგსოუს მეთოდი აიძულებს კომუნიკაბელურობასა და გაზრდის კლასში მოსწავლეთა მიმღეობის ხარისხს.

იმისათვის, თუ როგორ გამოვიყენოთ ჯიგსოუს ტექნოლოგია საკვეთილზე მაგალითისათვის განვიხილავთ ისტორიის საკვეთილის გეგმას, რომელიც ამ მეთოდის გამოყენებით არის დაგეგმილი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენთვის საინტერესო საკვეთილის ტიპების დასაგეგმად ვთანამშრომლობდით ისტორიის მასწავლებელთან ქალბატონ ზინა ბუბუტიევილთან, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

ისტორია	კლასი : XI
თემა: საგანი: ალექსანდრე მაკედონელის იმპერია	დრო: 90 წუთი
<p>მოსწავლე: 20</p> <p>საკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენციების (წიგნიერება)განვითარებაზე ორიენტირებული</p> <p>საკვეთილის მიზანი.მოსწავლემ შეძლოს ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის</p>	

შექმნის მიზნების კვლევა, მისი შედეგი და გავლენა მსოფლიო ასპარეზზე, დაასახელოს ფაქტები რამაც გამოიწვია იმპერიის დაშლა და რა გავლენა იქონია იმპერიის დაშლამ მსოფლიო პოლიტიკაზე.

**კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:**

**ისტ. XI.5.** მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა.

**შედეგი თვალსაჩინოა თუ:**

- ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფოს და აჯგუფებს რომელიმე ეპოქაში მისი გაერთიანების ან დაშლის განმაპირობებელ საგარეო და საშინაო ფაქტორებს;
- ირჩევს რომელიმე კონკრეტულ ეპოქას, გამოყოფს იმ პერიოდის მსოფლიო სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ინტერესებს;
- თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს პოლიტიკურ მოღვაწეს და მსჯელობს მის მიერ არჩეული საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური კურსის შედეგებზე.

**გამომუშავებული უნარ-ჩვევები:**

- პრობლემის გააზრების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- ინფორმაციის მოპოვების, ორგანიზების, კლასიფიკაციის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარი;
- ვარაუდების გამოთქმის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.

**წინარე ცოდნა:** მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ წინარე იმპერიებზე (ასურეთი, ბაბილონი) იმპერიის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებზე, შექმნისა და დაშლის ფაქტორებზე.

**შეფასების საგანი და პროცედურები:**

პრეზენტაცია, დისკუსია. შეფასების რუბრიკა იხ. ცხრილი 1, 2

**სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსი:** სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, კალამი.

საორგანიზაციო საკითხები

მოსწავლეებს ვაცნობ გაკვეთილის თემასა და მიზანს.

**აქტივობა -1-** პროვოცირება-ასოციაციური კავშირების რუკა (4 წთ)

**აქტივობის მიზანი** - მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება.



**აქტივობის აღწერა**-მასწავლებელი ასოციაციური რუკის გამოყენებით სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ რა იციან ალექსანდრე მაკედონელის შესახებ.

**აქტივობის შედეგი**-წინარე ცოდნის გახსენება და შეჯამება

## **2 ფაზა**

**აქტივობა - ჯიგსოუს მეთოდი (26 წუთი)**

**აქტივობის მიზანი** - მოსწავლეებისათვის ახალი მასალის შინაარსის გაცნობა, ცოდნის კონსტრუირება, თანამშრომლობითი, ინფორმაციის დახარისხების და პრეზენტაციის უნარების განვითარება.

**აქტივობის აღწერა** - მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ჯგუფებად 5-6 კაციან ჯგუფებში. მასწავლებელი თითოეული ჯგუფისგან ერთ მოსწავლეს ირჩევს ლიდერად. მასწავლებელი ყოფს ტექსტს 5-ნაწილად:1. ალექსანდრე მაკედონელის პიროვნება; 2. ალექსანდრე მაკედონელის მიზნები მსოფლიოს გაერთიანებისათვის; 3. ალექსანდრე მაკედონელის დაპყრობები;4. ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილი, იმპერიის დაშლა:

ავალებს თითოეულ მოსწავლეს თითო ნაწილის შესწავლას, მოსწავლეებს აძლევს 5 წუთს ტექსტის გასაცნობად. ტექსტის გაცნობის შემდეგ მასწავლებელი აყალიბებს დროებით ექსპერტთა ჯგუფებს, რომლებიც დაკომპლექტებულია იმ მოსწავლეებით, რომლებმაც დაამუშავეს ერთი და იგივე სეგმენტი, რათა უფრო ღრმად მოხდეს საკითხის დამუშავება. კომპლექტდება იმდენი ჯგუფი რამდენ ნაწილადაც იყო დაყოფილი თემა. ექსპერტთა ჯგუფების მუშაობის შემდეგ მასწავლებელი დააბრუნებს მოსწავლეებს ძირითად ჯგუფებში, მოსწავლეები წარმოადგენენ მის ნაწილს თემისას, რასაც მოყვება თითოეული ჯგუფის მიერ ნაწილების გაერთიანება. თითოეული ჯგუფი გააკეთებს პრეზენტაციას.

**აქტივობის შედეგი** - მოსწავლეები გაეცნენ ახალი მასალის შინაარსს, მოახდინეს ცოდნის კონსტრუირება, განუვითარდათ ინფორმაციის დახარისხებისა და პრეზენტაციის უნარები.

**აქტივობა** - 3 პრეზენტაცია - **20 წუთი** (ორგანიზების ფორმა - ჯგუფური მუშაობა)

**აქტივობის მიზანი** - ახალი მასალის სიღრმისეული წვდომა, მოსწავლეებში თანამშრომლობითი, ანალიტიკური და პრეზენტაციის უნარების ამაღლება

**აქტივობის აღწერა:**

პრეზენტაციისთვის ჯგუფებს მიეცემათ 5-5 წუთი, თითოეული ჯგუფი წარმოადგენს

პრეზენტაციას, მასწავლებელი და ჯგუფის წევრები დაუსვამენ საკონტროლო შეკითხვებს ერთმანეთს იმის შესამოწმებლად, რამდენად კარგად გაიგეს ახალი მასალა.

მოხდება მოსწავლეების შეფასება განმავითარებელი შეფასებით.

**აქტივობის შედეგი**--მოსწავლეებში პრეზენტაციის, თანამშრომლობითი და ანალიტიკური უნარების განვითარება

**აქტივობა - 4 T სქემა** (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი) (5 წუთი)

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებში ინფორმაციის დახარისხების და კრიტიკული უნარის განვითარება

**აქტივობის აღწერა**--მასწავლებელი დახაზავს T სქემას და მოსწავლეებს სთხოვს უკარნახონ ალექსანდრეს იმპერიის შექმნის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

**აქტივობის შედეგი**--მოსწავლეებში ინფორმაციის დახარისხებისა და კრიტიკული უნარის განვითარება.

**აქტივობა -5 დისკუსია** (სიმპოზიუმი) **25 წთ** (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული უნარის განვითარება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი T სქემიდან გამომდინარე წამოაყენებს ორ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებას იმპერიის დადებით და უარყოფით შედეგებზე და კლასს სთხოვს დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, შემდონ არგუმენტებით დაიცვან ჯგუფის ხედვა.

**აქტივობის შედეგი**--მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, პრეზენტაციის უნარის განვითარება.

### **3 ფაზა**

**აქტივობა -6 შეჯამება -რეფლექსია 5 წთ** (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი:** გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შეჯამება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი დისკუსიის შემდეგ შეაჯამებს გაკვეთილს, მოახდენს უკუკავშირს და გააკეთებს დასკვნას.

**აქტივობის შედეგი**--ახალი მასალის უკეთ აღქმა და დასკვნის გაკეთება

საშინაო დავალება - **2 წთ**

კლასს საშინაო დავალებად ეძლევა დაწერონ ესე: „რა მოხდებოდა, რომ არ დაშლილიყო მაკედონელის იმპერია “

შეფასება- ჯგუფის წევრების მიერ მოხდება თვითშეფასება - **2-3 წუთი**

## ჯგუფის წევრების თვითშეფასების რუბრიკა

კრიტერიუმები	კი	არა
აქტიურად ვიყავი ჩართული ჯგუფის მუშაობაში		
ვიცავდი ჯგუფში მუშაობის წესებს		
ჩემი მოსაზრება იყო მნიშვნელოვანი		
ჯგუფის პრეზენტაცია იყო ორიგინალური და შეესაბამებოდა მოთხოვნას		
დაცული იყო დროის ლიმიტი		

**შემთხვევის ანალიზი (Case Study)** მიეკუთვნება სწავლების იმ ინტერაქტიულ მეთოდთა რიცხვს, რომლებიც მოსწავლეებს რეფლექსური და გადაწყვეტილების მიღებისკენ ორიენტირებული ქცევისთვის განაწყოებს. მისი მიზანია მოსწავლეებს განუვითაროს ანალიტიკური, შემოქმედებითი, კრიტიკული აზროვნება და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. ეს მეთოდი პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდთა რიცხვს მიეკუთვნება. ასეთი ტიპის სწავლების დროს მოსწავლეები რეალური ცხოვრებისეული პრობლემების კვლევის გზით იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას, რომელიც მათ ცხოვრებისეული პრობლემების გადასწყვეტად გამოადგებათ.

შემთხვევის ანალიზი, როგორც სწავლების მეთოდი, პირველად ჰარვარდის სამართლის სკოლაში გამოიყენეს. ტრადიციული ლექციური სწავლების ნაცვლად დაინერგა რეალურ შემთხვევებზე დისკუსია, რეალურ სიტუაციებზე ანალიზის შედეგად პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. მეთოდის ეფექტურობამ მისი ცალკე სწავლების სტრატეგიად ჩამოყალიბება გამოიწვია. შემთხვევის ანალიზი ზოგჯერ ჰარვარდის მეთოდის სახელითაც გამოიყენება. პრაქტიკაში შემთხვევის ანალიზის სხვადასხვა ვარიანტი ჩამოყალიბდა, რომელთა ძირითადი მიზნები ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ მათ აქვთ ერთი მთავარი მახასიათებელი-შემთხვევები რეალური ცხოვრებიდან არის აღებული.

ბევრი მოსწავლე ინდუქციურია ვიდრე დედუქციური. რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი გაკვეთილზე უკეთ სწავლობენ მაგალითებით, ვიდრე ლოგიკური განვითარებიდან დაწყებული ძირითადი პრინციპებით. აქედან გამომდინარე შემთხვევის შესწავლის-case stady გამოყენება ძალიან ეფექტური სასწავლო ტექნოლოგიაა. მეთოდის არსი ასეთია: მოსწავლეებს სთავაზობენ რეალური ცხოვრებისეული სიტუაციის გააზრებას. ამ სიტუაციის აღწერილობა მხოლოდ პრობლემას კი არ ასახავს, არამედ ცოდნის იმ კომპლექსის გააქტიურებასაც უწყობს ხელს, რომლის ათვისება აუცილებელია მოცემული პრობლემის გადასწყვეტად. პრობლემა შეიძლება გადაწყდეს სხვადასხვა გზით. ქვის მეთოდის გამოყენების დროს პრობლემის იდენტიფიკაცია და მისი მოგვარების გზების ძიება მასალების პაკეტების-ქვისის საფუძველზე ხდება. ქვისში მოთავსებული სიტუაცია სხვადასხვა წყაროს მეშვეობითაა აღწერილი. ეს წყარო შეიძლება იყოს ისტორიული წყარო, სამეცნიერო ან სხვა ტიპის ჟურნალი, ინტერნეტ რესურსი და ა. შ. (126).

Case Stady აერთიანებს ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა:

- მოდელირება;
- სისიტემური ანალიზი;
- პრობლემის ამოცნობისა და გადაჭრის სტრატეგიები;
- გადაწყვეტილების მიღება;
- კვალიფიკაცია;
- როლური თამაში;
- დისკუსია.

მოსწავლე ჯერ დამოუკიდებლად მოიპოვებს ინფორმაციას, პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ გზებს, შემდეგ ჯგუფში ადარებს საკუთარ და ჯგუფის სხვა წევრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ერთმანეთს, შემდეგ კი ჯგუფი იღებს საერთო გადაწყვეტილებას.

შემთხვევის ანალიზის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

- Case Stady მეთოდი - ამ მეთოდით სარგებლობის დროს შემთხვევები საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი, მოცემულია დაწვრილებითი ინფორმაცია საკითხის/პრობლემის ირგვლივ და რეალურად გამოყენებული გადაჭრის გზა.

თუმცა რა პრობლემასთან გვაქვს საქმე, პირდაპირ არ ჩანს-ის შეფარვით არის ნაჩვენები სიტუაციაში. ამ შემთხვევაში მოსწავლეს ევალება პრობლემის იდენტიფიცირება, ანალიზი, სინთეზი, პრობლემის გადაჭრის განსხვავებული გზის პოვნა, მისი მართებულობის დასაბუთება;

- Case Problem მეთოდი - ამ ვარიანტში პრობლემა ღიად არის დაფიქსირებული, ასე, რომ მოსწავლეთა ძალისხმევა მთლიანად მიმართულია პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ალტერნატიული გზების ძიებაზე, მართებულობის დასაბუთებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისაკენ;
- Case-Incident მეთოდი - ამ მეთოდის გამოყენების დროს მოყვანილი შემთხვევა არასრულია, რაც მოსწავლეთა საქმიანობას უმთავრესად ინფორმაციის მოძიებისკენ მიმართავს. აქ არ ჩანს პრობლემა, არც გადაჭრის გზები. მოსწავლეები თავად უნდა მიხვდნენ რა აკლია და მოიპოვონ შესაბამისი ინფორმაცია;
- Stated-Problem მეთოდი - ეს მეთოდი მოსწავლეს სთავაზობს შემთხვევას გამოკვეთილი პრობლემით, მოგვარების გზით. ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა გაანალიზონ პრობლემის გადაჭრის გზა, დაასაბუთონ, კრიტიკულად შეაფასონ და წარმოადგინონ პრობლემის გადაჭრის საკუთარი ხედვა.

შემთხვევის ანალიზის მეთოდს შემდეგი ფაზები აქვს:

- დაპირისპირება შემთხვევასთან;
- მუშაობა ინფორმაციაზე;
- დისკუსია ჯგუფის შიგნით;
- შეთანხმება ჯგუფის შიგნით;
- განხილვა კლასში.

ეს მეთოდი ხელს უწყობს მოსწავლის დამოუკიდებელ და ჯგუფურ ინტერაქციას.

შემთხვევის ანალიზი აიძულებს მოსწავლეებს, გააცნობიერონ პრობლემის ხასიათი, გადაჭრის პერსპექტივები (45).

ინტერაქტიული მეთოდის ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს წარმოადგენს დისკუსია. იგი ხელს უწყობს ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, როგორცაა:

- აქტიური მოსმენა;

- საკუთარი აზრის გამოთქმა და არგუმენტაცია;
- სხვისი აზრის მოსმენა და გათვალისწინება;
- დასკვნების გამოტანა;
- დისკუსიის წარმატებით ჩატარებისათვის მასწავლებელმა მონაწილეებთან ერთად უნდა შეიმუშაოს წესები, რაც კლასში შექმნის ნდობისა და ურთიერთპატივისცემის ატმოსფეროს.

შეთანხმება შეიძლება მოხდეს შემდეგ საკითხებზე:

- როცა ერთი ლაპარაკობს, სხვები უსმენენ;
- ასწიეთ ხელი, როცა რამეს თქმა გასურთ;
- არ გააწყვეტინო სიტყვა სხვას;
- არ გაიცინო სხვის ნათქვამზე, თუ არ ხუმრობს;
- კამათში ყველა მონაწილეობს.

წესების შემოღების შემდეგ ხდება დაგეგმილი, მიზნის შესაბამისი აქტივობა (ტექსტის წაკითხვა, ილუსტრაციების, ფილმის ჩვენება და ა.შ.), შემდეგი ეტაპი პრობლემის გამოკვეთა არის, კითხვების საშუალებით.

გავრცელებულია დისკუსიის შემდეგი ფორმები:

- მრგვალი მაგიდა-მცირე ჯგუფში ხდება მსჯელობა, აზრთა გაცვლა ერთმანეთთან და სხვა ჯგუფებში;
- ფორუმი-ჯგუფს ჰყავს წინაწარ დანიშნული ლიდერი, ჯგუფი დამოუკიდებლად განიხილავს საკითხს და შემდეგ წარუდგენს კლასს. ჯგუფის ყველა წევრს შეუძლია აზრის გამოთქმა;
- სიმპოზიუმი-მონაწილეები გამოდიან ინფორმაციით და დასკვნებით, ისინი გამოთქვამენ საკუთარ თვალსაზრისს ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ, პასუხობენ კლასის კითხვებს;
- დებატები-დებატების არსია მოსწავლეები კრიტიკულად მიუდგნენ საკითხს, პრობლემას, მოისმინონ სხვადასხვა შეხედულებები, გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები. დებატებში მონაწილენი წინასწარ არიან მზად გამოსვლისათვის, ისინი ჯგუფის მიერ არიან არჩეული. კამათი იწყება ორი დაპირისპირებული მხარის თითო წარმომადგენლის გამოსვლით. მათ შემდეგ ტრიბუნა ეთმობა თითოეული

მხარის სხვა მონაწილეებსაც შეკითხვებისა და კომენტარებისათვის. მასწავლებელმა თითოეული გამომსვლელისათვის უნდა დაადგინოს დრო;

- სასამართლო სხდომა-განსჯა, რომელიც სასამართლოში საქმის გარჩევის, განხილვის იმიტირებას წარმოადგენს.

დისკუსიის მრავალი ხერხი არსებობს. მათი სწორად შერჩევით მონაცვლეობით მასწავლებელი ადვილად ახერხებს იმგვარად წარმართოს დისკუსია, რომ მოსწავლეების კამათმა უმართავი სახე არ მიიღოს და შეუძლებელი არ გახდეს მათი გაკონტროლება.

დისკუსიის აგების სხვადასხვა ხერხი არსებობს:

სტრუქტურულ-თემატიკური დისკუსია- სავარჯიშო სივრცე.

დისკუსიის მონაწილეები ერთმანეთთან ახლოს უნდა ისხდნენ, ისე, რომ ერთმანეთის სახეებს ხედავდნენ, მაგალითად სკამები ნახევრ წრეზე განლაგონ, რაც ნაკლებ ფორმალურ გარემოს ქმნის, რაც პასიურ მოსწავლეებს დისკუსიაში ჩართვას უადვილებს. მასწავლებელი დაფაზე წერს სადისკუსიო თემას და საკითხებს. თუ კამათი მეტისმეტად გაცხარდა და გასცდება პრობლემატიკას, მასწავლებელი შეახსენებს მთავარ სადისკუსიო თემას. მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს დისკუსიაში ყველა მონაწილის ჩართვა, რომ მათ არ წამოიძახონ საკუთარი აზრი.

სავარჯიშო „აკვარიუმი“ - მონაწილეები თავიანთ აზრს გამოთქვამენ თანმიმდევრულად, ისე როგორც სხედან წრეზე, 3 წუთიანი რეგლამენტით, მასწავლებელი წინასწარ აძლევს ინსტრუქციას:

- მოძებნეთ ასოციაცია მოცემულ თემაზე;
- კითხვას გაეცით ერთი დასაბუთებული პასუხი;
- დაასრულეთ მასწავლებლის მიერ დაწყებული წინადადება.

სავარჯიშო „მიკროფონი“ მასწავლებელს ეხმარება დისკუსიის მშვიდად მართვაში. ამ შემთხვევაში ლაპარაკის უფლება აქვს მხოლოდ იმ მოსწავლეს, რომელსაც მიკროფონს გადასცემენ (მიკროფონი შეიძლება პირობითად კალმისტარიც იყოს). დისკუსიის ბოლოს მასწავლებელმა მოსწავლეებთან ერთად კიდევ ერთხელ უნდა განსაზღვროს და ჩამოწეროს ის მთავარი საკითხები, რომელიც დისკუსიის მსვლელობისას გამოიკვეთა,

თუ მოსწავლეთა მიერ ჩამოთვლილი საკითხები ბევრია; ირჩევენ მრავლიდან ერთს, მათი აზრით ყველაზე მნიშვნელოვანს ან აქტუალობის მიხედვით ირჩევენ რამდენიმე დებულებას;

გაკვეთილზე მოსწავლეთა ინტერაქციას ხელს უწყობს როლური თამაშები/სიმულაციები. როლური თამაშის ჩატარებისათვის საჭიროა გარემოს შექმნა, როლების განაწილება, გათამაშება, დისკუსია, შეჯამება.

ტექსტის არჩევა ხდება საპროგრამო მასალიდან, სასწავლო მიზნის შესაბამისად ხდება მისი გათამაშება, როლების განაწილება შეიძლება მოხდეს მასწავლებლის მიერ ან შემთხვევითი შერჩევით. როლზე მუშაობის დროს მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს კრიტიკული კითხვები, გაიმართოს დისკუსია შერჩეული თემის ირგვლივ. როლური თამაში ხელს უწყობს:



- საკითხის ღრმად გააზრების;
- საკითხის შეფასებასა და ორგანიზებას;
- შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას;
- მოტივაციის ამაღლებას;
- სასწავლო პროცესში ჩართვას (35).


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულმა ღონისძიებებმა, გამოიწვია სკოლაში სხვადასხვა ტიპის გაკვეთილების დანერგვა. შესაბამისად მოსწავლეები იცნობენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს.

გაკვეთილზე ინტერაქტიული მეთოდების მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულების გასარკვევად გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა მოსწავლეების გამოკითხვა, სულ გამოვკითხეთ 315 მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე კლასის მოსწავლე.

მოსწავლეთა გამოსაკითხად შევადგინეთ კითხვარი, რა დროსაც ვიხელმძღვანელებთ განათლების მეცნიერებაში ერთ-ერთი საკვლევი ინსტრუმენტის მიხედვით: Relational-Interdependent Self-Conceptualization (RISC) ურთიერთდამოკიდებულების თვითკონსტრუირებული საკვლევი კითხვარი. რომელიც ადგენს კავშირს შემდეგ ელემენტთა შორის: კოგნიტიურობა, ემოცია, მოტივაცია, ურთიერთდამოკიდებულება.







გამოკითხვის შედეგების გაცნობისა და გაანალიზების საფუძველზე, გამოიკვეთა მოსწავლეთა დადებითი დამოკიდებულება ინტერაქტიული მეთოდის მიმართ, თუმცა ასევე, მოსწავლეთა უნარ-ჩვევებში და დამოკიდებულებებში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემური სფეროები:

- თვითშეფასების დაბალი მაჩვენებელი;
- საკლასო გარემოსა და თანაკლასელთა დამოკიდებულებების გავლენა მოსწავლეზე;
- აქტიური სწავლების მიმართ არა აქვს ჩამოყალიბებული პოზიცია;
- თანამშრომლობითი სწავლებისათვის საჭირო უნარების არქონა, ვერ აფასებს თანამშრომლობითი სწავლების დადებით გავლენას;
- არ აქვს მზაობა ნებისმიერ მოსწავლესთან თანამშრომლობისა;
- ინტერაქტიული სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების ნაკლებობა- მოუსმინოს ჯგუფის ნებისმიერ წევრს, მიიღოს ნებისმიერი აზრი, ითანამშრომლოს.

- აკლიათ გაბედულება საკუთარი აზრის გამოსათქმელად.

ამრიგად:

- ინტერაქტიული გაკვეთილის საფუძველს თანამშრომლობითი, ურთიერთ-ქმედებაზე დამყარებული სწავლება წარმოადგენს;
- გაკვეთილზე ინტერაქტიულ მეთოდებს მოსწავლე პასიური მსმენელის როლიდან აქტიურ მონაწილედ აქცევს;
- გაკვეთილზე თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება ჯგუფის წევრებისაგან მოითხოვს ფუნქციების, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის თანაბრად გადანაწილებას;
- მოსწავლეები ინტერაქციის გზით, ერთმანეთთან ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების გაზიარებით განიხილავენ პრობლემის გადაჭრის გზებსა და კრიტიკული ანალიზის საშუალებით იღებენ გადაწყვეტილებას;
- მოსწავლეთა ინტერაქციის მიაზანია მოსწავლის აქტიური მონაწილეობა გაკვეთილზე საკუთარი სწავლის პროცესში, სწავლის კონსტრუირება, აღმოჩენა, თანამშრომლობითი სწავლის, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის უნარების, ჩვევებისა და საჭირო ცოდნის შექმნა.

მოსწავლეებსა და მოსწავლეთა შორის გაკვეთილზე აქტიურ ინტერაქციას განაპირობებს შემდეგი სტრატეგიები:

- ჯგუფური მუშაობა;
- წყვილებში მუშაობა;
- ჯიგსოუს ტექნოლოგია;
- შემთვევის ანალიზი (case study);
- დისკუსია.

კვლევის შედეგებით, რომელიც გაკვეთილზე ინტერაქტიული მეთოდების მიმართ მოსწავლეთა დამოკიდებულების გასარკვევად ჩავატარეთ მოსწავლეთა უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასაუმჯობესებლად საჭიროა:

- გაკვეთილზე მოსწავლეთა თვითშეფასებისა და მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ხშირი გამოყენება (მოსწავლეებს მივუდგეთ პატივისცემით და სიყვარულით, ნაკლებად გამოვიყენოთ სასჯელი, შირად მივმართოთ

რეკომენდაციებს პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელად, გამოვიყენოთ თვიშეფასება და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასება, მკაფიოდ გამოვყოთ სწავლების მიზნები, დავეხმროთ პირადი მიზნების ფორმირებაში;

- კლასში მოსწავლეთა შორის დადებითი ურთიერთობების ხელშეწყობა და წახალისება;
- გაკვეთილზე ხშირად გამოვიყენოთ მოსწავლეთა აქტიურობაზე მიმართული მეთოდები;
- ხშირად გამოვიყენოთ გაკვეთილზე თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები;
- გაკვეთილზე განსაკუთრებით გავამახვილოთ ყურადღება თანამშრომლობითი სტრატეგიებით სწავლებისათვის შემდეგ საჭირო უნარებზე: ჯგუფის წევრებთან თანამშრომლობა, ჯგუფის ნებისმიერ წევრთან თანამშრომლობა (ჯიგსოუს ტექნიკის გამოყენებით); მოსმენა, ნებისმიერი აზრის მიღება;
- ნუ გექნებათ მოსწავლის შეცდომაზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი რეაქცია, მიეცით შესაძლებლობა თავად გაასწოროს შეცდომა, თქვენი დამოკიდებულება შეცდომის მიმართ განსაზღვრავს კლასის დამოკიდებულებასაც შეცდომის მიმართ. როდესაც არ იქნება დაცინვა და კრიტიკა შეცდომის მიმართ, მოსწავლეს გაბედულად გამოთქვამს მის აზრს;

თუ მასწავლებელს სურს გამოიყენოს ჯიგსოუს ტექნიკა ერთ საგაკვეთილო დროში, ამ შემთხვევაში საჭიროა დაიცვას რამდენიმე წესი:

- ჯიგსოუს ტექნიკით სწავლების გამოცდილება უნდა ჰქონდეს ჯგუფს;
- გამოიყენოს ჯიგსოუს ტექნიკა ექსპერტთა ჯგუფის გარეშე;
- ამ ტექნიკის გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა კლასში სადაც ფიქსირდება არამეგობრული დამოკიდებულებები ან განსაკუთრებულად მორცხვი მოსწავლეები-ჯიგსოუს აიძულებთ კომუნიკაბელურობასა და გაზრდის კლასში მოსწავლეთა მიმღობის ხარისხს.

#### § 4 თანამედროვე გაკვეთილის დაგეგმვის ტექნოლოგია

მასწავლებელს, საგნის ღრმა ცოდნასთან ერთად მოეთხოვება პროფესიულ უნარ-ჩვევათა ფლობა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მის წარმატებულ საქმიანობას. მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მასწავლებლის პროფესია მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად თანდაყოლილ ნიჭსაც მოითხოვს. მასწავლებელს ესაჭიროება იყოს შემოქმედებითი და კრეატიული.

მასწავლებლის აუცილებელ უნარ-ჩვევათა რიცხვში შედის გაკვეთილის დაგეგმვის ცოდნა. მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებული გაკვეთილი, რომელიც საგანმანათლებლო ლიტერატურაში კონსტრუქტივისტული გაკვეთილის სახელითაა ცნობილი. კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, თავად ააგონ ცოდნა, დაამყარონ საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირი, შეძლონ დასკვნების გამოტანა. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტიურობასა და ინტერესს. მასწავლებელი პროცესს აძლევს მიმართულებას და ახდენს შეფასებას.

თუკი მანამდე მოთხოვნები მოიცავდა ფაქტებისა და მოვლენების ცოდნას, მათ აღწერას, ტექსტის ძირითადი ინფორმაციის გადმოცემას, საგნებისა და მოვლენების დახარისხება/დაჯგუფებას და ა.შ. ახალი მოთხოვნები, გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, ითვალისწინებს მოვლენის მიზეზის ახსნას: პროცესის კანონზომიერების გამოვლენას; მიზეზებსა და შედეგებს შორის კავშირების დადგენას; ჰიპოთეზის წამოყენებას; კვლევის დაგეგმვას; შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას; პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების წამოყენებას; პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო მოქმედებების დაგეგმვას; საკუთარი პოზიციის არგუმენტირებულ დასაბუთებას; დასკვნების გაკეთებას და სხვ.

მოსწავლე თავად აგებს ცოდნას მასწავლებლის მიერ გაცემული ინფორმაციის საფუძველზე. მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს საკუთარი აზრი სწავლების დახმარებით. როგორც კვლევები აჩვენებს ყველაზე მყარი ცოდნა მიიღება საკუთარი გამოცდილებით გადაწყვეტილი პრობლემის შედეგად. მასწავლებელმა სასწავლო აქტივობები, ისე უნდა დაგეგმოს, რომ მოსწავლემ აღმოაჩინოს მნიშვნელოვანი

იდეები და გაიზაროს აღმოჩენები. ცოდნის კონსტრუირებისათვის საუკეთესო საშუალებად ითვლება თანამშრომლობითი სწავლება. ახალი ინფორმაცია კავშირში უნდა იყოს უკვე ნასწავლთან.

კონსტრუქტივისტული სწავლების დროს გამოიყენება:

- ახალი იდეების დაკავშირება არსებულ ცოდნასთან;
- მოდელირება-მასწავლებელი მიმართავს რთულ დავალებას და ცდილობს მოსწავლეთათვის თვალსაჩინო გახადოს ის ნაბიჯები, რომლებიც ამ დავალების შესასრულებლად საჭიროა;
- სკაფოლდინგი, ხარაჩოს მეთოდი-მასწავლებელი ისეთ დავალებებს აძლევს მოსწავლეებს, რომელთა გაკეთებაც, დახმარების გარეშე, გაუჭირდებათ ბავშვებს. მასწავლებელი დახმარების წილს თანდათან ამცირებს და საბოლოოდ მოსწავლეები თავად ახერხებენ დავალების გაკეთებას;
- არტიკულაცია-საკუთარი შეხედულებების გამოთქმა ვერბალიზაციის გზით და მათი დაცვა. რაც ეხმარებათ მასალის უკეთ ათვისებაში;
- მეტაკოგნიცია-საკუთარი სწავლის პროცესის ანალიზი;
- თანამშრომლობა- ურთიერთსწავლება, ერთობლივი მუშაობა;
- არჩევანი-მოსწავლეებს ეძლევათ არჩევანის საშუალება, რაც ხელს უწყობს ინტერესის, ჩართულობისა და სწავლის პროცესის უკეთ წარმართვას;
- მოქნილობა - კონსტრუქტივისტული მეთოდოლოგიის თანახმად მასწავლებელი საჭიროებისამებრ ცვლის გაკვეთილის მიმართულებას;
- ადაპტაციის უნარი-მასწავლებელს უნდა შეეძლოს სასწავლო მიზნებისა და ამოცანების ადაპტირება მოსწავლეთა შესაძლებლობებთან;
- მრავალმხრივი რეალობა - მრავალმხრივი რეალობის გააზრება დაეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, რომ ყოველთვის ერთი სწორი პასუხი არ არსებობს. ეს უვითარებს მოსწავლეებს კრიტიკულ აზროვნებას. ამისათვის მასწავლებელმა აუცილებლად უნდა მიაწოდოს მოსწავლეებს რამდენიმე ალტერნატიული შეხედულება ერთსა და იმავე საკითხზე.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დროს ა. ვულფოლკი რეკომენდაციას იძლევა დაცული იქნეს შემდეგი პრინციპები:

- 1.სწავლა წარმართოს კომპლექსურ და რეალისტურ სასწავლო პრობებში;
  - 2.სოციალური მოლაპარაკებების უზრუნველყოფა და პასუხისმგებლობის, როგორც სწავლის ნაწილის განხილვა;
  - 3.მრავალმხრივი პერსპექტივების მხარდაჭერა და მრავალფეროვანი შინაარსის გამოყენება;
  - 4.თვითშეგნების გაზრდა და იმის გაგება, რომ ცოდნა კონსტრუირებულია;
  - 5.ცოდნის დაუფლების წახალისება.
- ი. ვ. ზაგვიანი სკი გამოყოფს თანამედროვე სწავლების შემდეგ პრინციპებს:
- სწავლების დადებითი მოტივაციისა და კეთილგანწყობის ემოციონალური ატმოსფეროს პრინციპი. ამ პრინციპის საფუძველს ჰუმანური პედაგოგიკა წარმოადგენს, რაც გულისხმობს მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობას. ის ხელს უწყობს მოსწავლის შიდა მოტივაციის, ინტერესებისა და მოთხოვნილებების ჩამოყალიბებას სწავლისადმი, გაკვეთილზე ჩართულობისა და შედეგებით დაინტერესებას. სწავლების ეფექტურობას განაპირობებს მასწავლებლისა და მოსწავლის თანამშრომლობითი ურთიერთობა, მოსწავლის პიროვნების პატივისცემა და აღიარება, რაც იწვევს მოსწავლის დადებით ემოციურ ფონს;
  - სწავლების ინდივიდუალური და თანამშრომლობითი (კოლექტიური) ფორმის შეთავსების პრინციპი. ეს პრინციპი არეგულირებს მოსწავლეთა ორგანიზაციის ფორმების უპირატესობებისა და ნაკლის გამოვლენას და გვთავაზობს მათ ჰარმონიულად შეხამებას და პრაქტიკულ დანერგვას. კერძოდ, ინდივიდუალური სწავლების ფორმა მოსწავლეს არ აძლევს სოციალურ მრავალფეროვანი ურთიერთობებისათვის საჭირო გამოცდილებას, მაგრამ, არც თანამშრომლობითი სწავლების გადამეტებული გამოყენება არის რეკომენდირებული, ვინაიდან, მოსწავლე შეიძლება დამოკიდებული გახდეს ჯგუფის წევრებზე და დაკარგოს დამოუკიდებლად მუშაობის უნარი. ასე, რომ საჭიროა მასწავლებელმა თანაბარი სიხშირით გამოიყენოს მოსწავლეთა ორგანიზების ეს ფორმები, რაც დაბალანსებულად განავითარებს ინდივიდუალურ და სოციალურ უნარებს.

მიგვაჩნია, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს წარმოადგენს სწავლის მეტაკოგნიტური პრინციპი. მეტაკოგნიტური პრინციპი საშუალებას იძლევა მოსწავლემ არეგულიროს საკუთარი სწავლის პროცესი, გამოყოს ძლიერი და სუსტი მხარეები. იზრუნოს საკუთარი სისუსტეების აღმოსაფხვრელად, მეტაკოგნიტური აზროვნება მოსწავლეს აკისრებს პასუხისმგებლობას საკუთარი განათლებისა და სწავლების პროცესის მონიტორინგზე.

გაკვეთილზე მნიშვნელოვან ფაქტორებს წარმოადგენს - განწყობა, ინტერესი და ყურადღება.

ჯ. საფიერი და რ. გოუერი გვთავაზობს ყურადღების გამოწვევის 5 საფეხურს:

1. შეწყვეტა-(თავის დანებება)-ამ დროს მასწავლებელი მიუთითებს მოსწავლეს ჩაერთოს გაკვეთილში. რომელიც შეიძლება გულისხმობდეს დასჯას ან უბრალოდ მკაცრად მითითებას.

2. გაფრთხილება-გამაფრთხილებელი მოქმედებები ხშირად განკუთვნილია მოსწავლეთა ჯგუფისათვის და არა ინდივიდებისათვის. მას ყურადღების შენარჩუნების ეფექტი აქვს და მინიმუმამდე ამცირებს ყურადღების გაფანტვას.

3. ჩაბმა-ყურადღების მიპყრობის ნაბიჯთა მესამე კატეგორიას ჩაბმა ეწოდება, მისი მიზანია ნებაყოფლობით ჩააბა ცალკეული მოსწავლე ან მთელი კლასი გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებში. ჩართვის აქტივობები ემსახურება მოსწავლის მოხიბვლას და აღტაცებას სასწავლო აქტივობით და ამ გზით მის დაინტერესებას.

4. თანაზიარობა-მოსწავლეს თუ აქვს პრობლემა უთანაგრძნო.

5. მიღწევა-გაამხნევო მოსწავლე, ენთუზიაზმი მოუწონო, შეაქო, სარკაზმის გარეშე. გაკვეთილზე მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ყურადღების გამოწვევა, არამედ მისი შენარჩუნება გაკვეთილის დასრულებამდე.

ყოველი პრობლემის აღმოფხვრა მასწავლებელს, დამატებით ახალ გამოცდილებასა და მეთოდების საკუთარ მარაგს უყალიბებს, ასე, რომ გამოცდილ მასწავლებლებს მრავალი ეფექტური ხერხები გააჩნიათ.

სწავლების პროცესის დაგეგმვის შემდეგი სახეები არსებობს: საგნის გეგმა, თემის გეგმა, კვირის გეგმა, გაკვეთილის გეგმა.



სასწავლო პროცესის დაგეგმვა აქტუალური ხდება XX ს. სამოციან წლებში. სასწავლო კურიკულუმის პიონერებად მიჩნეულნი არიან ჰილდა თაბა და რალფ ტაილერი. 1962 წელს ჰ. თაბამ გამოსცა წიგნი “კურიკულუმის განვითარება. თეორიადაპრაქტიკა”. ის წარმოადგენს სწავლების დაგეგმვისათვის საჭირო შვიდ საფეხურს:

- საჭიროებების დიაგნოსტიკა;
- მიზნების ფორმულირება;
- შინაარსის შერჩევა;
- შინაარსის ორგანიზება;
- სწავლების გამოცდილების შერჩევა;
- სწავლის გამოცდილების ორგანიზება(მეთოდებისგანვითარება)
- განსაზღვროს რა და როგორ შეფასდეს (124).

ჰ. თაბას მიერ წარმოდგენილი საფეხურები თითქმის უცვლელად მეორდება გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს.

მასწავლებლის ამოცანაა, განსაზღვროს გაკვეთილის მიზანი, რომელიც გამომდინარეობს სასწავლო გეგმაში მოცემული შედეგებიდან, მიზანი ასახავს, რას უნდა მიაღწიონ, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. გეგმაში ასევე აისახება კონკრეტული კლასისა და მოსწავლეთა საჭიროებები.

გაკვეთილის დაგეგმვისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სწავლება-სწავლის სამფაზიანი მოდელი, თითოეული ფაზა განსაზღვრავს გაკვეთილზე მიმდინარე პროცესებსა და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული: (69)

**1. გამოწვევა (შესავალი)** - გაკვეთილის ეს ნაწილი პასუხისმგებელია გაკვეთილის დანარჩენი ნაწილების წარმატებით განხორციელებაში. ეს ეტაპი ემსახურება რამდენიმე მნიშვნელოვან შემეცნებით აქტივობას:

სასწავლო მიზნისა და ახალი მასალის გაცნობა, ადრე მიღებული ცოდნის „გამოწვევა“ სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა. მასწავლებელი აცნობს ბავშვებს შესასწავლ საკითხს, განიხილავს მის მეცნიერულ, სასწავლო და პრაქტიკულ ღირებულებას. მოსწავლე უნდა დარწმუნდეს, რომ ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვანია, რომ მას გამოიყენებს რეალურ ცხოვრებაში.

ხშირად გაგვიგონია კითხვები, რომელსაც მოსწავლე სვამს: რატომ უნდა ვისწავლო? სად გამოვიყენებ? ამ კითხვებს, რომ პასუხი გაეცეს მოსწავლე უნდა დარწმუნდეს საკითხის მნიშვნელობასა და აქტუალობაში(69).

**2. სიღრმისეული წვდომა (მასალის მიწოდება)** - იგი შესასწავლი საკითხის შინაარსის გაგებასა და აღქმას უწყობს ხელს. მოსწავლე ეცნობა ახალ ინფორმაციას, ტექსტის წაკითხვის, აუდიო და ვიდეო მასალის გაცნობის, ცდების ჩატარების საშუალებით. სიღრმისეული წვდომის უპირველესი ამოცანაა „გამოწვევის ფაზაზე“ გაღვიძებული ინტერესის შენარჩუნება და განმტკიცება. მასალის მიწოდება გაკვეთილის გეგმის მეორე ელემენტია. რომელიც გეგმაში წარმოდგენილია მეთოდებისა და პროცედურების სახით. მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინდივიდუალურ და ჯგუფურ აქტივობებს: დემონსტრირებას, პრაქტიკულ ვარჯიშს, ასათვისებელი შინაარსის შესახებ დისკუსიის წარმართვას, კრიტიკულ ანალიზს, თვალსაზრისთა შეპირისპირებასა და შეჯერებას (69).

ახალი ინფორმაციის მიღების დროს იწყება საკუთარი აღქმის კონტროლი, მოსწავლე სვამს კითხვებს, ახდენს მოსმენილის ან წაკითხულის შემოწმებას, მასწავლებელმა მხარი უნდა დაუჭიროს მოსწავლეებს ასეთ მოსწავლეებს. რადგან არსებობს მოსწავლეები, რომელიც პასიურად არიან გაკვეთილზე.

ყველა გაკვეთილი მიზნად ისახავს ახალი ცოდნის, ინფორმაციისა და მასალის მიწოდებას მოსწავლეებისათვის. მასწავლებელმა წინასწარ უნდა გააანალიზოს, რომელი მეთოდი იქნება ყველაზე ეფექტური მოსწავლეების მიერ მასალის ათვისების თვალსაზრისით. თეორიულ ცოდნაზე თუ საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მასწავლებელმა უნდა შეძლოს ყოველი კონკრეტული საგნის სწავლებისათვის ყველაზე ეფექტური, მოსწავლეთა ასაკობრივი, განვითარებისა და კოგნიტური შესაძლებლობებისათვის ყველაზე შესატყვისი მეთოდის შერჩევა

**3. გააზრების, რეფლექსიის (დასრულების)** - ეტაპზე მოსწავლეები ამთლიანებენ წინარე და ახლად მიღებულ ცოდნას. მოსწავლეების მიერ ინფორმაციის უკეთ გაგებისა და დამახსოვრებისათვის, მნიშვნელოვანია, რომ ახალი მასალის განხილვას მოჰყვებოდეს გარკვეული შეჯამება, დასკვნითი მოსაზრებები. დასკვნაში მასწავლებელი აჯამებს არა მხოლოდ ახალ მასალას, არამედ აკავშირებს ახალ

ცოდნასა და არსებულ ცოდნას. ამ ფაზაში მოსწავლე საკუთარი სიტყვებით გამოხატავს ახალ ინფორმაციას, რომელსაც წინა ფაზებზე შეეხნენ. ეს აუცილებელი ახალი აზრობრივი სქემების ასაგებად. სიღრმისეული შესწავლა და გაცნობიერება პიროვნულ მოცემულობებზეა დამოკიდებული. მოსწავლეს ყველაზე უკეთ ის ამახსოვრდება, რასაც მისთვის ცნობილ კონტექსტში ითავისებს და საკუთარი სიტყვებით აცოცხლებს.

ამ ფაზაზე მეორე ამოცანაა მოსწავლეთა შორის აზრთა ჯანსაღი გაცვლა-გამოცვლა, დისკუსიაში ჩართვა. რეფლექსიის ფაზაზე დისკუსიაში ჩართული მოსწავლეები სხვადასხვა სააზროვნო კონსტრუქციებით მუშაობენ.გაკვეთილის ამ ეტაპზე სასურველია ისეთი აქტივობები შევთავაზოთ მოსწავლეებს სადაც მოახდენენ სწავლის პროცესის გააზრებას: რა ვისწავლე? როგორ ვისწავლე? (62, გვ, 19).

თუ მოსწავლემ სიღრმისეულად გააცნობიერა საკითხი მაშინ მას უკვე შეუძლია საკუთარი სიტყვებით, საკუთარი ლექსიკური მარაგით საუბარი ამ საკითხზე. განვაზღვრავთ სწავლა-სწავლების სამფაზიანი მოდელის ძირითად ამოცანებს საფეხურების მიხედვით:

გამოწვევა	სიღრმისეული წვდომა	რეფლექსია
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სასწავლო მიზნისა და შესაბამისი მოლოდინების განსაზღვრა</li> <li>▪ შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება</li> <li>▪ წინარე ცოდნის არაფორმალური შეფასება, არასწორი წარმოდგენების გამოკვეთა</li> <li>▪ პოზიტიური განწყობის შექმნა, ყურადღების კონცენტრირება, ინტერესისა და სწავლის მოტივაციის გაღვივება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სასწავლო მასალის გაცნობა</li> <li>▪ ინფორმაციის მოძიება-დამუშავება</li> <li>▪ ახალი ცოდნის შექმნა</li> <li>▪ ძირითადი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოკვეთა</li> <li>▪ გაკვეთილის შინაარსის დაკავშირება საკუთარ ცოდნასა და გამოცდილებასთან</li> <li>▪ შეკითხვების დასმა შინაარსთან დაკავშირებით მოლოდინების გადახედვა და რეალურ პროცესთან შედარება</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ძირითადი იდეების შეჯამება</li> <li>▪ ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება</li> <li>▪ პიროვნული გამოხმაურება</li> <li>▪ მიღებული ცოდნისა და სარგებლიანობის განსაზღვრა</li> <li>▪ ცოდნის გაღრმავებისთვის საჭირო ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება</li> <li>▪ სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება</li> </ul>

1962 წელს შეფასების ექსპერტმა რობერტ მეიგერმა გამოსცა წიგნი “სასწავლო მიზნების მომზადება”, რის შედეგადაც დამკვიდრდ ამიზნების გამოყენების აუცილებლობა. მეიგერმა შემოგვთავაზა სასწავლო მიზნების სამი ძირითადი მახასიათებელი:

1. შედეგი. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ შედეგებს, რასაც მოსწავლემ უნდა მიაღწიოს.
2. პირობები. მიზანი ყოველთვის აღწერს იმ პირობებს, რომელშიც შედეგების წარმოდგენა უნდა მოხდეს.
3. კრიტერიუმი. სასწავლო მიზანი აყალიბებს უნარის წარმოდგენის დონეს, რომელსაც მოსწავლის შედეგები უნდა შეესაბამებოდეს და ასევე, განმარტავს ამ დონის შეფასების კრიტერიუმებს (50, გვ. 113.)

რ. მეიგერის მიერ განსაზღვრული სასწავლო მიზნების მახასიათებლები თანამედროვე სასწავლო გეგმის შედგენის დროს დღესაც აქტუალურია.

სასწავლო მიზნები უნდა გამომდინარეობდეს:

- ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან. მაშასადამე, სასწავლო მიზნები გამოხატავენ, რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა სწავლის პროცესში, გაკვეთილზე;
- მოსწავლეთა საჭიროებიდან, მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან

ჩვენ გავითვალისწინეთ სხვადასხვა ლიტერატურაში მოცემული კომპონენტები და ასეთი სახით ჩამოვყალიბეთ გეგმა:

**გაკვეთილის მიზანი** განსაზღვრავს კონკრეტულ გაკვეთილზე მისაღწევ შედეგს. ის გამომდინარეობს სასწავლო გეგმიდან. სასწავლო მიზანი განსაზღვრავს რა ცოდნა და უნარ/ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა. მასწავლებელი სასწავლო მიზნებში ასევე განსაზღვრავს კლასისა და კონკრეტული მოსწავლის საჭიროებებს.

მიზანი უნდა იყოს კონკრეტული, გასაგები, დადამლევადი. დადამლევადი-იმდენად, რომ მოსწავლისათვის არც ძალიან მარტივად მისაღწევი და არც ძალიან რთული იყოს. მიზნის შესრულების შემდეგ მოსწავლეთა ცოდნის ბაზა და ახალი უნარ-ჩვევები იზრდება.

სპეციალისტები გვთავაზობენ ზმნებს, რომელიც უნდა იყოს გამოყენებული მიზნების განსაზღვრისას. “გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეები: გაიგებენ, ახსნიან, აღწერენ, შეადარებენ, შექმნიან, გააანალიზებენ, პრობლემას გადაჭრიან, შეაფასებენ, გამოიკვლევენ და ა.შ“ (41).

მიზნის დასახვის დროს აქცენტი კეთდება მოსწავლის მისაღწევ სასწავლო შედეგზე, გამოკვეთილია მოლოდინები, მიზანი უნდა იყოს, საგაკვეთილო დროში მისაღწევი.

გაკვეთილი ორმხრივი პროცესია სწავლებისა და სწავლის. მასწავლებელმა დაგეგმვის დროს უნდა გაითვალისწინოს არა მხოლოდ სწავლებისათვის საჭირო კომპონენტები, არამედ, ეფექტური და წარმატებული სწავლისათვის სასარგებლო აქტივობები.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს ყველა კომპონენტი მნიშვნელოვანია და ერთმანეთს ავსებს. მაგ. თუ სწორად არ არის შერჩეული აქტივობები შეიძლება მიზანი ვერ იქნეს მიღწეული.

გაკვეთილის მიზანი უნდა გამომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგებიდან. სასწავლო მიზნები გამოხატავენ რა ცოდნა და უნარ-ჩვევები უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა სწავლის პროცესში. მიზნების განსაზღვრის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული მოსწავლეთა საჭიროებანი, მოთხოვნილებები, ინტერესები და მათი შესაძლებლობები.

**სწავლების მეთოდები**-მასწავლებელი არჩევს გზას, როგორ მიიტანოს მოსწავლეებთან ახალი მასალა, მარტივად, ეფექტურად და შედეგიანად. მეთოდი ეხმარება დასახული შედეგის მიღწევაში, ის აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეთა შესაძლებლობებს, სასწავლო აქტივობასა და კლასის ორგანიზების ფორმებს.

სასწავლო მეთოდის არჩევა გულისხმობს, რა დიდაქტიკური ხერხით და როგორ ახორციელებს აქტივობას.

მეთოდის შერჩევის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისობა აქტივობასთან; კლასის ორგანიზების ფორმასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს ტექნიკური მხარე.

**სასწავლო აქტივობები**-დასახული მიზნის მისაღწევად მასწავლებელი ირჩევს აქტივობებს. გამოიყოფა მასწავლებლის აქტივობა და მოსწავლის აქტივობა. სასწავლო აქტივობები ეხმარება მოსწავლეებს ცოდნის განმტკიცებაში. მასწავლებელი წინასწარ უნდა ახდენდეს გათვლას რამდენი აქტივობა არის საჭირო და რა დროს ჭირდება თითოეულ მათგანს. აქტივობა უნდა შეირჩეს მოსწავლეთა შესაძლებლობების, უნარებისა და გამოცდილების მიხედვით. აქტივობა გამოხატავს თუ რას აკეთებს მასწავლებელი და მოსწავლეები.

მკვლევარები მოითხოვენ, რომ მასწავლებელმა განსაზღვროს ყოველი აქტივობისა და მეთოდის გამოყენების შემდგომ რა უნარები განუვითარდებათ და რა შედეგზე გავლენ. ყოველი აქტივობის შემდეგ მისაღწევ შედეგებს მოსწავლეები უნდა მიყავდეს გაკვეთილის ბოლოს მისაღწევ შედეგებამდე. შედეგი კი გამომდინარეობს გაკვეთილის მიზნიდან.

**სასწავლო რესურსები**-წარმატებული სწავლების ერთ-ერთი წინაპირობაა სასწავლო რესურსების სწორად შერჩევა. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს ახალი მასალის გადაცემისა და განმტკიცებისათვის რომელი სასწავლო რესურსები იქნება ეფექტური (სახელმძღვანელო, ჟურნალი, ისტორიული წყარო, პრეზენტაცია, პროექტორი, დოკუმენტური ან მხატვრული ფილმი, ფერადი მარკერები, ფლიტჩარტი).

**მოსწავლეების ორგანიზება**-მოსწავლეთა ორგანიზება უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო მეთოდებს, შესასრულებელ სამუშაოსა და მოსწავლეთა შესაძლებლობებს. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს საკლასო, ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობის მეთოდი. მოსწავლეთა ორგანიზება გარდა სწავლებისა ხელს უწყობს უნარ/ჩვევების ჩამოყალიბებას.

**შეფასება**-შეფასების საშუალებით, მასწავლებელი ადგენს მოსწავლეთა მიღწევების შესაბამისობას სასწავლო გეგმითა და საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. მასწავლებელი ამოწმებს მიიღო თუ არა სასურველი შედეგი. გეგმაში უნდა გაიწეროს შეფასების რა ტიპებსა და მეთოდებს გამოიყენებს; მასწავლებელი ადგენს იმ კრიტერიუმებს, რითაც მისაღწევი შედეგების გაზომვას შეძლებს. ეს კრიტერიუმები გამომდინარეობს მიზანში გაწერილი ცოდნისა და

უნარ/ჩვევებისაგან; გაიგო, ხსნის, აღწერს, ადარებს, ქმნის, აანალიზებს, შეუძლია პრობლემის გადაჭრის გზების მოძიება, აფასებს, იკვლევს და სხვ. მასწავლებელი უნდა მიმართავდეს შეფასების ორივე ტიპს: განმავითარებელს და განმსაზღვრელს. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია მოსწავლის ცოდნის დონის განსაზღვრა, რომელიც ქულით ფასდება, განმსაზღვრელი შეფასება სავალდებულოა და ის განსაზღვრავს სწავლებისა და სწავლის შედეგებს. ფასდება საშინაო დავალება, საკლასო დავალება და შემაჯამებელი.

სწორად შეფასებული ცოდნა დადებითად მოქმედებს მოსწავლის მოტივაციაზე. მასწავლებელი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მოსწავლეთა შეფასებას. აუცილებლად უნდა დაიცვას შეფასების ძირითადი პრინციპები: სანდოობა, ვალიდურობა, ობიექტურობა და გამჭვირვალობა.

რუბრიკა შეფასების ეფექტური ინსტრუმენტია, რომელიც გამოიყენება, როგორც მოსწავლეების ნამუშევრის, ასევე მუშაობის პროცესის შეფასების მიზნით. სწორედ რუბრიკის გამოყენება იძლევა ისეთი სამუშაოს შეფასების საშუალებას, როგორცაა მოსწავლეების მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციები, წერიტი ნამუშევრები, პროექტები. ამ სამუშაოს შეფასება სწორხაზოვან სქემას არ ექვემდებარება და რომ არა რუბრიკა, მას არაობიექტურად და არათანმიმდევრულად შევაფასებდით.

შეფასების რუბრიკა სამი მთავარი ელემენტისგან შედგება:

- სამუშაოს შეფასების კრიტერიუმები (კომპონენტები);
- შეფასების სკალა (მიღწევის ხარისხობრივი დონეები);
- შეფასების სკალაზე გადანაწილებული მიღწევის დონეების აღწერილობები.

**თვითშეფასება** - მასწავლებელი აკეთებს ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსიას ინიშნავს ხარვეზებს, წერს რა იყო კარგი და რა გამოსასწორებელი.

გაკვეთილის გეგმის შედგენის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები, მოტივაციური, კოგნიტური, ემოციური, ენობრივი, სოციალური და სხვ. ფაქტორები;
- ეროვნული სასწავლო გეგმა;
- სწავლების შინაარსზე, მიზნებსა და შედეგზე ორიენტაცია;
- მოსწავლეთა ჩართულობა;

- სასწავლო სტრატეგიების შესაბამისად გამოყენება;
- სასწავლო მეთოდების მრავალფეროვნება;
- რესურსების შერჩევა და მისი მომზადება;
- მოსწავლეთა ორგანიზების ფორმების შერჩევა (ინდივიდუალური, ჯგუფური, წყვილებში მუშაობა);
- შედეგების კონტროლი.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი“ მასწავლებელისაგან შემდეგი ტიპის სამოდულო გაკვეთილების ჩატარებას მოითხოვს:

- ინტეგრირებული გაკვეთილი გულისხმობს საგანთა გაერთიანებას გაკვეთილზე მსგავსი საკითხის ირგვლივ.

- პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი-ამ ტიპის გაკვეთილი პროგრესული განათლების პრინციპებს ახორციელებს. რაც თეორიული ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების მჭიდრო კავშირს გულისხმობდა. სწავლების ამოცანაა, მოსწავლემ სკოლაში მიღებული ცოდნით შეძლოს ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრა. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლეს ასავლის პრობლემის გარკვევას, მისი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას.

- გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი - ეს გულისხმობს მოსწავლეთა სხვადასხვა სახის კომპეტენციას, რაც მათ მრავალმხრივ განვითარებას უწყობს ხელს.

- ინოვაციური გაკვეთილი-მასწავლებელს ავალებს საგნობრივ და მეთოდურ სიახლეებს გაეცნოს და გამოიყენოს გაკვეთილზე, მოარგოს საკუთარ მუშაობის სტილს კლასს და მოსწავლეს.

ფრონტალური გაკვეთილი ტრადიციული გაკვეთილების გავრცელებული ფორმაა, რომელსაც ყველაზე ხშირად ლექციური ხასიათი აქვს, კითხვა-პასუხზეა აგებული ან დემონსტრირებით წარიმართება. ასეთი ტიპის გაკვეთილი მასწავლებლის როლზე აკეთებს აქცენტს და პირდაპირი სწავლების სახელითაა ცნობილი. ამ დროს ცოდნა მასწავლებლის გავლით გადაეცემა მოსწავლეს.



კონსტრუქტივისტული დიდაქტიკა გვთავაზობს სასწავლო პროცესში ფრონტალური გაკვეთილების შეზღუდვით და ინტერაქტიულ მეთოდებთან კომბინირებულად გამოყენებას. მაშასადამე, ფრონტალური გაკვეთილების ჩანაცვლებას ფრონტალური ფაზებით, როლებიც თავის მხრივ ინტერაქტიული იქნება ანუ წარიმართება მოსწავლეებთან დიალოგურ რეჟიმში (43).

კონსტრუქტივისტული დიდაქტიკის თანახმად, ფრონტალური გაკვეთილი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ოთხი თანმიმდევრული სამუშაო ფაზა:

- პირველი ფაზა-მასწავლებელი გადასცემს მოსწავლეებს ცოდნას. მოსწავლე ახალ ინფორმაციას ადვილად გაიგებს, თუ გადაცემული საკითხის სტრუქტურა მათ აზრობრივ სტრუქტურას შეესაბამება და მათი აქტიური მონაწილეობით მიმდინარეობს.

- მეორე ფაზამ უნდა უზრუნველყოს საკითხის უფრო ღრმად წვდომა, რომელიც მიიღწევა დისკუსიით.

- მესამე ფაზა წარმოადგენს ახლად შესწავლილი მასალის განმტკიცებას ვარჯიშით.

- მეოთხე ფაზა-შეძენილი კომპეტენციების სხვადასხვა, სიტუაციებში გამოყენება (ლობჟანიძე ს. ფრონტალური გაკვეთილი კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში).

ფრონტალური ფაზების ერთდროული გამოყენება გაკვეთილზე არ არის მოსახერხებელი. მაგრამ შესაძლებელია ფრონტალური გაკვეთილის ძლიერი მხარეების გათვალისწინება (43). ფრონტალური ფაზების ეფექტურად გამოსაყენებლად საჭიროა: სწავლების ინტერაქტიული, ქმედებაზე ორიენტირებული ფაზების შიგნით ან ასეთ ფაზებს შორის, ფრონტალური ფაზების ჩასმა დროის მცირე მონაკვეთით, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის გაუგებარი საკითხის გარკვევას.

გაკვეთილის მსვლელობაში შესაძლოა მასწავლებელმა გაკვეთილის რომელიმე ფაზაზე, გამოიყენოს ტრადიციული გაკვეთილისათვის მახასიათებელი პირდაპირი სწავლება, რისთვისაც საჭიროა მოხდეს ფრონტალური გაკვეთილისა და თანამედროვე მეთოდების კომბინირება.

თვალსაჩინოებისთვის შემოგთავაზებთ ამ ტიპის გაკვეთილის გეგმას, რომელშიც გამოყენებულია ფრონტალური მეთოდი მინი ლექცია.

<b>საგანი:</b>	ისტორია	კლასი : XII
<b>თემა:</b>	საბჭოთა კავშირის დაშლა	დრო: 45 წუთი
<b>მოსწავლე:</b> 13		
<b>გაკვეთილის ტიპი:</b> გამჭოლი კომპეტენციების (წიგნიერება) განვითარებაზე ორიენტირებული		
<p><b>გაკვეთილის მიზანი.</b> მოსწავლეები გაეცნობიან სსრკ-ს ბოლო მმართველის გორბაჩოვის მიერ გატარებულ რეფორმებს, ისაუბრებენ მის დადებით და უარყოფით მხარეებზე და შეაფასებენ სსრკ-ს დაშლას და მიღებულ შედეგებს.</p>		
<p><b>კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:</b></p> <p>ისტ. XII.6. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა საზოგადოების ცნობიერებაზე ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში ჩამოყალიბებული სტრუქტურების გავლენის შესახებ.</p> <p><b>შედეგი თვალსაჩინოა თუ:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ განმარტავს პოლიტიკური პარტიის ცნებას და აცნობიერებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის მნიშვნელობას;</li> <li>▪ ირჩევს რომელიმე აქტუალურ პრობლემას, მოიპოვებს ინფორმაციას, რომლის ანალიზის საფუძველზე წერს კონკრეტული პრობლემის გადაჭრის გეგმას.</li> </ul> <p><b>გამომუშავებული უნარ-ჩვევები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პრობლემის გააზრების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;</li> <li>• ინფორმაციის მოპოვების, ორგანიზების, კლასიფიკაციის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარი;</li> <li>• ვარაუდების გამოთქმის უნარი;</li> <li>• არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;</li> <li>• მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.</li> </ul> <p><b>წინარე ცოდნა:</b> მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ საბჭოთა სისტემაზე, იმ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებზე, რაც ხრუმჩოვისა და ბრეჟნევის მმართველობამ მოუტანა სსრკ-ს.</p>		
<p><b>შეფასების საგანი და პროცედურები:</b></p> <p>პრეზენტაცია, დისკუსია. შეფასების რუბრიკა იხ. ცხრილი 1, 2.</p>		

**სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსი:** სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, კალამი.

### **1 ფაზა**

საორგანიზაციო საკითხები

**აქტივობა -1** პროვოცირება (ცარიელი ბინგოს ბარათი.) ხანგრძლივობა - **6 წთ;**  
(ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი** - წინარე ცოდნის გააქტიურება

**აქტივობის აღწერა** - მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს ცარიელი ბინგოს ბარათებს და სთხოვს უჯრებში გადაიტანონ დავალება, რომელიც განლაგებულია უჯრების თავზე (თარიღები, სახელები), რის შემდეგაც მასწავლებელი დაიწყებს კითხვების დასმას, პირველი სამი კადეტი, ვინც სწორად შეავსებს ბინგოს შეფასდება განმსაზღვრელი ქულით.

**აქტივობის შედეგი**-ნასწავლი მასალის გახსენება და შეჯამება

### **2 ფაზა**

**აქტივობა -2** მინი ლექცია- **5 წთ.** (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი** - მოსწავლეებისათვის ახალი მასალის შინაარსის გაცნობა

**აქტივობის აღწერა** - მასწავლებელი მიმოიხილავს საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებს, ისაუბრებს იმ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, რამაც დღის წესრიგში დააყენა რეფორმების („პერესტროიკა, გლასნოსტი“) აუცილებლობა, რომელმაც შედეგი ვერ გამოიღო, ყურადღებას გაამახვილებს იმ მიზეზებზე, რამაც ამ რეფორმების კრაზი გამოიწვია და შეეხება სსრკ-ს დაშლის მიზეზების მიმოხილვას.

**აქტივობის შედეგი** - მოსწავლეებისათვის სსრკ-ს დაშლის მიზეზებისა და შედეგების გაცნობა

**აქტივობა -3** პრეზენტაცია- **20 წთ.** (ორგანიზების ფორმა - ჯგუფური მუშაობა)

**აქტივობის მიზანი** - ახალი მასალის სიღრმისეული წვდომა, მოსწავლეებში თანამშრომლობითი, ანალიტიკური და პრეზენტაციის უნარების ამაღლება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი კლასს ჰყოფს 3 ჯგუფად, აძლევს თითოეულ ჯგუფს კონკრეტულ დავალებას გასაცნობად, I ჯგუფი -- სსრკ-ს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მიმოხილვა; II ჯგუფი---გორბაჩოვის რეფორმები და მისი შედეგები; III ჯგუფი - 1989-1991 წლებში განვითარებული მოვლენები. პრეზენტაციისთვის მოსამზადებლად თითოეულ ჯგუფს მიეცემათ 3-3 წუთი, რის შემდეგაც მოსწავლეები

ვრცლად ისაუბრებენ სსრკ-ს დაშლის მიზეზებსა და შედეგებზე. პარალელურად ჯგუფის წევრები დაუსვამენ საკონტროლო შეკითხვებს ერთმანეთს იმის შესამოწმებლად, რამდენად კარგად გაიგეს ახალი მასალა.

მოხდება მოსწავლეების შეფასება განმავითარებელი შეფასებით.

**აქტივობის შედეგი** - მოსწავლეებში პრეზენტაციის, თანამშრომლობითი და ანალიტიკური უნარების განვითარება.

**აქტივობა** - 4 დისკუსია (სიმპოზიუმი) **10 წთ** (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი:** მოსწავლეებში ანალიტიკური და კრიტიკული უნარის განვითარება.

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი წამოაყენებს ორ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებას სსრკ-ს დაშლასთან დაკავშირებით (რონალდ რეიგანისა და პუტინის ორი საწინააღმდეგო შეხედულება) და კლასს სთხოვს დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრება ამ საკითხის ირგვლივ, შეძლონ არგუმენტებით დაიცვან ჯგუფის ხედვა.

**აქტივობის შედეგი** - მოსწავლეებში არგუმენტირებული მსჯელობის, პრეზენტაციის უნარის განვითარება.

### **3 ფაზა**

**აქტივობა** -5 შეჯამება -რეფლექსია **2 წთ**. (ორგანიზების ფორმა - მთელი კლასი)

**აქტივობის მიზანი:** გაკვეთილზე მიღებული ცოდნის შეჯამება

**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი დისკუსიის შემდეგ შეაჯამებს გაკვეთილს, მოახდენს უკუკავშირს და გააკეთებს დასკვნას.

**აქტივობის შედეგი** - ახალი მასალის უკეთ აღქმა და დასკვნის გაკეთება

საშინაო დავალება - **1 წთ**.

კლასს საშინაო დავალებად ეძლევა დაწერონ ესე: „ მსოფლიო XXI საუკუნეში სსრკ-სთან ერთად“

შეფასება - **1 წთ**.

მოხდება მოსწავლეების შეფასება განმსაზღვრელი და განმავითარებელი ნიშნით.

## შეფასების რუბრიკები

ცხრილი - 1

კრიტერიუმები	1-6ქ.	7-8ქ.	9-10ქ.
პრეზენტაცია	შესავალი არ არის საინტერესოდ წარმოდგენილი, ვერ ავლენს შემოქმედებითობის უნარს, სათანადოდ ვერ იყენებს თვალსაჩინოებებს, უჭირს აუდიტორიასთან კავშირის დამყარება, დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერესოდ წარმოდგენილი, მეტ- ნაკლებად ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს. უჭირს დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერესოდაა წარმოდგენილი, ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს. იცავს დროის ლიმიტს.


## დისკუსიის შეფასების რუბრიკა

მოსმენა	III დონე (8–10ქულა) ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	II დონე (5–7ქულა) ხშირად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	I დონე (1–4 ქულა) იშვიათად უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელს	ძირითადად მეტყველება გასაგებია და უყურებს მსმენელს	მეტყველება არამკაფიოა და მსმენელს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად ადიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალურ კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	აჩვენებს ინტერესს	ძირითადად გამოხატავს	მცირე ინტერესი აქვს.

<p>კოოპერაცია</p> <p>მოსაზრების არგუმენტირება</p>	<p>დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებით და აზრების გამოთქმით</p> <p>თანამშრომლობს თანაკლასელებთან, აცლის სხვებსაზრის გამოთქმას და იცავს დისკუსიის წესებს</p> <p>მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით, ცნებებით. არის ლოგიკური კავშირი საკითხთან</p>	<p>ინტერესს. კომენტარები და აზრები ყოველთვის არაა თემის გარშემო</p> <p>ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთგება სხვის საუბარში. ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს</p> <p>მოსაზრების გასამყარებლად გამოყენებულია სადავოფაქტები და ცნებები</p>	<p>არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას</p> <p>იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს</p> <p>მოსაზრება მოკლებულია ლოგიკური კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით</p>
---	---	--	--

იმისათვის, რომ გაგვერკვია მასწავლებელთა პოზიცია თუ რომელ მეთოდს ანიჭებენ უპირატესობას გაკვეთილზე გადაწყვეტიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ პრაქტიკოსი მასწავლებლები, გამოიკითხა 200-მდე მასწავლებელი, რომელთაც უნდა ეპასუხათ კითხვაზე:

**სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდიდან რომელ ტიპს იყენებთ და რა სიხშირით ?**



გამოკითხული მასწავლებლების 77% აქტიურად იყენებს ორივე მეთოდს, 13,5% იყენებს პირდაპირ მეთოდს, ხოლო 9,5% არაპირდაპირი სწავლების მეთოდს. გამოკითხვის შედეგები გვაძლევს იმისი ფიქრის საშუალებას, რომ მასწავლებელი კარგად ახერხებს ფრონტალური გაკვეთილისათვის დამახასიათებელი პირდაპირი სწავლების მეთოდისა და კონსტრუქტივისტული გაკვეთილის დამახასიათებელი არაპირდაპირი მეთოდის გამოყენებას თანაბარი რაოდენობით. ჩვენ მოვიყვანთ მაგალითად გაკვეთილის გეგმას, სადაც გამოყენებულია მინი ლექცია- როგორც პირდაპირი სწავლების მეთოდი

თანამედროვე სწავლება მოითხოვს, რომ მოსწავლეს განუვითარდეს აზროვნების სხვადასხვა დონეები და ფორმები. ამისათვის მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ბ. ბლუმის სააზროვნო ტაქსონომია. ბლუმის ტაქსონომია შეფასებულია, როგორც საგანმანათლებლო მიზნების სტრუქტურული იერარქია, რომელიც დაწვრილებით აღწერდა აზროვნების დონეებსა და სასწავლო მიზნებს. ის ხელს უწყობს მოსწავლეთა აზროვნების განვითარებასა და გზას უხსნის მაღალი დონის აზროვნებისაკენ. ბლუმის ტაქსონომია 6 საფეხურიანია: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი, შეფასება.

ყოველ დონეს შეესაბამება ზმნები რაც მასწავლებელს საშუალებას აძლევს ყოველი დონის შესაბამისი ამოცანები შეიტანოს კლასში.

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ გაკვეთილის გეგმას, გაკვეთილის ტიპი - გაკვეთილის გამჭოლი კომპეტენციების (წიგნიერება) განვითარებაზე ორიენტირებული, სადაც ამავე დროს ხდება ბლუმის ტაქსონომიის ზოგიერთ საფეხურზე გასვლა.

საგანი: ისტორია	კლასი : XI
თემა: „პაპიზმი. ეკლესია და ძალაუფლების ლეგიტიმაცია“	დრო: 45 წუთი
მოსწავლე: 20	
გაკვეთილის ტიპი: გამჭოლი კომპეტენციების(წიგნიერება) განვითარებაზე ორიენტირებული	
გაკვეთილის მიზანი.	
<ul style="list-style-type: none"> <li>▪ მოსწავლემ გაიაზროს შუა საუკუნეების ევროპაში პოლიტიკური ძალაუფლების საკითხი;</li> </ul>	

- ისტორიული წყაროების განხილვის, პრობლემების გამოყოფისა და მათი გაანალიზების უნარის განვითარება;
- შედარება-შეპირისპირების, მსჯელობის, შეფასებისა და დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევების განვითარება;
- დისკუსიაში მონაწილეობის, დასაბუთების უნარი;

**კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან:**

ისტ. XI.4. მოსწავლეს შეუძლიამ მართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და დროში ცვალებადობის ანალიზი.

შედეგი თვალსაჩინოა, თუმოსწავლე:

- მსჯელობს თუ რა იწვევს სახელმწიფო მმართველობით სტრუქტურებში ცვლილებების აუცილებლობას;

ისტ. XI.7. მოსწავლეს შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე რელიგიის გავლენის ანალიზი.

შედეგითვალსაჩინოა, თუმოსწავლე

- მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა ურთიერთდამოკიდებულება საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა თუ ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებები ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე.

**გამომუშავებული უნარ-ჩვევები:**

- პრობლემის გააზრების, ანალიზისა და დასკვნების გაკეთების უნარი;
- ინფორმაციის, ორგანიზების, კლასიფიკაციის, ინტერპრეტაციისა და პრეზენტაციის უნარი;
- ვარაუდების გამოთქმის უნარი;
- არგუმენტირებული მსჯელობის უნარი;
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის უნარი.

**წინარე ცოდნა:** მოსწავლეებს შეუძლიათ ისაუბრონ, საერო და საეკლესიო ხელისუფლების უფლებებზე, განსხვავება კათოლიკურ და მართლადიდებლური ეკლესიების მეთაურთა მისწარაფებებზე პოლიტიკური გავლენის გაფართოებაზე.

**შეფასების საგანი და პროცედურები:**

პრეზენტაცია, დისკუსია, შეფასების რუბრიკა იხ. ცხრილი 1, 2.

**სასწავლო მასალა და ტექნიკური რესურსი:** სახელმძღვანელო, კომპიუტერი, პროექტორი, ფლიპჩარტი, კალამი.

საორგანიზაციო საკითხები

**პირველი ფაზა**

**პროვოცირება-აქტივობა -1** პროვოცირება-ასოციაციური კავშირების რუკა (3წთ)



**აქტივობის მიზანი** - მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურება.

**აქტივობის აღწერა**-მასწავლებელი ასოციაციური რუკის გამოყენებით სთხოვს მოსწავლეებს გაიხსენონ რა იციან პაპებისა და მათი ძალაუფლების შესახებ

**აქტივობის შედეგი**-წინარე ცოდნის გახსენება და შეჯამება

**მეორე ფაზა**

**აქტივობა -2**-აქტივობა 1 ჯგუფური მუშაობა (24 წთ.).

აქტივობის მიზანი: ახალი მასალის ათვისება

აქტივობის აღწერა: კლასს ვყოფთ 3 ჯგუფებად შემთხვევითობის პრინციპით და ვაძლევთ დავალებას- 14 წუთის განმავლობაში განიხილონ წყაროები 1-3 და დამატებითი ცნობები, დავალება ჯგუფებში შემდეგნაირად გადანაწილდება. I ჯგუფი-პაპების ბრძოლის დასაწყისი პოლიტიკური ძალაუფლებისთვის: პაპის ოლქის შექმნა(წყარო 1).

II ჯგუფი-კლიუნური მოძრაობა;ინვესტიტურისთვის ბრძოლა(წყარო 3)

III ჯგუფი -ავინონის ტყვეობა.

სამუშაო ჯგუფების პრეზენტაცია:- 10 წუთი

აქტივობის შედეგი: მოსწავლეებმა გაიგეს ახალი მასალა

**აქტივობა - 3** - კითხვა-პასუხი (15 წთ).

აქტივობის მიზანი-ახალი მასალის ცოდნის კონსტრუირება.

აქტივობის აღწერა: მასწავლებელი სვამს შეკითხვებს:

1.რა დროიდან არსებობს და როგორ ვითარდებოდა დაპირისპირება მეფეებსა და პაპებს შორის(ლუმის ტაქსონომიის პირველი დონე-ცოდნა)

2. ახსენით ამ დაპირისპირების მოტივები ორივე მხარის პოზიციიდან(ბ.ბლუმის ტაქსონომიის მეორე დონე-გაგება)

3.იმსჯელეთ როგორი იყო პაპების ძალაუფლება და მათი დამოკიდებულება საერო ხელისუფლებისადმი(ლუმის ტაქსონომიის მეხუთე დონე-სინთეზი)

4.წყაროების მიხედვით შეაფასეთ 1059 წლის დეკრეტის მნიშვნელობა

მსჯელობენ, მართავენ დისკუსიას, და აკეთებენ დასკვნებს, მოხდება (ბლუმის ტაქსონომიის მეექვსე დონე-შფასება)

5.შეაფასეთ რატომ იყო მნიშვნელოვანი ინვესტიტურის უფლება და რაზე მიანიშნებს საერო ხელისუფლების მხრიდან მასზე უარის თქმა?(ბ.ბლუმის ტაქსონომიის მეექვსე დონე-შეფასება)

**აქტივობის შედეგი**:ახალი მასალის განმტკიცება და რეფლექსია

შეფასება; საშინაო დავალება (3წთ.)

მოხდება მოსწავლეთა შეფასება განმსაზღვრელი ნიშნით და მიეცემათ საშინაო დავალება:

პარაგრაფის ტექსტისა და წყაროებზე დაყრდნობით წერილობით ჩამოაყალიბონ პაპობის პოლიტიკური გავლენის დაკნინების გამომწვევი მიზეზები.

## შეფასების რუბრიკები


ცხრილი - 1

კრიტერიუმები	1-6 კ.	7-8 კ.	9-10 კ.
<b>პრეზენტაცია</b>	შესავალი არ არის საინტერესოდ წარმოდგენილი, ვერ ავლენს შემოქმედებითობის უნარს, სათანადოდ ვერ იყენებს თვალსაჩინოებებს, უჭირს აუდიტორიასთან კავშირის დამყარება, დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერესოდ წარმოდგენილი, მეტ- ნაკლებად ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს. უჭირს დროის ლიმიტის დაცვა.	შესავალი საინტერესოდაა წარმოდგენილი, ავლენს შემოქმედებითობის უნარს, თემასთან არის ლოგიკური ჯაჭვი, იყენებს თვალსაჩინოებებს, ამყარებს აუდიტორიასთან კავშირს. იცავს დროის ლიმიტს.

ალბათ ყველას გაგვიგონია მასწავლებლებისაგან დაგეგმვის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომ “საკლასო ოთახი დინამიური და ცოცხალი ორგანიზმია, მასწავლებელი გაკვეთილს და სასწავლო პროცესს უნდა აგებდეს სიტუაციიდან გამომდინარე, რაც უფრო სასარგებლო იქნება მოსწავლეებისათვის და მასწავლებლისათვის“ და სხვ.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ჩაგვეტარებინა გამოკითხვა. ჩვენს სამიზნე ჯგუფს მასწავლებლები წარმოადგენენ, რომლებიც ნაზიარები არიან თანამედროვე განათლების მოთხოვნებს, აბარებენ გამოცდებს, გადიან არა ერთ გადასამზადებელ კურსს, არიან სქემაში ჩართულნი. სახელმწიფო მუდმივად ახორციელებს მასწავლებელთა პროფესიული საქმიანობის შეფასებასა და ზრუნავს მათი პროფესიული უნარების განვითარებაზე.

ჩვენ გამოვკითხეთ დაახლოებით 220-მდე მასწავლებელი. მასწავლებლებს პასუხი უნდა გაეცათ კითხვაზე:



გამოკითხული მასწავლებლების 81 %, გაკვეთილის ზოგადი მონახაზით დაგეგმვას უჭერს მხარს, დეტალურ დაგეგმვას-12 %, 7% მიიჩნევს, რომ გაკვეთილი ყოველდღიურად არ უნდა დაიგეგმოს.

როგორც შედეგებიდან ჩანს პრაქტიკული პედაგოგიკის წარმომადგენლები და თეორეტიკოსი პედაგოგები/მკვლევარები განსხვავებულ პოზიციაზე დგანან.

თუ პედაგოგი არის საგნის კარგი მცოდნე, არის შემოქმედებითი და კრეატიული, მაშინ არის კი აუცილებელი გაკვეთილის დაგეგმვა, იქნებ ეს მხოლოდ ფორმალური მხარეა რომელიც დამატებით დროსა და ენერგიას მოითხოვს მასწავლებლისაგან?

მიგვაჩნია, რომ გამოკითხვის შედეგები გასათვალისწინებელია და ყოველდღიურად შესაძლებელია მასწავლებელმა გაკვეთილის ზოგადი მონახაზი გააკეთოს. მაგრამ ეს გამოცდილების შენაძენია და გამოცდილ მასწავლებელს შეუძლია მხოლოდ ამის უფლება მისცეს თავს. სხვა შემთხვევაში გაკვეთილის დეტალური დაგეგმვა აუცილებელია: გაკვეთილის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ სწავლებას. გამორიცხავს სპონტანურ მიდგომებს. უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებასა და შესაბამისი აქტივობების დასახვას.

თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე, განათლების მიმართულებებსა და სწავლების მიზნებს განსაზღვრავს სახელმწიფო. ტექნოლოგიური სიახლეებისა და ციფრული რევოლუციის პერიოდში საკმარისი არ არის მხოლოდ მზა ცოდნა, საჭიროა მოსწავლემ იცოდეს მიღებული ცოდნის გადატანა/ტრანსფერი სხვადასხვა ცხოვრებისეული პრობლემებისა და ამოცანების გადასაჭრელად, კრიტიკული აზროვნება, აზროვნება მაღალ დონეებზე, თანამშროლობითი და დამოუკიდებელი მუშაობისათვის საჭირო უნარები და სხვ.

ამრიგად, მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს მოსწავლეთა ინტერესებზე, მათ წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე აგებული გაკვეთილი.

კონსტრუქტივისტული გაკვეთილი ისე უნდა იყოს დაგეგმილი, რომ დაეხმაროს მოსწავლეებს, თავად ააგონ ცოდნა, დაამყარონ საგნებსა და მოვლენებს შორის კავშირი, შეძლონ დასკვნების გამოტანა. ეს ზრდის მოსწავლეთა აქტიურობასა და ინტერესს. მასწავლებელი პროცესს აძლევს მიმართულებასა და ახდენს შეფასებას.

გაკვეთილის მსვლელობაში შესაძლოა მასწავლებელმა გაკვეთილის რომელიმე ეტაპზე, გამოიყენოს ტრადიციული გაკვეთილისათვის მახასიათებელი პირდაპირი სწავლება-თხრობა, მინი ლექცია, რისთვისაც საჭიროა მოხდეს ფრონტალური გაკვეთილისა და თანამედროვე გაკვეთილის მეთოდოლოგიური შერევა.

მასწავლებელთა შორის ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა 77% გაკვეთილზე აქტიურად იყენებს პირდაპირი და არაპირდაპირი სწავლების სტილს.

გაკვეთილის ყოველდღიურად დეტალური დაგეგმვის საჭიროების მიზნით მასწავლებელთა გამოკითხვამ კი აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე მასწავლებელთა 85% ფიქრობს, რომ მასწავლებელმა ყოველდღიურად უნდა გააკეთოს ზოგადი მონახაზი.

რაც, ჩვენი აზრით, არ შეიძლება გავრცელდეს დამწყებ მასწავლებელზე, რადგან ვფიქრობთ, რომ გაკვეთილის დაგეგმვა უზრუნველყოფს მიზანმიმართულ და გეგმაზომიერ სწავლებას. გამორიცხავს სპონტანურ მიდგომებს. უზრუნველყოფს სხვადასხვა შესაძლებლობის მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებასა და შესაბამისი აქტივობების დასახვას.

განვსაზღვრეთ ტრადიციულ ფრონტალურ და თანამედროვე კონსტრუქტივისტულ გაკვეთილზე სწავლებას შორის სხვაობა:

- ფრონტალური გაკვეთილი ორიენტირებულია მოსწავლე აღჭურვის მზა ცოდნის გადაცემით, მოსწავლეს არ უწევს აღმოჩენების თავიდან გაკეთება.
- კონსტრუქტივისტულ ან სხვა ტიპის თანამედროვე გაკვეთილზე ;

მოსწავლემ თავად უნდა გაიაზროს და აღმოაჩინოს, ააგოს წინა ცოდნასა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნა. ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა.

## **§ 5. ინოვაციებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიების როლი გაკვეთილზე**

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მიერ მასწავლებლის მიმართ წაყენებულია ინოვაციური მოთხოვნები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია გაკვეთილის დაგეგმვისა და წარმართვის პროცესში. განათლებაში ინოვაციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მნიშვნელოვან როლს ასრულებას მდგრადი მომავლის შექმნაში. „ინოვაცია ჰგავს მუტაციებს, ბიოლოგიურ პროცესს, რომელიც აყალიბებს სახეობებს, რათა უკეთესად იბრძოლონ გადარჩენისათვის“ (123). აქედან გამომდინარე, ინოვაცია აუცილებელი და დადებითი ცვლილებების ინსტრუმენტად ითვლება ადამიანის ნებისმიერ საქმიანობაში, განსაკუთრებით კი განათლებაში.

ინოვაცია მოითხოვს სამ ძირითად ნაბიჯს: იდეა, მისი განხორციელება და შედეგები. განათლებაში ინოვაცია შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც ახალი პედაგოგიური თეორია, სწავლების მეთოდიკა, სასწავლო ინსტრუმენტი, სასწავლო გარემო ან აკადემიური სტრუქტურა, რომელიც განხორციელების შემდეგ მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, სწავლებისა და სწავლის პროცესში. ასე, რომ გაკვეთილზე ინოვაციები გულისხმობს სწავლის ხარისხის ამაღლებასა და გაუმჯობესებას (115).

მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს საკუთარი ცოდნის განახლებასა და თვალყურს ადევნებდეს საგანში სიახლეებს, როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. საქართველოში საგნობრივი პროგრამები 5-წლიანი ვადით მტკიცდება. ამიტომ სკოლის დასრულებისთვის ნასწავლი შეიძლება მოძველებული და უსარგებლო აღმოჩნდეს მოსწავლისათვის. ეს განსაკუთრებით ეხება ისტ-ს, რადგანაც ეს სფერო ყველაზე სწრაფი ტემპით. ასევე, შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე მოხდეს მრავალმხრივი შეთანხმების მიღწევა, ან განახლდეს რომელიმე კონვენცია, რისი ასახვაც საგნობრივ პროგრამაში ვერ მოესწრო დამტკიცებული ვადების გამო. ასევე მაგალითისათვის გამოდგება ეროვნულ დონეზე ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომელშიც ქვეყნის მმართველობის მოდელი მთლიანად გადაიხედა, ახლებურად გადანაწილდა ფუნქციები სამთავრობო, საპარლამენტო და საპრეზიდენტო ინსტიტუციებს შორის. ცხადია, ეს ცვლილება 2011-2016 წწ. სასწავლო გეგმაში ვერ მოხვდებოდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები ამის გამო მოძველებული ცოდნის ამარა დავტოვოთ (67, გვ. 20).

ასევე მუდმივად იცვლება, ვითარდება და მრავალფეროვნდება სწავლების მეთოდიკაც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს როგორც აკადემიურ, ისე მეთოდურ სიახლეებს საგანში და ასახოს ისინი თავის პრაქტიკაში

მასწავლებლის მზადება გაკვეთილისათვის გულისხმობს პროფესიულ და პიროვნულ ფაქტორებს. გაკვეთილის ჩატარება არ არის მხოლოდ პროცედურული დაგეგმვა და სწავლების დროში განაწილება, არამედ ეს გახლავთ ძალზე მნიშვნელოვანი პროცესი, გაკვეთილის მონაწილეები ხომ ბავშვები არიან მათი განცდებით, პრობლემებით, დამოკიდებულებებით, ინტერესებით. მოსწავლის ინტერესები გადანაწილებულია უამრავ ახალ ინფორმაციაზე რაც განსაკუთრებით ართულებს სწავლების ამოცანების ტრადიციულ ჭრილში მიღწევას. თანამედროვე მასწავლებელი კარგი თეორეტიკოსი და კარგი პრაქტიკოსი უნდა იყოს. გამოწვევები იზრდება, მასწავლებელს მრავალი საკითხის გათვალისწინება უწევს. რაც საგაკვეთილო დროში უნდა გადაიჭრას. მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი ცოდნა გამოხატულებას პოულობს სწავლება-სწავლის პროცესში. იმისათვის, რომ ეს

პროცესი წარმატებით განხორციელდეს მასწავლებელი გეგმავს გაკვეთილს, რათა მიღწეული იქნეს მიზნები, მიზნების მისაღწევად გამოიყენოს საჭირო მეთოდები, რომელიც გამოიწვევს მოსწავლეთა ჩართვასა და ინტერაქციას სწავლების პროცესში, მიზნების მიღწევა, შედეგების შეფასება, შეფასების გამოყენება მოსწავლეთა შემდგომი საჭიროებების დასადგენად და სხვ. ერთიანდება და ხორციელდება სასწავლო გეგმით გაკვეთილზე.

თანამედროვე სწავლების ტენდენციები მიმართულია მოსწავლის აქტიურ ჩართვაზე სასწავლო პროცესში. გამოწვევები, რომელიც ელოდება მოსწავლეს ცხოვრებისგან, მასწავლებელს ავალებს, მოსწავლეს განუვითაროს:

- ცოდნა რომელიც გამოადგება, რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში;
- საჭირო უნარ-ჩვევები;
- ცოდნის რეალურ სიტუაციებში გადატანის უნარი;
- უახლესი მეღწევების დანერგვა პრაქტიკულ და თეორიულ საქმიანობაში.

მიგვაჩნია, რომ მასწავლებლისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სწავლების ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება, რაც ეფექტური და შედეგის მომტანია სწავლების რთულ და დინამიურ პროცესში.

თანამედროვე მასწავლებელს მრავალი გამოწვევა აქვს, მათ შორის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაა სასწავლო პროცესში.

ისტ-ის გამოყენება გაკვეთილზე, სწავლებას ხდის საინტერესოს, სახალისოს, აქტიურსა და მრავალფეროვანს. მასწავლებელს სჭირდება უამრავი რესურსი, თვალსაჩინოება, რათა მასალა ამომწურავად მიაწოდოს მოსწავლეებს.

ტექნოლოგიური და საკომუნიკაციო საშუალებების სწრაფი განვითარება გვაიძულებს განათლების მიზნების ფორმირებას რეალობასთან. მოსწავლე თავიდანვე უნდა აღვჭურვოთ პროფესიულ საქმიანობაში საჭირო უნარებითა და ჩვევებით, რათა საჭირო სიტუაციაში შეძლოს ცოდნის ტრანსფერი.

მიუხედავად იმისა, თუ რომელ საგანს ასწავლის მასწავლებელი, შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება. მასწავლებელმა უნდა დაგეგმოს

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება გაკვეთილის მიზანთან მიმართებაში და სასწავლო ამოცანასთან შესაბამისობაში.

გაკვეთილზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება:

- სასწავლო პროცესს ხდის უფრო აქტუალურს, ხელმისაწვდომს, საინტერესოსა და რეალობასთან დაახლოებულს;
- ის ხელს უწყობს უფრო სწრაფად და ეფექტურად გვექონდეს წვდომა რესურსებთან;
- პოვერ პოინტის გამოყენება, როგორც სასწავლო რესურსის გამოყენება, ახალი მასალის პრეზენტაციისათვის და ვიზუალური გამოხატვისათვის;
- ისტ-ის საშუალებით მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილზე მოაწყოს ვირტუალური ექსკურსია მსოფლიოს ნებისმიერ გალერიაში, მონახულოს ნებისმიერი ქალაქი და სხვა;
- წარმატებით შეუძლია უცხო ენების მასწავლებლებს მისი გამოყენებით სწავლება, ონლაინ დიალოგების, აზრთა გაცვალა - გამოცვლით რეალურ სიტუაციაში (36).

ისტ-ი საუკეთესო საშუალებაა მოსწავლეთა კომუნიკაციის თვალსაზრისით, მაგალითად მასწავლებელს შეუძლია შექმნას ონლაინ ფორუმი, სადაც მოსწავლეები განიხილავენ პრობლემურ საკითხებს, დასვამენ კითხვებს, იმსჯელებენ საშინაო დავალების შესახებ და სხვ. ეს დამატებითი საშუალებაა მოსწავლეთა ინტერაქცია გასცდეს საკლასო ოთახს და ურთიერთობის ახალი ფორმა „ონლაინ ინტერაქცია“ შედგეს. ისტ-ი შესაძლებელია მასწავლებელმა გამოიყენოს მსოფლიოს მასშტაბით სკოლებს შორის კავშირებისათვის, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობისათვის. დაგეგმონ ორმხრივი ონლაინ შეხვედრები, გაუზიარონ ერთმანეთს აზრები.

მოსწავლეთა რა უნარებს ავითარებს ტექნოლოგიების გამოყენება სწავლებაში?

- მოსწავლის მიერ საკუთარი სწავლების თვითრეგულირება;
- პრობლემის გადაჭრის უნარი;
- სწავლების პრაქტიკული ღირებულება;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება;
- საპროექტო მიდგომები;
- კვლევითი მიდგომები;



- აქტიური ინტერაქცია;
- შემოქმედებითობა და გამომგონებლობა;
- მოქნილობა და ადაპტაცია.

მოსწავლე კომპეტენტური ხდება ისეთ საკითხებში, რომელიც უახლეს საკომუნიკაციო სფეროს მიეკუთვნება:

- ბლოგებთან მუშაობა;
- ტექსტური შეტყობინებები;
- ელექტრონული წერილები;
- ვიდეოკონფერენციები;
- ფორუმებზე მსჯელობა (36).

იმისათვის, რომ მოსწავლემ ისწავლოს, საჭიროა შესაბამისი გარემოს შექმნა, სკოლების ტექნიკური საშუალებებითა და ინტერნეტით უზრუნველყოფა. ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ, კი საჭიროა მასწავლებლის სურვილი, დანერგოს სიახლე პრაქტიკაში, მოახდინოს ადაპტაცია.

XX საუკუნის სამოციანი წლებიდან განათლებაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად ჩამოყალიბდა პედაგოგიური ტექნოლოგიების ცნება. პედაგოგიური ტექნოლოგიების პარალელურად ჩნდება სწავლების ტექნოლოგიები.

გაკვეთილის თანამედროვე ტექნოლოგიებით წარმართვა და პროექტირება ქმნის განსაკუთრებულ შესაძლებლობას პედაგოგიური პრაქტიკისა და თეორიის დაკავშირებისათვის, მასწავლებელთა, ახალი აზროვნების გამომუშავებისათვის. პედაგოგიურ ტექნოლოგიაში მთავარი მნიშვნელობა აქვს საგანმანათლებლო პროცესში ბავშვის პოზიციას, ბავშვისადმი მასწავლებლის მიმართებას. მეცნიერები ჯ. ჯინჯიხაძე და ი. ბასილაძე, ამ თვალსაზრისით, პედაგოგიური ტექნოლოგიის რამდენიმე ჯგუფს გამოყოფენ:

1. ავტორიტარული ტექნოლოგია, რომელშიც მასწავლებელი არის სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ერთპიროვნული სუბიექტი, ხოლო მოსწავლე მხოლოდ ობიექტია.

2. ახსნიითი-ილუსტრაციული სწავლების ტექნოლოგია, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსწავლის ინფორმირებულობა, განათლება და მათი პროდუქციული აქტივობა მათში საერთო-სასწავლო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით;

3. დიდაქტოცენტრული ტექნოლოგია, რომელშიც დომინირებს მასწავლებლისა და მოსწავლის სუბიექტური და ობიექტური მიმართებანი. აღზრდასთან შედარებით პრიორიტეტი სწავლებას ენიჭება.

4. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების ტექნოლოგია, რომელიც ქმნის მოსწავლეთა საკუთარი სასწავლო აქტივობის, მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინების განვითარებისა და უზრუნველყოფის პირობებს. პიროვნებაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომის დამოუკიდებელი მიმართულებებია: ჰუმანურ-პიროვნული, თანამშრომლობის და თავისუფალი აღზრდის ტექნოლოგია.

5. განმავითარებელი სწავლების ტექნოლოგია, რომლის ყურადღების ცენტრშია სწავლების საშუალებანი, რომელიც აუცილებლობის საფუძველზე იწვევს მოსწავლის შინაგანი განვითარების მექანიზმის ამოქმედებასა და მათი ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებას.

6. ეზოთერული (არაგაცნობიერებული, ქვეცნობიერი) ტექნოლოგიები - ეზოთერული ცოდნა ჭეშმარიტებას ეფუძნება. მასში მოსწავლე თვითონ ხდება სამყაროსთან ინფორმაციული ურთიერთქმედების ცენტრი.

7. ალტერნატიული ტექნოლოგიები - მონტესორის ტექნოლოგია, ვალდორფის ტექნოლოგია(შტაინერი), თავისუფალი შრომის ტექნოლოგია(ფრენე), ალბათური განათლების ტექნოლოგია(ლობოკი), კომპლექსური ტექნოლოგიები(საავტორო სკოლები).

საგანმანათლებლო პრაქტიკაში ახალი პედაგოგიური იდეების დანერგვა, სწავლების სრულყოფილ ტექნოლოგიებზე გადასვლა ხანგრძლივი და რთული პროცესია, რაც აიხსნება პედაგოგიური საქმიანობის შემოქმედებითი ხასიათით, რომელიც არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც უბრალო საწარმოო პროცესი.

პედაგოგიური ტექნოლოგია არის სისტემური და თანმიმდევრული, მოსწავლეზე მორგებული, წინასწარ დაპროექტებული პედაგოგიური სისტემის

რეალიზაციის პროცესი, რომელიც პედაგოგიური და ფსიქოლოგიური მეცნიერებების კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენების საფუძველზე ეყრდნობა სწავლა/სწავლების პროცესში გარკვეულ წესებს, მეთოდებს, პრინციპებს, ცნებებს, მიდგომებს, ხერხებს, საშუალებებს, ჩვევებს, ხელსაწყოებს, რესურსებს, მასწავლებლის ხელოვნებას, ოსტატობას, ტაქტს და მივყავართ გარკვეული მიზნების, ამოცანების გადაწყვეტამდე საზოგადოების მოთხოვნილებების შესაბამისად. ხოლო, სწავლების მეთოდი, როგორც პროფ. დავით ლორთქიფანიძე წერს- არის მასწავლებლის მიერ მოსწავლეთათვის ცოდნა-ჩვევების გადაცემისა და გადაცემულის მოსწავლეთა მიერ შეთვისების გზა, ხერხი, საშუალება, რომელსაც ვიყენებთ დასახული მიზნის მისაღწევად. რამდენადაც სწავლა აღზრდის ძირითადი გზაა; იმდენად, ბუნებრივია და გასაგები, რომ სწავლების მეთოდი ამავე დროს გარკვეული მნიშვნელობით აღზრდის მეთოდიცაა, აღზრდის ძირითადი გზაა (6).

ი. ბასილადის მიხედვით, პედაგოგიური ტექნოლოგია ურთიერთკავშირშია პედაგოგიურ ოსტატობასთან. პედაგოგიური ტექნოლოგიის სრული ფლობა პედაგოგიური ოსტატობაა. მაგრამ, თავის მხრივ, პედაგოგიური ოსტატობა პედაგოგიური ტექნოლოგიის ფლობის უმაღლესი საფეხურია.

პედაგოგიური ტექნოლოგია და ოსტატობა განპირობებულია მასწავლებლის მიერ გადასაჭრელი მიზნებისა და ამოცანების ხასიათით. პედაგოგიური ამოცანა ნიშნავს გააზრებულ პედაგოგიურ სიტუაციას მასში მიზნის შეტანით, სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. პედაგოგიური სიტუაცია კი არის კონკრეტული პედაგოგიური სისტემის ობიექტური მდგომარეობა (5).

ი. ბასილადე გამოყოფს პედაგოგიურ ამოცანათა შემდეგ ჯგუფს: **სტრატეგიული ამოცანები** - მოიაზრებს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს, პედაგოგიური საქმიანობის საწყის მიზნებსა და საბოლოო შედეგებს. რეალურ პედაგოგიურ პროცესში სტრატეგიული ამოცანები გარდაიქმნებიან ტაქტიკურ ამოცანებად. ისინი ინარჩუნებენ რა მიმართულებას განათლების საბოლოო შედეგისაკენ მიეკუთვნებიან სტრატეგიულ ამოცანათა გადაჭრის ამა თუ იმ გარკვეულ ეტაპს.

**ოპერატიული ამოცანები** - ეს არის მიმდინარე, უახლოესი ამოცანები, რომლებიც პედაგოგის წინაშე დგას მისი პრაქტიკული საქმიანობის თითოეულ მომენტში. პედაგოგიური ამოცანა კავშირშია მონათესავე ცნებებთან „დიდაქტიკურ“ და „აღმზრდელიობით“ ამოცანებთან ერთად.

**დიდაქტიკური ამოცანები** არის ის ამოცანები, რომლებიც მართავენ სასწავლო - შემეცნებით აქტივობას, ანუ სწავლებას. მასში მუდმივად ჩართულია საწყის და პერსპექტიულ პარამეტრებს შორის დაპირისპირება. დიდაქტიკურ ამოცანათა გადაჭრამ უნდა მიიყვანოს მოსწავლეები მოქმედების ორი კატეგორიის შესრულებამდე. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება აქტივობები, რომლებიც სასწავლო საქმიანობას(პროცესს) ქმნიან და ამოცანები, რომელთა გადაჭრაზე მიმართულია ეს აქტივობები(სასწავლო აქტივობები). მეორე ჯგუფს ქმნიან აქტივობები, რომლის განხორციელება და გადაჭრაც უნდა შეისწავლონ მოსწავლეებმა.

**აღმზრდელიობით ამოცანათა** მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ჯგუფად შეიძლება გამოვყოთ ე.წ. ფასეულობით ორიენტირებაზე მიმართული ამოცანები. მათი თავისებურება ის გახლავთ, რომ ისინი შემეცნებითი ამოცანებისგან განსხვავებით, ფასეულობით პრობლემურ სიტუაციებს მოიცავენ, როგორც ზნეობრივი ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

**პედაგოგიურ ამოცანებს**, მიუხედავად ჯგუფისა და ტიპისა, გააჩნია საერთო თვისებები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სოციალური მართვის ამოცანებია და მათი მიზანი შემეცნებითი და პრაქტიკული ამოცანების გადაჭრის შედეგად მიიღწევა (5, გვ. 413).

სწორედ ეს ამოცანები წარმოადგენენ პედაგოგიური ამოცანების გადაჭრის ეტაპებს. პედაგოგიკაში ასეთი ეტაპი სულ ოთხია:

1. პედაგოგიური ამოცანის დასმა კონკრეტული პირობებისა და სიტუაციის ანალიზის საფუძველზე;
2. პედაგოგიური ურთიერთმოქმედების ხერხის კონსტრუირება;
3. პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის პროცესი;
4. პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის შედეგების ანალიზი.

მიღებულია, განვასხვაოთ ამოცანათა გადაჭრის პროცესი და ხერხები. ხერხი ეს თანმიმდევრულად განხორციელებული ოპერაციების გარკვეული სისტემაა, რასაც ამოცანის გადაჭრამდე მივყავართ. მას შეიძლება ჰქონდეს ალგორითმული და კვაზიალგორითმული სახე. ეს იმის მიხედვით, თუ რაოდენ დიდია შემდგომი ოპერაციების დეტერმინაციის სიმკაცრის ხარისხი (5, გვ. 413).

პედაგოგიური ამოცანის გადაჭრისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- პირდაპირი შედეგები;
- ირიბი შედეგის მიღების შესაძლებლობა;
- საგნობრივი და აღზრდობითი შედეგის შეფარდება.

ბევრ შემთხვევაში მოქმედების ირიბი პროდუქტი შეიძლება არ იყოს სასურველი, რაც ართულებს პედაგოგიურ პროცესს, არღვევს პედაგოგიურად მიზანშეწონილ ურთიერთობებს. ამოცანის გადაჭრის ხერხებთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ამოცანის გადაჭრის პროცესი, რომელიც მუდამ შემოქმედებით ხასიათს ატარებს. მის ეტაპობრიობაში გამოიხატება თეორიული და პრაქტიკული აზროვნების ურთიერთგადასვლის დიალექტიკა.

პირველ ეტაპზე ხორციელდება პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს მთელ რიგ ოპერაციებს, რაც დიაგნოსტიკური გადაწყვეტილებებით მთავრდება. თავად დიაგნოსტიკა ამ დროს მოიცავს ინდივიდუალური ან ჯგუფური საქციელის დიაგნოსტიკას, რის საფუძველზეც პროგნოზირდება სწავლებისა და აღზრდის შედეგები, აგრეთვე, მოსწავლეებში გამოწვეული შესაძლო სირთულეები და შეცდომები, მოსწავლეთა საპასუხო რეაქციები პედაგოგიურ ზემოქმედებაზე და სხვა. თეორიული აზროვნება, რომელიც სიტუაციის შესწავლისკენაა მიმართული, გადაიზრდება კონკრეტული პედაგოგიური ამოცანის ეფექტურად გადაჭრის საშუალებაში (5, გვ. 414).

როდესაც პედაგოგიური ამოცანა თეორიულად გადაჭრილია. დგება შემდეგი ეტაპი. მეორე ეტაპი - მისი პრაქტიკაში განხორციელების ეტაპი. თეორიული პედაგოგიური აზროვნება უკანა პლანზე გადაინაცვლებს და ასრულებს რეგულირებისა და კორექტირების ფუნქციას. მათი საშუალებით ხდება პედაგოგიური პროცესის გარდაქმნა. აქვე ფასდება მიღებული შედეგები. შედეგების

ანალიზი, თავის მხრივ, ქმნის აუცილებელ ბაზას ახალი პედაგოგიური ამოცანის გადასაჭრელად. სხვადასხვა ჯგუფისა და სირთულის პედაგოგიურ ამოცანათა მაღალ პროფესიონალურ დონეზე გადაჭრა ეფუძნება ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნას, აღსაზრდელთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებს. პედაგოგიური სიტუაციებისა და მასწავლებლის წარმატებული ქცევის ანალიზი გვაძლევს სასწავლო-აღმზრდელობითი პრობლემის დადებითად გადაწყვეტის შესაძლებლობას. ბევრ შემთხვევაში პედაგოგიური ამოცანის გადაჭრაში ჩართულია არა მარტო ცალკეული მასწავლებელი, არამედ კათედრა, პედაგოგთა ჯგუფი, მთელი პედაგოგიური კოლექტივი. ამისთვის გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

1. დროის ორგანიზება, რომელიც პედაგოგიური პროცესისათვისაა გათვალისწინებული;
2. სასწავლო-აღმზრდელობითი ინფორმაციის ორგანიზება, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლეზე, სწავლების მთელი ციკლის განმავლობაში;
3. პედაგოგიური ზემოქმედების თანმიმდევრობის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მისწარფებას ჭეშმარიტი ცოდნისკენ;
4. მოსწავლის როლის შეცვალა-მოსწავლის პედაგოგიური ზემოქმედების ობიექტიდან შემოქმედებითი ურთიერთობის ობიექტად ქცევა;
5. პროდუქტიული თვითგანვითარების უზრუნველყოფა-მოსწავლეებში ახალი ცოდნის, ინტერესების, მოთხოვნილებების ჩამოყალიბება, უნარების გამოვლინება, მათში ძლიერი მხარეების ძიება, რაც უზრუნველყოფს პროდუქტიულ თვითგანვითარებას. ამრიგად, ნებისმიერი ტექნოლოგიის დანერგვისას, პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის მნიშვნელოვან წინაპირობას პედაგოგიური პროცესის სუბიექტების, პედაგოგებისა და აღსაზრდელების აქტიური ურთიერთმოქმედება წარმოადგენს. სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში ამგვარი სიტუაციის ანალიზი მასწავლებელს საშუალებას აძლევს თავიდან აიცილოს ტიპური შეცდომები (5, გვ. 414).

ს. ჯანაშიას მიხედვით, განათლების თანამედროვე ტექნოლოგიებში გამოიყოფა სოკრატული მეთოდი, დიდაქტიკური მეთოდი და კეთებით სწავლება.

გაკვეთილზე სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს მასწავლებელი სვამს მხოლოდ პრობლემურ (და არა ინფორმაციულ) კითხვებს (მაგ., რას ფიქრობთ ამაზე? რა განმარტებები გვჭირდება ამისთვის?), არ აწოდებს არანაირ ინფორმაციას მოსწავლეებს. ამ დროს მასწავლებელი განიხილავს გამონაკლისებს და მარტივ იდეას ეჭვქვეშ აყენებს. იგი არ აძლევს მოსწავლეებს ინფორმაციას, არამედ მათ სთხოვს აზროვნებას, რათა ისინი დამოუკიდებლად მივიდნენ პრობლემის გადაწყვეტამდე. სოკრატული მეთოდის გამოყენება შესაძლებელია დისკუსიით, დებატებით, პრობლემური კითხვების დასმით და სხვა. ზოგჯერ მასწავლებელს მოჰყავს ფაქტები მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, ხელს უწყობს იმ პასუხების ეჭვქვეშ დაყენებას, რომელთაც გვაძლევენ სხვადასხვა ავტორიტეტები და სხვა. მოსწავლეები თავისუფლად გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით, თხზავენ ჰიპოთეზებსა და ვერსიებს, ანალიზებენ ერთმანეთის არგუმენტებს. ქვემოთ მოყვანილია ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები გაკვეთილზე:

1. მასწავლებელი სვამს პრობლემურ შეკითხვებს, რათა წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე;
2. მასწავლებელს მოჰყავს დამხმარე და საწინააღმდეგო მაგალითები მოცემული მოვლენის საილუსტრაციოდ;
3. მასწავლებელი კრიტიკულად განიხილავს მოსწავლის არგუმენტებს;
4. მასწავლებელი ხელს უწყობს კლასის დისკუსიაში ჩაბმას;
5. მასწავლებელი ახალისებს საკუთარი და სხვების აზრების კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას;
6. მასწავლებელი მოსწავლეს სთხოვს, ფაქტებისა და ცნებების ანალიზს, მასალაში მოცემული ფარული არსის გაგებას და ა. შ.;
7. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ დააკავშიროს სხვადასხვა წყაროდან მიღებული ცოდნა, სხვადასხვა ელემენტისაგან შექმნას ახალი სტრუქტურა;
8. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ გამოიტანოს დასკვნა (გააკეთოს შეფასება) საკუთარ არგუმენტაციაზე დაყრდნობით.

სწავლების დროს დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს, გაკვეთილზე ხდება ინფორმაციის მიწოდება დიალოგის ფორმით. მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა: მოსწავლეების ინფორმირება, მათი ცოდნის გამომჟღავნება და დახვეწა. დიდაქტიკური მეთოდით მიწოდებული ინფორმაცია უნდა იყოს ნათელი და პასუხობდეს შემდეგ კითხვებს: რა, რატომ და სად? ამ დროს მოსწავლისთვის ნათელია სასწავლო მიზნები, მან იცის, როდის ითვლება მიზანი მიღწეულად. მასწავლებელს ცნების ასახსნელად მოჰყავს მაგალითები, ამყარებს კავშირს ახალ და ძველ ცნებებს შორის. ინფორმაციის გაცვლის პროცესში მოსწავლე და მასწავლებელი - ორივე მონაწილეობს და ერთად აგებს ახალ ცოდნას. ქვემოთ მოყვანილია ამ მეთოდის გამოყენების მაგალითები გაკვეთილზე:

- მასწავლებელი ხაზს უსვამს იმას, რაც, მისი აზრით, მნიშვნელოვანია მოცემულ მასალაში (ან გაკვეთილზე);
- მასწავლებელი გადასცემს ინფორმაციას, რათა წაახალისოს მოსწავლეთა აზროვნება მოცემულ საკითხებზე;
- მასწავლებელი, საკუთარი მოსაზრებების გარდა, განიხილავს სხვების მოსაზრებებსაც;
- მასწავლებელს მოჰყავს მრავალი მაგალითი ახალი ცნების ახსნისას;
- მასწავლებელი იყენებს შესაბამის საკლასო აქტივობებს (სადემონსტრაციო ექსპერიმენტი, სახელმძღვანელოსა ან დამატებითი მასალების გამოყენება), რომ მოსწავლეებმა ისწავლონ/განიმტკიცონ ახსნილი მასალა;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, რომ გაიხსენონ გაკვეთილის მთავარი საკითხები, ფაქტები, მოვლენები;
- მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს, რომ თავისი სიტყვებით გადმოსცეს წაკითხული ან მოსმენილი ინფორმაცია.

კეთებით სწავლების ანუ პრაქტიკის მეთოდის გამოყენების დროს ხდება ზუსტი ინსტრუქციის მიწოდება ექსპერიმენტის ან სიმულაციისთვის და არა ინფორმაციის მიწოდება. იგი მიზნად ისახავს, რომ მოსწავლეებმა შეასრულონ ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს უწყობს ცოდნის ან ჩვევის ფორმირებას. პრაქტიკის დროს მასწავლებელი აქტიურად იყენებს გამოხმაურებას (უკუკავშირს), რაც ხელს უწყობს



იმას, რომ მოსწავლის პრაქტიკა იყოს აზრიანი და მან მართლაც გააცნობიეროს ის, რასაც აკეთებს და არა ავტომატურად (მექანიკურად) გაიმეოროს. ამგვარი სწავლება მხოლოდ სათანადო გამოხმაურების შემთხვევაში გვამღებს მნიშვნელოვან ეფექტს. მასწავლებელმა მოსწავლეს უნდა შესთავაზოს აქტივობის სქემა ან მოდელი, სადაც მიღწევის დონეები ნათლად არის მოცემული და მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს, თუ რას მოელიან მისგან და როგორ ფასდება მისი წარმატება, ანუ რა არის ეფექტური „კეთება“ და მიზნის მიღწევა. ამრიგად, პრაქტიკის მთავარი პრინციპებია: მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ (91).

ი. ბასილაძე გამოყოფს კიდევ ერთ ტექნოლოგიურ მახასიათებელს: პედაგოგიური ურთიერთობების სტილი და მათი ტექნოლოგიური დახასიათება. აქ ერთ-ერთ მთავარი მახასიათებელი არის პროფესიული, სოციალური და კომუნიკაციის სფეროები. პედაგოგიური ურთიერთობის სტილში ვლინდება პედაგოგის კომუნიკაციური შესაძლებლობები, პედაგოგის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, მოსწავლეებთან ურთიერთობა. პედაგოგიური ურთიერთობების სტილი, მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით, იყოფა ავტორიტარულ, დემოკრატიულ თავისუფალ სტილად.

ჩვენი აზრით, მასწავლებლის არჩევანი კონკრეტული სწავლების სტილის მიმართ გამოხატავს მის დამოკიდებულებას მოსწავლის პიროვნების აღიარებასა და რწმენას შესაძლებლობების მიმართ.

პედაგოგიურ ურთიერთობათა ტექნოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან. გაკვეთილზე, მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის დინამიკის მიხედვით მოახდინეს ორი განზომილების იდენტიფიკაცია, ერთი განზომილებაა დომინირება, ხოლო მეორე-თანამშრომლობა (51, გვ. 55). დომინირება ტრადიციული გაკვეთილის მახასიათებელია, თანამშრომლობა კი - თანამედროვე გაკვეთილის.

პედაგოგიურ ურთიერთობათა ტექნოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს მასწავლებლის მიერ კლასის მართვის ტექნოლოგია, რომელიც აერთიანებს კლასის ეფექტური მართვისათვის საჭირო მიმართულებებს,

როგორცაა: წესები და პროცედურები; დისციპლინის უზრუნველყოფა; მასწავლებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან და სხვა. კლასის მართვა და კლასის მართვის ტექნოლოგიების ცოდნაა, რაც განაპირობებს კლასსა და პედაგოგს შორის პოზიტიურ ან უარყოფით ურთიერთობებს, ამავე დროს საკლასო საზოგადოების წევრთა-მოსწავლეთა ურთიერთობებს. შეუძლებელია კლასში სწავლებისა და სწავლის დონე მაღალი იყოს, როდესაც კლასში დისციპლინის პრობლემებია. როცა მოსწავლეები უწესრიგოდ და უპატივცემულოდ იქცევიან და კლასში ქაოსია. ასეთ სიტუაციაში მოსწავლეებიც ზარალდებიან და მასწავლებელიც. მასწავლებელს ძალიან დიდი ძალისხმევის გაღება უწევს, ხოლო მოსწავლეები შესაძლებელზე ნაკლებს სწავლობენ.

კლასის ეფექტურად მართვის ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია საკლასო წესებისა და პროცედურების ჩამოყალიბება. შეუძლებელია, მასწავლებელმა წარმატებით ასწავლოს და მოსწავლეებმაც წარმატებით ისწავლონ გაკვეთილზე, თუ სწავლისა და სწავლების პროცესს ქცევის მარეგულირებელი სახელმძღვანელო პრინციპები არ მართავს. მოსწავლემ უნდა იცოდეს როდის (არ) შეუძლია კლასში თავისუფლად გადაადგილება, მასწავლებლისათვის ან თანატოლებისათვის სიტყვის გაწყვეტინება და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს რუტინული საქმიანობის მარეგულირებელი წესები, რთულდება მოსწავლეთა ინტერესის სასწავლო პროცესზე კონცენტრაცია. რუტინულ საქმიანობაში იგულისხმება: დასწრების აღრიცხვა, დისკუსიებში მონაწილეობა, დავალების მასწავლებლისათვის ჩაბარება, დავალების შემოწმება და ა. შ.

მასწავლებელმა დრო უნდა გამოიხაროს, რომ აუხსნას მოსწავლეებს არა მხოლოდ წესები არამედ ამ წესების დანერგვის აუცილებლობაც. მოსწავლეებისათვის იმის გაგება, თუ რატომ უნდა შეასრულონ ესა, თუ ის წესი ძალიან მნიშვნელოვანია. მხოლოდ ასეთი პროცესის გავლის შემდეგ შეიძლება იქცეს წესი მოსწავლესათვის მისაღებად (51, გვ. 21).

მარზანო რეკომენდაციას გვიწევს წესებისა და პროცედურების დანერგვისას გავითვალისწინოთ ისეთი სიტუაციები საკლასო ცხოვრებიდან, რომელიც ყველაზე პრობლემურია.

მასწავლებელმა მოსწავლეებს თითოეული წესი და პროცედურა უნდა აუხსნას. მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საშუალება, კარგად განიხილონ მასწავლებლის მიერ შემოთავაზებული წესები და პროცედურები, ჩამოაყალიბონ ალტერნატიული წესები, გააკეთონ შესწორებები. თუ მასწავლებელი და მოსწავლეები წესებისა და პროცედურების კომპრომისულ ვარიანტზე ვერ შეთანხმდნენ მასწავლებელს აქვს გადამწყვეტი სიტყვის უფლება.

კლასის მართვის ტექნოლოგია აერთიანებს, დისციპლინის გაუმჯობესებაზე მიმართული ღონისძიებების გამოიყენებას.

გაკვეთილისზე სწავლების მაღალი ხარისხის ერთ -ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სასწავლო გარემო, ის პირობები სადაც მიმდინარეობს სწავლება, სასწავლო გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, მზრუნველი, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი. სასწავლო გარემო ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ და სოციალურ განვითარებას, ითვალისწინებს ინკლუზიური განათლების, მულტიკულტურული და მულტილინგვისტურ მიდგომებსა და პრინციპებს, კლასში პოზიტიური სოციალური ურთიერთობების რეგულირებას, კონფლიქტების მოგვარებას. სასწავლო გარემო გულისხმობს გაკვეთილზე კლასის მართვის სტილს, მოსწავლეთა თანამშრომლობას, მოსწავლეთა მიერ სწავლის კონტროლს, გაკვეთილზე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას საგნის ეფექტურად სწავლებისათვის, საკლასო ოთახის პოზიტიურ ფიზიკური გარემოს (90, გვ. 113).

პედაგოგიური და საგანმანათლებლო ტექნოლოგიის ამოცანაა შექმნას სასწავლო მიზნების მისაღწევი საგანმანათლებლო გარემო და რესურსები გაკვეთილზე.

პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, მისი განვითარების პროცესი და მის მიერ მიღწეული შედეგი. შედეგზე ორიენტირება გულისხმობს მოსწავლისათვის მიწოდებული ინფორმაციის არა მხოლოდ დამახსოვრებას, არამედ ამ ინფორმაციის მყარ, დინამიურ და ფუნქციურ ცოდნად გარდაქმნას. სწორედ ამიტომ, გაკვეთილზე, სწავლების ფუნდამენტური პრინციპია შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით.

გაკვეთილზე პედაგოგიური ტექნოლოგიის საგანს წარმოადგენს:

• მოსწავლის ასაკობრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებების, მოსწავლის ინტელექტუალური და სოციალური, ფიზიკური, ასაკობრივი და ინდივიდუალური განვითარების თავისებურებების გავლენის გათვალისწინება სწავლება-სწავლაზე.

• გათვალისწინება იმ ფაქტორებისა, რომელიც გავლენას ახდენს სწავლება/სწავლაზე, სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენება მოსწავლის მიერ ცოდნის დამოუკიდებლად აგებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარ-ჩვევების განვითარებაში.

- მოტივაცია და მისი ამალღების სტრატეგიები;
- სწავლების მეთოდები და სტრატეგიები;
- სასწავლო პროცესის დაგეგმვა;
- შეფასების მეთოდები.

გაკვეთილზე სწავლების ტექნოლოგია კი იყენებს სწავლების მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტისათვის საჭირო მეთოდებს. მეთოდები და სტრატეგიები შესაბამისია სწავლების პრინციპების. მასწავლებლის მოვალეობა არის გამოიყენოს მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა, რაც გულისხმობს მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებას სასწავლო პროცესში.

მასწავლებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა თანაბარი ჩართულობა გაკვეთილზე. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ განათლების მიღების პროცესში, ასევე საშუალება უნდა ჰქონდეთ ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც.

გაკვეთილზე თანამედროვე პედაგოგიური და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება განაპირობებს მოსწავლის აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში, ხელს უწყობს პრობლემაზე ორიენტირებას, ინტერაქტიულ და ურთიერთთანამშრომლობით სწავლება-სწავლას.

ამრიგად, ინოვაცია გულისხმობს, როგორც საგნობრივ, ისე მეთოდური სიახლეების დანერგვას გაკვეთილზე. მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს საკუთარი ცოდნის განახლებას.

თანამედროვე მასწავლებელს მრავალი გამოწვევა აქვს, მათ შორის კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გაკვეთილზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებაა.

გაკვეთილზე ისტ-ის გამოყენება, სწავლებას ხდის საინტერესოს, სახალისოს, აქტიურსა და მრავალფეროვანს.

თანამედროვე გაკვეთილზე სწავლება მოითხოვს მასწავლებლისაგან სხვადასხვა პედაგოგიურ და საგანმანათლებლო ტექნოლოგიების ფლობასა და გამოყენებას:

- პედაგოგიური ამოცანის გადაჭრის ტექნოლოგია-პედაგოგიური ამოცანა ნიშნავს გააზრებულ პედაგოგიურ სიტუაციას მასში მიზნის შეტანით, სინამდვილის შემეცნებისა და გარდაქმნის აუცილებლობასთან დაკავშირებით. პედაგოგიური სიტუაცია კი არის კონკრეტული პედაგოგიური სისტემის ობიექტური მდგომარეობა.

- განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები- გამოიყენება სოკრატული მეთოდი, დიდაქტიკური მეთოდი და კეთებით სწავლება. გაკვეთილზე სოკრატული ტექნოლოგიით სწავლება გულისხმობს პრობლემის აღმოჩენასა და გადაჭრას, დიდაქტიკური მეთოდი გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას დიალოგის გზით, კეთებით სწავლება პრაქტიკული საქმიანობაა, მოსწავლეებისთვის პრაქტიკული დავალების მიცემა, მათი წახალისება, სათანადო გამოხმაურების მიწოდება, რათა მათ აზრიანად იმოქმედონ.

- პედაგოგიური ურთიერთობების ტექნოლოგია- გულისხმობს მასწავლებლის ურთიერთობებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან.

- კლასის მართვის ტექნოლოგია გულისხმობს გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის რეგულირებას, მასწავლებლისა და მოსწავლის, მოსწავლეთა შორის ურთიერთობებსა და უსაფრთხო საკლასო-საგაკვეთილო გარემოს.

პედაგოგიური, საგანმანათლებლო და სწავლების ტექნოლოგიის ფლობით მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა ინოვაციური სიახლეების დანერგვისა გაკვეთილზე.

## ზოგადი დასკვნები და რეკომენდაციები:

თეორიული სამეცნიერო კვლევების, აქტიურ (ნოვატორ) პედაგოგებთან კონსულტაციებისა და ჩატარებული გამოკითხვების შედეგების საფუძველზე ჩამოვყალიბეთ დასკვნები და რეკომენდაციები შემდეგი ფორმულირებით:

1. სწავლების ორგანიზაციის ტექნოლოგიის სრულყოფაში დიდი წვლილი მიუძღვის იეზუიტურ განათლების სისტემას, მათ მისცეს, თანმიმდევრული, იერარქიული, სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სახე საკლასო-საგაკვეთილო სისტემას და სწავლა-სწავლების ტექნოლოგიები, მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული ასპექტები იმ დონეზე აიყვანეს, რომ ტოლს არ უდებს თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მოთხოვნებს.
2. ტრადიციული განათლების კონცეფცია მხარს უჭერს მემკვიდრეობით დატოვებული მეცნიერული ცოდნის გადაცემას, ფაქტების დამახსოვრებას, მასწავლებლის წამყვან როლსა და ფორმალური სწავლების მეთოდებს.
3. ტრადიციული გაკვეთილი წარმოადგენს:
  - მასწავლებელზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს;
  - ლექციური ტიპის გაკვეთილს, კითხვა-პასუხზე აგებულ გაკვეთილს, დემონსტრირებით წარმართულ გაკვეთილს;
  - ტრადიციული გაკვეთილი უმეტესწილად ავტორიტარული და დირექტიულია;
  - ტრადიციულ გაკვეთილზე მოსწავლეები პასიურები არიან და მცირეა მათი ჩართულობა;
  - ტრადიციული გაკვეთილი ხელს არ უწყობს მოსწავლეთა სოციალური კომპეტენციის განვითარებას;
  - ტრადიციული გაკვეთილი საშუალებას გვაძლევს მოსწავლეებს სწრაფად გადავცეთ დიდი მოცულობის ინფორმაცია;
  - ტრადიციული გაკვეთილის ჩატარების მეთოდოლოგია მრავალჯერ ნაცადია.

4. XX საუკუნეში გაკვეთილზე სწავლებისა და სწავლის მიდგომებთან დაკავშირებით საქართველოში არსებობდა რამდენიმე ეტაპი, რომელიც გამოირჩეოდა განვითარების სპეციფიკური მახასიათებლებით:
- 1910-1920 წლები თავისუფალი აღზრდისა და ექსპერიმენტული პედაგოგიკის დამკვიდრების პერიოდი;
  - 1920-1930 წლები-პროგრესული განათლების დამკვიდრების პერიოდი „შრომის სკოლა“;
  - 1931-1960 წლები - ტრადიციული, ავტორიტარული სწავლება - „სწავლების სკოლა“;
  - 1960-1990 წლები - განმავითარებელი სწავლების, ჰუმანური პედაგოგიკისა და რეფორმის პერიოდი;
  - 1990 წლიდან დღემდე - აქტიური ცვლილებებისა და რეფორმის პერიოდი;
5. თვალსაჩინოა თანამედროვე ქართულ განათლებაზე საბჭოთა განათლების გავლენა;
6. ბიჰევიორიზმის ტექნოლოგია გაკვეთილზე გულისხმობს მიზნების განსაზღვრას, სტიმულების გამოყენებას, რაც გააძლიერებს სასურველ ქცევას, სტიმულთა ეფექტის შეფასებით შესაძლებელია განმამტკიცებელი სტიმულის შეცვლა;
7. კონსტრუქტივისტები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო სწავლება ზეპირობის საპირისპიროდ ხაზს უსვამდეს გაკვეთილზე ისეთ ელემენტებს, როგორცაა მოსწავლის მიერ სწავლის სტრატეგიების ფლობა, სოციალური უნარები, პრობლემის გადაწყვეტა, კრიტიკული და შემოქმედებით აზროვნების ჩამოყალიბება;
8. გაკვეთილზე მოსწავლის აქტიურობა განსაკუთრებით ვლინდება თანამშრომლობითი სწავლების დროს. თანამშრომლობითი ინტერაქცია, მოსწავლისათვის ხდება სოციალური მხარდაჭერა, რაც დადებითად მოქმედებს მოსწავლის გაკვეთილზე ჩართულობის, სწავლის მოტივაციის, კოგნიტურობის, სოციალური განვითარების მხრივ;
9. გაკვეთილზე აქტიური სწავლების წარმატების საფუძველი, მოსწავლეთა შორის პოზიტიურ ურთიერთდამოკიდებულებაში მდგომარეობს;

10. აქტიური სწავლების ერთ-ერთ პირობას მოსწავლის მიერ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ცოდნა და მისი მეტაკოგნიტური უნარები წარმოადგენს;
11. მოსწავლის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია მნიშვნელოვანი ფაქტორია გაკვეთილზე მოსწავლეთა ჩართულობისა და სწავლების მაღალი ხარისხისათვის;
12. მოსწავლემ თავად უნდა გაიაზროს და აღმოაჩინოს, ააგოს წინა ცოდნასა და გამოცდილებაზე ახალი ცოდნა. ცოდნასთან ერთად მნიშვნელოვანია მოსწავლის რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვა;
13. თანამედროვე გაკვეთილზე სწავლების პრინციპებია: სწავლების დადებითი მოტივაციისა და კეთილგანწყობის ემოციონალური ატმოსფეროს პრინციპი, სწავლების ინდივიდუალური და კოლექტიური ფორმის შეთავსების პრინციპი, სწავლების მეტაკოგნიტური პრინციპი;
14. გაკვეთილზე მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებისა და სწავლების ეფექტურობისათვის საჭიროა ტრადიციული სწავლებისა და თანამედროვე სწავლების კარგად აპრობირებული მეთოდების კომბინირებულად გამოყენება;
15. გაკვეთილის დაგეგმვის დროს მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა თანამშრომლობა, მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება იწვევს მოსწავლეთა დადებით დამოკიდებულებებს მასწავლებლისა და საგნის მიმართ, დადებითად მოქმედებს მათ მოტივაციაზე;
16. მოსწავლეთა ინტერაქციის მიზანია მოსწავლის აქტიური მონაწილეობა გაკვეთილზე საკუთარი სწავლის პროცესში, სწავლის კონსტრუირება, აღმოჩენა, თანამშრომლობითი სწავლის, პრობლემის აღმოჩენისა და გადაჭრის უნარების, ჩვევებისა და საჭირო ცოდნის შეძენა.
17. მასწავლებელსა და მოსწავლეთა შორის გაკვეთილზე აქტიურ ინტერაქციას, ჩვენი დაკვირვების შედეგად განაპირობებს შემდეგი სტრატეგიები:
  - ჯგუფური მუშაობა;
  - წყვილებში მუშაობა;
  - ჯიგსოუს ტექნოლოგია;
  - შემთვევის ანალიზი (case study);
  - დისკუსია;



18. გაკვეთილზე სწავლების პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად და მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად განსაკუთრებული როლი ენიჭება თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენებას;
19. პედაგოგიური ურთიერთობების ტექნოლოგია - გულისხმობს მასწავლებლის ურთიერთობებს მოსწავლეებთან, კოლეგებთან და მშობლებთან, ხოლო კლასის მართვის ტექნოლოგია გულისხმობს გაკვეთილზე მოსწავლეთა ქცევის რეგულირებას, მასწავლებლისა და მოსწავლის, მოსწავლეთა შორის ურთიერთობებსა და უსაფრთხო საკლასო-საგაკვეთილო გარემოს;
20. ჩვენ მიერ შესწავლილი და გაანალიზებული ლიტერატურისა და ჩატარებული გამოკითხვების საფუძველზე მასწავლებლებს ვთავაზობთ შემდეგ რეკომენდაციებს:
- მოსწავლეებს მივუდგეთ პატივისცემითა და სიყვარულით;
  - ნაკლებად გამოვიყენოთ სასჯელი;
  - ხშირად გამოვიყენოთ რეკომენდაციები პრობლემური ქცევის აღმოსაფხვრელად;
  - გამოვიყენოთ თვიშეფასება და მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასება;
  - გამოვიყენოთ აქტიური სწავლებისა და ინტერაქციის სტრატეგიები;
  - მკაფიოდ გამოვყოთ სწავლების მიზნები:
  - დავეხმროთ პირადი მიზნების ფორმირებაში;
  - კლასში მოსწავლეთა შორის დადებითი ურთიერთობების ხელშეწყობა და წახალისება;
  - ნუ გექნებათ მოსწავლის შეცდომაზე მკვეთრად გამოხატული უარყოფითი რეაქცია, მიეცით შესაძლებლობა თავად გაასწოროს შეცდომა, თქვენი დამოკიდებულება შეცდომის მიმართ განსაზღვრავს კლასის დამოკიდებულებასაც შეცდომის მიმართ.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ალფაიძე ლ., პიტერ გრეი განათლების მოკლე ისტორია, <http://mastsavlebeli.ge/?p=2390>
2. ამონაშვილი შ., გარდაქმნის მთავარი პირი, თბილისი, 1989.
3. ბასილაძე ი., აბზიანიძე ლ., გაკვეთილი, როგორც პედაგოგიური ფენომენი ქუთაისი 2009.
4. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლებისა და სწავლის პედაგოგიური ტექნოლოგიები და მათი ზოგადპედაგოგიური დახასიათება, ქუთაისი 2005.
5. ბასილაძე ი., ჭოხონელიძე ნ., კოსტავა ნ., ქობულაძე ნ., სწავლების მეთოდები, სტრატეგიები, პედაგოგიური ტექნოლოგიები და ცოდნის შემოწმება-შეფასების საკითხები, ქუთაისი, 2016.
6. ბასილაძე ი., სწავლისა და სწავლების მეთოდებისა და პედაგოგიური ტექნოლოგიების არსისა და განსხვავების საკითხისათვის. <http://atsu.edu.ge/EJournal/HENTI/eJournal/Papers/BasiladzeImeri.pdf>
7. ბაქრაძე მ., შერეული სწავლების მეთოდის გამოყენება სკოლაში და მისი უპირატესობა ელექტრონული ჟურნალი მასწავლებელი <http://mastsavlebeli.ge/?p=1546>
8. ბერკი ლ., ბავშვის განვითარება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
9. ბერულავა ნ., დიმიტრი უზნაძე, თბილისი, 1967.
10. ბერძენიშვილი ც., კოლაბორაცია, ჯგუფური მუშაობა და კოოპერატიული სწავლება, სწავლების ფსიქოლოგია, მასწავლებლის წიგნი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2017.
11. ბოცვაძე ლ., რუსეთის ცხოვრებიდან, ჟურნალი „განათლება“, №6, 1908.
12. ბოჭორიშვილი. მ., პედაგოგიკის საკითხები. გამომცემლობა „უსტარი“, თბილისი, 2013.

13. ბოჭორიშვილი მ., პრაქტიკული პედაგოგიკა - პედაგოგიური ამოცანები გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, <http://mastsavlebeli.ge/uploads/bochorishvili%20fotosin.pdf>
14. ბოჭორიშვილი მ., უზნადის თეორია და პედაგოგიკა, 2012. <http://mastsavlebeli.ge/?p=2546>
15. გაზეთი „ჩემი მეგობარი“ №6, 1916.
16. განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია, <http://www.mes.gov.ge/uploads/%E1%83>
17. განვითარებისა და სწავლების თეორიები, დამხმარე სახელმძღვანელო I, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2008.
18. გახელაძე გ., სწავლა-სწავლების ძირითადი მიდგომები და მეთოდოლოგია სამოქალაქო წიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
19. გორგაძე ს., ბოჭორიშვილი მ., ჭიბრიშვილი ნ., ჭიბრიშვილი ქ., გახელაძე გ., ვისწავლოთ და ვასწავლოთ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2013.
20. გონაშვილი რ., სწავლების ინტერაქტიული მეთოდები-ქეის ტექნოლოგია, დებრიფინგული გაკვეთილი, ელექტრონული ჟურნალი მასწავლებელი, <http://mastsavlebeli.ge/?p=1521>
21. გორდეზიანი ც., პედაგოგიური ტექნოლოგიების თეორიული ანალიზი. თბილისი, 2005.
22. გურგენიძე დ., საქართველოს საბჭოთა პედაგოგიკური აზრის ისტორიიდან, თბილისი, 1982.
23. დანილოვი მ. ა., სკატკინი მ. ნ., საშუალო სკოლის დიდაქტიკა, თანამედროვე დიდაქტიკის ზოგიერთი პრობლემები, გამომცემლობა „განათლება“ თბილისი 1981.
24. დიუი ჯ., სკოლა და საზოგადოება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.
25. დიუი ჯ., როგორ ვაზროვნებთ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.

26. ეფექტიანი სწავლება, თეორია და პრაქტიკა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2010.
27. ედიშერაშვილი ნ., შეფასების რუბრიკების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში და მათი ტიპები, 2016, <http://mastsavlebeli.ge/?p=11982>
28. ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, ისტორია <http://ncp.ge/ge/curriculum?subject=38&subchild=199&pos=900>
29. ვასაძე ნ., პედაგოგიკა, თბილისი, 2000 წ.
30. ვასაძე ნ., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 2004.
31. ვაჩიშვილი ნ., თანამშრომლობა სასწავლო პროცესში, როგორც დემოკრატიული ცნობიერების (ურთიერთდამოკიდებულება, პასუხისმგებლობა და თვითშეფასება) ამაღლების ერთ-ერთი საშუალება, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელნაწერის უფლებით, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016.
32. ვულფოლკი ა., განათლების ფსიქოლოგია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2009.
33. თეზელიშვილი ს., ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბილისი 2007.
34. ინტერაქტიული გაკვეთილის ელემენტები, პირველი ნაწილი, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, 2006.
35. ინტერაქტიული გაკვეთილის ელემენტები, მეორე ნაწილი, მასწავლებლის ბიბლიოთეკა, 2007.
36. ისტ-ის წვდომა და მომხმარებლის მხარდაჭერა <http://en.calameo.com/read/000659862648bed4fb4da>
37. კილურაძე ნ., სანიკიძე გ., გორდეზიანი ლ., ისტორია 11 კლ. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2012.
38. კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
39. კორძაძე ე., საინფორმაციო წიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2013.
40. კოჭენი ლ., მანიონი ლ., მორისონი ქ., კვლევის მეთოდები განათლებაში, [https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/ganatleba\\_tarmanebi/home/tsignebi-1](https://sites.google.com/a/iliauni.edu.ge/ganatleba_tarmanebi/home/tsignebi-1)

41. ლობჯანიძე ს., როგორ დავგეგმოთ მოქნილი და შემოქმედებითი გაკვეთილი, მასწავლებლის წიგნი 5 ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
42. ლობჯანიძე ს., როგორ დავგეგმოთ პროექტ გაკვეთილი, [http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/rogor%20davgegmoT%20da%20ganvaxorcieloT%20proeqtgakveTili.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/rogor%20davgegmoT%20da%20ganvaxorcieloT%20proeqtgakveTili.pdf)
43. ლობჯანიძე ს., ფრონტალური გაკვეთილი კონსტრუქტივისტულ დიდაქტიკაში (მეორე ნაწილი) <http://mastsavlebeli.ge/?p=2344>
44. ლობჯანიძე ს., სწავლების მეთოდები და სწავლების სტრატეგიები, მასწავლებლის წიგნი 5 ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
45. ლობჯანიძე ს., სწავლების ინტერაქტიული მეთოდები-შემთხვევის ანალიზი, მასწავლებლის წიგნი 5 ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
46. ლობჯანიძე ს., თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები-ჯიგსოუს ტექნიკა, მასწავლებლის წიგნი 5, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
47. ლორთქიფანიძე დ., სწავლების პრინციპები, ორგანიზაცია და მეთოდები, თბილისი, 1951.
48. ლორთქიფანიძე დ., იან ამოს კომენსკი, გამომცემლობა „ცოდნა“ 1964.
49. ლორთქიფანიძე დ., დიდაქტიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1983.
50. მარზანო რ. ჯ., ფიქერინგი დ. ჯ., ფოლოქსი ჯ. ი., ეფექტური სწავლება სკოლაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2009.
51. მარზანო ჯ., მარზანო ი. ს., ფიქერინგი დ. ჯ., კლასის მართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. 2003.
52. მასწავლებლის წიგნი ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.

53. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი თავი I ზოგადი დებულებანი, [http://www.tpdg.ge/uploads/pdf\\_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf](http://www.tpdg.ge/uploads/pdf_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf)
54. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა, <http://mastsavlebeli.ge/uploads/sqema.pdf>
55. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა I ნაწილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2015.
56. მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა I I ნაწილი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2016.
57. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, [http://www.tpdg.ge/uploads/pdf\\_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf](http://www.tpdg.ge/uploads/pdf_documents/maswavleblis%20profesiuli%20standarti.pdf)
58. მალრაძე, მ., განწყობის თეორია და განათლების ფსიქოლოგიის ზოგადი საკითხები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2008.
59. მედინსკი ე., პედაგოგიკის ისტორია, თბილისი, 1941.
60. ობოლაძე უ., ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა საბჭოთა საქართველოში (1921-1930) წიგნი 1, გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1961.
61. ოუენსი რ., ვალესკი თ., ორგანიზაციული ქცევა განათლებაში, მეათე გამოცემა, <http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2015/12/5.pdf>
62. პაპავა პ. ჭანტურია თ., წიგნიერება, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
63. პედაგოგის გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის, მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2016.
64. პერკინსი დ., გონივრული სკოლები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2007
65. [საერთაშორისო და სახელმწიფო შეფასება, http://naec.ge/#/ge/post/1603.](http://naec.ge/#/ge/post/1603)
66. სამსონია ი., წიგნიერება მასწავლებლის სახელმძღვანელო, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი 2013.

67. სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვა და შეფასება, საკითხავი მასალა, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2016.
68. სასწავლო და პროფესიული გარემო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ცენტრი, 2008.
69. სასწავლო პროცესის დაგეგმვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,  
[http://tpdc.gov.ge/uploads/pdf\\_documents/sascavlo%20procesis%20dagegmva.pdf](http://tpdc.gov.ge/uploads/pdf_documents/sascavlo%20procesis%20dagegmva.pdf)
70. საფიერი ჯ., გოუერი რ., გამოცდილი მასწავლებელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2010.
71. საქართველოს მთავრობის განკარგულება N 84 2004 წლის 18 ოქტომბერი ქ. თბილისი, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დამტკიცების შესახებ  
<http://www.kiketischool.ge/upload/file/zogadi-ganatilebis-erovnuli-miznebi.pdf>
72. საყვარელიძე რ., ინტერაქტიული სწავლება და მისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბილისი, 2004,  
<http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.11&d=HASHdf68ccc25abddf25eab101&gt=1>
73. სიხარულიძე შ., საბჭოთა სკოლის დიდაქტიკა , თბილისი, 1940.
74. სუხომლინსკი ვ., ქედუხრელთა ოჯახი, ჟურნალი სკოლა და ცხოვრება #2 , 1970.
75. სტატიები განათლების საკითხებზე, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი, თბილისი, 2010.
76. სწავლება და შეფასება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2008.
77. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, წიგნი წარმოგიდგინათ <http://clouds.ge/> -მ.
78. უზნაძე დ., განწყობის ფსიქოლოგია , გამომცემლობა მაცნე, 2009.
79. უზნაძე დ., ბავშვის ფსიქოლოგია სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია, თბილისი, 2005.
80. უზნაძე დ., აღზრდის ძირითადი ტრაგედია და ექსპერიმენტალური პედაგოგიკა, ჟურნალი „განათლება“, №6, 1912.

81. უზნაძე დიმიტრი., <http://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2017/03/dimitri-uznadze-V-III.pdf>
82. უშინსკი კ. დ., რჩეული პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1974.
83. ფსიქოლოგიის როლი ჩვენს ცხოვრებაში,  
<file:///C:/Users/User/Downloads/%E1%83%A4%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9E%20%E1%83%96%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%20-%E1%83%A4%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf>
84. ქიტიაშვილი ზ., ზოგადი განათლების რეფორმა საქართველოში /1991 – 2013 წლები/ სადისერტაციო ნაშრომი, ხელნაწერის უფლებით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016.
85. წულაი ლ., რაოდენობრივი კვლევის მეთოდები მეცნიერებაში, თბილისი, 2008.
86. ხანის აკადემია <https://ka.khanacademy.org/computing/computer-programming>
87. ხეჩუაშვილი ლ., პიროვნება შესავალი პიროვნების ფსიქოლოგიაში I, თბილისი, 2013
88. ხუციშვილი, ი., საგანმანათლებლო რესურსები და მოსწავლეთა მიღწევები, 2014.  
<file:///C:/Users/User/Downloads/2255.pdf>
89. ჯალიაშვილი მ., აქტიური სწავლების სტრატეგიები,  
<http://mastsavlebeli.ge/?p=10037>
90. ჯანაშია ს., ბავშვზე ორიენტირებული სასკოლო ფიზიკური გარემო, ბავშვზე ორიენტირებული სკოლის გზამკვლევი, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, თბილისი, 2012.
91. ჯანაშია ს., განათლების თანამედროვე ტექნოლოგიები,  
<https://sites.google.com/site/elektronuli/veb-programebi-1>
92. ჯინჯიხაძე ჯ., თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
93. Ahmadian Z., Modern Pedagogy and the Ratio Studiorum, 2014.



94. A Three-Phase Lesson Format  
[www.wou.edu/burtonl/courses/math395/Vandewalle.3Phase.pdf](http://www.wou.edu/burtonl/courses/math395/Vandewalle.3Phase.pdf)
95. Basiladze I., Shalva Kirtadze S., Amonashvil's Humane-Personal Pedagogical Technology-  
 ამონაშვილის ჰუმანურ-პიროვნული პედაგოგიკის ტექნოლოგია, Universal Culture,  
 Quarterly International Peer-Reviewed Journal, ISSN:1308-6197, 2015 Year, Number.
96. Cavez cavez R. The Use of Hige-Inference Measures To Study Classroom Climates, 1984.
97. Cross S,E., Gore J. S., Morris M. L., The Relational-Interdependent Self-Construal, Self-  
 Concept Consistency,and Well-Being. journal of Personality and Social Psychology. 2003,
98. Covington M.V.Intrinsic versus exstrinsic Motivation in Shools: A Reconciliation Curent  
 Directions in Psychological Sciens , 2000.
99. Dewey E. The Dalton Laboratory plan, 1930.
- 100.Driving InovaTion in Eduqation European Schoolnet, 2017.
101. Eduqation in The U.S.S.R, <http://www.revolutionarydemocracy.org>
102. Education In The 20<sup>th</sup> Century, <https://www.britannica.com/>
103. Farrel A. P., The Jesuit Ratio Studiorum of 1599-1970.
- 104.Fraser J.B., TOSRA Test of Science-Related Attitudes, 1981.
- 105.Fosnot C. T., Constructivism: Theory, Perspeqtives and Practice, second Edition, 2005.  
[https://books.google.ge/books?id=-  
 pIbAgAAQBAJ&pg=PT318&lpg=PT318&dq=Fosnot+C.+T.+Constructivist:+Theory,+Persp  
 ectives+and+Practice,+second+Edition&source=bl&ots=txKcVZpqzA&sig=DWkV2cWEnp5  
 NU7Q3As44njEmLU0&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwi9hNy5rNzaAhUIVBQKHcsfCAg4Ch  
 DoAQg\\_MAM#v=onepage&q=Fosnot%20C.%20T.%20Constructivist%3A%20Theory%2C  
 %20Perspectives%20and%20Practice%2C%20second%20Edition&f=false](https://books.google.ge/books?id=pIbAgAAQBAJ&pg=PT318&lpg=PT318&dq=Fosnot+C.+T.+Constructivist:+Theory,+Persp+ectives+and+Practice,+second+Edition&source=bl&ots=txKcVZpqzA&sig=DWkV2cWEnp5NU7Q3As44njEmLU0&hl=ru&sa=X&ved=0ahUKEwi9hNy5rNzaAhUIVBQKHcsfCAg4ChDoAQg_MAM#v=onepage&q=Fosnot%20C.%20T.%20Constructivist%3A%20Theory%2C%20Perspectives%20and%20Practice%2C%20second%20Edition&f=false)
- 106.Goh S. C., Khine M. S., Studies in Eduqational Learning Environments, 2002.  
[https://books.google.ge/books/about/Studies\\_in\\_Educational\\_Learning\\_Environm.html?id=d  
 BRxPIndyqUC&redir\\_esc=y](https://books.google.ge/books/about/Studies_in_Educational_Learning_Environm.html?id=dBRxPIndyqUC&redir_esc=y)
- 107.Hughes T., Loyola and the Eduqational System of the Jesuit, 1892.
- 108.How to Build a Better Educational System: Jigsaw Classrooms  
<http://www.apa.org/research/action/jigsaw.aspx>
- 109.How People Learn Brain, Mind, Exsperience and School, 1999.
- 110.Interactive Techniques, [http://www.usf.edu/atle/documents/handout-interactive-  
 techniques.pdf](http://www.usf.edu/atle/documents/handout-interactive-techniques.pdf)
- 111.Jonson D.W., Jonson R. T., New developments in Social interdependence Theory, 2005.

112. Jonson D.W., Jonson R. T., Social Interdependence Theory, 2009.
113. Koch R., Quintilian and the Jesuit Ratio studiorum, 1939.
114. Krull E., "HILDA TABA(1902-1967, <https://www.unesco.org/sit/default/files?Tabae.pdf>
115. Levit T., Creativity is thinking up new things. Innovation is doing new things  
<https://www.emeraldinsight.com/doi/full/10.1108/JRIT-10-2016-0007>
116. Laanermets U., Kalamees-Ruubel K., "The Taba-Tyler Rationales" Journal of the American Association for the Advancement of Curriculum Studies,  
<https://www.scribd.com/doc/269300224/Taba-tyler-rationalities>
117. McMahan Fr. M., The Jesuit Model of Education,  
[http://www.edocere.org/articles/jesuit\\_model\\_education.htm](http://www.edocere.org/articles/jesuit_model_education.htm)
118. McCormick P.J., History of Education, 1915.
119. Pickens M., Teacher and Student perspectives on motivation within the high school science Classroom 2007  
[https://etd.auburn.edu/bitstream/handle/10415/34/PICKENS\\_MELANIE\\_20.pdf?sequence=1](https://etd.auburn.edu/bitstream/handle/10415/34/PICKENS_MELANIE_20.pdf?sequence=1)
120. Prince M. J. Felder R. F. INDUCTIVE TEACHING AND LEARNING METHODS: DEFINITIONS, COMPARISONS, AND RESEARCH BASES  
<http://www4.ncsu.edu/unity/lockers/users/f/felder/public/Papers/InductiveTeaching.pdf>
121. Pontiveros O'Callaghan M. V., Middle School Teachers' Motivation Methods, 2008.  
<https://www.ohio.edu/education/academic-programs/teacher-preparation/department-of-teacher-education/masters-programs/loader.cfm?csModule=security/getfile&PageID=2184611>
122. Rahman A. Ansari S. Ahmar & Rusli The influence of cooperative learning models on learning outcomes based on students' learning styles, 2016,  
<https://poseidon01.ssrn.com/delivery.php?ID=501005104009101083103018003125103095100069023042044044077006004127071088101095003100124100057006057063050084122005085080028087033035092028083007003079010093116029119022054020004077089127096028115079083127094028077025028069120066006000116101098014069031&EXT=pdf>
123. Serdyukov P., Innovation in education: what works, what doesn't and what to do about it?  
<https://www.emeraldinsight.com/doi/full/10.1108/JRIT-10-2016-0007>
124. Smith s., Hilda Taba-Curriculum Pioneer and Architect,  
[http://tspoetter.weebly.com/uploads/9/5/8/7/9587563/smith\\_taba.pdf](http://tspoetter.weebly.com/uploads/9/5/8/7/9587563/smith_taba.pdf)
125. The Jigsaw Classroom <https://www.jigsaw.org/>

126. Using case studies to Teach-<http://www.bu.edu/ctl/teaching-resources/using-case-studies-to-teach/>
127. Yakoleva N.O. Yakoleva E.V. Interactive teaching methods in contemporary higher education <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S1229545014000175>
128. Yin R. K., Case study research Design and method Third Edition, London 2003. [https://books.google.ge/books?id=BWea\\_9ZGQMwC&printsec=frontcover&hl=ru&source=gb\\_s\\_ge\\_summary\\_r&cad=0#v=onepage&q&f=false](https://books.google.ge/books?id=BWea_9ZGQMwC&printsec=frontcover&hl=ru&source=gb_s_ge_summary_r&cad=0#v=onepage&q&f=false)
129. <https://www.britannica.com/> Education In The 20<sup>th</sup> Century
130. <http://ncp.ge/ge/curriculum?subject=38&subchild=78&pos=1130>
131. Набточий Татьяна., Сила Истины Гуманной Педагогике Шалвы Амонашвили [http://yro.narod.ru/bibliotheca/Amonashvili/Sila\\_Istyny.htm](http://yro.narod.ru/bibliotheca/Amonashvili/Sila_Istyny.htm)
132. Основные постулаты гуманной педагогики, Воспитать человека, <http://vp-ch.ru/gumannaya-osnovnye-postulaty>
133. Подласи И. П., Педагогика Начальной Школы, 2008.
134. педагогика советского периода, WWW best-pedagog.ru
135. Психология и Педагогика Министерство образования и науки Российской Федерации Северный (Арктический) федеральный университет, Архангельск 2010.
136. Харламов И.Ф., Педагогика, 1999.
137. [http://www.razumniki.ru/shalva\\_amonashvili.html](http://www.razumniki.ru/shalva_amonashvili.html)
138. <http://vp-ch.ru/gumannaya-pedagogika>

## ანკეტა

1. სტატუსი

2. ასაკი

**რა მიგაჩნიათ სწავლის მოტივაციის პრობლემის წყაროდ?**

- მასწავლებლის დამოკიდებულება:
- შექება, აღიარება, მაღალი ნიშანი, ჯილდო;
- საყვედური, დაბალი ნიშანი, დასჯა(მაგ.თავისუფალი დროის შეზღუდვა და ა. შ.)
- საკლასო გარემო (საკლასო საზოგადოების უარყოფითი დამოკიდებულება თქვენს მიმართ).

3. არ გაქვთ მიზანი.

4. არ იცით როგორ მიაღწიოთ მიზანს.

5. ოჯახური/სოციალური პრობლემა.

დანართი № 2

№	კითხვები	ვეთანხმები	მიჭირს პასუხი	არ ვეთანხმები
1	მომწონს, როდესაც თანაკლასელს ვეხმარები	100 %		
2	ყურადღებით ვუსმენ ჯგუფის წევრის ნებისმიერ აზრს	100%		
3	ჯგუფთან მუშაობა ჩემთვის სხვადასხვა გამოცდილების მომტანია	85 %	15%	
4	ყოველთვის ვუზიარებ ჩემს ცოდნას სხვას	100%		
5	ჩემზე მოქმედებს თანაკლასელთა ნეგატიური და პოზიტიური დამოკიდებულება	84%	9%	7%
6	შემიძლია ვითანამშრომლო ყველა მოსწავლესთან (სუსუტ, ძლიერი, შშმ.)	61.3%	30,7	8%
7	უკეთ ვსწავლობ თანაკლასელებთან თანამშრომლობით	61%	14%	25%
8	უკეთ ვსწავლობ, როცა სწავლის პროცესში აქტიურად ვარ ჩართული	60%	25%	15%
9	მირჩევნია გავჩუმდე ვიდრე შეცდომით ვთქვა	66 %	23%	11%
10	ვფიქრობ რომ ჯგუფში მნიშვნელოვანი ვარ	62%	15%	23%
11	მოტივირებული ვარ თანაკლასელებთან მუშაობის დროს	32%	53%	15%

ანკეტა

სწავლების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდიდან რომელ ტიპს იყენებთ და რა სიხშირით?

- ძირითადად ვიყენებ სწავლების პირდაპირ მეთოდს;
- ძირითადად ვიყენებ არაპირდაპირი სწავლების მეთოდს;
- აქტიურად ვიყენებ ორივე მეთოდს;

ანკეტა

მასწავლებელმა ყოველდღიურად უნდა დაგეგმოს თუ არა გაკვეთილი და როგორი ფორმით?

- მასწავლებელმა ყოველდღიურად უნდა გააკეთოს გაკვეთილის ზოგადი მონახაზი;
- მასწავლებელმა ყოველდღიურად დეტალურად უნდა დაგეგმოს გაკვეთილი;
- მასწავლებელმა ყოველდღიურად გაკვეთილი არ უნდა დაგეგმოს.